ISSN 1512-195X

საქართველოს ეროვნული აკადემიის

ამბავი

№23
2024

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი
წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის,
ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს
მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც
წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ
ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც
არ მოეჩვენება.”

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის

მ ო ა მ ბ ე

NEWSLETTERS

OF ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

№23

თბილისი - TBILISI
2024

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ ხონელიძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **როინ მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, **ნათელა ვასაძე** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, **ავთანდილ ასათიანი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, **გიორგი სოსიაშვილი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ლიუდმილა ბეჟენარუ** - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), **სერგეი ბოგდანოვი** - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), **რაფაელ გუსმან ტირადო** - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), **დენ დევიდსონი** - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), **იან კე** - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), **ვენტა კოცერე** - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ირენა კუდლინსკა** - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), **კლავდია ლასორსა** - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), **სვეტლანა ტერ-მინასოვა** - მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი

ნათელა მაღლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე

მარინე არაშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, ჯამბუ ავალიანი, როზა გაბეჩავა, ლია მენთეშაშვილი, ეკატერინე ბაკარაძე, ალექსანდრე მღებრიშვილი, ინდირა ძაგანია.

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, 2025

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal “Moambe of the Georgian Academy of Education Sciences“ issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

EDITORIAL BOARD:

Zurab Khonelidze - Head of the Editorial Board, President of the Georgian Academy of Education Sciences, Rector of Sokhumi State University, **Roin Metreveli** –President of the Science Academy of Georgia, **Natela Vasadze** – Honored President of the Georgian Academy of Education Sciences, **Avtandil Asatiani** – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, **Giorgi Sosiashvili** - Vice-President of the Academy of Educational Sciences of Georgia, **Ludmila Bezhenaru** – Professor at IAS University (Romania), **Sergey Bogdanov** – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), **Rafael Gusman-Tirado** – Professor at Granada University (Spain), **Dan Davidson** – President of the American Councils for International Education (USA), **Yan Ke** – Professor at Guanjo University (China), **Claudia Lasorsa** – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), **Svetlana Ter-Minasova** – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia’s United Association of Teachers.

EDITORS:

Avtandil Asatiani – editor in chief
Natela Maghlakelidze – deputy editor in chief
Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Ekaterine Bakaradze, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Jambu Avaliani, Roza Gabechava, Aleksandre Mgebrishvili, Indira Dzagania.

© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA, 2025

ს ა რ ჩ ე ვ ი

ინფორმაცია 8

ზოგადი პედაგოგიკა

ჯამბუ ავალიანი - წიგნიერება, როგორც მოწაფეთა განათლების დონის ამაღლების, კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავებისა და ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნება 9

ნოდარ ბასილაძე - თვითაღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში 15

ირინე გოგიბერიძე - პრაქტიკის კვლევა, როგორც მომავალი მასწავლებლების პროფესიული დაოსტატების საშუალება 21

დაწყებითი სკოლა

ნათელა მაღლაკელიძე - გრაფიკული და კალიგრაფიული უნარ-ჩვევების ფორმირება ქართული წერა-კითხვის სწავლების პროცესში 26

გიორგი ბრეგაძე, გიორგი ბერძულიშვილი- შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენება ამოცანათა ამოხსნის დროს დაწყებით კლასებში..... 31

ნატო გიორგაძე - მოტივაციის როლი და მნიშვნელობა სწავლა/სწავლების პროცესში (დაწყებითი კლასების მაგალითზე) 36

თეონა აბრამიშვილი, პაპუნა ბერძულიშვილი, გიორგი ბერძულიშვილი - მსჯელობის მეთოდის გამოყენება ლოგიკური მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში..... 41

საგანთა სწავლების მეთოდიკა

თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი - დაწყვილებული მონაცემების შეფასება..... 46

ბაკურ ბაკურაძე - ბერნულის სქემის გამოყენებით ალბათობის თეორიის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურება 50

ირმა ჩხიკვაძე - ერთი სახის ტექსტური ამოცანების ამოხსნის მეთოდურ თავისებურებები 55

ნანა ონიანი-საღინაძე, გიორგი ბერძულიშვილი - ზოგიერთი მეთოდიკური შენიშვნა რიცხვთა საერთო ჯერადებსა და გამყოფებზე და მათი ამოხსნის სწავლება 60

განათლების ფსიქოლოგია

ლია ქურხული - ოჯახში ბავშვის რიგითობა და არათანაბარი აღზრდით გამოწვეული პრობლემები..... 65

განათლების და პედაგოგიკის ისტორია

იმერი ბასილაძე, თეკლა გამგებელი - ეროვნული საკითხის ცნობიერებისთვის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში 73

იმერი ბასილაძე - იან ამოს კომენსკი სოკრატეს ფილოსოფიისა და პედაგოგიკის შესახებ.....82

ავთანდილ ასათიანი - მარტინ ლუთერის შეხედულებები საყოველთაო დაწყებითი განათლების შესახებ..... 86

იმერი ბასილაძე, მაია ახვლედიანი, თეკლა გამგებელი - ეროვნული ცნობიერების საკითხისათვის სილოვან ხუნდაძის პედაგოგიკურ ნააზრევში 93

თამარ დოგრაშვილი - ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მეგრული და სვანური ანბანების შექმნა 99

გელა ცაავა - ქრისტეფორე (ფორა) ჯიოევი (ჯიოშვილი): ოსი განმანათლებელი, სულიერო და საზოგადო მოღვაწე 104

რელიგიური პედაგოგიკა
ავთანდილ ასათიანი - ქრისტიანული პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები ახალ აღთქმაში 108

განათლების მენეჯმენტი
ხმალაძე კონსტანტინე, გოჩაშვილი ნათია - შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ინოვაციათა მენეჯმენტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების შესახებ 115
ეკა მგელაძე - ინოვაციური საკადრო მენეჯმენტის სპეციფიკური მახასიათებლები და მათი ასახვა სასწავლო კურიკულუმებში..... 120

ჩვენი იუბილარები
ლუბა ბიბილეიშვილი 125
თამაზ კარანაძე 126
ჰამლეტ მელაძე 127
ზურაბ ჩაჩხიანი 128
გიორგი ანჩაბაძე 129
მერაბ ბერიძე 131
თემურ ჯაგოდნიშვილი 132
მამუკა თავხელიძე 133
ავთანდილ ხაზალია 134

მოსაგონარი
რევაზ ბალანჩივაძე 136
ნათელა იმედაძე 137
იათამზე კოტეტიშვილი 138
ლია მენთეშაშვილი...... 139

Content

Information 8

GENERAL PEDAGOGY

Jambu Avaliani - Literacy is the Art of Improving Students' Education Level, Reading, Writing, Processing Information and Interacting with the Text 9

Nodar Basiladze - Self-Education and its Role in Personality Formation 15

Irine Gogiberidze - Practice Research as a Means of Professional Development for Future Teachers 21

ELEMENTARY SCHOOL

Natela Maglakelidze - Teaching and the Formation of Graphic and Calligraphic Skills..... 26

Giorgi Bregadze, Giorgi Berdzulishvili - The Use of the Case Selection Method When Solving Problems in Lower Grades.....31

Nato Giorgadze - The Role and Importance of Motivation in the Learning/teaching Process (on the example of primary classes) 36

Teona Abramishvili, Papuna Berdzulishvili, Giorgi Berdzulishvili - The Use of Reasoning Methods When Solving Logical Mathematical Problems in Lower Grades..... 41

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Mamuli Buchukhishvili, Teimuraz Giorgadze - The Evaluation of Paired Data 46

Bakur Bakuradze - Some Methodological Features of Solving Probability Theory Problems Using Bernoulli's Scheme 50

Irma Chkhikvadze - Developmental and Exploratory Word Problems on Concentrations and Mixtures 55

Nana Oniani-Saginadze, Giorgi Berdzulishvili - Methodological Remarks on Common Multiples and Divisors of Numbers and Their Teaching Methods 60

PSYCHOLOGY OF EDUCATION

Lia Kurkhuli - Problems caused by child order in the family and unequal upbringing..... 65

.

HISTORY OF PEDAGOGY AND EDUCATION

Imeri Basiladze, Tekla Gamgebeli - For the Awareness of the National Issue in the Pedagogical Thinking of Iakob Gogebashvili 73

Imeri Basiladze - Jan Amos Comenius on Socratic Philosophy and Pedagogy..... 82

Avtandil Asatiani - Martin Luther's views on universal primary education..... 86

Imeri Basiladze, Maia Akhvlediani, Tekla Gamgebeli - For the Issue of National Consciousness in Silovan Khundadze's Pedagogical Thought 93

Tamar Dograshvili - The Educational Policy of Tsarism in Georgia in the Second Half of the 19th Century and the Creation of the Megrelian and Svan Alphabets 99

Gela Tsaava- Christofer (Phora) Djioev (Djioshvili): Ossetian Educator, Spiritual and Public Worker 104

RELIGIOUS PEDAGOGY

Avtandil Asatiani - Moral Principles of Christian Pedagogy in the New Testament 108

EDUCATION MANAGEMENT

Konstantin Khmaladze, **Natia Gochashvili** - Labor Market Requirements and the Employment Prospects of Innovation Management Graduates..... 115
Eka Mgeladze - Specific Characteristics of Innovative Personnel Management and Their Reflection in Educational Curricula..... 120

OUR ANNIVERSARIES

Luba Bibileishvili 125
Tamaz Karanadze 126
Hamlet Meladze 127
Zurab Chachkhiani 128
Giorgi Anchabadze 129
Merab Beridze 131
Temur Jagodnishvili 132
Mamuka Tavkhelidze 133
Avtandil Khazalia 134

FAREWELL

Revaz Balanchivadze..... 136
Natela Imedadze..... 137
Iatamze Kotetishvili..... 138
Lia Menteshashvili..... 139

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

• • •

2024 წლის 5 ოქტომბერის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, აკადემიკოს ნათელა ვასაძეს მიენიჭა საპატიო თბილისელის წოდება.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ ქალბატონ ნათელა ვასაძეს კიდევ ერთ აღიარებას - თბილისის საპატიო მოქალაქის მაღალ წოდებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

• • •

2024 წლის 6 ივნისს გაიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის" (ს/კ 203825806) საერთო კრება, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აირჩია:

- *ნათელა ვასაძე - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად;*
- *ზურაბ ხონელიძე - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად;*
- *ავთანდილ ასათიანი - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტად;*
- *ლუბა ბიბილეიშვილი - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად;*
- *ინდირა ძაგანია-ჭოჭუა - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად;*
- *გიორგი სოსიაშვილი - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად;*
- *დავით მალაზონია - პრეზიდიუმის წევრად, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად;*
- *ლია ახალაძე - პრეზიდიუმის წევრად;*
- *იმერი ბასილაძე - პრეზიდიუმის წევრად;*
- *ვაჟა გიგაური - პრეზიდიუმის წევრად;*
- *ლელა თავდგირიძე - პრეზიდიუმის წევრად;*
- *გელა ყიფიანი - პრეზიდიუმის წევრად;*
- *ლევან ჯინჯიხაძე - პრეზიდიუმის წევრად;*
- *ვაჟა დანელია - პრეზიდიუმის წევრად.*

ზოგადი პედაგოგიკა

ჯამბუ ავალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წიგნიერება, როგორც მოწაფეთა განათლების დონის ამაღლების, კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავებისა და ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნება

რეზიუმე: *ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარება, რომელიც არა მარტო ტრადიციული კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების უნარების დაუფლებას, არამედ ცოდნის სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანას და გამოყენებას, ზეპირი კომუნიკაციის, წაკითხულის განხილვის, დისკუსიის, ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და წარმოსახვის უნარების განვითარებასაც გულისხმობს. უფრო მეტიც, თანამედროვე გაგებით წიგნიერება არის გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;*
წიგნიერება ტიპური აკადემიური საგანი არ არის, თუმცა სწორედ ეს ნიუანსი განაპირობებს მასწავლებლის თავისუფლების ხარისხს სასწავლო მასალების ***შერჩევის*** *დროს.*
წიგნიერება გულისხმობს ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნებას, კითხვის მეთოდების ცოდნას, ინფორმაციის მიღებასა და მის მენეჯმენტს. იგი სტატიკურ ცოდნაზე არ არის ორიენტირებული; ამავე დროს, ტექსტთან მუშაობის ცოდნა-უნარი განათლების მიღების ძირითადი საყრდენია. წარმოდგენილი სტატიაც აღნიშნულ პრობლემას ასახავს.
საკვანძო სიტყვები: *გამჭოლი კომპეტენციები; წიგნიერება; ტექსტი; ფოლკლორი; მითოსი;*

ერთი შეხედვით ბანალური კითხვა უნდა დავსვათ - **რა არის წიგნიერება, როგორია და რა როლი ეკისრება მშობლიურ ენას და ლიტერატურას წიგნიერი მოქალაქის ჩამოყალიბების საქმეში?**

განმარტებით ლექსიკონებში ვკითხულობთ: ,,წიგნიერი“ (რუსულად _ ,,грамотный“, ინგლისურად - Literate”): 1. წერა-კითხვის მცოდნე; 2. ღრმად განსწავლული, განათლებული ადამიანი.

მოცემული განმარტება ნათელი და დამაკმაყოფილებელია. პიროვნება **,,წიგნიერად“** რომ ვაღიაროთ, ის კითხვასა და წერასთან დაკავშირებულ ამოცანებს უნდა ართმევდეს თავს. მეორე მხრივ, ცნებას, ფართო გაგებაც გააჩნია, **ის გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე, კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის ცოდნა.**

ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში განსაკუთრებით **მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარება,** რომელიც არა მარტო ტრადიციული კითხვის, წერისა და ზეპირმეტყველების უნარების დაუფლებას, არამედ ცოდნის სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანას და გამოყენებას, ზეპირი კომუნიკაციის, წაკითხულის განხილვის, დისკუსიის, ანალიზისა და სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და წარმოსახვის უნარების განვითარებასაც გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ **წიგნიერება ტიპური აკადემიური საგანი არ არის,** თუმცა სწორედ ეს ნიუანსი განაპირობებს მასწავლებლის თავისუფლების ხარისხს სასწავლო მასალების შერჩევის დროს.

პედაგოგთა, მკვლევართა, ორგანიზაციათა უმრავლესობისთვის, წიგნიერება **დინამიური და რელატიურია** (შეფარდებითია), ის უნდა განისაზღვროს ფუნქციონალურ კონტექსტში, და ის განსხვავებული შეიძლება იყოს სხვადასხვა კულტურასა და დროში. წიგნიერება სხვა სააზროვნო უნარებსაც აერთიანებს, როგორიცაა ანგარიში ან პრობლემის გადაჭრა. უფრო გასაგებად და მარტივად რომ ვთქვათ, წიგნიერება გულისხმობს **ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნებას, კითხვის მეთოდების ცოდნას, ინფორმაციის მიღებასა და მის მენეჯმენტს და იგი სტატი-**

კურ ცოდნაზე არ არის ორიენტირებული; ამავე დროს, ტექსტთან მუშაობის ცოდნა-უნარი განათლების მიღების ძირითადი საყრდენია (ბევრ ქვეყანაში სასკოლო პოლიტიკის მთავარი ორიენტირი სწორედ ამ უნარის განვითარებაზეა აღებული).

,,წიგნიერება", როგორც ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენცია, რომელიც კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს გულისხმობს, დღეს გაცილებით მეტს მოიცავს; **თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს;**

წიგნიერების საპირისპირო მოვლენაა - **უწიგნურობა**, რაც პირდაპირი გაგებით წერა-კითხვის უცოდინარობას ნიშნავს. უწიგნურობა თანამედროვე მსოფლიოს დიდი პრობლემაა. იუნესკოს სტატისტიკის მიხედვით, 2000 წლისათვის მსოფლიოში უწიგნურთა რაოდენობა თითქმის მილიარდს გაუტოლდა. შემთხვევითი არ არის, რომ გაერომ წიგნიერების (წერა-კითხვის ცოდნის) უზრუნველყოფა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებად გამოაცხადა, შესაფერისი კვების, ჯანმრთელობის დაცვისა და თავშესაფრის უფლებებთან ერთად. წიგნიერების დონის ამაღლება უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. მეტიც, განვითარებულ ქვეყნებში ახლა კარგად ესმით, რომ უწიგნურობის მაჩვენებლის სიმცირე სულაც არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს და წიგნიერების დაბალი დონე შესაძლოა იმდენადვე საგანგაშო და კიდევ უფრო ძნელად გადასაჭრელი აღმოჩნდეს, ვიდრე უწიგნურობა ე.წ განვითარებად ქვეყნებში.

საქართველოში წიგნიერების მდგომარეობის საფუძვლიანად იკვლევს და შესაბამის რეკომენდაციებს იძლევა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა PIRLS**.** (1) აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობა საქართველომ პირველად 2006 წელს მიიღო, ამავე წელს ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგებით, მოზარდთა წიგნიერების დონე საქართველოში საშუალოზე დაბალია. დაწყებით კლასებში წაკითხულის შინაარსის გააზრებისა და გადმოცემის მიხედვით, მსოფლიოში 45 ქვეყნიდან, საქართველო 37-ე ადგილზეა. კვლევების მიხედვით, სასკოლო განათლების დონით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. PIRLS კვლევა ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. 2011 წლის მონაცემებით, საქართველოში წიგნიერების დონე 2006 წელთან შედარებით 4%-ით გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ქულას, 12 ერთეულით.

აქვე გავმარტავთ, რომ წიგნიერებისა და ინფორმაციული წიგნიერების დონე და მაჩვენებელი განისაზღვრება არა დიდი მოცულობის ინფორმაციის ათვისებით, არამედ იმით, თუ როგორ ახერხებს ადამიანი წაკითხულის გააზრებას, შეუძლია თუ არა ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ფაქტებისა და მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვა, ტექსტის ძირითადი აზრის წვდომა და დასკვნის გამოტანა.

ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში არაერთგზის ხაზგასმულია, რომ სკოლაში ქართული ენის სწავლების მიზანია, დააუფლოს მოსწავლე მშობლიური ენის ლექსიკური მარაგს, მის გამომსახველობითს საშუალებებსა და სალიტერატურო ენის ნორმებს; მისცეს მას მყარი ცოდნა სალიტერატურო ენის საფუძვლების შესახებ; მოამზადოს წიგნიერი, განათლებული ახალგაზრდობა, რომელსაც შეეძლება წარმატებით გამოიყენოს სალიტერატურო ენა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამავე დროდ, როგორც პროფ. ვ. რამიშვილი აღნიშნავდა (2) მეტყველების კულტურაზე მუშაობა მიზნად ისახავს მოწაფეთა წიგნიერების დონის ამაღლებას. სწორედ ამისათვის IV-VII კლასებში ყურადღება მახვილდება შემდეგ ძირითად საკით-ხებზე:

ა) სრულყოფილი კითხვის ჩვევის განმტკიცებაზე; ბ) ზეპირი მეტყველების გან-ვითარებაზე; გ) მართლწარმოთქმისა და მართლწერის ჩვევათა გამომუშავებაზე; დ) ლექსიკის გამდიდრებაზე; ე)ფონეტიკისა და გრამატიკის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაზე; ვ) პუნქტუაციისა და სტილისტიკის ცოდნა-ჩვევებზე; ზ) საქმის ქაღალდების შედგენაზე; თ) წიგნის გამოყენებაზე(წიგნზე მუშაობა); ი) საჯაროდ ზეპირ გამოსვლაზე (თეზისების, გეგმების, კონსპექტების შედგენა და მათი გამოყენება მოხსენებისათვის) და სხვ.

მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება მიიღწევა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მთელი რიგი მეთოდოლოგიური საკითხების გათვალისწინებით, კერძოდ:

1. **ქართული ენის სწავლება ლიტერატურის სწავლებასთან ინტეგრირებულად,** რაც, ცხადია, გამორიცხავს ენის გაკვეთილების, მასალის განურჩევლად, „მოყოლას", თეორიული მასალის გაზეპირებას... პროგრამაში ხაზგასმულია, რომ დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ ეტაპზე(ისევე, როგორც 1-4 კლასებში) ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით. მიზანშეწონილი არ არის ძირითადი აქცენტის გადატანა გრამატიკული წესებისა და ენობრივი კანონზომიერების თეორიულ დასწავლაზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, **რომ მე-5-6 კლასებიდან უკვე იწყება მოსწავლეთა მეტაენობრივი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია, რომ ენობრივ-გრამატიკული საკითხების დამუშავებას უფრო სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი მიეცეს.**

2. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში **საგანთშორისი კავშირების** დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს. თუმცა ასეთი ტიპის სწავლების დანერგვას სკოლებში გარკვეული სირთულეები ახლავს. კერძოდ, ერთ-ერთი მიზეზი სათანადო დამხმარე რესურსების სიმწირეა, რომლებიც მასწავლებლებს თავიანთ საგანში მოსწავლეთა შორის აღნიშნული კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარებოდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნისა და გამჭოლი კომპეტენციების ურთიერთკავშირისათვის საჭიროა:

ა) უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა ეროვნული სასწავლო გეგმიდან ჩამოაყალიბოს იდეა და ამის საფუძველზე კი გააანალიზოს საგნობრივი სტანდარტისა და გამჭოლი კომპეტენციების ურთიერთკავშირი;

ბ) სტანდარტის ანალიზის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ხელმისაწვდომი რესურსები, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია სახელმძღვანელოს მიღმა – კომპიუტერული პროგრამები თუ სხვა ვიზუალური საშუალებები.

გ) შემდეგ კი დაგეგმოს გაკვეთილი. ამ დროს აუცილებლად უნდა გაირკვეს, რომელი კომპეტენციები აქვთ მოსწავლეებს უკვე განვითარებული და რა დონეზე, რადგან შეუძლებელია ერთი გაკვეთილის ფარგლებში რომელიმე ერთი კომპეტენციის სათანადოდ განვითარება.

პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში **საგანთშორისი** კავშირების დამყარება. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეს, რომ მან ერთ რომელიმე საგანში შეძენილი **ცოდნა** და გამოცდილება სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადაიტანოს და გამოიყენოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **წიგნიერება ტიპური აკადემიური საგანი არ არის,** თუმცა სწორედ ეს ნიუანსი განაპირობებს მასწავლებლის თავისუფლების ხარისხს სასწავლო მასალების შერჩევის დროს . ამ კუთხით , მნიშვნელოვანია მეთოდიკური ხასიათის წერილები ლიტერატურის ცალკეული საკითხების სწავლების თაობაზე, რეკომენდაციები, რომლებსაც მასწავლებლები გვთავაზობენ, კერძოდ: **თუ წიგნიერების გაკვეთილების ჩატარება მოგანდეს,** უპირველეს ყოვლისა, გადაავლეთ თვალი **ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებს,** რათა მოინიშნოთ საკითხები, რომლებიც მათ ავტორებს ყურადღების მიღმა დარჩათ. უპირველესად სასურველია, ინტეგრირებული, კოორდინირებული გაკვეთილების ფორმატში თანამშრომლობა, აქცენტის გამახვილება სტანდარტით გათვალის-წინებული იმ საკითხებისა და თემების განმეორებითა და შერჩევით, რომლებიც მოსწავლეებს სიღრმისეულად არ აქვთ შესწავლილი, ასეთი შეიძლება იყოს თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედება ან მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებები, მითუმეტეს, რომ საზღვარგარეთული ლიტერატურის კურსი სკოლებში არ ისწავლება (არ გამოვრიცხავ გამონაკლისს). ამავე დროს, წიგნიერების საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის ყველაზე **მარტივია ტექსტში მოცემული ზედაპირული ინფორმაციის გაგება.**

რაც შეეხება ტექსტიდან გამომდინარე დასკვნებს, მსჯელობას, შეფასებას, ჟანრის გაგებასა და, ზოგადად, ტექსტის გააზრებას, ამ მხრივ, პრობლემები გამოიკვეთა.

წიგნიერი მოსწავლეები გამოირჩევიან ემპათიის, პოზიტიური სოციალური ურთიერთობების და თანამშრომლობის უნარებით. მოსწავლეებს, რომელთაც მეოთხე კლასამდე სათანადოდ არ განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში. **გაგება-გააზრების უნარის** განვითარების პროცესი არ არის ადვილად და თავისთავად განვითარებადი. წაკითხულის გაგება-გააზრების სტრატეგიების გამოყენება ხანგრძლივად ისწავლება. გააზრების უნარ-ჩვევებს/სტრატეგიებს შევსება, გამდიდრება, გაძლიერება და უწყვეტი გადახალისება სჭირდება.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საინტერესო მეთოდური ხასიათის სტატიები იბეჭდება წიგნიერების გაკვეთილის რაციონალური გამოყენების თაობაზე, მაგალითად, საყურადღებოა **თ. დოლიძის სტატია „წიგნიერების გაკვეთილები: ქართული ზეპირსიტყვიერება“ (3)**. ავტორი საგულისხმო რეკომენდაცია-ანალიზს იძლევა, თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ წიგნიერების გაკვეთილები იმ საკით-ხების დასამუშავებლად, რომელთა გამოწვლილვითი ანალიზი და სწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე არ ხერხდება და ვერც სახელმძღვანელოები უზრუნველყოფენ სათანადო რესურსით(ამოუწურავი არც გაკვე-თილის შესაძლებლობაა და ვერც სახელმძღვანელო, რაოდენ კარგიც იყოს, ვერ დაიტევს ყველაფერს).

შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ თ. დოლიძეს, როცა წერს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის მიხედვით, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე **ფოლკლორი მწერლობასთან ინტეგრირებულად ისწავლება,** მაგრამ სახელმძღვანელოებს თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუში იქ ცოტაა და მათ უმეტესობასაც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ზღაპრები, ლექსები და ბალადები წარმოადგენს, მითები კი სახელმძღვანელოებში თითქმის არ გვხვდება; მოსწავლემ თითქმის არაფერი იცის თარგამოსზე, ქართლოსსა და მცხეთოსზე, მორიგე ღმერთზე, დევებთან მებრძოლ კოპალაზე და ა.შ.

ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ერთმნიშვნელოვნად დაამშვენებდა ქართული ეპოსი, მაგალითად, „ამირანიანი“ (წინათ ისწავლებოდა, მერე კი პროგრამიდან ამოიღეს), „ეთერიანი“, „ტარიელიანი“, „როსტომიანი“ და სხვ. (3)

ეპოსი როგორც მხატვრული ფორმა სიუჟეტურ თხრობას ემყარება, რაც ტექსტის ეპიკურია ისეთი მხატვრული ტექსტი, რომელიც რაიმე ამბავს მოგვითხრობს. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც სალექსო, ისე პროზაული ფორმაც. ჟანრობრივი მრავალფეროვნების გამო მისი შესწავლა, არქაული ცნობიერების გააზრებასთან ერთად, ტექსტის ფორმაზე დაკვირვების შესანიშნავი საშუალებაცაა.

ცხადია, შეუძლებელია სახელმძღვანელოს შეზღუდულ ფორმატში ყველაფრის მოქცევა, მაგრამ მომავალ თაობას ფოლკლორთან, ჩემი აზრით, მეტისმეტად მცირე შეხება აქვს. არადა, ქართული ზეპირსიტყვიერების საგანძურში მრავლად მოიპოვება ნიმუში, რომელიც იდეალურ მასალას წარმოადგენს მხატვრული ტექსტის ანალიზის, ლიტერატურული პარალელების ძიებისა და, საზოგადოდ, ქართული ლიტერატურის უკეთ შესწავლისთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წიგნიერების გაკვეთილი კარგ საშუალებას იძლევა ავამაღლოთ მოსწავლეთა ლიტერატურული განათლების დონე, სათანადო დრო დავუთმოთ კლასგარეშე კითხვას, საამისო რესურსი კი უხვად მოგვეპოვება - დღეს თითქმის ყველა ქართული გამომცემლობის პროდუქციის ჩამონათვალში შეგხვდებათ „ქართული მითოლოგია ბავშვებისთვის“, რომელიც შეგიძლიათ დაწყებით საფეხურზე დამატებით საკითხავ მასალად გამოიყენოთ. მოზარდებს ამ წიგნების დამოუკიდებლად წაკითხვაც შეუძლიათ, მაგრამ ჯობს, ფოლკლორული ტექსტების გააზრებაში მათ მასწავლებელი დაეხმაროს, რადგან სპეციფიკური საბაზო ცოდნის გარეშე ძნელია მითებისა და ლეგენდების სათანადოდ აღქმა.

მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ინოვაციურ აქტივობებს წიგნიერების განვითარებაში. პრაქტიკოსი მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ წიგნიერების განვითარებისათვის სწორად და მიზანმიმართულად უნდა შევარჩიოთ მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული ინოვაციური, ინტერაქტიული სწავლების მეთოდები და სტრატეგიები.

მაგალითად, საინტერესოდ გვეჩვენება მასწავლებლის **ლელა მანგოშვილის** გამოცდილება, - როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკის დაუფლებაში და როგორ შევაყვაროთ მოზარდებს კითხვა(4).

ჩვენი აზრით, მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად ეფექტური გვეჩვენება ისეთი აქტივობები როგორიცაა „სიტყვის სკივრი" (სიტყვებს ვწერ ფერად ბარათებზე და ვათავსებ მუსიკალურ ზარდახშაში. ბავშვები ზარდახშიდან იღებენ ბარათებს. მუსიკის ფონზე ხდება სიტყვების განმარტება, ხოლო შემდგომ – წინადადებების შედგენა); ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ თამაში **„იდუმალი ყუთი".** ლამაზად შეფუთულ ყუთში მოსწავლეებისგან ფარულად ვაწყობთ ნივთებს, რომელთა ცნობა და დახასიათება მათ არ გაუჭირდებათ. ასეთებია: **ასანთი, ფარანი, კალამი, მობილური ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვაშლი, საღეჭი რეზინი, შოკოლადი, ნათურა, სათვალე და სხვა.** მოსწავლეები რიგრიგობით იღებენ ნივთებს და ახასიათებენ. ასევე საინტერესოდ გვეჩვენება აქტივობა **„ჩემი წიგნის 5 წუთი"** (საკუთარი გემოვნებით შერჩეულ წიგნებს (საჭიროების შემთხვევაში შერჩევაში მასწავლებელი ეხმარება) მოსწავლეები და მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე კითხულობენ 5 წუთის განმავლობაში. წიგნების მთლიანად წაკითხვის შემდეგ სასურველია მოეწყოს განხილვა, ჩანაწერების გაკეთება წიგნის ავტორის, პერსონაჟების და სხვა შენიშვნების გათვალისწინებით. ამ აქტივობის განხორციელების შედეგად წლის ბოლოს კლასის 60%-ზე მეტს 3-4 წიგნი აქვს წაკითხული).

ამრიგად, წიგნიერების განვითარებაში ინოვაციური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება მრავალმხრივი პროცესია და მასწავლებლის მაღალ კომპეტენციებს მოითხოვს. ნებისმიერმა არასწორად შერჩეულმა აქტივობამ თუ არაპროფესიონალურად გამოყენებულმა მეთოდმა შეიძლება გამოუსწორებელი დაღი დაასვას მოსწავლეთა სრულფასოვან განვითარებას, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ კომპლექსური მეთოდები და საგანთაშორისი კავშირები, განვუვითაროთ მოსწავლეებს ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რათა მათ შეძლონ თვითრეალიზაცია, შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების განსაზღვრა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული კვლევის ანგარიში (პორტალი www.naec.ge).
2. რამიშვილი ვ., მოწაფეთა წიგნიერების დონის ამაღლების საკითხები (IV-VIII კლასები), თსუ. თბილისი, 1975.
3. დოლიძე თ., „წიგნიერების გაკვეთილები: ქართული ზეპირსიტყვიერება", www.maswavlebeli.ge(23.08. 2016).
4. მანგოშვილი ლ., როგორ ვიყენებ ინოვაციურ აქტივობებს წიგნიერების განვითარებაში, www.maswavlebeli.ge(21.01. 2015).
5. წიგნიერება – მასწავლებლის სახელმძღვანელო – პაატა პაპავა; თამარ ჭანტურია [თბ. შპს „მწიგნობარი"], 2012 წელი

Jambu Avaliani,
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor

Literacy is the Art of Improving Students' Education Level, Reading, Writing, Processing Information and Interacting with the Text

Summary

Among the core competencies of the national curriculum, the development of literacy is particularly important. Literacy encompasses not only the acquisition of traditional reading, writing, and speaking skills but also the application and transfer of knowledge across different content areas. It involves the development of oral communication, critical thinking, imagination, reading comprehension, review, discussion, analysis, and synthesis skills.

In a modern context, literacy is understood as the ability to make decisions and solve problems based on the knowledge a person acquires throughout their life. Unlike typical academic subjects, literacy is not confined to a rigid framework—this very nuance grants teachers a significant degree of freedom in their instructional approach.

Literacy can be described as the art of interacting with text, understanding reading methods, acquiring and managing information, and applying knowledge dynamically rather than focusing on static knowledge. At the same time, the ability to work with text is a fundamental pillar of education. The presented article addresses this issue.

Key words: core competencies, literacy, text, folklore, myth.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თვითაღზრდა და მისი როლი პიროვნების ფორმირებაში

დიდი სიბრძნეა კაცისა,
ცნობა თავისის თავისა.
ი. ჭავჭავაძე

რეზიუმე: *პიროვნების ფორმირებაში, აღზრდასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს თვით ამ პიროვნების მიერ საკუთარი თავის აღზრდა, რასაც თვითაღზრდას უწოდებენ. იგი აღზრდის შედეგია. აღზრდა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის მიზანს, როცა აღუძრავს აღსაზრდელს თვითაღზრდის, საკუთარი თავის მართვისა და გარდაქმნის სურვილს. თუ აღზრდა არ გადადის თვითაღზრდაში, მაშინ იგი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და კარგავს ფასს.*

რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო ზრდის იგი საკუთარ თავს, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. აქედან გამომდინარე, აღზრდა და თვითაღზრდა ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, ისინი ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ, ერთი მეორეს გარეშე არ არსებობს. სადაც ნამდვილი აღზრდაა, იქ თვითაღზრდაცაა და, პირიქით, სადაც თვითაღზრდაა, იქ აღზრდაცაა.

საკვანძო სიტყვები: *აღზრდა, თვითაღზრდა, თვითგანათლება, საკუთარი თავის მართვა, თვითშეფასება, ნიჭი, ნებისყოფა, აქტიურობა, აღზრდის ობიექტი, სუბიექტი.*

ადამიანის მისწრაფებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის სრულყოფისაკენ მისწრაფება, რასაც თვითაღზრდას უწოდებენ. თვითაღზრდა პიროვნების ფორმირების პროცესის აუცილებელი კომპონენტია. ამ შემთხვევაში პიროვნება, ზემოქმედების ობიექტი კი არ არის, არამედ თავისი განვითარების აქტიური შემოქმედი, სუბიექტია.

თვითაღზრდა ადამიანის შეგნებული მისწრაფებაა – გახდეს სრულყოფილი, გამოიმუშაოს საკუთარ თავში როგორც მისთვის, ისე საზოგადოებისთვის მისაღები თვისებები, დაძლიოს ნაკლოვანებები შეგნებაში, ქცევასა და მოქმედებაში. იგი რთული, ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, დამოკიდებულია თავად პიროვნების შინაგან ბუნებაზე, მის აქტიურობაზე, ნებისყოფაზე, აღზრდილობის, შეგნების დონეზე და სხვა ფაქტორებზე. ცხოვრება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ის ადამიანები აღწევენ წარმატებებს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, რომლებსაც ძალუძთ საკუთარი თავის მოწესრიგება, სრულყოფა და მართვა.

ამრიგად, ცხოვრებაში იმარჯვებს ის პიროვნება, ვინც კრიჭაში უდგას ამ ცხოვრებას, ვინც აქტიურია, მებრძოლია, ვისაც, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „წუთისოფლის სუფრაზე“ საკუთარი კერძი თვითონ მოაქვს.

პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მეცნიერები თვითაღზრდას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ ისინი ერთსულოვანი არიან იმაში, რომ თვითაღზრდა გულისხმობს საკუთარ თავში ნაკლოვანებების აღმოჩენასა და აღმოფხვრას, საკუთარი თავის მოწესრიგებას, სრულყოფასა და გაკეთილშობილებას, რასაც, უმრავლეს შემთხვევაში, შეგნებული და მიზანმიმართული ხასიათი აქვს.

თვითაღზრდა იგივეა, რაც თავის თავზე მუშაობა, რომლის ამოსავალს წარმოადგენს საკუთარი თავის გაცნობიერება: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“.

თვითაღზრდა პიროვნების ფორმირების, მისი კაცურ კაცად, ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბების მძლავრი საშუალებაა. მის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული ადამიანის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კაცობრიობის თითქმის ყველა გამოჩენილმა მოაზროვნემ ძირითადად თვითაღზრდითა და თვითგანათლებით მიაღწია სრულყოფილების იმ დონეს, რომელზეც შესაძლებელი გახდა ეპოქალურ მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების დადგენა.

თვითაღზრდის პროცესში საჭიროა პიროვნების მიერ ისეთი თვისებების შემუშავება, როგო-

რიცაა: თავდაჭერილობა, საკუთარი თავის მართვა, ნებისყოფა, სხვის მდგომარეობაში შესვლა, საკუთარი ქცევისა და მოქმედების თვითშეფასების უნარი, თვითკრიტიკა.

თანამედროვეობის დიდმა უკრაინელმა პედაგოგმა ვასილ სუხომლინსკიმ ერთხელ პატიმრებთან შეხვედრისას განაცხადა: „თუ კაცს თავდაჭერის უნარი არ გააჩნია, თუ საკუთარ თავს ვერ იმორჩილებს, შეიძლება დამნაშავე გახდეს... ხელი უნდა მოკიდოთ საკუთარი თავის აღზრდას. საკუთარი თავის აღზრდა – ეს კაცის უდიდესი სულიერი ბრძოლაა საკუთარ თავთან... საშიში მანკია სუსტი ნებისყოფა, საკუთარი ქცევისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა“ (3).

აქედან გამომდინარე, ვ. სუხომლინსკი თავის მოსწავლეებს დღენიადაგ მოუწოდებდა საკუთარი თავის აღზრდის, თვითდისციპლინისა და თვითკონტროლისკენ. მისი აზრით, „თვითაღზრდა საკუთარი თავის შეცნობით იწყება“, რომელიც ძალზე ძნელი საქმეა; ძნელია „საკუთარი თავის დანახვა როგორღაც გვერდიდან, სხვისი თვალით“ (4, 41). ამისთვის ადამიანმა მეტი უნდა იკითხოს იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც გმირობის ნათელი მაგალითები დაგვიტოვეს. ზრდიდე საკუთარ თავს – ნიშნავს გულთან ახლოს მიგქონდეს შენი სოფლის, შენი ქალაქის, სახელწიფოს სახელი, გტკიოდეს მისი ტკივილი და გვერდს არ უვლიდე ყოველგვარ ნაკლს, არ მოქმედებდე პრინციპით: „ეს მე არ მეხება“, „ეს ჩემი საქმე არაა“, იბრძოდე ადამიანში სიკეთის, ზნეობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის; და, რაც მთავარია, არ იღლებოდე, არ ჩაიმუხლებდე ამ ბრძოლაში.

თვითაღზრდის პროცესში პიროვნებამ კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და შეეცადოს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც მას გააჩნია. გამოჩენილი ინდოელი კლასიკოსი მწერალი და პედაგოგი რაბინდრანათ თაგორი წერდა: „...თუ ბავშვს სურს, გახდეს ადამიანი, მაშინ მან პატარაობიდანვე უნდა აღზარდოს საკუთარ თავში ადამიანი, თორემ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბავშვადვე დარჩება“ (6, 131). ნ. ოსტროვსკის აზრით, „კაპიკია იმათი ფასი, ვინც ვერ მოიშლის ცუდ ჩვევებს“.

ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად საკუთარი თავის შეცნობის, თვითკონტროლის, თვითშეფასების უნარი მიაჩნდა. ის ხშირად იშველიებდა ძველებურ გამოთქმას: „შეიცან თავი შენი“. ერთ-ერთ თავის მოსწავლეს ის მიმართავდა: „განა ნათელი არ არის, რომ საკუთარი თავის ცოდნას ადამიანებისათვის ბევრი სიკეთე მოაქვს, ხოლო საკუთარ თავში გაურკვევლობას – ბევრი უბედურება? ვინც კარგად იცნობს თავს, მან იცის, რა არის მისთვის კარგი და რა – ცუდი, რა შეუძლია და რა – არა. თუ ადამიანი რასაც აკეთებს, ის საქმე კარგად იცის, ბედნიერად ცხოვრობს და ხელს არ კიდებს იმას, რაც არ იცის. ამით ის თავიდან იცილებს უბედურებას“ (1, 22).

თვითაღზრდისათვის ადამიანს უნდა გააჩნდეს საკუთარი თავის სწორად შეფასების უნარი, რასაც თვითშეფასება ჰქვია. ამრიგად, თვითაღზრდა თვითშეფასების გარეშე არ არსებობს, მაგრამ ამის უნარი ბავშვს თანდაყოლილი კი არა აქვს, არამედ იგი აღზრდისა და სწავლების შედეგია. ეს უნარი მოსწავლეებს უმუშავდებათ მხოლოდ საშუალო და უფროს სასკოლო ასაკში. ამ ასაკის მოსწავლეები ცდილობენ, დაძლიონ ნაკლოვანებები მეტყველებაში, ქცევაში, საქმისადმი დამოკიდებულებაში, ამხანაგებთან, მასწავლებლებთან, უფროსებთან ურთიერთობაში და გამოიმუშაონ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიმამაცე, გამბედაობა, შეუდრეკლობა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე, კულტურული ჩვევები და სხვ.

თვითაღზრდა არ არსებობს თავმოყვარეობის, საკუთარი თავის ღირსების გრძნობის გარეშე. ვისაც თავმოყვარეობა არ გააჩნია, მისთვის სულერთია, რას ფიქრობს ხალხი მასზე. ასეთი ადამიანი იმას აკეთებს, რაც მოესურვება და ანგარიშს არ უწევს სხვის აზრს, სხვის შეხედულებას, მოქმედებს პრინციპით – „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

იმისათვის, რომ ადამიანი ზრდიდეს თავის თავს, იგი უნდა იყოს საკუთარი თავის უფალი, გამგებელი, ბატონ-პატრონი.

ამრიგად, ჭეშმარიტი ადამიანი არის ის, ვისაც ძალუძს საკუთარი თავის ფლობა, მისი მართვა, ვინც საკუთარი თავის მბრძანებელი, დირიჟორია. ამისათვის იგი კარგად უნდა სწავლობდეს, იძენდეს ცოდნას, რადგან ცოდნის გარეშე საკუთარი თავის სრულყოფილად შეცნობა შეუძ-

ლებელია. თავის დროზე დ. გურამიშვილი ამბობდა: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისთავადო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“. კაცი უსწავლელად, ცოდნის გარეშე ვერც საკუთარ თავს შეიცნობს და ვერც სხვას, და ვერც გზას გაიკვლევს ცხოვრების ლაბირინთებში.

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რაიმე საქმის კეთების სურვილი (ინტერესი), მაგრამ არ გააჩნდეს მისი განხორციელების უნარი. მაგალითად, მუსიკოსისთვის აუცილებელია სმენა, რიტმისა და მელოდიის გრძნობა, მხატვრისთვის – დაკვირვებისა და წარმოსახვის უნარი, ფერის გრძნობა, მომღერალისთვის – ხმა და ა.შ.

ამა თუ იმ საქმის კეთების ნიჭი ადამიანს ეძლევა დაბადებიდან. ასე, მაგალითად, ზოგს დაბადებიდან დაყვება მუსიკის, პოეტობის, ხატვის, მათემატიკის, ჭადრაკის თამაშის თუ სხვა საქმის კეთების ნიჭი, რომელიც შემდგომ შრომისა და სწავლის პროცესში ვითარდება და სრულყოფილი ხდება. მაგრამ არანაკლები როლი ენიჭება ამ საქმეში თვით ამ ნიჭის პატრონის აქტიურობას. ზარმაცს თანდაყოლილი ნიჭი ვერ უშველის ვერც სწავლაში და ვერც შრომაში.

ადამიანმა ნიჭი შეიძლება გამოავლინოს ადრეულ ასაკშიც და მოგვიანებითაც. მაგალითად, პასკალი, ლაიბნიცი, გაუსი პატარაობიდანვე აოცებდნენ ყველას მათემატიკური ნიჭით. მოცარტმა მუსიკალური ნიჭი სამი წლისამ გამოავლინა. სახელოვანი რუსი მხატვარი კარლ ბრიულოვი ცხრა წლისა სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, ალექსანდრე ივანოვი კი – თერთმეტისა. რვა წლის გოეთემ მშობლიური ენის გარდა, უკვე იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული და იტალიური ენები. რვა წლის პაგანინი საუცხოოდ უკრავდა ვიოლინოზე. შოპენი ექვსი წლის იყო, როცა ფორტეპიანოს დაკვრა დაიწყო, ხოლო ცხრა წლისა პირველად გამოვიდა საჯარო კონცერტზე. პროკოფიევი რვა წლის ასაკში გახდა კომპოზიტორი, შუბერტი – თერთმეტი წლის ასაკში, ვებერი – თორმეტი წლისა და ა.შ.

დიდი ნიჭის პატრონი იყო ასევე ალექსანდრე გრიბოედოვი. მან ბავშვობაში შეისწავლა ლათინური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, ხოლო მოგვიანებით – იტალიური, სპარსული და არაბული. 11 წლის იყო იგი, როცა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და თანმიმდევრობით დაამთავრა სამი ფაკულტეტი – სიტყვიერების, იურიდუიული და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური.

1988 წლის 8 მარტის გაზეთი „სახალხო განათლება“ (და კიდევ სხვა მრავალი ჟურნალ-გაზეთი) იუწყებოდა: „ბათუმის III საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლე მარიუს ქუთათელაძე, რომელიც მხოლოდ 11 წლისაა, ამას წინათ შეუდგა თემის „ღრუ სხეულის წინაღობა“ დამუშავებას.

უკვე ორი წლისას კითხვა შეეძლო, სამი წლისამ მეზობლის ბავშვები გააოცა იმით, რომ ამოხსნა არითმეტიკული მაგალითი.

დადგა სკოლაში წასვლის დროც. ამ დროისათვის მარიუსმა იცოდა გამრავლების ტაბულა, თავისუფლად ხსნიდა მათემატიკურ მაგალითებს ორნიშნა რიცხვებზე და პატარა ამოცანებსაც კი ადგენდა. ექვსი წლის ბიჭუნა მეორე კლასში მიიღეს, მაგრამ აქაც დიდხანს არ დაყოვნებულა – საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა მარიუსის მონაცემები და ნება დართო მეხუთე კლასში ევლო.

1983 წელს... მარიუს ქუთათელაძე მონაწილეობს ნორჩ მათემატიკოსთა ტრადიციულ საკავშირო დღესასწაულში, რომლის დამაარსებელიც გახლდათ ამ სკოლის პედაგოგი მედეა ჟღენტი. წამყვანმა სწავლულმა მათემატიკოსებმა, რომლებიც დღესასწაულზე ჩამოვიდნენ, შესთავაზეს მარიუსს შესულიყო ლენინგრადის უნივერსიტეტთან არსებულ სამწლიან დაუსწრებელ მათემატიკურ სკოლაში. ეს სკოლა მარიუსმა გასულ წელს წარჩინებით დაამთავრა.

მარიუსის არაჩვეულებრივ მათემატიკურ ნიჭს ყურადღება მიაქცია ტალინის კიბერნეტიკის პროფესორმა პეტერ ლორენსმაც, რომელმაც შესთავაზა მას თემა „ცილინდრული რგოლის წინაღობა“. მარიუსი მას ტალინში ამუშავებდა. აქვე გააკეთა მოხსენება. მოხსენების მოსმენის შემდეგ მეცნიერებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს: მიეღოთ მარიუს ქუთათელაძე პრაქტიკული მათემატიკის სექტორის ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წევრად“.

სწავლულებიც მნიშვნელოვან რამეს, როგორც წესი, ახალგაზრდობისას ქმნიან ხოლმე. მაგალითად, ნიუტონი 25 წლისაც არ იყო, მიზიდულობის კანონი რომ აღმოაჩინა, ფიზიკოსი ენრიკო ფერი 25 წლისა უკვე პროფესორი და ატომური პრობლემების უდიდესი სპეციალისტი იყო, ლანდაუ 24 წლისა უკვე თეორიული ფიზიკის კათედრას ხელმძღვანელობდა. ოცდაათ წლამდე გამოიჩინეს თავი ბოტანიკოსმა ვავილოვმა, ფიზიკოსმა კურჩატოვმა და ავიაკონსტრუქტორმა იაკოვლევმა, ხოლო პოეტები – ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, შანდორ პეტეფი, მიხეილ ლერმონტოვი და სხვები 26-28 წლის ასაკში გარდაიცვალნენ, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებები შექმნეს და თავიანთი სახელი დაიმკვიდრეს ისტორიაში.

ცნობილი მათემატიკოსი სერგეი მერგელიანი 16 წლისა შევიდა ფიზიკა-მატემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსზე და ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიღეს ასპირანტურაში. წელიწადნახევარში დაწერა საკანდიდატო ნაშრომი, მაგრამ დისერტაცია იმდენად მაღალი დონის იყო, რომ სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა 20 წლის მაძიებლისთვის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭებინა. მეორე ცნობილი მათემატიკოსი ს. ლ. სობოლევი 25 წლისა უკვე მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და პროფესორი იყო (2, 39).

მაგრამ ყველა დიდი ადამიანი პატარაობიდანვე როდი იჩენდა თავს, როგორც ფენომენი. ბევრი მათგანი ბავშვობისას და ყმაწვილობისას უნიჭო, ყეყეჩი ადამიანის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა. ჯემს უატი, ჯონათან სვიფტი, კარლ გაუსი „სკოლის გერები“ იყვნენ და უნიჭო მოსწავლეებად ითვლებოდნენ. აინშტაინი არავითარ ინტერესს არ იჩენდა ფიზიკისა და მათემატიკისადმი და, საერთოდ, სუსტ მოსწავლედ ითვლებოდა. კარლ ლინეიზე ამბობდნენ, მაგისგან ხარაზის მეტი არაფერი დადგებაო. ჩარლზ დარვინს მისი მამა უნიჭოს უწოდებდა, ედისონი კი დებილად მიაჩნდათ.

ისეთი ცნობილი მწერლები, როგორიც იყვნენ: ჟიულ ვერნი, ბალზაკი, ალექსანდრე დიუმა (მამა), დანიელ დეფო, კრილოვი, გონჩაროვი, ალექსანდრე ყაზბეგი და ბევრი სხვა, გვიან გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ შუახნის ასაკში გაითქვეს სახელი.

ყოველმა ადამიანმა კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და ხელი მიჰყოს იმ საქმეს, რისი ნიჭიცა და უნარიც გააჩნია. ამით იგი მეტ სარგებლობას მოუტანს როგორც საკუთარ თავს, ისე ქვეყანას, საზოგადოებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ისე გადის წლები, რომ ადამიანი ვერ ახერხებს იმის გამორკვევას, თუ რისი უნარი შესწევს. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოზარდებს. ისინი ხან ერთ პროფესიაზე ოცნებობენ და ხან – მეორეზე, არ იციან, რომელი პროფესია აირჩიონ და რა გზას დაადგნენ. ამ საქმეში მათ სჭირდებათ პედაგოგების, გამოცდილი ადამიანების, ავტორიტეტული პიროვნებების რჩევა-დარიგებანი, მაგრამ „სხვისი სიბრძნის აღქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა თავისთავზე დამოუკიდებელი მუშაობა“ (ლ. ტოლსტოი). „რარიგ ბრძენ ადამიანთა შორისაც უნდა ტრიალებდე, – გვასწავლის სუხომლინსკი, – ბრძენად ვერ იქცევი, თუ არ გაირჯები... ჭკუა რომ შეიძინო, საკუთარი „ტვინი უნდა გაანძრიო“ (4, 90). . ამიტომაც ამბობდა რუსთაველი: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

თვითაღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე ის, თუ როგორი წარმოდგენა აქვს პიროვნებას საკუთარ თავზე. როცა იგი სათანადოდ ვერ აფასებს თავის თავს, არ სჯერა თავისი ძალებისა და შესაძლებლობისა, ანდა, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე, მაშინ მისი ნიჭი სრულყოფილად ვერ განვითარდება.

ადამიანი არასოდეს არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. იგი მუდამ უნდა მიისწრაფოდეს სულ წინ და წინ. მისი ბრძოლის ჟინი არასოდეს არ უნდა ცხრებოდეს. მიუხედავად ჩემი მძიმე ტანჯვისა, მე ვცხოვრობ ჩვენი დიად გამარჯვებათა სიხარულით. არა არის რა იმაზე სასიხარულო, ვიდრე ტანჯვის დაძლევაა. კი არ უნდა ისუნთქო უბრალოდ (თუმცა ესეც მშვენიერია), არამედ უნდა იბრძოლო და გაიმარჯვო. ადამიანის ტრაგედია, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს ბრძოლის შეწყვეტაშიბ– წერდა ნ. ოსტროვსკი.

პიროვნების თვითაღზრდაში ქცევის მოტივად გვევლინება ინტერესი. იგი წარმოშობს ადამიანში თავისთავზე სისტემატური მუშაობის სურვილს და ძირითადად მჟღავნდება ადამიანის მიერ თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების პროცესში. კ. უშინსკის სამართლიანი მტკიცე-

ბით, მოსწავლე, რომელიც სწავლობს მხოლოდ იძულებით, ყოველგვარი ინტერესის გარეშე, გულს იცრუებს სწავლაზე და კარგავს მისდამი ინტერესს. და პირიქით, როცა ადამიანს ცოდნის შეძენის სურვილი აქვს, იგი გატაცებით მუშაობს წიგნზე და ამასთან, ნაკლებად იღლება, ვიდრე არასაინტერესო საქმის კეთებისას.

V-VI კლასებში საქმისადმი ინტერესის გარდა, თვითაღზრდის მოტივის როლში გვევლინება აგრეთვე მოსწავლის სურვილი – ასიამოვნოს მასწავლებლებს, მშობლებს, ახლობელ ადამიანებს და დაიმსახუროს მათი შექება.

VII-VIII კლასებში თვითაღზრდისაკენ წამაქეზებელ ძირითად მოტივად გვევლინება იდეალი. ამ კლასებში შესამჩნევად იზრდება გონებრივი აღზრდის როლი თვითაღზრდის მოტივაციაში.

თვითაღზრდის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასევე სინდისი, რომელსაც ნოდარ დუმბაძე „საკუთარ შინაგან დიცსიპლინას“ უწოდებს. სინდისიერი ადამიანი ყველგან და ყოველთვის ზნეობრივად იქცევა, მაშინაც კი, როცა არავინ უთვალთვალებს; ამასთან, დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც მაშინ, როცა იგი ასეთ საქციელს სჩადის და ვერც შემდგომ. „იქ, სადაც სინდისს სძინავს, – გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, – თვითაღზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (5, 642).

თვითაღზრდაში არანაკლები როლი ენიჭება შრომას. „შრომის პროცესში, – წერს სუხომლინსკი, – ადამიანს ეძლევა თვითაღზრდის, თვითშემეცნების, საკუთარი თავის სრულყოფის უსაზღვრო შესაძლებლობა. შრომის ამოუწურაობის გამო, ადამიანი თვით ხდება ამოუწურავი და მის სრულყოფას საზღვარი არ ექნება“.

ამრიგად, თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს საკუთარ თავის შემოქმედი. საჭიროა მხოლოდ თავისი თავის სწორად შეფასება და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრისათვის შეუპოვარი ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბ., 1988.
2. პეკელისი ვ. შენი შესაძლებლობანი ადამიანო, თბ., 1978.
3. სუხონლინსკი ვ. კეთილყავ გული შენი, გაზ. „კომუნისტი“, 1969, 26 აგვისტო.
4. სუხონლინსკი ვ. წერილები შვილებს, ბათუმი, „ალიონი“, 2008.
5. Сухомлинсекий В.А. Сто советов учителю. – Избр. произведения, т. 2, Киев, 1979.
6. Тагор Р. Соч.: В 12 тома, т. 11, М., 1965.

Nodar Basiladze,
Doctor of Pedagogical Sciences, Professor

Self-Education and its Role in Personality Formation

Summary

In the formation of an individual, alongside external upbringing, a significant role is played by the individual's own efforts, referred to as self-education. Self-education is a natural outcome of upbringing. Upbringing achieves its true purpose only when it instills in a person the desire for self-education, self-management, and self-transformation. If upbringing does not evolve into self-education, it fails to fulfill its purpose and loses its value.

The more educated and conscious a person becomes, the more they develop themselves, exercising greater control over their own behavior and actions. Thus, upbringing and self-education are interconnected processes that complement and depend on each other; one cannot exist without the other. Where there is genuine upbringing, there is also self-education, and conversely, where self-education thrives, true upbringing is present.

Keywords: upbringing, self-education, self-management, self-esteem, talent, willpower, activity, object of upbringing, subject.

ირინე გოგიბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

პრაქტიკის კვლევა, როგორც მომავალი მასწავლებლების პროფესიული დაოსტატების საშუალება

რეზიუმე: *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედი აკადემიური პროგრამებიდან პრაქტიკის კვლევას ახორციელებენ დაწყები-თი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის და განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ამზადებს დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების მასწავლებლებს და V-VI კლასების საგნობრივ მასწავლებლებს სამი მიმართულებით: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება. რამდენიმე წელია, რაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ახდენენ პრაქტიკის კვლევებს არა მარტო ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში, არამედ რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ცენტრებში და სოფლებში. სტუდენტების ჩატარებული კვლევების ანალიზი დაედო საფუძვლად წარმოდგენილ სტატიას, რომელშიც დასაბუთებულია, რომ პრაქტიკის კვლევას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი პროფესიული უნარების მქონე მასწავლებლის ჩამოყალიბებაში.*
საკვანძო სიტყვები: *მასწავლებელი, პრაქტიკის კვლევა, ინტერვიუ, დაკვირვება, მონაცემთა ანალიზი.*

პრაქტიკის კვლევას უმაღლესი სასწავლებლების ის სტუდენტები გადიან, რომლებიც მომავალში მასწავლებლები უნდა გახდნენ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედი აკადემიური პროგრამებიდან პრაქტიკის კვლევას ახორციელებენ დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის და განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. ხშირია შემთხვევები, როცა, როგორც სკოლის მასწავლებლები, ისე სტუდენტები სრულყოფილად არ არიან გარკვეული პრაქტიკის კვლევის არსში, არადა მას ჩვენი აზრით ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი პროფესიული უნარების მქონე მასწავლებლის ჩამოყალიბებაში. ჩვენ ვთვლით, რომ პრაქტიკის კვლევით შეძენილი პროფესიული უნარები და მიღებული პედაგოგიური გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს სწავლა/სწავლების პროცესის სრულყოფასა და პროფესიულ განვითარებაში. სტუდენტების სკოლებში პასიურ ან/და აქტიურ პრაქტიკაზე წასვლამდე პედაგოგიკის კურსის ლექტორთა მიერ გულდასმით ხდება სტუდენ-ტებისთვის სკოლის მასწავლებელთა სწავლა/სწავლების და სასკოლო სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა როგორც ზოგადი, ასევე საგნობრივი კუთხით. განმარტებისთვის გვინდა ვთქვათ, რომ დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტი ამზადებს დაწყებითი (I-IV კლასების) მასწავლებლებს და დაწყებითი (V-VI კლასების) საგნობრივ მასწავლებლებს სამი: ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მიმართულების საგნობრივ მასწავლებლებს.

უნივერსიტეტში სტუდენტებს აცნობენ, რომ პრაქტიკული კვლევის ჩატარებას შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა მიზნები: შესწავლილ იქნეს სკოლაში უკვე არსებული პრაქტიკა, მოხდეს კონკრეტული პედაგოგიური ან/და მეთოდიკური პრობლემის მოგვარება და დაიგეგმოს წინასწარ კარგად გააზრებული, დაგეგმილი და პედაგოგიურად/მეთოდურად სასურველი ცვლილებების განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა და სხვ.

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი სტუდენტები ახდენენ პრაქტიკის კვლევებს არა მარტო ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში, არამედ რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ცენტრებში და სოფლებში. პრაქტიკის კვლევის მიზანი შეიძლება სხვადასხვა ფაქტორი გახდეს, მაგალითად, სტუდენტის მიერ პრაქტიკის პერიოდში იდენტიფიცირებული რაიმე პრობლემა/ პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია პედაგოგიური/მეთოდიკური მიდგომე-

ბით, სკოლებში გამოცდილი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლების პრაქტიკის პერიოდში უკვე განხორციელებული და სასწავლო პროცესში აპრობირებული პრაქტიკის შესწავლა, სწავლა/სწავლების პროცესში წამოჭრილი პრობლემის მოგვარება, მასწავლებლის მიერ უკვე დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება და სხვ. დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ პრაქტიკის კვლევის თემატიკის შერჩევის საუკეთესო შემთხვევებთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა სტუდენტს თვითონ შეუძლია მოახდინოს კლასში არსებული მდგომარეობის ანალიზი, დაინახოს რა საჭიროებს გამოსწორებას და ისე შეარჩიოს საკვლევი თემა. მაგრამ სამწუხაროდ, კლასში არსებული პრობლემის/პრობლემების იდენტიფიცირება ხშირ შემთხვევაში ახალი მისული პრაქტიკანტისთვის, რომელსაც სათანადო პედაგოგიური გამოცდილება არა აქვს, ძნელია და შესაძლებელია მან ეს დროის იმ მცირე მონაკვეთში, რომელსაც ის კლასთან ატარებს, ვერ შეძლოს და მას დახმარება დაჭირდეს. ამ შემთხვევაში პირველი დამხმარე და კონსულტანტი მისთვის კლასის დამრიგებელი ან/და საგნის მასწავლებელია, რომელიც ეხმარება სტუდენტს პრაქტიკის დაგეგმვაში. ამ შემთხვევაში პრაქტიკის კვლევის დაგეგმვისას სტუდენტს მასწავლებელი აცნობს ინფორმაციას, ზოგჯერ უზიარებს საკუთარ შეხედულებებს საგანში კონკრეტული თავის, თემის ან/და საკითხის სწავლებასთან მიმართებაში. თუ მასწავლებლის ინფორმაცია ან/და შეხედულებები სტუდენტისთვის მისაღებია, მაშინ ის თანხმდება პრაქტიკული კვლევის ჩატარებას და კვლევაზე დაფუძნებით სტუდენტს საშუალება ეძლევა დარწმუნდეს მასწავლებლის შეხედულების სისწორეში, ან მის არამართებულობაში. ზოგჯერ მასწავლებელი დგას კონკრეტული პრობლემის წინაშე და ცდილობს მონახოს მისი მოგვარების გზები და სტრატეგიები, რასაც უზიარებს პრაქტიკანტს, რომელიც შემდეგში მასწავლებელთან ერთად ცდილობს პრობლემის გადაწყვეტას, რისთვისაც ერთად გეგმავენ განსახორციელებელ პედაგოგიურ/მეთოდიკურ ღონისძიებებს. რა შეიძლება იყოს ასეთი პრობლემა? მაგალითად, მოსწავლეების მიერ თავიანთი თანატოლის, ან რამდენიმე თანატოლების ბულინგი. მაგალითად, დაწყებითი კლასის დამრიგებელმა ყურადღება მიაქცია მის კლასში ბიჭები სათანადოდ არ იქცევიან, მათ შორის არ არის ჯანსაღი სიტუაცია. ბიჭების უმრავლესობა ეძებს მიზეზებს აბუჩად აიგდონ, დასცინონ და შეურაცხოფა მიაყენონ კლასში ახალ გადმოსულ მოსწავლეებს. მასწავლებლის პოზიცია ცხადია, რომ კლასის ასეთი ქცევა შეუწყნარებელია, მიუღებელია რომ მომავალშიც კლასის მოსწავლეებს შორის ურთიერთობები ასეთივე ფორმით გაგრძელდეს, რაც ხდება პრაქტიკის კვლევის ჩატარების მიზეზი, რომლის მიზანია დადგინდეს რა არის თანაკლასელების დაცინვის და აბუჩად აგდების მიზეზი და შემდეგ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღმოფხრილი იქნას მოსწავლეებს შორის აბუჩად აგდება, დაცინვა და ჩაგვრა?

ზოგჯერ ხდება, რომ მასწავლებელი თავისი და კოლეგების პედაგოგიურ გამოცდი-ლებაზე დაყრდნობით ფიქრობს განახორციელოს ცვლილებები, რომელიც უკავშირდება გარკვეულ პედაგოგიური/მეთოდიკური სახის სიახლეების დანერგვას, რომლებიც აპრობირებულია მისი კოლეგა პედაგოგების მიერ სხვა სკოლებში, მაგრამ თვითონ მასწავლებელი ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ ასეთი მიდგომა გაამართლებს მის კლასში. ამიტომ თავაზობს პრაქტიკანტს, ჩაატაროს პრაქტიკის კვლევა მის კლასში აღნიშნულ საკითხზე და შეფასოს მისი ეფექტურობა. მაგალითად, დაწყებითი კლასის მასწავლებელი გაეცნო კოლეგების გამოცდილებას, რომელშიც პორტფოლიო გამოყენებულია, როგორც მოსწავლის თვითშეფასების და რეფლექსიის უნარების გაუმჯობესებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლების საშუალება. მასწავლებელს თავიდან ეჭვი შეეპარა კოლეგების მიერ განხორციელებული სიახლის ეფექტურობაში, მაგრამ ხანგრძლივი ანალიზისა და ფიქრის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სიახლე პედაგოგიური თვალსაზრისით რაიმე ნაკლის შემცველი არ იყო და გადაწყვიტა პორტფოფლიოს გამოყენებით მოტივაციის და სწავლა/სწავლების ეფექტურობის ამაღლებასა და შესაძლებლობაში დარწმუნება, რისთვისაც თვითონ ჩაატარებდა პრაქტიკის კვლევას და თავად დარწმუნდებოდა, ეფექტურია თუ არა ეს ინოვაციური მიდგომა.

ცხადია, რომ მნიშვნელოვანია პრატიკის კვლევის თემის შერჩევა, მაგრამ არანაკლებ პრაქტიკის კვლევის ეტაპების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს კვლევის ფოკუსის განსაზღვრას, კვლევის დაგეგმვას კვლევის მონაცემთა ანალიზს, კვლევის მონაცემთა შეგროვებას და კვლევის ანგარიშის მომზადებას.

- კვლევის ფოკუსის განსაზღვრა

პირველ რიგში სტუდენტის მიერ მკაფიოდ და გასაგებად უნდა იქნეს განსაზღვრული კვლევის ფოკუსი, თუ რა უნდა გაარკვიოს და შეისწავლოს პრაქტიკული კვლევის დასაწყისიდან ბოლომდე სტუდენტმა? უნდა ჩამოაყალიბოს საწყისი შეკითხვები, რომელსაც მასწავლებელი დაიწყებს კვლევის ფოკუსის განსაზღვრას. ასეთი კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი: -რა საკითხებია ყველაზე მეტად სასწავლო პროცესთან და მოსწავლეებთან მიმართებაში ყველაზე აქტუალური და გადასაწყვეტი; -სწავლა/სწავლების რა საკითხებით არის დაინტერესებული კლასი ყველაზე მეტად? -მხოლოდ ერთი რამის შეცვლა რომ შემეძლოს საკლასო ოთახში, რის შეცვლას მოინდომებდა კლასი შეეცვალა? -სწავლა/სწავლების რომელ ახალი საკითხის მოსინჯვა იქნება მიზანშეწონილი კლასში? და სხვ. ასეთი საკითხებიდან შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ძირითადი კატეგორიის გამოყოფა, რომელიც/რომლებიც დაეხმარება სტუდენტს ზემოთ მოცემულ შეკითხვებზე კვლევის ფოკუსის განსაზღვრაში, ასეთებია მოსწავლეების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამიოკვეთოს როგორ არის შესაძლებელი მოსწავლეებს თვითშეფასების უნარების გაუმჯობესება? ან სწავლების პრაქტიკაში გამოყენებული სტრატეგიები რამდენად ეხმარება მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში? ან სკოლაში არსებული სასკოლო კლიმატი და ღირებულებები როგორ გავლენას ახდენს მოსწავლეების ჩართულობაზე და სწავლის შედეგებზე? ან მშობლების/ოჯახის კავშირები სკოლასთან, შვილის სწავლის პროცესში ან/და სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა, რა სტრატეგიების გამოყენებით გაიზრდება სწავლის პროცესში მშობლების ჩართულობა და სხვ. მანამ სანამ სტუდენტი ჩამოაყალიბებს პრაქტიკული კვლევის ფოკუსის მთავარ შეკითხვას, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ, მთავარი შეკითხვა უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხს, რომელიც აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით; ჩატარებული პრაქტიკული კვლევით შესაძლებელი უნდა იყოს შეკითხვაზე პასუხის გაცემა, უნდა შეიძლებოდეს კვლევის ჩასატარებლად საჭირო რესურსების მოძიება; კვლევის წარმართვა უნდა განხორციელდეს არა ფრაგმენტულად, არამედ ყოველდღიურად, შეკითხვა ჩამოყალიბებული უნდა იყოს გარკვევით, რომ მასზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იყოს ცალსახად, უნდა გამოირიცხოს შეკითხვაში ორაზროვნება; შეკითხვა სტუდენტს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას ძიება ჩაატაროს არა ერთი მიმართულებით, არამაედ მრავალმხრივ.

- კვლევის დაგეგმვა.

პრაქტიკული კვლევის შედეგების მისაღწევად სტუდენტმა უნდა მოახდინოს კვლევის დაგეგმვა, რომელიც მას დაეხმარება პრაქტიკული კვლევის სრულფასოვნად გააზრებაში. ამ ეტაპზე სტუდენტს დაეხმარება პასუხები შემდეგ კითხვებზე: ჩასატარებელი კვლევისთვის რა სახის ლიტერატურის გაცნობაა საჭირო? რის გაგებას ვაპირებ კვლევით? რისთვის მინდა კვლევის ჩატარება? ვის შეუძლია დამეხმაროს ორგანიზაციულად კვლევის ჩატარებისას, თუ ამის საჭიროება წარმოიშვა? ვინ შეძლებს დახმარებას პრაქტიკული კვლევის ჩატარებისას წარმოშობილი აკადემიური პრობლემების გადასაჭრელად? მონაცემთა რომელი ბაზებია მიზანშეწონილი საჭირო ინფორმაციის მისაღებად? ვინ დამეხმარება მოსწავლეების ან მასწავლებლების, ან მშობლების, ან სკოლის ადმინისტრაციისგან ინფორმაციის მოპოვებაში? ძირითადად რამდენ საქმიანობას განხორციელება მოხდება კვლევის ფარგლებში? რა დრო იქნება საჭირო პრაქტიკული კვლევის ჩასატერებლად? და სხვ.

- მონაცემთა შეგროვება.

სტუდენტის პრაქტიკული კვლევა წარმატებული იქნება, თუ ის შეძლებს საჭირო და ღირებული ინფორმაციის მოპოვებას. ამიტომ მონაცემთა შეგროვების ეტაპის დასაწყისში მასწავლებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მოიპოვოს, სად უნდა მოიპოვოს და როგორ უნდა მოიპოვოს იმისთვის, რომ შეძლოს კვლევის ძირითად შეკითხვაზე პასუხის გაცემა. პრაქტიკის კვლევის წარმატებულად ჩატარებისთვის საჭიროა სტუდენტმა მოახდინოს კვლევის თემატიკის შესაბამისი დოკუმენტების ანალიზი, მოახდინოს დაკვირვება კლასზე და აიღოს ინტერვიუები მოსწავლეებიდან, მასწავლებლებიდან, მშობლებიდან, საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალური ან/და რეგიონალური რესურს-ცენტრიდან, განათლების სამინისტროდან და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ჯგუფში ბევრი მონაწილეა, მაშინ კითხვარის გამოყენე-

ბამდე მიზანშეწონილია მისი პილოტირება სამიზნე ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელთან; კითხვარს ან ზეპირ გამოკითხვას უნდა დაერთოს მოკლე ინფორმაცია კვლევის შესახებ და განმარტება როგორ იქნება გამოყენებული გამოკითხვის შედეგად მოგროვებული ინფორმაცია, რისთვისაც შესაძლებელია ღია და დახურული შეკითხვები

- ინტერვიუ

ინტერვიუს დაწყებამდე სტუდენტმა წინასწარ უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული კვლევის მთავარ შეკითხვაზე ორიენტირებული კითხვები. მიზანშეწონი-ლია კითხვების პილოტირება ჩატარდეს წინასწარ რამდენიმე ადამიანთან, ხოლო ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის აღრიცხის მიზნით სტუდენტმა შესაძლოა მოახ-დინოს მისი აუდიო/ვიდეო ჩაწერა, რაზეც აუცილებელია გამოკითხულთა თანხმობა.

- დაკვირვება

სტუდენტის მიერ წინასწარ უნდა იქნეს შემუშავებული დაკვირ-ვების გეგმა, მათ უნდა განემარტოთ რომ, დაკვირვების დროს გარკვეულად იცვლება იმ ადამიანების ქცევა, რომლებსაც აკვირდებიან. სტუდენტი წინასწარ უნდა ფლობდეს რომელი ინსტრუმენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული ინფორმაციის შეგროვებისას და შეეძლოს მისი გამოყენება.

- მონაცემთა ანალიზი

სტუდენტებს უნდა განემარტოს, რომ პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც სხვა ეტაპებიდან განსხვავდება იმით, რომ ის ყველაზე შრომატევადია, დაკავშირდებულია შეგროვებული მონაცემების შეგროვებასთან, მათ ანალიზთან და შესაბამისი დასკვნების გამოტანასთან.

- კვლევის ანგარიშის მომზადება

კვლევის წერილობითი ანგარიშის მომზადება საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ მასში ნათლად ჩანს ის, რისი გაკეთებაც შეძლო სტუდენტმა პრაქტიკული კვლევის ჩატარებისას. ჩატარებული პრაქტიკული კვლევის ანგა-რიშის მომზადება დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ღირებულს ხდის მასწვლებლის მიერ ანაგრიშის მომზადებაზე დახარჯულ დროს. წერილობითი ანგარიშის მომზადებისას სტუდენტი კიდევ ერთხელ აკეთებს რეფლექსიას საკუთარ ნამუშევარზე, ეხმარება სტუდენტს იდეების უკეთესად ორგანიზებასა და გადმოცემაში და სტუდენტი, რომელიც შემდგომში მასწავლებელი გახდება, ჩატარებული პრაქტიკული კვლევის შედეგების გამოყენება მას შეეძლება მასწავლებლის პორტფოლიოსთვის;

პრაქტიკული კვლევის ანგარიში შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლის კოლეგებს ან უფრო ფართო საზოგადოებას მიიღოს სწავლა-სწავლებისა და სხვა სასკოლო საკითხების შესახებ ღირებული ინფორმაცია. მოხარული ვიქნებით, თუ სტატიაში განხილული საკითხები მცირედ დახმარებას მაინც გაუწევს პედაგოგიური მიმართულების სტუდენტებს, სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლებს, საგნის, საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებს, მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტებს პრაქტი-კული კვლევების ჩატარებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მანანა ბოჭორიშვილი, მაია ინასარიძე. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი. 2014 წ.
2. მაია ინასარიძე. მასწავლებლის პროფესიული თვითგანვითარება, ელექტრონული გაზეთი Maswavlebeli.ge, 10 ივლისი, 2014 წელი.
3. გიორგი ნოზაძე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თანამედროვე მოდელები, ელექტრონული გაზეთი Maswavlebeli.ge 13 ივნისი, 2013 წელი.
4. ჯემალ ჯინჯიხაძე. პედაგოგიური კვლევა. „უნივერსალი“. თბილისი. 2016 წ.

Irine Gogiberidze,
Akaki Tsereteli State University,
Assistant Professor

Practice Research as a Means of Professional Development for Future Teachers

Summary

At Akaki Tsereteli State University, students enrolled in the integrated bachelor-master program in Primary Education and the master's program in Educational Sciences from the Faculty of Pedagogy are actively engaged in practice research. The integrated bachelor-master program in Primary Education prepares teachers for grades I-IV and subject teachers for grades V-VI in three key areas: Georgian language and literature, mathematics, and natural science.

For several years, students of the university have been conducting practice research not only in public and private schools in Kutaisi but also in educational centers and villages across various municipalities in the region. The analysis of research conducted by these students forms the basis of the presented article, which demonstrates that practice research plays a decisive role in shaping teachers with advanced professional skills.

We believe that the professional competencies acquired through practice research, along with the pedagogical experience gained, contribute significantly to enhancing students' learning and teaching processes as well as their professional development. The article outlines the objectives of conducting practice research and defines its key stages, including: identifying the research focus, planning the research, analyzing research data, conducting interviews, making observations, collecting research data, and preparing the research report.

This article aims to assist students in pedagogical fields, subject and subject-group teachers, and students of teacher training programs in conducting practice research and applying its findings effectively in their professional practice.

Key words: teacher, practice research, interview, observation, data analysis.

დაწყებითი სკოლა

ნათელა მაღლაკელიძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლა

გრაფიკული და კალიგრაფიული უნარ-ჩვევების ფორმირება ქართული წერა-კითხვის სწავლების პროცესში

რეზიუმე: *სტატიაში განხილულია ქართული წერის სწავლებასთან დაკავშირებული გრაფიკული და კალიგრაფიული ჩვევების ფორმირება სწავლების ადრეულ ეტაპზე. ქართული ენის ლინგვისტური ბუნება განაპირობებს სასწავლო სტრატეგიებისა და აქტივობების შერჩევას. პირველ რიგში ეს გახლავთ კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება, ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებების გათვალისწინება და საწერი ბადე წერაში დამწყებთათვის; კალიგრაფიული უნარ-ჩვევების ფორმირება დღეს პირველ რიგში ითვალისწინებს ერთიანი, საზოგადო ხელით წერას.*
საკვანძო სიტყვები: *ქართული წერა-კითხვა, ასოები, ბგერები, კითხვა, წერა, გრაფიკა, კალიგრაფია.*

დაწყებითი (განსაკუთრებით I-II) კლასების მოსწავლეთა წერითი მეტყველების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელი კომპონენტი გახლავთ ასოთა მოხაზულობის გაცნობა და სათანადო **გრაფიკული**, უფრო სწორად **კალიგრაფიული**, უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საქართველოში კალიგრაფიის სწავლებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველებური ხელნაწერების სილამაზეს ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. არსებობდა გადამწერთა სკოლები, სადაც ნაწერის გარეგნული მხარე, კალიგრაფია სპეციალური შესწავლის საგანი იყო. ტრადიცია გაგრძელდა მომდევნო საუკუნეებშიც, როდესაც ხელნაწერი წიგნები სტამბურმა წიგნებმა ჩაანაცვლა. „წიგნების ბეჭდვის შემოღებიდან წერას თავისი მნიშვნელობა სრულიად არ დაუკარგავს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ უფრო გაძლიერდა“ (ლ. ბოცვაძე, ქართული წერის დედანი, ჟურნალი „განათლება“, 1908 წ).

ამ მიზნით იყო შედგენილი პ. უმიკაშვილის (1878 წ), ა. ჯუღელის (1879 წ), ვ. გაბიჩვაძის (1882 წ), ს. დათეშიძის (1890 წ). ლ. ბოცვაძის (1908) „ქართული წერის დედნები“... ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ი. გოგებაშვილის „დედანზე“ (1884 წ). იგი შემდგომ საფუძვლად დაედო ვ. თოფურიას „ქართული წერის დედანს“ (1933წ), რომლითაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ისწავლებოდა საბჭოთა სკოლაში **სუფთა წერა/კალიგრაფია.**

ვნახოთ, რას წერდნენ დარგის კლასიკოსები კალიგრაფიის/სუფთა წერის შესახებ გასული საუკუნის 50-იან წლებში: „სუფთა წერის პროცესში მოსწავლე ეჩვევა აკურატობას, უვითარდება გემოვნება, ესთეტიკური გრძნობა... იგი ხელს უწყობს მოწაფის წარმოსახვის უნარის, ხასიათის, ნებისყოფის, ყურადღებისა და სხვა ფსიქიკური ფუნქციების განვითარებას“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ. 1957, გვ. 180).

მაგრამ დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, როდესაც სკოლაში მოსვლამდე ბავშვების უმრავლესობა ელექტრონულად უკვე დაუფლებულია ასოების, მარტივი სიტყვების და ზოგჯერ წინადადებების „წერის“ ხელოვნებას, რამდენად საჭიროა ამაზე ყურადღების გამახვილება? შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას.

წერითი მეტყველება მჭიდროდ არის დაკავშირებული ზეპირ მეტყველებასთან. სწორედ ზეპირი მეტყველება ედება საფუძვლად წერას. ამასთანავე მათი განვითარების გზები, პროცესები და ტემპი არ არის ერთნაირი. ფონემატური სმენა ჯერ კიდევ სკოლაში წასვლამდე უვითარდება ბავშვს. ეს არის სიტყვის ბგერითი ანალიზი, მისი დანაწევრება ბგერებად; ბგერის, როგორც სიტყვის უმცირესი ერთეულის გაცნობიერება; მისი პოზიციის განსაზღვრა სიტყვაში; მართლწარმოთქმაზე მუშაობა; ამ სიტყვის გამოყენებით სიტყვების შედგენა... რაც შეეხება წე-

რით მეტყველებას, კერძოდ ასოების მოხაზულობის გაცნობასა და შემდეგ მათ წერას, ეს შედარებით რთული პროცესია.

ქართული ანბანი საკმაოდ რთული გრაფიკული მოხაზულობისაა. ასოების დიდი ნაწილი იწერება როგორც **ხაზქვემოთ,** ისე **ხაზზემოთ**, მხოლოდ 4 ასო იწერება **შუა ხაზზე** (ი,ა,თ, ო), ორი ასოა (ჭ,ქ), რომელთაც **მთელი სიმაღლე** უჭირავს. გვჭირდება სულ მცირე სამი ხაზი წერისას, რაც შეეხება მეოთხე ხაზს (ვერტიკალურს), იგი გამორიცხავს ქართული ასოების დახრას. პარალელისათვის გავიხსენოთ ინდოევროპული ენები, სადაც ხელნაწერი ასოები დახრილია და მათი დიდი ნაწილი იწერება შუა ხაზზე, მხოლოდ რამდენიმე ასოა ხაზზემოთა და ხაზქვემოთა მოხაზულობის. ამასთანავე ქართული ასოები მდიდარია შეამდგენელი ელემენტებით: **რკალი, რგოლი, სწორი ხაზი, ალმაცერი ხაზი და მრუდი ხაზი,** მაშინ, როცა ინდოევროპული ხელნაწერი ასოების მოხაზულობაში მხოლოდ სამი ელემენტი ჭარბობს: **რკალი, რგოლი, ვერტიკალური ხაზი...** ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილი ოთხხაზიანი ბადე მაქსიმალურად ითვალისწინებს ქართული ანბანის გრაფიკულ თავისებურებებს. წერის საწყის ეტაპზე „ბადე იფარავს ბავშვს შეცდომილებისაგან და კალმის თავისუფალი ხმარებისათვის ისევე ჩქარა ამზადებს, როგორც ჭოჭინა ეხმარება უსუსურ ბავშვს დროიანად ფეხის ადგმაში“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, 1990, გვ. 217). თუმცა აქვე მიუთითებს, რომ ასეთი ბადის ხმარება „უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ ნახევარი, მაქსიმუმ 1 წლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სარგებლობის მაგივრად ვნებას მოუტანს ბავშვს“ (იქვე). ოთხხაზიანი ბადის შემდგე იგი გვთავაზობს ჯერ ორხაზიანი, შემდეგ კი - ცალხაზიანი საწერი ბადის გამოყენებას. ორხაზიანი ბადე აადვილებს მოსწავლისათვის მომდევნო ეტაპზე ცალხაზიან ბადეში გადასვლას. სწორედ ამიტომ არის, რომ მასწავლებელთა დიდი ნაწილი დღემდე წარმატებით იყენებს ი. გოგებაშვილის რეკომენდებულ საწერ ბადეს ამგვარი თანმიმდევრობით: ოთხხაზიანი (I კლ.), ორხაზიანი (II კლ.) და ცალხაზიანი (II კლ-ის შემდგომ).

როგორც ცნობილია, ქართული ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა, სიტყვა უმრავლეს შემთხვევაში იწერება ისე, როგორც ვამბობთ, ყოველ ასოს ერთი ბგერითი შესატყვისი აქვს. სიტყვიდან ბგერის გამოყოფა არ ჭირს. სწორედ ამის გამო ქართულში კითხვა გაცილებით მარტივი პროცესია, ვიდრე წერა. ამიტომაც მისცა ი. გოგებაშვილმა ქართული წერა-კითხვის სწავლებისას **კითხვა-წერი**ს (და არა **წერა-კითხვის**) ხერხს უპირატესობა. ქართულში **წერა** და **კითხვა** (უფრო სწორად **კითხვა** და **წერა**) ერთად ისწავლება. ახალ ბგერას მოსწავლე ჯერ წარმოთქვამს, შემდეგ კი მის შესაბამის ასოს კითხულობს და წერს. **კითხვა წერას უწყობს ხელს და წერა _ კითხვას.** ერთი და იგივე ასო ერთსა და იმავე გაკვეთილზე შეისწავლება ჯერ კითხვით, შემდეგ კი _ წერით. კითხვისა და წერის დაცილება ქართულში არ შეიძლებაო, წერდა ი. გოგებაშვილი (თუმცა ამისი პრეცენდენტები დღეს უკვე გვხვდება). „მასწავლებელმა კითხვასთან უნდა შეაერთოს წერაცა, რადგან ჩვენს მეთოდში წერა ერთი მხრით მაშველებელი ღონისძიებაა კითხვისათვის“ („დედა ენა ანუ პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, თბ. 1876, გვ. III).

კითხვისა და წერის ხელოვნურად ერთმანეთისაგან დაცილება, სიტყვის ბგერით ანალიზზე უარის თქმა და ინდოევროპული ენების გავლენით საწყის ეტაპზევე მთლიანი სიტყვის დეკოდირება არ არის გამართლებული ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. ქართულში მთლიანი სიტყვის დეკოდირება მხოლოდ კითხვაში გაწაფული მკითხველის მიერ ხდება, რადგანაც მისი კითხვის არე გაცილებით დიდია, ვიდრე კითხვაში დამწყებისა. თუ კითხვაში დამწყები თითოეულ ასოზე აჩერებს თვალს, კითხვაში გაწაფულის თვალი სიტყვაში მხოლოდ რამდენიმე ასოზე ჩერდება. ასევე ცნობილია, რომ სტრიქონზე ასოთა ზედა და ქვედა ნაწილებს მხედველობითი აღქმისთვის ერთნაირი ღირებულება არ აქვს, ზედა ნაწილებს უფრო მეტი უნარი გააჩნია წარმოდგენა შეგვიქმნას ასოთა მოხაზულობაზე, ვიდრე ქვედა ნაწილებს. „სიტყვა მით უფრო ადვილად და ზუსტად იკითხება, რაც უფრო დიფერენცირებულია მისი გრაფიკული სურათი“ (ა. მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების ფსიქოლოგიური საფუძვლები, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, თბ. 1962 წ. გვ. 96). ასე რომ, ქართული წერა-კითხვის სწავლებისას ასოების გრაფიკული თავისებურებები გარკვეულ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს კითხვის ტექნიკის განვითარებისთვის.

ქართულში წერას საფუძვლად სიტყვის ფონემატური ანალიზი ედება. ზეპირად წარმოთქმული და შემდეგ ბგერებად დაშლილი სიტყვა გრაფიკულ ნიშანში - ასოში _ გამოისახება. ასო (გრაფემა) პირობითი ნიშანია ბგერისა. ასოს დასაწერად უპირველეს ყოვლისა საჭიროა სწორი მხედველობითი აღქმა ამ გრაფიკული სიმბოლოსი. მხედველობით აღქმული მოხაზულობა ხელმა გაცნობიერებული მოძრაობების საშუალებით უნდა შეასრულოს. წერის საწყის ეტაპზე მოსწავლეს ხელის მოძრაობა გარკვეული წესის მიხედვით უჭირს და ამ სირთულის დასაძლევად იგი იყენებს როგორც მხედველობით შთაბეჭდილებას, ისე ბგერით ანალიზსაც: ზეპირად თანმიმდევრობით გადმოსცემს იმ ბგერებს, რომელთაც ასოების სახე უნდა მისცეს წერისას. „ბგერის ნიშანი ასო ბავშვს ეძლევა ფონემის შემუშავების შემდეგ... გრაფიკული ნიშანი ასო ფონემის ქმნადობის ნიშანს ასრულებს, მის ჩამოყალიბებაში ახალ ეტაპს ქმნის“ (ა. მოსიავა, იქვე, 94).

კითხვისაგან განსხვავებით წერას შედარებით რთულად ეუფლება მოსწავლე შემდეგი მიზეზის გამოც: სკოლამდელი ასაკის მოსწავლეს ჯერ კიდევ არა აქვს ხელის მტევანი, თითების კუნთები სათანადოდ განვითარებული. სკოლაში წერის დაწყებამდე სწორედ ეს მომენტია ყურადღების ცენტრში. ამიტომაც არის, რომ წინასაანბანო პერიოდში მასწავლებლები საგანგებო ყურადღებას უთმობენ ხატვას, ძერწვას და ამით ამზადებენ ხელის მტევანს უფრო რთული გრაფიკული ამოცანის შესასრულებლად, წერის დასაწყებად. ამას ემატება საწერ სივრცეში ორიენტირების უნარ-ჩვევებზე მუშაობაც, რისთვისაც წინასაანბანო პერიოდისათვის სპეციალური სავარჯიშოების სისტემაა წარმოდგენილი პირველკლასელთა სამუშაო რვეულებში. ამ კუთხით მუშაობა ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იწყება. სკოლამდელი აღზრდის პროგრამაში დიდი ადგილი უჭირავს წვრილი მოტორიკის განვითარებას (წერტილების შეერთებით სხვადასხვა ფიგურების შექმნა, ხატვა, გაფერადება, ძერწვა, გამოჭრა და ა.შ.). ყურადღება ექცევა ფანქრის სწორად დაჭერის ჩვევის გამომუშავებას, სახატავ სივრცეში ორიენტირებას, დავალების გათვალისწინებით სივრცის ადეკვატურად გადანაწილებას და სხვ. „ზემოაღნიშნული გამოცდილება ბავშვებს წერის საწყის ეტაპზე გადასვლას და გრაფიკული გამოსახულებების სპეციფიკურ საგნობრივ (ბადიანი, უჯრებიანი) ბადეებში გადატანას გაუადვილებს“ (თ. დოლიძე, რამდენიმე გზა წერის სწავლებისათვის).

მაგრამ დღეს სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციის პირობებში (მხედველობაში გვაქვს ე.წ. „ნეტ-ბუკები“, რომლებსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ წერა-კითხვის სწავლებისას) რამდენადმე იცვლება საწერ ბადეში წერის მიმართ დამოკიდებულება. სჭირდებათ კი მოსწავლეებს დღეს ეს ნაირგვარი ბადეები? იქნებ სჯობდეს პირდაპირ ცალხაზიან/უხაზო რვეულებში დავაწყებინოთ წერა? მითუმეტეს, რომ ნაწერის გარეგნული მხარე, ესთეტიკური მომენტი ამ ციფრული ტექნოლოგების მომრავლებასთან დაკავშირებით არაარსებითია და მეორეხარისხოვანი.

სასკოლო რეფორმის დაწყებიდან დღემდე რამდენადმე შეიცვალა კალიგრაფიის მიმართ დამოკიდებულება. აი, როგორ არის ჩამოყალიბებული კალიგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები პირველი თაობის **ე ს გ**-ში:

1. ქართ. 1.12. მოსწავლეს შეუძლია ყველა ასოს გამოწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს;
- ჰაერში ხელის მოძრაობის გამოსახავს ნაცნობი ასოს ფორმას;
- ხელის მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით;
- იცავს ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების პრინციპს.

1.13. მოსწავლეს შუძლია კარნახით წერა და ნაბეჭდი ტექსტიდან/დაფიდან მარტივი წინადადების გადაწერა.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ
- იცავს მანძილს ასოებს შორის;
- ნაბეჭდი ფურცლიდან გადაწერს სიტყვებს, წინადადებებს;
- კარნახით წერს ასოებს, მარცვლებს, სიტყვებს;
- დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია...

რაც შეეხება ამჟამად მოქმედ მესამე თაობის ე ს გ-ს, აქ მხოლოდ ის გახლავთ მითითებული, რომ მოსწავლემ **უნდა შეძლოს ასოების, სიტყვების, წინადადებების დაწერა ბადიან რვეულში (კალიგრაფიის ელემენტარული ნორმების დაცვით**). აქ ალბათ მეტი კონკრეტიკაა საჭირო. რა იგულისხმება კალიგრაფიულ ნორმებში, აქ არსად არაფერია ნათქვამი და იგი მთლიანად მასწავლებელზეა მინდობილი.

თუ ადრე კალიგრაფია (იგივე სუფთა წერა) დაკავშირებული იყო პირველ რიგში ნაწერის გარეგნულ მხარესთან, დღეს იგი **ერთიანი საზოგადო ხელის** ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც პირველ რიგში გულისხმობს **გარკვეული, მართებული** და **სწრაფი** წერის ჩვევას. „ერთიანი საზოგადო ხელი ეხმარება მკითხველს სწრაფად და ადვილად წაიკითხოს ნაწერი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ. 11).

კალიგრაფიული უნარების გამომუშავებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხელის ინდივიდუალური თავისებურებებიც. მათზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ფსიქოლოგიიდან ცნობილია და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ I-II-III კლასებში, სადაც კალიგრაფია სპეციალური ზრუნვის საგანია, მთელი კლასი თითქმის ერთნაირი ხელით წერს. მოსწავლეები განიცდიან მასწავლებლის ხელის ძლიერ გავლენას, არსებითად ბაძავენ მას. შემდგომ ეტაპზე კი, განსაკუთრებით კი მე-4 კლასიდან, როცა საწერი მასალის მოცულობა მკვეთრად იზრდება, თანაც აღარც რვეულის ბადე ზღუდავთ, მოსწავლის ხელს ინდივიდუალური განვითარების მეტი შესაძლებლობა ეძლევა. ნაწერის გარეგნულ მხარეზე მეტად მისთვის მნიშვნელოვანი ხდება შინაარსობრივი მხარე. ამ დროს ყურადღების ცენტრში დგება არა ცალკეული ასოების მოხაზულობა, არამედ ნაწერის შინაარსი, პუნქტუაცია, ორთოგრაფია, გრამატიკული ნორმების დაცვა. ნაწერის გრაფიკული მხარე უკანა პლანზე გადადის. ხელნაწერის ინდივიდუალური სახით ჩამოყალიბება წლების განმავლობაში გრძელდება და შემდეგ ისეთ მყარ სახეს იღებს, რომ მიუხედავად მონდომებისა, ცნობიერი ჩარევისა, ადამიანი ვერ ახერხებს გამომუშავებული ხელის შეცვლას. ამიტომაც არის თითოეული ადამიანის ნაწერი ღმად ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წერის მანერით ადამიანის ხასიათის გამოცნობაც კი შეიძლება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნაწერის ზოგადი, არსებითი ნიშნები ყველა წიგნიერი ადამიანის ნაწერში იგივე რჩება, რაც საერთოა და ზოგადი ქართული ანბანისათვის. აქედან გამომდინარე, ქართული კალიგრაფიის სწავლებისას მთავარი და ძირითადი საზრუნავი მასწავლებლისათვის არის ის, რომ დააუფლოს თავისი მოსწავლე **ერთიან საზოგადო ქართულ ხელს.** ეს კი გულისხმობს, რომ ნაწერი იყოს ყველასათვის გასაგები და ქართული ანბანის გრაფიკულ თავისებურებებს მისადაგებული: დაცული იყოს ასოთა პროპორცია, ხაზზევით დასაწერი ასოები არ ეწეროს შუა ხაზზე და პირუკუ, დაცული იყოს წერის მიმართულება, ინტერვალების ასოთა და სიტყვათა შორის და ა. შ.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ:

ა) კალიგრაფიული უნარ-ჩვევების ფორმირება დღეს პირველ რიგში ითვალისწინებს ერთიანი, საზოგადო, მართებული ხელით წერას.

ბ) გრაფემა (ასო) ფონემის გრაფიკული ნიშანია. ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი - გრაფემა - მოსწავლეს ეძლევა მხოლოდ ფონემის შემუშავების შემდეგ, რასაც წინ უძღვის ფონემატური სმენის განვითარებაზე მუშაობა. ეს კი გულისხმობს, რომ ახალი ასოს გაცნობისას ქართულისათვის ეფექტური გახლავთ კითხვა-წერის სტრატეგიის გამოყენება.

გ) წერა-კითხვის სწავლების საწყის ეტაპზევე მთლიანი სიტყვის დეკოდირება, რომელიც ძალიან ეფექტურია მთელი რიგი ინდოევროპული ენების სწავლებისას (სადაც კითხვა და წერა დაცილებულია ერთმანეთს), ქართულისთვის თავსმოხვეულია. აქ წერა-კითხვის დამწყებისათვის ასოა ამოსავალი და არა მთლიანი სიტყვა. ამას ხელს უწყობს ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებაც.

დ) ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურება უდევს საფუძვლად ი. გოგებაშვილის მიერ შემუშავებულ საწერ ბადესაც, რომელიც დღემდე წარმატებით გამოიყენება სკოლაში ასოების წერის სწავლებისას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ბოცვაძე, ქართული წერის დედანი, ჟურნალი „განათლება“, 1908 წ.
2. ი. გოგებაშვილი, „დედა ენა ანუ პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის“, თბ. 1876 წ.
3. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, 1990 წ.
4. თ.დოლიძე, რამდენიმე გზა წერის სწავლებისათვის, 2021წ, chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://educationhouse.ge/storage/books
5. ეროვნული სასწავლო გეგმა, დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი, 2018-2024 სასწ. წ.https://mes.gov.ge/content.php?id=12552
6. ალ. მოსიავა, წერა-კითხვის სწავლების საფუძვლები, თბ. 1962 წ.
7. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949 წ.

Maglakelidze Natela
Ilia State University, School of Education

Teaching and the Formation of Graphic and Calligraphic Skills

Summary

The article discusses the formation of graphic and calligraphic skills related to teaching Georgian writing at the early stage of primary school. The linguistic nature of the Georgian language determines the selection of teaching strategies and activities. First of all, this is the simultaneous teaching of reading and writing, taking into account the graphic features of the Georgian alphabet and a writing grid for beginners in writing; as well as the formation of calligraphic skills, which primarily involves writing with a common hand.

Key Words: Georgian Literacy Teaching, Grapheme, Phoneme, Reading, Writing, Graphic, Calligraphic.

გიორგი ბრეგაძე
განათლების დოქტორი, ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური
სკოლის მენტორი მასწავლებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,

გიორგი ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენება ამოცანათა ამოხსნის დროს დაწყებით კლასებში

რეზიუმე: *მეთოდურ ლიტერატურაში შემთხვევათა გადარჩევის მეთოდი მეორენაირად ყველა შესაძლო ვარიანტების განხილვის მეთოდის სახელითაც არის ცნობილი. დაწყებითი კლასების სასკოლო სახელმძღვანელოებში მცირეა ისეთი ამოცანები, რომელთა ამოსახ-სნელად შემთხვევთა გადარჩევის მეთოდის გამოყენებაა საჭირო. ამ მეთოდის გამოყენება ძირითადად საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნისას წარმოიშვება. მისი გამოყენება მართალია, რომ ახდენს ამოცანის ამოხსნის გზის დაგრძელებას და ახანგრძლივებს ამოცანის ამოხსნის დროს, მაგრამ მისი გამოყენების გარეშე იმ ამოცანების სრულყოფილი ამოხსნა შეუძლებელია.*
შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს გონივრულად, მიზანმიმართულად, რომელიც ემსახურება ამოცანის სრულყოფილ ამოხსნას. მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს ლაკონურად და უნდა ჰქონდეს განმავითარებელი ეფექტი, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გადარჩევის მეთოდის გამოყენების ეფექტურ გამოყენებას სხვა ამოცანების განხილვის დროსაც. დაწყებით კლასებში მეთოდური თვალსაზრისით, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს და განიხილოს მხოლოდ ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნისას საჭირო არ იქნება შემთხვევათა დიდი რაოდენობის განხილვა, რადგან ამოხსნის ძიების პროცესი არ გახდეს მოსწავლეთათვის მოსაწყენია. საილუსტრაციოდ განხილულია პრაქტიკული ამოცანები და გაკეთებულია სათანადო მეთოდური დასკვნები.
საკვანძო სიტყვები: *ამოცანა, ამოცანის ამოხსნა, შემთხვევათა გადარჩევა, ლოგიკური აზროვნება, მეთოდური მითითება.*

მათემატიკის შესწავლის დასაწყისში უმცროსკლასელები სწავლობენ მხოლოდ ისეთი სახის ამოცანებს, რომლებიც ამოიხსნება მოსწავლეთათვის ადვილად ასათვისე-ბელი ალგორითმის გამოყენებით. ამოცანის ამოხსნის ალგორითმის შერჩევისას გათვა-ლისწინებულია უმცროსკლასელთა ასაკობრივი და ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისე-ბურებები. მათთვის ამოსახსნელი ამოცანები კი შერჩევა შეგნებულად და მიზანმიმარ-თულად და შეარჩევენ მხოლოდ ისეთ ამოცანებს, რომელთა ამოხსნისთვის გამოიყენე-ბა მოსწავლეებისათვის წინასწარ ნასწავლი ამოცანის ამოხსნის ალგორითმული ხერხი ან მეთოდი. ამოცანების ამოხსნისადმი ასეთი მიდგომით დაწყებით კლასებში მოსწავლეები გარანტირებულად პოულობენ ამოცანის ერთადერთ ამონახსნს. ამოცანების ამოხსნისადმი ასეთი მიდგომა დროთა განმავლობაში დაწყებითი კლასების მოსწავლეებში განამტკიცებს მცდარ აზრს, რომ ყოველ ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ტარდება სხვადასხვა სახის მათემატიკური შეჯიბრებები, ვიქტორინები, კონკურსები, დილა-საღამოები, მოსწავლეთა მათემატიკური ოლიმპიადები და სხვ. რომელთა მონაწილეებს ხშირად სასიამოვნო მოულოდნელობად ექცევათ ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნის დროს ღებულობენ საკმაოდ ლამაზ ამონახსნებს. ასეთი სახის ამოცანების ამოხსნა მოითხოვს არამარტო მოსწავლეთა გონიერებას და ინტუიციის უნარს, არამედ ყოველივე ამ თვისებებთან ერთად საკმაოდ მაღალი ლოგიკური აზროვნების უნარსაც, რაც დაკავშირებულია ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების სრულ და ყოველმხრივ ანალიზთან, ეს კი პირველ რიგში მოითხოვს ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების საფუძველზე ყველა შესაძლო ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების განხილვასაც.

ასეთი ამოცანების ამოხსნის დროს მოსწავლეების წარმოდგენები იმის შესახებ, რომ ამოცანას მხოლოდ ერთადერთი ამონახსნი აქვს, უკვე ირღვევა, რადგან ისინი უკვე ხსნიან ისეთ ამოცანებს, რომელთაც ზოგს სულაც არა აქვს ამონახსნი, ზოგს აქვს რამდენიმე ამონახსნი, ხოლო ზოგს უამრავი ამონახსნი აქვს.

ცხადია, რომ ყველა შესაძლო ვარიანტების განხილვის მეთოდი, რომელიც მეთო-დურ ლიტერატურაში შემთხვევათა გადარჩევის სახელით არის ცნობილი, ახდენს ამოცანის ამოხსნის გზის დაგრძელებას და ახანგრძლივებს ამოცანის ამოხსნის დროს, რაც მოსწავლეთა უმრავლესობას არ მოსწონს. თუ ამოცანის ამოხსნის პროცესი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გვერდი ავუაროთ შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენებას და სრულყოფილად ამოვხსნათ ამოცანა, მაშინ შესაძლებელია წავიდეთ ამ გზითაც, რადგან ამოცნის ამოხსნა შესაძლებელია ნებისმიერი გზით, მხოლოდ უნდა მივიღოთ სწორი და დასაბუთებული პასუხი ამოცანის კითხვაზე, ხოლო ამოცანის ამონახსნების რაოდენობა შესაძლებელია იყოს: ერთიც, რამდენიმეც, არცერთიც და უსასრულოდ ბევრიც.

შემთხვევათა გადარჩევის მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს გონივრულად, მიზანმიმართულად, რომელიც ემსახურება ამოცანის სრულყოფილ ამოხსნას და არა ისე, რომ ამ მეთოდის გამოყენებამ მხოლოდ დააგრძელოს ამოცანის ამოხსნის გზა, გაახანგრძლივოს ამოცანის ამოხსნის პროცესი და განმავითარებელი ეფექტი კი არ ჰქონდეს. ასეევე, მეთოდური თვალსაზრისით, პირველი ამოცანები, რომელთა განხილვა დაკავშირებული იქნება შემთხვევათა გადარჩევის მეთოდთან არ უნდა შეიცავდეს ძალიან ბევრი შემთხვევის განხილვას, რადგან ასეთი ამოცანის ამოხსნის პროცესი დროში იწელება და მოსწავლეთათვის მოსაწყენი ხდება. მეთოდის გამოყენება უნდა მოხდეს ლაკონურად და უნდა ჰქონდეს განმავითარებელი ეფექტი, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გადარჩევის მეთოდის გამოყენების ეფექტურ გამოყენებას სხვა ამოცანების განხილვის დროსაც. საილუსტრაციოდ განვიხილოთ პრაქტიკული ამოცანები.

ამოცანის ამოხსნის დროს ზოგჯერ ხერხდება პირდაპირი გადარჩევის მეთოდის გამოყენება, მაგრამ მისი სიმარტივიდან გამომდინარე, მისი გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება. უფრო ხშირად პრაქტიკაში გამოიყენება შემთხვევათა გადარჩევის მეთოდი, რომელიც კავშირშია ამოცანათა ამოხსნის სხვა მეთოდებთან. ასეთი კომბინი-რებული მიდგომა ხშირად გადარჩევის შესაძლო შემთხვევების შემცირებას იწვევს და პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან მოსახერხებელია.

ამოცანა 1. ყუთში ლურჯი, წითელი და მწვანე ფანქრებია, სულ 20 ცალი. ლურჯი ფანქრები 6-ჯერ მეტია, ვიდრე მწვანე ფანქრები, წითელი ფანქრები კი, ლურჯ ფანქრებზე ნაკლებია. რამდენი ცისფერი ფანქარია ყუთში?

რადგან ყუთში სულ 20 ფანქარია, ხოლო ერთად აღებული ლურჯი და მწვანე ფანქრები 7-ის ჯერადია, ამიტომ ლურჯი ფანქრები უნდა იყოს ან 6 ან 12, ხოლო მწვანე და წითელი ფანქრები შესაბამისად იქნება 1 და 13 ან 2 და 6. რადგან ამოცანის პირობით, წითელი ფანქრები ლურჯ ფანქრებზე ნაკლებია, ამიტომ შესაძლებელია მეორე ვარიანტი: ლურჯი ფანქრებია 12, მწვანე 2, წითელი 6.

ამოცანა 2. იპოვეთ ყველა ნატურალური რიცხვი, რომლის 7-ზე გაყოფისას მიიღება იგივე რიცხვი რაც ნაშთი.

რიცხვის 7-ზე გაყოფის შედეგად მიიღება ერთმანეთისაგან განსხვავებული 7 ნაშთი: 0, 1, 2, 3, 4, 5 და 6. ე.ი. 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთები არ აღემატენა 6-ს. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო რიცხვები შეგვიძლია ჩავწეროთ სახით: $7a + a = 8a$, სადაც $a = 1,2,3,4,5,6.$ ამრიგად, ეს რიცხვებია: 8, 16, 24, 32, 40, 48.

ამოცანა 3. ათოსსა და არამისს შორის მანძილი გზის გასწვრივ 20 ლიეა. ერთ საათში ათოსი გადის 4 ლიეს, ხოლო არამისი 5 ლიეს. რა მანძილი იქნება ათოსსა და არამისს შორის 1 საათის შემდეგ.

ათოსსა და არამისს შეუძლიათ იმოძრაონ: ა) ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმარ-თულებით ერთმანეთის შესახვედრად; ბ)ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულე-ბით, როცა ისინი

ერთმანეთს შორებიან; გ) ერთი მიმართულებით-ათოსიდან არამისის-კენ; დ) ერთი მიმართულებით-არამისიდან ათოსისაკენ.

შესაბამისად, ამოცანას აქვს 4 განსხვავებული პასუხი. მაგალითად, ა) შემთხვევაში ათოსსა და არამისს შორის მანძილი 1 საათში შემცირდება 9 ლეითი და მათ შორის მანძილი დარჩება 11 ლეი. ანალოგიურად, სხვა პასუხებია: 11, 29, 21 ან 19 ლიე.

ამოცანა 4. ნატურალურ რიცხვს გამოაკლეს მისი ციფრთა ჯამი და მიიღეს 2025. რისი ტოლი შეიძლება იყოს მოცემული რიცხვი?

მარტივად დავრწმუნდებით, რომ საძიებელი რიცხვი ოთხნიშნაა. ვთქვათ, ის ტოლია:

$abcd = 1000a + 100b + 10c + d$ მაშინ,

$1000a + 100b + 10c + d - (a + b + c + d) = 999a + 9b + 9c = 9(111a + 1b + c)$.

მივიღებთ განტოლებას: $9(111a + 1b + c) = 2025$ საიდანაც, $111a + 1b + c = 225$. შერჩევით დავრწმუნდებით, რომ $a = 2$. მაშინ, $11b + c = 1$. რადგან b და $b=($ ციფრებია, ამიტომ, $b = 0$ და $c = 3$. d შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ციფრი. ე.ი. ჩვენი საძებნი რიცხვებია: 2030, 2031, 2032, 2033, 2034, 2035, 2036, 2037, 2038 და 2039.

ამოცანა 5. 1, 2, 3 და 4 ციფრებიდან რამდენი განსხვავებული ოთხნიშნა რიცხვი შეიძლება შევადგინოთ ისეთი, რომელიც იყოფა 4-ზე, თუ ა) რიცხვში თითოეული ციფრი გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთხელ? ბ) რიცხვში თითოეული ციფრი გამოყენებული იქნება რამდენჯერმე?

ა) რადგან ოთხზე იყოფა ის რიცხვები, რომელთა ბოლო ორი ციფრისაგან ჩაწერილი რიცხვი იყოფა 4-ზე, ამიტომ მოცემული ციფრებისაგან შედგენილი ოთხნიშნა რიცხვები რომ გაიყოს 4-ზე, ისინი უნდა დაბოლოვდეს ან 12, ან 24, ან 32-ით. თითოეული დაბოლოებისათვის პირველი და მეორე ციფრებისათვის გვექნება 2 რიცხვი, ანუ სულ $2 \cdot 3 = 6$. 6 რიცხვი.

ბ) როცა ოთხნიშნა რიცხვში ციფრები განმეორდება, ამ შემთხვევაში ამოცანის ამონახსნს წარმოადგენს ისეთი ოთხნიშნა რიცხვები, რომელთა ბოლო ორი ციფრისგან შედგება რიცხვები 12, 24, 32 და 44. რადგან ოთხნიშნა რიცხვებში ციფრების გამეორება დასაშვებია, ამიტომ ოთხნიშნა რიცხვში პირველი და მეორე ციფრებისაგან შედგენილი ორნიშნა რიცხვების რაოდენობა იქნება: $4^2=16$ სულ, ამოცანის პირობით მოთხოვ-ნილი რიცხვების რაოდენობა იქნება: $4^2 \cdot 4=64$

ამოცანა 6. რიცხვს ვუწოდოთ სარკული, თუ ის ისევე იკითხება მარჯვნიდან მარცხ-ნივ, როგორც მარცხნიდან მარჯვნივ. მაგალითად, რიცხვი 78987-სარკულია. იპოვეთ ყველა სარკული ხუთნიშნა რიცხვი, რომელთა ჩანაწერში გამოიყენება მხოლოდ ციფრები 1 და 0.

შევნიშნოთ, რომ ხუთნიშნა რიცხვის პირველი ციფრი არ შეიძლება იყოს 0-ის ტოლი. ეს ნიშნავს, რომ პირველ და ბოლო ადგილებზე აუცილებლად დგას ციფრი 1. ამის შემდეგ მარტივი დასათვლელია, რომ ამოცანას აქვს ოთხი ამონახსენი, ორი ამონახსენი, როცა რიცხვის ცენტრში 0 წერია და ორი ამონახსენი, როცა რიცხვის ცენტრში 1 წერია: 10001, 11011, 10101, 11111.

ამოცანა 7. ოთხნიშნა რიცხვის პირველი ციფრი 6-ის ტოლია. ეს ციფრი გადაიტანეს რიცხვის ბოლოში. მიღებული რიცხვი მოცემულ რიცხვზე 1152-ით ნაკლები აღმოჩნდა. იპოვეთ მოცემული რიცხვი.

ვთქვათ, ამოცანის პირობით მოცემული რიცხვია $\overline{6abc}$. მაშინ თუ გადავიტანთ პირველ ციფრს ბოლოში, მივიღებთ რიცხვს: $abc6$. მოცემული და მიღებული რიცხვების სხვაობაა 1152. გვაქვს: $\overline{6abc} - \overline{abc6} = 1152$. ანუ,

$6000 + 100a + 10b + c - 1000a - 100b - 10c - 6 = 1152$

საიდანაც, $9(100a + 10b + c) = 4842$. ტოლობის ორთავე მხარე გავყოთ 9-ზე, მივიღებთ:

$100a + 10b + c = 538$. ანუ, $\overline{abc} = 538$. საიდანაც, $a = 5, b = 3, c = 8$. ე.ი. საძიებელი ოთხნიშნა რიცხვია 6538.

ამოცანა 8. მართკუთხედის ორი გვერდის სიგრძეთა ჯამია 7 სმ, ხოლო სამი გვერდის სიგრძეთა ჯამი 9,5 სმ. იპოვეთ მართკუთხედის პერიმეტრი.

თუ ორი მეზობელი გვერდის ჯამის სიგრძეა 7 სმ, მაშინ მართკუთხედის პერიმეტრია 14 სმ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არ ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას, რომ მართკუთხედის სამი გვერდის ჯამის სიგრძეა 9,5 სმ.

თუ მართკუთხედის მოპირდაპირე გვერდების სიგრძეთა ჯამია 7 სმ, მაშინ ამ გვერდების სიგრძეებია 3,5 სმ. ამ შემთხვევაში მართკუთხედის დანარჩენი გვერდების სიგრძეები შეიძლება იყოს ან 2,5 სმ ან 3 სმ.

მართლაც, 3,5 + 3,5 + 2,5 = 9,5; 3,5 + 3 + 3 = 9,5.

ამიტომ, ამ ორ დარჩენილ შემთხვევაში მართკუთხედის პერიმეტრები იქნება:

(3,5 + 2,5)2 = 12 (სმ) და (3,5+3)2 = 13 (სმ).

მოსწავლეთათვის ამოცანების ამოხსნის დროს ზოგჯერ აუცილებელია აქცენტი გადატანილი იქნას ამოცანის ამოხსნის მათემატიკურ სიმკაცრეზე, რომელიც უმრავ-ლეს შემთხვევაში მოითხოვს დროის დანაკარგებს და ხშირად ზედმეტი გარდაქმნების და გამოთვლების ჩატარებასაც, მაგრამ ყოველივე ეს ნაკარნახევი იყოს გადაუდებელი აუცილებლობით, რომ განხილული და გადარჩეული იყოს ამოცანის პირობაში მოყვანილი მონაცემების ყველა შესაძლო შემთხვევა.

შესაძლო შემთხვევათა გადარჩევის მეთოდით ამოცანების ამოხსნა მოითხოვს მოს-წავლეთა საკმაოდ მაღალი ლოგიკური აზროვნების უნარს, რაც უკავშირდება ამოცანის პირობაში მოცემული მონაცემების სრულ და ყოველმხრივ ანალიზს და მისი ჩართვა სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს კონკრეტული ამოცანების ამოხსნის დროს მახვილგონივრულად. ამოცანის ამოხსნის პროცესს მასწავლებელმა უნდა დაურთოს მეთოდური მითითებები, რაც მოსწავლეებს დაარწმუნებს გამოყენებული მეთოდის აუცილებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი-საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლე-ბის მეთოდები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცმლობა. ქუთაისი. 2024 წელი. 592 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი. საოლიმპიადო მათემატიკური ამოცა-ნები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა. ქუთაისი. 2016 წელი. 680 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი, მარგველაშვილი გენადი-საოლიმ-პიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. აკაკი წერეთლის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2019 წელი. 536 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, დოგრაშვილი თამარი, ბრეგაძე გიორგი, გოგიბერიძე ირინე. საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლა-სები). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2023 წელი. 384 გვ.
5. ჯინჯიხაძე ჯემალ. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნო-ლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2011 წელი. 853 გვ.

G**iorgi Bregadze, Giorgi Berdzulishvili,**
Doctor of Education, Mentor Teacher of Kutaisi Andria Razmadze Physics-Mathematics School,
Akaki Tsereteli State University,
Visiting Professor,
Akaki Tsereteli State University,
Professor

The Use of the Case Selection Method When Solving Problems in Lower Grades

Summary

In methodological literature, the method of case selection is also known as the method of considering all possible options. In elementary school textbooks, few problems require the use of the case selection method. This method is used mostly when solving exploratory and Olympiad problems. Even though its use extends the path of solving the problem and increases the time required for problem-solving, the complete solution of such problems would be impossible without using them.

The case selection method should be used wisely, and purposefully, which serves the perfect solution for the problem. The method should be used concisely, and it should have a developmental effect, which will facilitate the effective use of the selection method when considering other problems. From a methodological perspective, in lower grades, the teacher should select and discuss only the problems, the solution of which will not require consideration of a large number of cases, because the process of finding a solution does not become boring for students. For illustration, practical problems are discussed, and relevant methodological conclusions are drawn.

Key words: task, task solution, case selection, logical thinking, methodical instruction.

ნატო გიორგაძე
ქუთაისის IX საჯარო სკოლის
დაწყებითი კლასების მენტორი მასწავლებელი

მოტივაციის როლი და მნიშვნელობა სწავლა/სწავლების პროცესში (დაწყებითი კლასების მაგალითზე)

რეზიუმე: *განათლებას ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. განათლება მრავლისმომცველი ცნებაა. ის არის პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ემსახურება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის სოციალიზაციის პროცესში. კლასიკური პედაგოგიკის მოწინააღმდეგენი კარგა ხანია აღიარებენ პედაგოგიკას, დაფუძნებულს მოსწავლის უკეთ შეცნობაზე და ხაზს უსვამენ განათლებაში ურთიერთობის მნიშვნელობას. XX საუკუნეში პედაგოგიკის წარმომადგენლებმა ეს პრინციპები გააერთიანეს "ახალი სკოლის" სახელით და მასში პრაქტიკულად გამოიყენეს აქტიური მეთოდები. განათლება კაცობრიობის ერთ-ერთი უძძლავრესი ინსტრუმენტია განვითარებისთვის. განათლება სწორედ ის მამოძრავებელი მოტივია, რომელიც ადამიანს უბიძგებს იცხოვროს უკეთესად, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს მის ხელთარსებული რესურსები და მიიღოს უფრო გონივრული გადაწყვეტილებები.*
საკვანძო სიტყვები: *განათლება, პედაგოგიკა, მოტივაცია, განვითარება.*

განათლებას ადამიანის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. განათლება მრავლისმომცველი ცნებაა. ის არის პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ემსახურება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის სოციალიზაციის პროცესში. მასწავლებლის ნიჭსა და უნარებზე არის დამოკიდებული რამდენად საინტერესოდ და ეფექტურად მიმდინარეობს სწავლება, რამდენად ახერხებს იგი მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ მათ სწავლა მთავარ ამოცანად გაიხადონ, რადგანაც რაც უფრო მეტად არის მოსწავლე მოტივირებული, მით მეტია ხარისხი და პირიქით.

კლასიკური პედაგოგიკის მოწინააღმდეგენი კარგა ხანია აღიარებენ პედაგოგიკას, დაფუძნებულს მოსწავლის უკეთ შეცნობაზე და ხაზს უსვამენ განათლებაში ურთიერთობის მნიშვნელობას. XX საუკუნეში პედაგოგიკის წარმომადგენლებმა ეს პრინციპები გააერთიანეს "ახალი სკოლის" სახელით და მასში პრაქტიკულად გამოიყენეს აქტიური მეთოდები. იმავდროულად ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან გამოკვლევებთან შერწყმამ შედეგად მოგვცა თანამედროვე პედაგოგიური მიმდინარეობები. ტრადიციული მეთოდებით სწავლების პროცესი ძირითადად ორიენტირებულია მასწავლებლის აქტიურობაზე. მოსწავლე სწავლების ფაზაში პრაქტიკულად პასიურია. აქტიური მეთოდებით სწავლება კი დაფუძნებულია მოსწავლეთა საჭიროებასა და ინიციატივაზე. როჟე კუზინეს აზრით, "აქტიური მეთოდები არა სწავლების, არამედ სწავლის ინსტრუმენტია. სწავლის ინსტრუმენტი აუცილებლად უნდა მიეცეს ხელში მოსწავლეს" (ბასილაძე 2016).

"ახალი სკოლის" წინამორბედებად მიჩნეულნი არიან იან ამოს კომენსკი (1592-1670), ჟან-ჟან რუსო (1712-1778), იოჰან ჰენრიხ პესტალოცი (1746-1827). ნაშრომში "დიდი დიდაქტიკა ანუ ყველას სწავლების უნივერსალური ხელოვნება, კომენსკი გვირჩევს მივცეთ საშუალება ბავშვს, აღმოაჩინოს, იკამათოს და თვითონ გააკეთოს. ამდენად, ისინი კომენსკის კონსტრუქტივისტული ფსიქოლოგიის წინამორბედად და დიფერენცირებული პედაგოგიკის ფუძემდებლად მიიჩნევენ" (ლობჟანიძე 2012).

ჟან ჟაკ რუსოს "ემილი" ანუ აღზრდის შესახებ ხშირად განიხილება, როგორც საგანმანათლებლო აზროვნების ფუძემდებლური შრომა. რუსო თვლის, რომ საზოგადოებაში ცხოვრება ამახინჯებს ადამიანის ბუნებრივ სიკეთეს. რუსო უარყოფს თავისი დროისთვის დამახასიათებელ ცხოვრების ნორმებს. კერძოდ, პატივი უნდა ვცეთ ბავშვის განვითარების ეტაპებს, აზრის თავისუფალ გამოხატვას, განათლების პირველი ეტაპი უნდა იცავდეს ბავშვს ნაკლისა და შეც-

დომებისაგან, იმისათვის, რომ მან შეითვისოს ცოდნა და უნარ-ჩვევები. შვეიცარიელი პედაგოგი იოჰან პესტალიცი ცდილობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა ჟან ჟაკ რუსოს იდეები. ივერდონში (1805-1825) დაარსა ინსტიტუტი, სადაც ის ცდიდა მის მეთოდებს. მან თავის სამასწავლებლო ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მრავალმხრივი კვლევა ჩაატარა წერა-კითხვის სწავლების და მათემატიკის პედაგოგიკის საკითხებთან დაკავშირებით. XX საუკუნეში ფსიქოლოგიაში წარმოიშვა სამი მიმდინარეობა ბიჰევიორიზმი, განვითარების ფსიქოლოგია, კოგნიტივისტური ფსიქოლოგია, რომელიც ცენტრირებულია სწავლებაზე (სწავლაზე) და რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს "ახალი სკოლის" პედაგოგიკურ შეხედულებებზე.

ჩვენ ამ ეტაპზე არ შევუდგებით ამ მიმდინარეობათა დახასიათებას. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ აქტიური სწავლების დანერგვის მრავალი საფუძველი არსებობს. ამ საკითხთხთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზარებთ პროფესორ ი. ბასილაძის მოსაზრებას (ბასილაძე 2016):

1. აქტიური სწავლება/სწავლა და კრიტიკული აზროვნება გაკვეთილზე ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას იძლევა;
2. აქტიური სწავლება/სწავლა გაკვეთილზე ტოლერანტობისა და სოციალური ურთიერთობის ჩვევებს აყალიბებს;
3. აქტიური სწავლება/სწავლა გაკვეთილზე თვითგანათლების უნარს ავითარებს;
4. აქტიური სწავლება/სწავლის ფორმების გამოყენების დროს გაკვეთილზე მოსწავლეთა დაინტერესება მაღალია;

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარებისათვის გაკვეთილზე სამი ძირითადი პირობა გვჭირდება (ბასილაძე 2009):

1. მოსწავლეები გაკვეთილზე უნდა ჩავაყენოთ იმ მდგომარეობაში, რომ მას საკუთარი მ
2. მათ განსხვავებული აზრები უნდა მოისმინონ;
3. მათ საკუთარი აზროვნების ცვლილებების პროცესი წერილობით უნდა აღწერონ.

- მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როდესაც მათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნება აქვთ.
- მოსწავლეები უკეთ ითვისებენ, როდესაც თავიანთ ცოდნას თავად აგებენ.
- მოსწავლეები უკეთ ითვისებენ სხვადასხვა ბუნებრივ სოციალურ კონტექსტში. სხვადასხვაგვარობა ხელს უწყობს სწავლის პროცესს და უკეთ ასახავს სამყაროს, სადაც მათ უხდებათ ცხოვრება.
- მოსწავლეები უკეთ ითვისებენ, როდესაც ისინი აქტიურად არიან ჩართული სწავლის პროცესში.
- მოსწავლეები უკეთ ითვისებენ, როდესაც ისინი ინიციატივას იჩენენ, აფასებენ და თავად წარმართავენ თამაშისა და მუშაობის პროცესს.

ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია გაკვეთილზე მასწავლებლის ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: როგორ ვიაზროვნოთ? როგორ ვააზროვნოთ მოსწავლეები? როგორ წაიკითხოს? როგორ წეროს? როგორ ისაუბროს და შევიდეს დისკუსიაში? როგორ ჩაატაროს ნამუშევრების პრეზენტაცია? და სხვა. მიგვაჩნია, რომ ცალ-ცალკე ჯგუფებში მუშაობის დროს, მოსწავლეებისაგან მთელი რიგი სადისკუსიო წესების დაცვაა საჭირო, რომელსაც მიმართავენ გაკვეთილის წარმართვის პროცესში. მოტივაციის ამაღლებას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მაგ: აინტერესებს მოსწავლეს აქვს თუ არა საგნის მიმართ ყურადღება, რისთვის სწავლობს (სხვის დასანახად, ნიშნისთვის, თუ მხოლოდ შექებისათვის, ზოგჯერ კი შექება მოტივაციის შექმნის პირობა და ცოდნის შეძენის სტიმულია). მრავალი პედაგოგი და ფსიქოლიგი წლების განმავლობაში ცდილობს მასწავლებელს მისცეს რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მათ გაკვეთილზე მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში. რეკომენდაციები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. ჩააგონეთ მოსწავლეებს, რომ მათ ყველაფერი კარგად გამოუვათ;
2. მიეცით საშუალო სირთულის დავალება. წარმატების შემთხვევაში მოსწავლე საკუთარი თავის რწმენით აღივსება;
3. დაეხმარეთ მოსწავლეებს, რათა შეიმეცნონ მათ, რომ დავალებას აკეთებენ არა მასწა-

ვლებლისათვის, არამედ საკუთარი ცოდნის დონის ასამაღლებლად.

4. ეცადეთ, რომ მოსწავლეებმა თავი იგრძნონ კლასის სრულუფლებიან წევრებად./მათი გამოთქმული აზრი ღირებულია/
5. ხელი შეუწყვეთ მოსწავლეს ყურადღების მობილიზაციაში;
6. გააქტიურეთ მისი წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა;
7. განუვითარეთ კრიტიკულია აზროვნება;
8. განუვითარეთ წერითი უნარ-ჩვევები;
9. განუვითარეთ კითხვის დასმის უნარ-ჩვევები;
10. დაეხმარეთ მასალის მთლიანად გააზრებაში;

ამდენად, მოტივაციის ამაღლების ძირითადი საშუალებებია:

• პიროვნული ურთიერთობები, სასწავლო ატმოსფერო და სასწავლო გეგმისა თუ კონკრეტული პედაგოგის, ან მოსწავლის მიერ წამოყენებული სასწავლო მოთხოვნების გათვალისწინება.

• პედაგოგი სისტემატურად და გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს მოტივაციის ამაღლებაზე. ამ ტიპის სამუშაოები მას მიზნობრივად და თანმიმდევრულად უნდა განახორციელოს სწავლების პროცესში.

• შეიძლება მიმართოს მრავალგვარ სტრატეგიებს, მაგრამ ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასაკობრივი ჯგუფისა და კონკრეტული მოსწავლის ხასიათის, თუ მუშაობის სტილის თავისებურებებს.

• ასაკობრივი ჯგუფისათვის არაადეკვატური მოთხოვნების დაყენებას. არარეალისტური მოთხოვნები არათუ მოტივაციის ამაღლებას, არამედ პირიქით, სწავლაზე გულაცრუებას უფრო შეუწყობს ხელს.

მოტივაცია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისათვის აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს განათლების, ცოდნის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. სასწავლო აქტივობებში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებულ აქტივობათა ერთობლიობა. დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა განუვითარდეს მოსწავლეს გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, ჩამოუყალიბდეს ეკოლოგიური წიგნიერება, რომელიც საარსებო სივრცეს, გარემოს განვითარების მნიშვნელობის გააზრებას უზრუნველყოფს. ამის მიღწევა სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების სწორად შერჩევითა და გამოყენებითაა შესაძლებელი. დაწყებითი საფეხურის პირველი კლასიდანვე ეკოლოგიური წიგნიერების განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია „დაკვირვების“ მეთოდის გამოყენება. ბუნებაზე დაკვირვების შედეგად მოსწავლეებს უყალიბდებათ გარემომცველ სამყაროზე კონკრეტული წარმოდგენა. მაგალითად, საკლასო ოთახის მწვანე კუთხეში აკვარიუმში მოთავსებულ თევზებზე ზრუნავდნენ მოსწავლეები. შემდეგ ბავშვები წავიყვანე ახლომდებარე მდინარესთან, დავაკვირვე მდინარის წყლისა და მიმდებარე გარემოს სისუფთავეზე. საკლასო ოთახში დაბრუნებისას დაფაზე გავაკარი სურათი, რომელზეც გამოსახული იყო ქარხნის ტერიტორია და მასთან მდებარე მდინარის ზედაპირზე დახოცილი თევზები. დავიწყეთ მსჯელობა, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანმა ბუნებას უხეში ჩარევით. ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებს განუვითარდათ დაკვირვების, კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები. მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობებია, რომ დაცული იყოს მდინარესთან მისვლისას უსაფრთხოების წესები. სასწავლო პროცესში აქტიურად ვიყენებ „საბუნებისმეტყველო ტექსტების გაგების“ მეთოდს. მოსწავლეებს გავაცანი თემა: „გამონაბოლქვი ჩემს ქალაქში“, დავყავი მცირე ჯგუფებად, მივეცი მითითება, რა უნდა გაითვალისწინონ ეპიზოდების დამუშავებისას. პრეზენტაციისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებდნენ ბუნებისმეტყველებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებაზე, რომელიც მათ უვითარებს კითხვის, გაგება-გააზრების, ასევე შესაბამისი ადეკვატური ტერმინოლოგიით ზეპირი და წერითი მეტყველების უნარებს. როდესაც მოსწავლეებს ვაჩვენე ვიდეორესურსი: „ქაღალდის წარმოება“ , ამან მოსწავლეთა პროვოცირება და მოტივაციის გაზრდა გამოიწვია. შემდეგ გავაცანი მონაცემები, რა რაოდენობის ხე-ტყის მასალა სჭირდება ერთი რვეულის/წიგნის დამზადებას. „ილუსტრაციებზე, რუკებსა და მონაცემებზე მუშაობა“ მეთოდის გამოყენებით ყურადღება მივაქცევინე მოსწავლეებს ტყის მნიშვნელობაზე, მათ გააცნობიერეს რა სახიფათო შედეგი მოჰყვება ტყის

გაჩეხას, გაიაზრეს სასწავლო ნივთების, თითოეული ფურცლის, მაკულატურის მნიშვნელობა. ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით და შემდგომ მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით გამოვიყენე მეთოდი: "საკლასო დისკუსია", გაკვეთილის დაწყებისას მოსწავლეებს ვაჩვენე ანიმაციური ფილმი: „ბუნების მცველი", ფილმში საუბარია გამონაბოლქვით დაბინძურებულ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქზე. პატარა ჩიტმა ხმელი ტოტებისგან ფილტრი დაამზადა და ამით სიცოცხლე შესძინა ბუნებას. ფილმის ჩვენების შემდეგ წარვმართე დისკუსია თემაზე: „უნდა დავიცვათ თუ არა გარემო". ამით მოსწავლეებს განუვითარდათ აქტიური მოსმენის, საკუთარი აზრის გამოთქმის, არგუმენტაციის, მსჯელობის უნარები. განვიხილავ მეთოდს: "ექსკურსია და ექსპედიცია." მოვაწყვე ექსკურსია ტყეში, მოსწავლეებს ბუნების წიაღში როლებად გავათამაშებინე შოთა ამირანაშვილის მოთხრობა „ხე და მისი ბინადრები". გაიაზრეს ბუნების ობიექტებსა და მოვლენებს შორის კავშირები, მოახდინეს ნასწავლი მასალის დაკავშირება ცხოვრებისეულ რეალობასთან. ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე სასწავლო პროცესის გააქტიურებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ხშირად ვიყენებ სასწავლო პროექტებსა და თამაშებს. "სიცოცხლის პირამიდას" ილუსტრაციებით აგების შემდეგ შევეცადე ნათლად მეჩვენებინა კავშირი ცოცხალ ორგანიზმებს შორის. გავაცნობიერებინე რა მოხდება, თუ რომელიმე მათგანი განადგურდება.

ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე გამოყენებული მეთოდებისა და სტრატეგიების პრაქტიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მოსწავლეებში ამაღლდა ეკოლოგიური წიგნიერება. მათ გააცნობიერეს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, მოიყვანეს პირადი მაგალითები, თუ როგორ დაიცავენ ბუნებას. ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკის უმთავრესი მიზანიც ხომ ყოველმხრივ ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარებაა.

კარლ როჯერსი მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც „ისწავლა თუ, როგორ უნდა ისწავლოს", რომელმაც შეიძინა ადაპტირებისა და საკუთარი თავის შეცვლის უნარი, რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი, და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. შესაბამისად, ცოდნის/ განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის უნარზე, ადაპტირება მოახდინოს სოციალურ გარემოში, შეიცნოს საკუთარი თავი, განსაზღვროს პიროვნული ხარვეზები და შეცვალოს ისინი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განათლება ის ბერკეტია, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რათა მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში, რადგანაც განათლების მნიშვნელობა წარმოადგენს ადამიანის პიროვნული და პროფესიული განვითარების ქვაკუთხედს, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. განათლების გარეშე წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება. განათლება კაცობრიობის ერთ-ერთი უმძლავრესი ინსტრუმენტია განვითარებისთვის. განათლება სწორედ ის მამოძრავებელი მოტივია, რომელიც ადამიანს უბიძგებს იცხოვროს უკეთესად, უფრო ეფექტიანად გამოიყენოს ხელთარსებული რესურსები და მიიღოს უფრო გონივრული გადაწყვეტილებები. განათლების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში ვლინდება იმ თვალსაზრისით, რომ ის ხელს უწყობს ადამიანებს, იყვნენ აქტიური და ღირებული წევრები საზოგადოებისა, რომლებიც შეძლებენ სამყაროს პოზიტიურ ცვლილებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე 2021: ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., ჭოხონელიძე ნ., „განათლების, სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები I ნაწილი (შესავალი თანამედროვე თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში)", ქუთაისი, 2021.
2. ბასილაძე 2016: ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნინო., ქობულაძე ნატო., ,,სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები" , ქუთაისი, 2016.
3. განათლების ეროვნული მიზნები 2004: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება. თბილისი, 2004.
4. http://socium.ge/downloads/klasikurisocteoriebi/emil%20diurkemis%20sociologia.pdf
5. https://shvilebi.ge/ganatleba/

Nato Giorgadze
IX Public School of Kutaisi
Mentor teacher of primary classes

The Role and Importance of Motivation in the Learning/teaching Process (on the example of primary classes)

Summary

Education occupies an important place in human life. Education is a comprehensive concept. It is a priority direction that has no alternative. It serves the development of human physical, intellectual and moral skills and plays an important role in the process of human socialization. Opponents of classical pedagogy have long recognized pedagogy based on a better understanding of the learner and emphasized the importance of communication in education. In the 20th century, representatives of pedagogy combined these principles under the name of "New School" and practically used active methods in it. At the same time, the combination with important researches of psychology gave us modern pedagogical currents as a result. Without education, it is impossible to achieve success and fully realize one's potential. Education is one of humanity's most powerful tools for development. Education is the driving motive that pushes a person to live better, to use available resources more effectively and to make wiser decisions.
Key words: education, pedagogy, motivation, development

თეონა აბრამიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,

პაპუნა ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი,

გიორგი ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მსჯელობის მეთოდის გამოყენება ლოგიკური მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას დაწყებით კლასებში

რეზიუმე: *დაწყებით კლასებში ლოგიკური ამოცანების ამოხსნით მოსწავლეებში ვითარდება მსჯელობის უნარი, ისინი ეუფლებიან სწორად საუბრის ტექნიკას. ვინაიდან ლოგიკური ამოცანების ამოხსნა არ არის დაფუძნებული სპეციალურ ცოდნაზე, ამიტომ დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელმა მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს მოსწავლეებში სწორი, ლოგიკური მსჯელობის ტექნიკის ფორმირებაზე. ტექსტურ ლოგიკურ ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებს აჩვევს იფიქრონ ნაცნობ, თუ უცნობ სიტუაციებზე, არ შეშინდნენ სირთულეების დაძლევისას, ხოლო ამოცანის ამოხსნით გამოწვეული სიხარული და ემოციური განცდები ამაღლებს მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.*

საძიებო ლოგიკური ამოცანის ამოხსნა ნიშნავს, პასუხი გავცეთ ამოცანის კითხვას მხოლოდ საჭირო ლოგიკური ოპერაციების გამოყენებით და გამოვიყენოთ მხოლოდ ლოგიკური მსჯელობა, ისე, რომ არ ჩავატაროთ არანაირი გამოთვლები და არ გამოვიყენოთ რაიმე მათემატიკური ფორმულა.

სტატიაში განხილული მსჯელობის მეთოდი გამოიყენება მარტივი ლოგიკური ამოცანების ამოსახსნელად. მისი იდეაა მსჯელობის ჩატარება, ამოცანის ყველა პირო-ბის თანმიმდევრულად გამოყენება და დასკვნამდე ლოგიკურად მისვლა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ამოცანის პასუხსაც. მსჯელობის მეთოდს ხშირად იყენებენ დაწყებითი საფეხურის უმცროს კლასებში, რადგან უმცროსკლასელებთან განიხილება შედარებით დაბალი სირთულის ლოგიკური ამოცანები. საილუსტრაციოდ სტატიაში მსჯელობის მეთოდის გამოყენებით განხილულია სხვადასხვა სახის ლოგიკური ამოცა-ნები, გაკეთებულია სათანადო მეთოდური დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ლოგიკა, მსჯელობა, მეთოდი, ამოცანა, ამოცანის ამოხსნა.*

სიტყვა ლოგიკა მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვა ლოგოსიდან, რაც ცოდნას ნიშნავს. ლოგიკა არის მეცნიერება კანონებისა და აზროვნების ფორმების შესახებ, რომლითაც ხდება აზრის დასაბუთება და მისი სიტყვიერი გამოხატვა. ზოგადად, ამოცანა ლოგიკურია, თუ ამოსახსნელად გამოიყენება ლოგიკური კატეგორიები.

მნიშვნელოვანია, რომ დაწყებით კლასებში სწავლების საწყის ეტაპზე მათემატიკის მასწავლებელმა გაკვეთილებზე ხშირად შეუქმნას მოსწავლეებს ისეთი პირობები, რომლებიც ორგანულად უკავშირებს მათემატიკურ თამაშებს სასწავლო პროცესს, რისთვისაც მიზანშეწონილია მასწავლებელმა გამოიყენოს ლოგიკური შინაარსის მათემატიკური თამაშები, რომლებიც მოსწავლეებში აყალიბებენ ლოგიკურ უნარებს, ასწავლიან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, მის შეფასებას სხვადასხვა კუთხით და ხელს უწყობენ მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესის გაზრდას.

ლოგიკური ამოცანების ამოხსნით მოსწავლეებში ვითარდება მსჯელობის უნარი, ისინი ეუფლებიან სწორად საუბრის ტექნიკას. ვინაიდან ლოგიკური ამოცანების ამოხსნა არ არის დაფუძნებული სპეციალურ ცოდნაზე, ამიტომ დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებელმა მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს მოსწავლეებში სწორი, ლოგიკური მსჯელობის ტექნიკის ფორმირებაზე. ტექსტურ ლოგიკურ ამოცანების პირობები შეიცავს ინფორმაციას, საიდანაც შემდგომში მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნები და ეს ინფორმაცია მოცემულია ტექსტით, რომელ-

შიც აღწერილია გარკვეული სიტუაციები. ასეთი ამოცანების ამოხსნა მოსწავლეებს აჩვევს ბოლომდე იფიქრონ ნაცნობ, თუ უცნობ სიტუაციებზე, არ შეშინდნენ სირთულეების დაძლევისას, ხოლო ამოცანის ამოხსნით გამოწვეული სიხარული და ემოციური განცდები ამაღლებს მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.

დაწყებით კლასებში საძიებო ტექსტური ამოცანების ამოხსნისას განიხილავენ ლოგიკურ ამოცანების ამოხსნის სხვადასხვა მეთოდს. საძიებო ლოგიკური ამოცანის ამოხსნა დაწყებით კლასებში ნიშნავს, რომ პასუხი გავცეთ ამოცანის კითხვას მხოლოდ საჭირო ლოგიკური ოპერაციების გამოყენებით და გამოვიყენოთ მხოლოდ ლოგიკური მსჯელობა, ისე, რომ არ ჩავატაროთ არანაირი გამოთვლები და არ გამოვიყენოთ რაიმე მათემატიკური ფორმულა.

ტექსტური ლოგიკური ამოცანები პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ტიპებად:

ყველა გამონათქვამი ჭეშმარიტია; ყველა გამონათქვამი არ არის ჭეშმარიტი; ამოცანები რაინდებსა და მატყუარებზე. სითხის გადასხმის ამოცანები

ლოგიკური ამოცანების ამოხსნისას იყენებენ ძირითად ლოგიკურ ოპერაციებს გამო-ნათქვამებზე: გამონათქვამის უარყოფას და ორმაგ უარყოფას, ორი გამონათქვამის კო-ნიუნქციას, დიზიუნქციას, იმპლიკაციას და ეკვივალენციას, არსებობის და ზოგადობის კვანტორებს და სხვ.

ლოგიკური ამოცანები მრავალფეროვანია. მრავალფეროვანია მათი ამოხსნის მეთოდები და ხერხები. ყველაზე გავრცელებულია ლოგიკური ამოცანების ამოხსნის მსჯელობის, ცხრილური, ლოგიკის ალგებრის, მათემატიკური ბილიარდის მეთოდები და სხვ. ზოგჯერ ლოგიკური ამოცანების ამოხსნის ამ მეთოდებს ერთი სახელით-ლოგიკური მეთოდითაც მოიხსენიებენ. მსჯელობის მეთოდის გამოიყენების იდეაა მსჯელობის ჩატარება, ამოცანის ყველა პირობის თანმიმდევრულად გამოყენება და დასკვნამდე ლოგიკურად მისვლა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ამოცანის პასუხსაც. მსჯელობის მეთოდის გამოყენება მოსახერხებელია დაწყებითი საფეხურის უმცროს კლასებშიც. საილუსტრაციოდ, მსჯელობის მეთოდით განვიხილოთ რამდენიმე ლოგიკური ამოცანის ამოხსნა.

ამოცანა 1. ანიმ ჩაიფიქრა ოთხი ნატურალური რიცხვი. ამ რიცხვებიდან უმცირესის და უდიდესის ნამრავლია 16, ხოლო დანარჩენი რიცხვების ნამრავლია 14. იპოვეთ ეს რიცხვები.

მსჯელობა დავიწყოთ იმით, რომ ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლი არის 14 და ამ რიცხვებიდან ერთ-ერთი უმცირესი არ არის. ეს ნიშნავს, რომ ერთი რიცხვია 2 და მეორე 7. ამის შემდეგ მივუბრუნდეთ ამოცანის პირობას, რომ უდიდესი და უმცირესი რიცხვების ნამრავლია 16. ორი ნატურალური რიცხვის ნამრავლია 16. ეს რიცხვები შეიძლება იყოს: ან 1 და 16; ან 2 და 8; ან 4 და 4. რადგან ამ სამი წყვილიდან უმცირესი 2-ზე ნაკლები უნდა იყოს და უდიდესი 7-ზე მეტი, ამიტომ ამოცანის პირობებს აკმაყოფილებს ნატურალურ რიცხვთა წყვილი 1 და 16. საბოლოოდ, საძიებელი რიცხვების ოთხეულია: 1, 2, 7 და 16.

ამოცანა 2. ვახო, მახო და მიხო ფეხბურთის, კალათბურთის და კრივის სექციებში დადიან. კითხვაზე, თუ ვინ რომელ სექციაში დადის ასეთი პასუხები მიიღეს:

-ვახო დადის ფეხბურთის სექციაში;

-მახო ფეხბურთის სექციაში არ დადის;

-მიხო არ დადის კრივის სექციაში.

აღმოჩნდა, რომ სამი პასუხიდან მხოლოდ ერთია მართალი, დანარჩენი ორი მცდარი. რომელი ბავშვი რომელ სექციაში დადის?

გვაქვს სამი გამონათქვამი. თუ პირველი მართალია, მაშინ დანარჩენი ორიც მართა-ლია, რადგან ბავშვები სპორტის სხვადასხვა სექციაში დადიან, რაც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას, ამიტომ პირველი გამონათქვამი მცდარია. თუ მეორე გამონათქვამი მართალია, მაშინ პირველი და მესამე მცდარი უნდა იყოს. გამოდის, რომ ფეხბურთის სექციაში არავინ არ დადის. ესეც ეწინააღმდეგება ამოცანის პირობას, ამიტომ მეორე გამონათქვამიც მცდარია. ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ მესამე გამონათქვამია ჭეშმარიტი, ხოლო პირველი და მეორე მცდარი. შესაბამისად, მახო დადის ფეხბურთის სექციაში, ვახო არ დადის ფეხბურთზე, ის დადის კრივის სექციაში, ხოლო მიხო კალათბურთის სექციაში.

ამოცანა 3. ხუთი მეგობარი-ამირანი, ბადრი, ვახო, გოგი და დათო მოგზაურობენ ახლად გაცნობილ თანამგზავრთან ერთად. ის დაინტერესდა მეგობრების გვარებით. მეგობრებმა თანამგზავრს უთხრეს:

დათო: ჩემი გვარია მუმლაძე, ბადრი კი სანოძეა.

ამირანი: მუმლაძე ჩემი გვარია, ვახო კი კაცაძეა.

ბადრი: ვახო ნოზაძეა, ჩემი გვარია მუმლაძე.

ვახო: ჩემი გვარია კაცაძე, ხოლო გოგი პაიკიძეა.

გოგი: ჩემი გვარია პაიკიძე, ამირანის კი ნოზაძე.

მეგობრების გამონათქვამებიდან მართალია ერთი ნაწილი, ერთი კი მცდარი. რა გვარისაა თითოეული მეგობარი?

შემოვიღოთ აღნიშვნები: მეგობრების სახელებს და გვარებს შევუსაბამოთ შესაბამი-სად მათი სახელების და გვარების ლათინური ასოები და ჩავწეროთ თითოეული მეგობრის გამონათქვამები:

DM და BS; AM და VK; VN და BM; VK და GP; GP და AN.

დავუშვათ, რომ დათო მართალია და მისი გვარია მუმლაძე. ე.ი. DM მართალია. მაგრამ, თუ DM მართლია, მაშინ ამირანს და ბადრის უნდა ჰქონდეთ განსხვავებული გვარები, რაც ნიშნავს AM და BM მცდარია. მაგრამ თუ AM და BM მცდარია, მაშინ VK და VN უნდა იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ VK და VG არ შეიძლება ერთდროულად ჭეშმარიტი იყოს, რადგან გამოვა, რომ ვახო ერთდროულად კაცაძეც არის და ნოზაძეც, რაც შეუძლებელია. ე.ი. მივიღეთ, რომ DM მცდარია. აქედან გამოდის, რომ ჭეშმარიტია BS, ანუ ბადრი არის სანოძე. თუ ბადრი სანოძეა, მაშინ BM მცდარია და ჭეშმარიტია VN, ე.ი. ვახო არის ნოზაძე. თუ VN ჭეშმარიტია, მაშინ მცდარია VK და ჭეშმარიტია AM, ე.ი. ამირანი არის მუმლაძე. თუ ჭეშმარიტია AM, მაშინ მცდარია AN და ჭეშმარიტია GP. ე.ი. გოგი პაიკიძეა. დაგვრჩა, რომ დათო მუმლაძეა. საბოლოოდ: ბადრი სანოძეა, ვახო ნოზაძე, ამირანი მუმლაძე, გოგი პაიკიძე და დათო კაცაძე.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებში პოპულარულია ლოგიკური ამოცანები რაინ-დებსა და მატყუარებზე, რომლებიც კუნძულზე ცხოვრობენ, გარეგნულად რაინდების და მატყუარების გარჩევა შეუძლებელია, ხოლო რაინდები სულ სიმართლეს ამბობენ, მატყუარები სულ იტყუებიან.

ამოცანა 4. ერთმანეთს შეხვდა სამი კუნძულელი, რომელთა შორის ზოგი ან რაინდია და სულ მართალს ამბობს ან მატყუარაა და სულ ცრუობს.

ერთმა თქვა: -ჩვენს შორის ერთი მატყუარაა.

მეორემ თქვა: -ჩვენ შორის ორი მატუარაა.

მესამემ თქვა: -ჩვენ შორის სამი მატყუარაა.

დაადგინეთ რომელია რაინდი, რომელი მატყუარა.

ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ ამ სამი კნძულელიდან მართალს ამბობს არაუმეტეს ერთისა. ე.ი. მატყუარა არის ან ორი ან სამი. ვაჩვენოთ, რომ სამივე მათგანი არ შეიძლება ცრუობდეს, რადგან თუ პირველი და მეორე ცრუობენ, მაშინ მესამე ამბობს მართალს. ე.ი. გამოდის, რომ მესამე მატყუარა არ არის, რაც ეწინააღმდეგება პირობას. აქედან გამომდინარეობს, რომ მათგან მატყუარაა მხოლოდ ორი მათგანი. მაშასადამე, მართალს ამბობს მეორე, ხოლო პირველი და მესამე ცრუობენ ანუ მატყუარაა პირველი და მესამე, ხოლო რაინდია მეორე.

ასევე, დიდ ინტერესს იწვევს დაწყებითი კლასების მოსწავლეებში ისეთი ლოგი-კური ამოცანები, როცა ამოცანებში რაინდებთან და მატყუარებთან ერთად ჩართულია კუნძულზე ჩასული ცბიერი მოგზაურები, რომლებიც ხან მართალს ამბობენ, ხან იტყუებიან. მათზე ამოცანის პირობაში მითითებულია პრინციპი, როდის ამბობენ მართალს და როდის იტყუებიან ცბიერები, რაზეც მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს მოსწავლეთა განსაკუთრებული ყურადღება.

ამოცანა 5. რაინდების და მატყუარების კუნძულზე იმყოფებიან ცბიერები, რომლე-ბიც მათთვის დასმულ კითხვებზე მონაცვლეობით პასუხობენ ან მართალს, შემდეგ ტყუილს, შემდეგ მართალს და ა.შ. ან ტყუილს, შემდეგ მართალს, შემდეგ ტყუილს და ა.შ. ყველას, ვინც კუნძულზე იმყოფებოდა დაუსვეს ორი შეკითხვა: რაინდი ხარ? და ცბიერი ხარ? პირველ შეკითხვაზე 139 კუნძულელმა უპასუხა-დიახ, მეორეზე 135-მა უპასუხა-დიახ. რამდენი რაინდი ცხოვრობს კუნძულზე?

პირველ კითხვას-რაინდი ხარ? ყველა რაინდი უპასუხებს-დიახ, (რადგან ეს მართა-ლია) და ყველა მატყუარა უპასუხებს-დიახ, (რადგან მატყუარა ცრუობს). რაინდების და მატყუარების გარდა-დიახ შეიძლება უპასუხოს ცბიერმაც, რაც ნიშნავს, რომ რაინდების, მატყუარების და ცბიერების რაოდენობა, რომლებმაც პირველ კითხვაზე უპასუხეს-დიახ (ყველა ცბიერი, ვინც თქვა-დიახ, იტყუება) არის 17.

კითხვაზე: ცბიერი ხარ? ყველა მატყუარა უპასუხებს-დიახ. გარდა მატყურებისა პასუხს-დიახ, კითხვაზე გაცემენ ის ცბიერები, ვინც წინა კითხვაზე იცრუა, ანუ წინა კითხვასაც უპასუხა-დიახ. ასეთი კი სულ 12-ია. (ეს ასე იმიტომაა, რომ ცბიერები მონაცვლეობით პასუხობენ კითხვებზე მართალი-ტყუილი ან ტყუილი-მართალი. ე.ი. იმ ცბიერებმა, ვინც პირველ კითხვაზე მოიტყუა, მეორე კითხვაზე მართალი უნდა თქვას). მაშასადამე, კუნძულზე იმდენი რაინდია, რამდენითაც პირველი კითხვის პასუხი-დიახ აღემატება მეორე კითხვის პასუხს-დიახ. მათი სხვაობაა 139 - 135 = 4. ე.ი. კუნძულზე 4 რაინდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი-საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლე-ბის მეთოდები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცმლობა. ქუთაისი. 2024 წელი. 592 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი. საოლიმპიადო მათემატიკური ამოცა-ნები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა. ქუთაისი. 2016 წელი. 680 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი. საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცა-ნათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვევების ფორმირება საშუალო სკოლაში. აკაკი წერეთლის სახე-ლმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2017 წელი. 404 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი, მარგველაშვილი გენადი-საოლიმპია-დო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. აკაკი წერეთლის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2019 წელი. 536 გვ.
5. ბერძულიშვილი გიორგი, დოგრაშვილი თამარი, ბრეგაძე გიორგი, გოგიბერიძე ირინე. საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლა-სები). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2023 წელი. 384 გვ.
6. ჯინჯიხაძე ჯემალ. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნო-ლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2011 წელი. 853 გვ.

Teona Abramishvili,
Akaki Tsereteli State University,
PhD candidate in mathematics,
teaching methodology of educational sciences,
Papuna Berdzulishvili,
Akaki Tsereteli State University,
MA student in the Master's Program in Educational Sciences,
Giorgi Berdzulishvili,
Akaki Tsereteli State University,
Professor,
Academician of the Georgian Academy of Education Sciences

The Use of Reasoning Methods When Solving Logical Mathematical Problems in Lower Grades

Summary

By solving logical problems in lower grades, students develop reasoning skills and learn effective speaking techniques. Since the solution to logical problems does not rely on specialized knowledge, elementary school mathematics teachers should focus on cultivating correct and logical reasoning techniques in their students. Solving logical word problems encourages students to analyze both familiar and unfamiliar situations, face challenges without fear, and experience the joy and satisfaction of overcoming difficulties, which, in turn, boosts their confidence in themselves and their work.

Solving an exploratory logical problem involves answering the problem's question using only essential logical operations and reasoning, without performing any calculations or using mathematical formulas.

The reasoning method discussed in the article is specifically designed for solving simple logical problems. This method emphasizes consistent application of the problem's conditions, step-by-step reasoning, and arriving at a logical conclusion, which also serves as the solution to the problem. The reasoning method is particularly suitable for primary and junior secondary levels, where logical problems of relatively low complexity are introduced to younger students.

To illustrate, the article examines various types of logical problems solved using the reasoning method and presents relevant methodological conclusions.

Key words: logic, reasoning, method, task, problem solving.

თეიმურაზ გიორგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტია
ასოცირებული პროფესორი,
მამული ბუჭუხიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დაწყვილებული მონაცემების შეფასება

რეზიუმე: *მატემატიკური სტატისტიკის ელემენტების საწყისი საკითხების სწავლება განიხილება, როგორც მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო სამაგისტრო პროგრამებში სწავლების I საფეხურზე, ასევე შედარებით მაღალ დონეზე სწავლების მეორე და მესამე საფეხურებზე.*
სტატიაში განვიხილეთ ჩატარებული კვლევა, სადაც ერთ-ერთი გახლდათ სამედიცინო მიმართულებით ჩატარებული კვლევა. მიღებული შედეგების საფუძველზე მოვახდინეთ დაწყვილებული მონაწილეების შეფასება, კონკრეტული მაგალითის მიხედვით.
დასმული ამოცანა გავაანალიზეთ სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანის, კერძოდ ორი ჰიპოთეზის შედარებით, რომლითაც დადგინდა, იძლევა თუ არა მოქმედების (ქცევის) ალტერნატიული გზა უკეთეს შედეგს.
ჩატარებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ასეთი ტიპის ამოცანების დასმა შესაძლებელია სასწავლო პროცესში კერძოდ: სწავლების პირველ საფეხურზე შედარებით მარტივი ფორმებით, რაც შეიძლება გამოიხატოს მონაცემთა შეგროვებაში და მის სტატისტიკურად დამუშავებაში, ხოლო სწავლების მეორე საფეხურზე შესაძლებელია შედარებით რთული ხასიათის კვლევების ჩატარება.
საკვანძო სიტყვები: *ნულოვანი ჰიპოთეზა; სტატისტიკის ელემენტები; კვლევა; ინდუქციური დასკვნები; რიცხვითი ინტერვალი.*

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მათემატიკის ისეთი მიმართულების სწავლებას როგორიცაა ალბათობისა და სტატისტიკის ელემენტები.

აღნიშნული მიმართულებით საკითხების სწავლება განიხილება, როგორც მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებში, სწავლების I საფეხურზე, ასევე შედარებით მაღალ დონეზე მიმდინარეობს სტატისტიკისა და ალბათობის ელემენტების სწავლება მეორე და მესამე საფეხურზე.

ამ მიმართულებით კვლევები ტარდება სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის სამედიცინო, საბუნებისმეტყველო, საფინანსო, საინჟინრო და მეცნიერების სხვა დარგებში.

სტატიაში განვიხილეთ ჩატარებული კვლევა აღნიშნულიდან ერთ-ერთი (კერძოდ სამედიცინო) მიმართულებით, სადაც მოვახდინეთ დაწყვილებული მონაწილეების შეფასება, კონკრეტული მაგალითის მიხედვით.

დაწყვილებულ მონაცემთა შეფასებას დიდი გამოყენება აქვს თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად განხილვისათვის მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: დავუშვათ, ჩვენ გვაინტერესებს მოქმედებს თუ არა გარკვეული ტიპის კონტრაცეპტივის მიღება ქალის სისხლის წნევაზე. ამ მიზნით მოპოვებული მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

i	წნევა კონტრაცეპტივის გამოყენებამდე	წნევა კონტრაცეპტივის გამოყენების შემდეგ x_{i_2}	სხვაობა $d_i = x_{i_2} - x_{i_1}$
1	115	128	13
2	112	115	3
3	107	106	-1
4	119	128	9
5	115	122	7
6	138	145	7
7	126	132	6
8	105	109	4
9	104	102	-2
10	115	117	2

ვთქვათ, i-ური ქალის სისხლის წნევა კონტრაცეპტივის მიღებამდე განაწილებული იყო ნორმალურად μ_i საშუალოთი და σ^2 დისპერსიით, ხოლო კონტრაცეპტივის მიღების შემდეგ განაწილებულია კვლავ ნორმალურად $\mu_i + \Delta$ საშუალოთი და იმავე σ^2 დისპერსიით.

ნულოვანი ჰიპოთეზა ყალიბდება შემდეგნაირად: $H_0: \Delta = 0$, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაცეპტივის მიღებას წნევა არ შეუცვლია, ხოლო ალტერნატივაა $H_i: \Delta \neq 0$, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტრაცეპტივის მიღება ცვლის წნევის სიდიდეს ანუ მოქმედებს სისხლის წნევაზე. ცხადია, რომ კრიტერიუმის სტატისტიკა ორივე შერჩევას უნდა ეყრდნობოდეს, რადგან ცალ-ცალკე პოპულაციების პარამეტრები ჩვენთვის უცნობია; სამაგიეროდ, ჰიპოთეზის სამართლიანობის შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილია, რომ შემთხვევითი სიდიდეები $y_i = x_{i_2} - x_{i_1}$ $(i = 1,2, \dots, n)$ განაწილებულია ნორმალურად 0 საშუალოთი და σ_y^2 დისპერსიით; რომელიც, მართალია არ ვიცით, მაგრამ მისი შეფასება შეგვიძლია გაერთიანებული შერჩევიდან

ამრიგად, კრიტერიუმის სტატისტიკად შეგვიძლია ავიღოთ: $T_n = \frac{\sqrt{n}\bar{y}}{s_{n,y}}$ შემთხვევითი სიდიდე, სადაც $\bar{Y} = \frac{1}{n}\sum_{i=1}^{n} y_i$, ხოლო $S_{n,y}$ აღნიშნავს სხვაობების შერჩევით სტანდარტულ გადახრას, ანუ

$$S_{n,y} = \sqrt{\frac{1}{n-1}\left(\sum_{i=1}^{n} y_i^2 - \left(\frac{1}{n}\right)\cdot\left(\sum_{i=1}^{n} y_i\right)^2\right)}$$

ისევე როგორც ერთამოკრეფიან ამოცანაში (ნორმალური პოპულაციის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმებისას უცნობი დისპერსიის შემთხვევაში) T_n შემთხვევით სიდიდეს ექნება $t(n-1)$ განაწილება (სტიუდენტის განაწილება თავისუფლების n-1 ხარისხით) და ამიტომ სტატისტიკური კრიტერიუმი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

თუ დასახელებული a-სათვის, T_n შემთხვევაში სიდიდის დაკვირვებული მნიშვნელობა t_n (ანუ ის მნიშვნელობა, რომელიც მიიღება T_n შემთხვევითი სიდიდის გამოსახულებაში y_i-ების შეცვლისას d_i-ებით) აკმაყოფილებს პირობას $-t_{n-1,a/2} \leq t_n \leq t$, მაშინ H_0 ჰიპოთეზის უარყოფის საფუძველი არა გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი - მას უარვყოფთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს და გამოვთვალოთ T_n შემთხვევითი სიდიდის დაკვირვებული $t_n = t_{10}$ მნიშვნელობა, ცხადია, რომ

$$\overline{d_{10}} = (13 + 3 - 1 + 9 + 7 + 7 + 6 + 4 + 2 - 2) : 10 = 4{,}8$$

$$S_{n,y} = \sqrt{\frac{13^2 + 3^2 + (-1)^2 + 9^2 + 7^2 + 7^2 + 6^2 + 2^2 + (-2)^2 - 10\cdot(4{,}8)^2}{9}} = \sqrt{20{,}844} = 4{,}566$$

ამიტომ $t_{10} = 3{,}17 \cdot 4{,}8 : 4{,}566 = 3{,}32$. t_g განაწილების ზედა კრიტიკული წერტილების ცხრილებიდან ვპოულობთ, რომ $t_g = 2{,}262$. ვინაიდან $t_{10} = 3{,}32$, მიშვნელობა არ ეკუთვნის [-2,262; 2,262] რიცხვით ინტერვალს, ამიტომ H_o ჰიპთეზას უარვყოფით. მაშასადამე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კონტრაცეპტივი მოქმედებს ქალის წნევაზე.

დავსვათ ასეთი კითხვა: როგორ ინტერვალშია მოთავსებული სხვაობის ჭეშმარიტი საშუალო - μ_y? ნდობის ინტერვალის ასაგებად ისევ ვიყენებთ იმავე ფაქტს, რომ $T_n = \frac{\sqrt{n}\bar{y}}{S_{my}} \cong t(n-1)$ და ამ შემთხვევაში ნდობის ინტერვალს აქვს შემდეგი სახე: $\overline{d_n} - t_{n-1,\frac{\alpha}{2}} \cdot S_{n,y}/\sqrt{n}; \overline{d_n} - t_{n-1,\frac{\alpha}{2}} \cdot S_{n,y}/\sqrt{n})$.

ამიტომ ჩვენს მაგალითში მივიღებთ, რომ:

$$\left(4{,}8 - 2{,}262 \cdot \frac{4{,}566}{3{,}17}; 4{,}8 + 2{,}262 \cdot \frac{4566}{3{,}17}\right) = (1{,}53; 8{,}07).$$

მაშასადამე, წნევის სხვაობის ჭეშმარიტი საშუალო μ_g მნიშვნელობა 0,95-ის ტოლი ალბათობით მოთავსებულია ინტერვალში 1,53მმ ვწყ. სვეტიდან 8,07 მმ ვერცხლის წყლის სვეტამდე.

საერთოდ, სტატისტიკურ გადაწყვეტილებათა თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ორი პოპულაციის შედარება, რათა დადგინდეს იძლევა თუ არა მოქმედების (ქცევის) ალტერნატიული გზა უკეთეს შედეგს.

ორი პოპულაციის მახასიათებლების შედარების ამოცანა ჩნდება ე.წ. კონტროლირებად ექსპერიმენტებში, როცა შეისწავლება რაიმე ახალი ტექნოლოგიის, მედიკამენტის, რეკლამის თუ სხვა ფაქტორების ზემოქმედების ეფექტურობის საკითხი. ამ ექსპერიმენტს უკავშირდება ორი შერჩევა, რომლებიდანაც ერთი მიღებულია კონსერვატიული (დამკვიდრებული) ქმედების, ხოლო მეორე - შეცვლილი (ახალი) ქმედების შედეგად. მაგალითად, ბანკმა შეცვალა მოლარეები სპეციალური აპარატებით და აინტერესებს თუ რა გავლენას მოახდენს ეს კლიენტების მომსახურებაზე. აქ ბუნებრივად ჩნდება ორი შერჩევა: ერთი შედგება იმ კლიენტების მომსახურების დროებისაგან, რომლებსაც ემსახურებოდნენ მოლარეები, ხოლო მეორე - იმ კლიენტების მომსახურების დროებისაგან, რომლებიც სარგებლობენ სპეციალური აპარატებით. შესაბამისად, კონტროლირებად ექსპერიმენტებში ერთი შერჩევა არის საკონტროლო (მიღებულია ადრინდელ პირობებში), ხოლო მეორე - ექსპერიმენტული. სწორედ ასეთ ამოცანებს უწოდებენ ორამოკრეფიან ამოცანებს.

ამით არ ამოიწურება ორამოკრეფიანი ამოცანების ჩამონათვალი. ხშირად შესადარებელია განსხვავებული სოციალური სტატუსის, სქესის, რეგიონის ან სხვა ფაქტორების მიხედვით განსხვავებული ორი პოპულაცია. განასხვავებენ ორ შემთხვევას; პირველი - გვაქვს ორი დამოუკიდებელი შერჩევა ორი პოპულაციიდან და მეორე - გვაქვს წყვილების შერჩევა, სადაც თვითონ წყვილები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ მათი კომპონენტები შეიძლება არ იყვნენ დამოუკიდებლები (ასეთ მონაცემებს დაწყვილებული მონაცემები ეწოდება).

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთი ტიპის ამოცანების დასმა შესაძლებელია სასწავლო პროცესში კერძოდ: სწავლების პირველ საფეხურზე შედარებით მარტივი ფორმებით, რაც შეიძლება გამოიხატოს მონაცემთა შეგროვებაში და მის სტატისტიკურად დამუშავებაში.

სწავლების შემდგომ საფეხურებზე, შეიძლება განხილულ იქნას შედარებით მეტი სირთულის ამოცანები, რომლებიც შედგენილი იქნება მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობით, შესასწავლი მოვლენის დაკვირვების საფუძველბზე და მატ მიერ გაკეთებული იქნება კვლევითი ხასიათის ინდუქციური დასკვნები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ გიორგაძე, მამული ბუჭუხიშვილი. გეომეტრია და სივრცის აღქმა ალბათობა, მონაცემთა ანალიზი, ქუთაისი, 2017 წელი.
2. ომარ ფურტუხია. მონაცემთა ანალიზი, ალბათობა, სტატისტიკა. თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020 წელი.

Mamuli Buchukhishvili
Akaki Tsereteli State University
Teimuraz Giorgadze
Akaki Tsereteli State University

The Evaluation of Paired Data

Summary

Teaching the nuts and bolts of mathematical statistics elements is considered both at the first level of teacher training bachelor and master programs and at a relatively higher level at the second and third educational levels.
The article discusses the conducted research and the research results, one of which was conducted in the medical field, where we evaluated paired participants, on a concrete example.
We analyzed the posed problem - one of the most important problems of the statistical decision theory, particularly by comparing two populations, which was used to determine whether an alternative way of action (behavior) produces better result.
In the article, we concluded that such problems can be posed in the educational process, particularly at the first level of education, in relatively simple forms, which can be expressed in data collection and statistical processing, while at the second level of education, it is possible to conduct research of a relatively more complex nature.
Keywords: Null hypothesis; elements of statistics; research; inductive conclusions; numeric interval;

ბაკურ ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბერნულის სქემის გამოყენებით ალბათობის თეორიის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდური თავისებურება

რეზიუმე: *მათემატიკაში გამოსაშვები სასკოლო გამოცდის ფორმატმა და ერთიანი ეროვნული გამოცდების სტრუქტურამ გამოწვია ის, რომ მათემატიკის სასკოლო კურსში მთავარი ყურადღება გადატანილი იქნა ამოცანების ამოხსნის სწავლებაზე, ამიტომ სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენებულ ამოცანათა სისტემებზე დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეთა გონებრივი განვითარება. ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის სწავლების პროცესი მდიდარ პედაგოგიურ გარემოს ქმნის, რაც ამაღლებს მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესს და ხელს უწყობს ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას. თუ თემატიკის მიხედვით გავაანალიზებთ მათემატიკის სასკოლო სახელმძღანელოებში ალბათური შინაარსის ამოცანებს, აღმოჩნდება რომ სამწუხაროდ, თემატურად მეტად ღარიბია მათში განთავსებული ალბათური შინაარსის ამოცანები. მოსწავლეთა დაინტერესებას იწვევს ისეთი შინაარსის ალბათური ამოცანები, რომლებსაც პრაქტიკული კავშირი აქვთ რეალურ ცხოვრებასთან. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება მიზანში მოხვედრის ამოცანები. სტატიაში განხილულია სხვადასხვა სახის ამოცანები სროლებზე, მიზანში მოხვედრაზე, ალბათობის ამოცანები ბიჭის და გოგოს დაბადებაზე და სხვ. გაკეთებულია შესაბამისი მეთოდური დასკვნები.*

საკვანძო სიტყვები: *ამოცანა, ხდომილობა, ბერნულის სქემა, ალბათობა, მიზანში მოხვედრა, ბიჭის დაბადება.*

სასკოლო პრაქტიკაში მოსწავლეთა მიერ სხვადასხვაგვარი მათემატიკური ამოცანე-ბის ამოხსნა ცოდნისა და უნარების დაუფლების, გონებრივი შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. გამოსაშვები სასკოლო გამოცდის ფორმატმა და ერთიანი ეროვნული გამოცდების სტრუქტურამ მათემატიკაში გამოწვია ის, რომ მათემატიკის სასკოლო კურსში მთავარი ყურადღება გადატანილი იქნა ამოცანების ამოხსნის სწავლებაზე, ამის გამო მათემატიკის სწავლება სკოლაში შეიძლება განვიხილლულ იქნას, როგორც ამოცანათა ამოხსნის სწავლება, ამიტომ სწავლებაში გამოყენებულ ამოცანათა სისტემებზეა დამოკიდებული მოსწავლეთა გონებრივი განვითარება. სასკოლო სახელმძღვანელოების ამოცანები მოსწავლეებში განსაზღვრული ჩვევების ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის შემთხვევაში მოსწავლეებს სხვადასხვა საარზროვნო ოპერაციების შესრულება, მათთვის ცნობილი დებულებების გახსენება, ამოცანათა ამოხსნის საკუთარი გამოცდილების აქტუალიზება და ახალი ცოდნით შევ-სება უხდება. ალბათური შინაარსის ამოცანების ამოხსნის სწავლების პროცესი მდიდარ პედაგოგიურ გარემოს ქმნის, რომელსაც თითოეული მოსწავლის პიროვნულ თვისე-ბებზე (მათემატიკური კულტურის, აზროვნების ხარისხის ფორმირებაზე) ზემოქმედება შეუძლია. სხვადასხვა სახის ალბათური ამოცანების ამოხსნის გამოცდილება ეხმარება მათემატიკის შესწავლისადმი ინტერესის გაჩენასა და ზოგადი სასწავლო უნარების ათვისებას. თემატიკის მიხედვით თუ გავაანალიზებთ მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში ალბათური შინაარსის ამოცანებს, აღმოჩნდება რომ სამწუხაროდ, მეტად ღარიბია მათში განთავსებული ალბათური შინაარსის ამოცანები. მოსწავლეთა დაინტერესებას იწვევს ისეთი შინაარსის ალბათური ამოცანები, რომლებსაც პრაქტიკული კავშირი აქვთ რეალურ ცხოვრებასთან. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება მიზანში მოხვე-დრის სხვადასხვა სახის ამოცანები. ორო და სამი მსროლელის შემთხვევები განხილულია [1]. განვიხილოთ უფრო ზოგადი შემთხვევები.

- **ბერნულის სქემა**

ხშირად გამოსათვლელია რამდენიმე გასროლის შედეგად მიზანში მოხვედრის ალბათობა, როცა თითოეული გასროლის ალბათობა ერთნაირია და p-ს ტოლია, გასროლათა რაოდენობაა n და მიზანში მოხვედრათა რაოდენობა $k, (k \le n)$. მიზანში მოხვედრა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ეს არის ერთმანეთისაგან დამოუკი-დებელი ცდების გამეორების სქემა, ანუ

ბერნულის სქემა. ამ სქემას ორ და სამ მსროლელთან გახილულ შემთხვევებთან აქვს უპირატესობები, კერძოდ, უნდა დაიმახსოვრონ მხოლოდ ერთი ფორმულა, მსროლელთა რაოდენობა შეიძლება იყოს არა 2, 3 ან 4, არამედ პრაქტიკულად ნებისმიერი რაოდენობა.

ვთქვათ, ხორციელდება მიზანში n გასროლა. თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p. ალბათობა იმისა, რომ მიზანში მოხვდება ზუსტად k ნასროლი, გამოითვლება ბერნულის ფორმულით: $P_n(k) = C_n^k \cdot p^k \cdot (1-p)^{n-k} = C_n^k \cdot p^k \cdot q^{n-k}$.

ამოცანა 1. მსროლელი ახორციელებს ოთხ გასროლას. თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობაა $p = 0{,}8$. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მსროლელი მიზანში მოახვედრებს 3-ჯერ; მსროლელი მიზანში მოახვედრებს არანაკლებ სამჯერ.

ეს ამოცანა ბერნულის ფორმულის ტიპიური ამოცანაა. ჩვენი პარამეტრებია $n = 4$ (გასროლათა რაოდენობა), $p = 0{,}8$ (თითოეული გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობა), $q = \ - p = \ - \ \ = \ \ \

მითითება: განვიხილოთ $\overline{A}$ ხდომილობა-ხუთივე გასროლა აცდა მიზანს. მიზანში დაცილების ალბათობაა $q = 1 - p = 0{,}3$. ამიტომ ხუთივე სროლის შემდეგ მიზანში აცვილების ალბათობა იქნება: $P(\overline{A}) = q^5 = 0{,}3^5 = 0{,}00243$. საძიებელი ალბათობაა:

$$P(A) = 1 - P(\overline{A}) = 1 - 0{,}00243 = 0{,}99757.$$

ამოცანა 5. ორი მსროლელი ისვრის მიზანში თითოჯერ. ალბათობა იმისა, რომ ორივე მსროლელი მოახვედრებს მიზანში არის 0,42, ხოლო ალბათობა იმისა, რომ ორივე მსროლელი ააცილებს მიზანს არის 0,12. იპოვეთ თითოეული მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა.

ასეთი ალბათობის შინაარსის მქონე ამოცანების ჩართვა მათემატიკის სასკოლო კურსში მიზანშეწონილია ორუცნობიანი განტოლებების ამოხსნის დროს.

ვთქვათ, პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_1, მეორე მსროლელის მიერ მიზანში მოხვედრის ალბათობაა p_2. მაშინ, ამოცანის პირობის თანახმად, შეგვიძლია დავწეროთ განტოლებათა სისტემა: $\begin{cases} p_1 \cdot p_2 = 0{,}42 \\ (1-p_1)(1-p_2) = 0{,}12 \end{cases}$

რომლის ამოხსნით მივიღებთ: $p_1 = 0{,}7 \wedge p_2 = 0{,}6$, ან $p_1 = 0{,}6 \wedge p_2 = 0{,}7$.

ჩვენ შემთხვევაში, წყვილები $(0{,}7,\ 0{,}6)$ და $(0{,}6,\ 0{,}7)$ ერთმანეთისაგან არ განსხვავდე-ბიან. ე.ი. პირველი მსროლელების მიზანში მოხვედრის ალბათობაა 0,7 და 0,6.

ამოცანა 6. ალბათობა იმისა, რომ ოთხი სროლიდან მსროლელი ერთხელ მაინც მოახვედრებს მიზანში არის 0,9984. იპოვეთ მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა.

აღვნიშნოთ მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობა p-თი. მსროლელის მიერ მიზანში დაცილების ალბათობა იქნება $q = 1 - p$, ამიტომ ოთხი სროლიდან ოთხივეს მიზნისთვის დაცილების ალბათობაა q^4, ხოლო ალბათობა იმისა, რომ ოთხი გასროლიდან მიზანში მოხვდეს ერთხელ მაინც, იქნება $1 - q^4$. გვაქვს განტოლება: $1 - q^4 = 0.9984$, საიდანაც, $q = 0{,}2$. ცხადია, რომ $p = 1 - q = 0{,}8$. ე.ი. მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა 0,8.

ამოცანა 7. ორმა მსროლელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიზანში ისროლა ორ-ორჯერ, პირველი მსროლელის მიზანში მოხვედრის ალბათობაა 0,8, მეორის კი-0,7. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოთხივე სროლა მოხვდება მიზანში.

ოთხივე ნასროლი მიზანში მოხვდება მაშინ, როცა მიზანში მოხვდება პირველი მსროლელის მიერ განხორციელებული ორივე გასროლა და მეორე მსროლელის მიერ განხორციელებული ორივე გასროლა. პირველი მსროლელის მიერ მიზანში მოხვედ-რის ალბათობაა $p_1 = 0{,}8$, მეორე მსროლელის მიერ მიზანში მოხვედრის ალბათობაა $p_2 = 0{,}7$, ამიტომ, პირველი მსროლელის ორივე ნასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობა იქნება p_1^2, ხოლო მეორე მსროლელის ორივე ნასროლის მიზანში მოხვედ-რის ალბათობა იქნება p_2^2. ნამრავლის წესის თანახმად, პირველი მსროლელის შესრულებული ორივე გასროლის და მეორე მსროლელის მიერ შესრულებული ორივე გასროლის მიზანში მოხვედრის ალბათობა ტოლია: $P = p_1^2 \cdot p_2^2 = 0{,}8^2 \cdot 0{,}7^2 = 0{,}3136.$

ამოცანა 8. მსროლელის მიერ მიზანში მოხვედრის ალბათობა 0,3-ის ტოლია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ 6 სროლის შედეგად მიზანში მოხვდება არანაკლებ სამჯერ.

ამოცანის პირობის ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოსათვლელია ალბათობა, როცა მსროლელი 6 სროლიდან მიზანში ახვედრებს ან 3-ჯერ, ან 4-ჯერ, ან 5-ჯერ, ან 6-ჯერ. ანუ, წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში უნდა გამოვთვალოთ ალბათობა არა ერთი კონკრეტული შემთხვევისა, არამედ ისეთი შემთხვევების ერთობ-ლიობისა, რომლებიც მოთავსებულია რაიმე შუალედში 3-დან 6-მდე ჩათვლით.

საძიებელი ალბათობები გამოვთვალოთ ბერნულის ფორმულით:

$$P_6(3) = C_6^3 \cdot 0{,}3^3 \cdot 0{,}7^3 = 20 \cdot 0{,}027 \cdot 0{,}343. = 0{,}18522.$$

$$P_6(4) = C_6^4 \cdot 0{,}3^4 \cdot 0{,}7^2 = 15 \cdot 0{,}0081 \cdot 0{,}49. = 0{,}059535.$$

$$P_6(5) = C_6^5 \cdot 0{,}3^5 \cdot 0{,}7^1 = 6 \cdot 0{,}00243 \cdot 0{,}7. = 0{,}010206. \quad P_6(6) = C_6^6 \cdot 0{,}3^6 \cdot 0{,}7^0 = 1 \cdot 0{,}000729 \cdot 1. = 0{,}000729.$$

რადგან ხდომილებები არათავსებადია, საძიებელი ალბათობის პოვნა მარტივად შეგვიძლია ალბათობის შეკრების ფორმულის გამოყენებით:

$$P_6(3 \le k \le 6) = P_6(3) + P_6(4) + P_6(5) + P_6(6) = 0{,}18522 + 0{,}059535 + 0{,}010206 + 0{,}000729 = 0{,}25569.$$

- **ალბათობის ამოცანები ბიჭების და გოგონების დაბადებაზე**

ალბათობის თეორიას რა თქმა უნდა არ შეუძლია პასუხი გასცეს საკრალურ კითხვას-„ბიჭი დაიბადება თუ გოგო“, ასევე არანაკლებ პოპულარულ კითხვას „როგორ მოვიგოთ ლატარიაში“, აქ უნდა დაველოდოთ უფლის ნებას ან შემთხვევას. ჩვენ კი განვიხილოთ ზოგიერთი სასწავლო ამოცანა გოგონების და ბიჭების დაბადებაზე.

ვთქვათ, ბიჭის დაბადების ალბათობაა p. ოჯახში n ბავშვია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მათ შორის ზუსტად k ბიჭია (ცხადია, რომ მათ შორის ზუსტად $n-k$ გოგოა). გამოვიყენოთ ბერნულის სქემა და გვექნება: $P_n(k) = C_n^k \cdot p^k \cdot (1-p)^{n-k} = C_n^k \cdot p^k \cdot q^{n-k}$.

ამოცანა 9. ალბათობა იმისა, რომ დაბადებული ბავშვი ბიჭი იქნება არის 0,51. რისი ტოლია იმის ალბათობა, რომ ოჯახში 6 ბავშვიდან 1 ან 2 გოგონაა?

მოვახდინოთ ამოცანის ფორმალიზება. ოჯახში 6 ბავშვია, $n = 6$, $p = 0{,}51$ -ბიჭის დაბადების ალბათობაა, $k = 5$ ან $k = 4$ (ოჯახში იქნება 5 ბიჭი და 1 გოგო, ან 4 ბიჭი და 2 გოგო). გვაქვს:

$$P = P_6(4) + P_6(5) = C_6^4 \cdot 0{,}51^4 \cdot 0{,}49^2 + C_6^5 \cdot 0{,}51^5 \cdot 0{,}49^1 = 15.0{,}51^4 \cdot 0{,}49^2 + 6 \cdot 0{,}51^5 \cdot 0{,}49^1 = 0{,}345.$$

ამოცანა 10. ოჯახში 10 ბავშვია. ბიჭის და გოგოს დაბადების ალბათობები ერთნაირია. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოჯახში არაუმეტეს 3 ბიჭია.

ოჯახში 10 ბავშვია, *n=10*, ბიჭის და გოგოს დაბადების ალბათობა ერთმანეთის ტოლია $p = q = 0{,}5$. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ოჯახში არაუმეტეს სამი ბიჭია, ანუ ოჯახში არის ან 1, ან 2, ან 3 ან საერთოდ არ არის ბიჭი. ვიპოვოთ თითოეული შემთხვევის ალბათობა ბერნულის ფორმულით. გვაქვს:

$$P_{10}(0) = C_{10}^0 \cdot 0{,}5^0 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}5^{10} = 0{,}001. \quad P_{10}(1) = C_{10}^1 \cdot 0{,}5^1 \cdot 0{,}5^9 = 10 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}01.$$

$$P_{10}(2) = C_{10}^2 \cdot 0{,}5^2 \cdot 0{,}5^8 = 45 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}044. \quad P_{10}(3) = C_{10}^3 \cdot 0{,}5^3 \cdot 0{,}5^7 = 120 \cdot 0{,}5^{10} = 0{,}117.$$

ხდომილობები არათავსებადია, ამიტომ საძიებელი ალბათობაა:

$$P_{10}(0 \le k \le 3) = P_{10}(0) + P_{10}(1) + P_{10}(2) + P_{10}(3) = 0{,}001 + 0{,}01 + 0{,}044 + 0{,}117 = 0{,}172.$$

ამოცანა 11. ბიჭის და გოგოს დაბადებების ალბათობები ერთნაირია. რისი ტოლია იმის ალბათობა, რომ შემთხვევით შერჩეული 6 ახალშობილიდან ბიჭების და გოგონების რაოდენობები ტოლი იქნება?

ბავშვების რაოდენობაა 6, $n = 6$. $p = q = 0{,}5$ ბიჭების და გოგოებს დაბადების ალბათობა ერთმანეთის ტოლია, $k = \frac{n}{2} = 3$ (დაიბადა 3 ბიჭი და 3 გოგო). ბერნულის ფორმულიდან გვაქვს:

$$P_6(3) = C_6^3 \cdot 0{,}5^3 \cdot 0{,}5^3 = 20 \cdot 0{,}5^6 = 0{,}3125.$$

ერთი შეხედვით თითქოს ეს ალბათობა 0,5 უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ $P_6(3) = 0{,}3125$, რაც ბევრად მცირეა, ვიდრე 0,5.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკურაძე ბაკურ, ბერძულიშვილი გიორგი. მათემატიკის სწავლების მეთოდიკა. კერძო მთოდიკა, პირველი ნაწილი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2019 წელი. 345 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, ბაკურაძე ბაკურ, ონიანი-საღინაძე ნანა-სიმრავლეთა და ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლება მათემატიკის სასკოლო კურსში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2014 წელი. 248 გვ.
3. ნოზაძე გიორგი. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საწყისების სწავლება სკოლაში. თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“. 2003 წელი.

Bakur Bakuradze,
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor

Some Methodological Features of Solving Probability Theory Problems Using Bernoulli's Scheme Summary

The format of the school graduate exam in mathematics and the structure of the unified national exams resulted in the fact that the main attention in the school course of mathematics was shifted to the teaching of problem-solving, therefore the mental development of students depends greatly on the problem systems used in the learning/teaching process. In the case of solving probabilistic problems, students must perform various mental operations, remember the provisions known to them, update their own experience of solving problems, and fill it up with new knowledge. The teaching process of solving probabilistic content problems creates a rich pedagogical environment, which increases interest in learning mathematics and promotes the acquisition of general learning skills. If we analyze the problems of probabilistic content in school textbooks of mathematics according to the topic, it turns out that, unfortunately, the problems of probabilistic content placed in them are thematically poor. Students are interested in probabilistic problems of such content that are practically relevant to real life. The target-hitting problems belong to this category. The article discusses shootings with two and three participants, different types of problems on shootings, hitting the target, probabilistic problems on the birth of a boy and a girl, etc. Relevant methodical conclusions have been drawn.
Key words: task, probability, Bernoulli scheme, probability, hitting the target, birth of a boy.

ირმა ჩხიკვაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ერთი სახის ტექსტური ამოცანების ამოხსნის მეთოდური თავისებურებანი

რეზიუმე: *ტექსტური ამოცანები კონცენტრაციასა და მინარევებზე ორი სახისაა: ერთმანეთში ურევენ გარკვეული მასის სხვადასხვა კონცენტრაციის მინარევვებს. უნდა განისაზღვროს ამ ნივთიერების მასა და კონცენტრაცია ახალ ნარევში და გარკვეული კონცენტრაციის ნივთიერების ხსნარს ამატებენ, მაგალითად, სუფთა წყალი (ამ ნივთიერების ნულოვანი კონცენტრაციით). უნდა დადგინდეს, თუ რა გახდა ნივთიერების კონცენტრაცია. მინარევებზე და კონცენტრაციასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნის დროს უნდა გაირკვეს ნივთიერების კონცენტრაციისა და მასის განსაზღვრა.*

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდური მიდგომით კონცენტრაციასა და მინარევებზე ტექსტური ამოცანების ამოხსნისას მიზანშეწონილია, რომ დადგინდეს:

- *რომელი ნივთიერება ახდენს გავლენას ხსნარის კონცენტრაციაზე (მთავარი ნივთიერება).*
- *როგორ იცვლება მთავარი ნივთიერების წონა ხსნარში სხვა ნივთიერებების დამატებისას.*
- *მთავარი ნივთიერების მდგომარეობის ცვლილება და არსებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდეს სათანადო დასკვნები.*

სტატიაში განხილულია კონცენტრაციასა და მინარევებზე სხვადასხვა სახის ტექსტური ამოცანები და გაკეთებულია სათანადო დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ტექსტური ამოცანა, კონცენტრაცია, მინარევები, ნივთიერება, პროცენტი.*

სასკოლო მათემატიკის კურსში განსახილველი ამოცანების 80%-ზე მეტი ტექსტური მათემატიკური ამოცანების კატეგორიას განეკუთვნება. სასკოლო მათემატიკაში თემატიკის მიხედვით ტექსტური ამოცანების კლასიფიცირებას არ ახდენენ. მაგრამ იხილება ისეთი ტექსტური ამოცანები, რომლებიც შინაარსის მიხედვით მიეკუთვნება ტექსტურ ამოცანებს მოძრაობაზე, რომელშიც გაერთიანებულია როგორც წრფივი თანაბარი, ასევე არათანაბარი, წრეზე მოძრაობა, საპირისპირო მიმართულებით, ერთი მიმართულებით, ერთმანეთისადმი მართი კუთხით მოძრაობები, სხვადასხვა სახის მოძრაობები წყალზე, მდინარეზე, მდინარის დინების/საწინააღღმდეგო მიმართულე-ბით, ის შემთხვევები, როცა მოძრავი ობიექტის ზომები უგულვებელყოფილია, როცა მოძრავი ობიექტების ზომები უგულვებელყოფილი არ არის და სხვ, მსგავსი დაყოფები შეიძლება მოვიყვანოთ ტექსტურ ამოცანებზე, რომლებიც უკავშირდება მუშაობას, პროცენტებს, ნაწილებს, ეკონომიკას და ფინანსებს, ყიდვა-გაყიდვას, სითხის გადა-ს-ხმებს, მათემატიკურ თამაშებს, ასაკის განსაზღვრას, რაინდებს და მატყუარებს, კონცენტრაციას და მინარევებს, გეომეტრიას (პლანიმეტრიული და სტერეომეტრიუ-ლი) შინაარსის მქონე ტექსტურ ამოცანებს, ალბათობის თეორიას, მათემატიკური სტატისტიკის ელემენტებს და სხვ. თითოეული სახის ტექსტური ამოცანის ამოხსნა გულისხმობს გარკვეული სიდიდის პოვნას, მაგალითად, თუ განვიხილავთ ტექსტურ ამოცანებს პროცენტებზე, ასეთი ამოცანების ამოხსნა გულისხმობს, რიცხვის პროცენტის პოვნას, ან რიცხვის პოვნას მისი პროცენტის მიხედვით (საბანკო ანაბრების შემოსავლებს, მოგებას, საქონელზე ფასის ცვლილებას; მოცემული საწყისი ნივთიერების გაშრობისას, აორთქლებისას, შერევისას და სხვ. მასში არსებული წყლის რაოდენობის შემცირების/გაზრდის დადგენას, ხსნარების კონცენტრაციის გამოთვლას და სხვ. ტექსტური მათემატიკური ამოცანის ყველა სახეს, ისევე როგორც მოძრაობაზე ტექსტსტურ ამოცანებს, აქვთ სხვადასხვა ქვესახეეები, რომელთა ამოხსნისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდური მიდგომები. ცხადია, რომ ერთ სამეცნიერო სტატიაში ყველა სახის ტექსტური ამოცანის სახეების ამოხსნის მეთოდურ მიდგომებზე საუბარი შეუძლებელია, ამიტომ შემოვიფარგლებით კონცენტრაციასა და მინარევებზე ტექსტურ ამოცანების სახეებით და მათი ამოხსნის მეთოდური თავისებურებებით.

ტექსტური ამოცანები კონცენტრაციასა და მინარევებზე ორი სახისაა:

ერთმანეთში ურევენ გარკვეული მასის ორი სხვადასხვა კონცენტრაციის მინარევს. უნდა განისაზღვროს ამ ნივთიერების მასა და კონცენტრაცია ახალ ნარევში.

გარკვეული კონცენტრაციის ნივთიერების ხსნარს დაამატეს, მაგალითად, სუფთა წყალი (ამ ნივთიერების ნულოვანი კონცენტრაციით). უნდა დადგინდეს, თუ რა გახდა ნივთიერების კონცენტრაცია. მინარევებზე და კონცენტრაციასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნის დროს მნიშვნელოვანია ნივთიერების კონცენტრაციისა და მასის განსაზღვრა. ნივთიერების კონცენტრაცია არის ამ ნივთიერების მასის ან მოცულობის თანაფარდობა მთელი ხსნარის მასასთან ან მოცულობასთან. როგორც წესი, კონცენტრაცია გამოხატულია პროცენტულად. ხსნარის მასა უდრის ყველა კომპონენტის მასების ჯამს. რამდენიმე ხსნარის (ნარევები, შენადნობები) შერევისას ახალი ხსნარის მასა ხდება ყველა შერეული ხსნარის ჯამის ტოლი. ორი ხსნარის შერევისას მიღებული ნარევის მასა თითოეული ხსნარის მასების ჯამის ტოლია.

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდური მიდგომით კონცენტრაციასა და მინარევებზე ტექსტური ამოცანების ამოხსნისას მიზანშეწონილია, რომ დადგინდეს:

- რომელი ნივთიერება ახდენს გავლენას ხსნარის კონცენტრაციაზე (მთავარი ნივ-თიერება).
- როგორ იცვლება მთავარი ნივთიერების წონა ხსნარში სხვა ნივთიერებების დამა-ტებისას.
- მთავარი ნივთიერების მდგომარეობის ცვლილება და არსებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდეს სათანადო დასკვნები.

ამოცანა 1. ჯონმა და ივანემ თავისთვის კოქტეილი მოიმზადეს. ჯონმა შეურია ვისკი და ლიქიორი, ხოლო ივანემ არაყი და ლუდი. ცნობილია, რომ ვისკის არაყზე, ხოლო ლიქიორს ლუდზე მეტი ალკოჰოლის შემცველობა აქვს. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯონი უფრო მაღალი სპირტის შემცველობის კოქტეილს სვამს ივანეზე?

შეუძლებელია, რადგან ჯონმა და ივანემ შესაძლებელია ისეთი კოქტეილები მოამ-ზადონ, რომ ივანეს კოქტეილი იყოს თითქმის არაყი, ხოლო ჯონის კოქტეილი თითქმის ლიქიორი. მოვიყვანოთ კონტრ-მაგალითი. ვთქვათ, ლუდში ალკოჰოლის შემცველობა 5%-ია, ლიქიორში 10%, არაყში 40%, ხოლო ვისკში 50%. დავუშვათ, ივანემ შეურია 400 გრ არაყი და 100 გრ ლუდი, ხოლო ჯონმა 400 გრ ლიქიორი და 100 გრ ვისკი. მაშინ თითოეულს ექნება 500 გრ კოქტეილი. ივანეს კოქტეილში ალკოჰოლის რაოდენობა იქნება: $400 \cdot 0{,}4 + 100 \cdot 5 = 165$ (გრ), ხოლო ჯონის კოქტეილში ალკოჰოლია

$$400 \cdot 0{,}1 + 100 \cdot 0{,}5 = 90 \text{ (გრ).}$$

ამოცანა 2. საკონსერვო ქარხანას აწვდიან ვაშლის და ყურძნის წვენს ერთნაირი ბიდონებით, სადაც ისხმება ვაშლის და ყურძნის წვენების შერეული სასმელი ერთნაირ ქილებში. ერთი ბიდონი ვაშლის წვენიდან ასხამენ ზუსტად 6 ქილა სასმელს, ხოლო ერთი ბიდონი ყურძნის წვენიდან 10 ქილას. სასმელის რეცეპტის შეცვლის შემდეგ, ერთი ბიდონი ვაშლის წვენი საკმარისია ზუსტად 5 ქილა სასმელისთვის. რეცეპტის შეცვლის შემდეგ რამდენ ქილა სასმელს ყოფნის ერთი ბიდონი ყურძნის წვენი? (სასმელის წყლით განზავება არ ხდება).

პირველი ხერხი. ვაშლის და ყურძნის წვენის შერეული სასმელის ერთ ქილაზე იხარჯება ვაშლის წვენით სავსე ბიდონის — ქილა და ყურძნის წვენით სავსე ბიდონის $\frac{1}{10}$, ეს ნიშნავს, რომ ერთი ქილის მოცულობა ერთი ბიდონის მოცელობის $\frac{1}{6}+\frac{1}{10}=\frac{4}{15}$ ნაწილია. რეცეპტის შეცვლის შემდეგ ქილაში ისხმება ვაშლის წვენით სავსე ბიდონის $\frac{1}{5}$ და ყურძნის წვენით სავსე ბიდონის $\frac{4}{15}-\frac{1}{5}=\frac{1}{15}$ ნაწილი. ე.ი. ერთი ბიდონი ყურძნის წვენიდან ასხამენ 15 ქილა სასმელს.

მეორე ხერხი. ვაშლის და ყურძნის წვენის შერეული სასმელის 30 ქილაზე დაიხარჯა ხუთი ბიდონი ვაშლის და სამი ბიდონი ყურძნის წვენი, ანუ სულ 8 ბიდონი. ახალი რეცეპტის მიხედვით, 30 ქილა ვაშლის და ყურძნის წვენის შერეული სასმელის დასამზადებლად საჭიროა 6 ბიდონი ვაშლის წვენი. ეს ნიშნავს, ვაშლის და ყურძნის წვენის შერეული სასმელის 30 ქილაზე დაიხარჯება ყურძნის წვენის ორი ბიდონი. ასე რომ, ყურძნის წვენის ერთი ბიდონი საკმარისია 15 ქილის ჩამოსასხმელად.

ამოცანა 3. 13 კგ 850 გ წონის ოქროსა და ვერცხლის შენადნობმა წყალში ჩაძირვის შემდეგ გამოდევნა 900 გრ წყალი. განსაზღვრეთ ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა ამ შენადნობში, თუ ოქროს სიმკვრივეა 19,3 კგ/დმ^3, ხოლო ვერცხლის-10,5 კგ/დმ^3.

აშკარაა, რომ ოქროსა და ვერცხლის შენადნობის მოცულობა არის 0.9 დმ^3. თუ შენადნობში არ იქნებოდა ვერცხლი, ე.ი იქნებოდა მხოლოდ სუფთა ოქრო, მაშინ მისი წონა იქნებოდა $0{,}9 \cdot 19{,}3 = 17{,}37$ კგ. ზედმეტი $17{,}37 - 13{,}85 = 3{,}52$ კგ მიღებულია ოქროს ნაწი-ლის ვერცხლით შეცვლის გამო. ოქროს თითოეული კუბური დეციმეტრი $19{,}3 - 10{,}5 = 8{,}8$ კგ უფრო მეტს იწონის, ვიდრე იმავე მოცულობის ვერცხლი. მაშასადამე, ვერცხლი იყო $3{,}52 : 8{,}8 = 0{,}4$ დმ^3. ეს ნიშნავს, რომ შენადნობში ვერცხლის წონაა- $0{,}4 \cdot 10{,}5 = 4{,}2$ კგ, ოქროს წონაა $13{,}85 - 4{,}2 = 9{,}65$ კგ.

ამოცანა 4. გვაქვს 1000 მლ-იანი სამი ქილა და 100 მლ-იანი მენზურა. პირველი ქილა ცარიელია, მეორე ქილაში 700 მლ ჩაი ასხია, რომელშიც გახსნილია 50 გრ შაქარი, მესამე ქილაში 800 მლ ჩაი, მასში გახსნილია 60 გრ შაქარი. ნებადართულია ნებისმიერი ქილადან სავსე მენზურის ჩაის ამოღება და მისი გადასხმა ნებისმიერ სხვა ქილაში. შესაძლებელია თუ არა რამდენიმე ასეთი გადასხმით პირველი ქილა გავცალოთ, ხოლო მეორე და მესამე ქილებში შაქრის რაოდენობები გათანაბრდეს?

შაქრის და წყლის ფარდობა მეორე ქილაში არის $\frac{50}{700} = \frac{1}{14}$ ხოლო მესამეში-$\frac{60}{800} = \frac{3}{40}$. რადგან $\frac{3}{40} > \frac{1}{14}$ ამიტომ ნებისმიერი გადასხმის შემდეგ, შაქრის და წყლის ფარდობა თითოეულ ქილაში, რომელიც ცარიელი არ არის $\frac{3}{40}$-ზე მეტი არ იქნება. შევნიშნოთ, რომ ნებისმიერი გადასხმის შემდეგ, თითოეულ ქილაში გადასხმული ჩაი 100 მლ-ის ჯერადია. ამიტომ, თუ მთელი ჩაი აღმოჩნდება მეორე და მესამე ქილებში, მაშინ ერთ-ერთ ქილაში ჩაის რაოდენობა 700 მლ-ზე მეტი არ იქნება. ამ ქილაში უნდა აღმოჩნდეს მთელი შაქრის ნახევარი და ამ ქილაში შაქრის და წყლის თანაფარდობა იქნება $\frac{55}{700} = \frac{11}{140} > \frac{3}{40}$, რაც შეუძლებელია.

ამოცანა 5. გამყიდველმა შეცდომით შეურია პირველი და მეორე ხარისხის კან-ფეტები. პირველი ხარისხის კანფეტებს მაღაზია ყიდდა ფუნტს 3 დოლარად, მეორე ხარისხის კანფეტებს კი ფუნტს 2 დოლარად. რა ფასად უნდა გაყიდოს შერეული კანფე-ტები მაღაზიამ, რომ მიიღოს იგივე მოგება, თუ ცნობილია, რომ პირველი ხარისხის კანფეტების ღირებულება შერევამდე მეორე ხარისხის კანფეტების ღირებულების ტოლი იყო შერევამდე.

კანფეტების შერევამდე მაღაზიაში ქონდათ ერთნაირი ღირებულების პირველი და მეორე ხარისხის კანფეტები. ამოცანის პირობის ძალით, ფუნტი პირველი ხარისხის კანფეტების ღირებულება იმავე წონის მეორე ხარისხის კანფეტების ღირებულებაზე 1,5-ჯერ მეტია, რაც ნიშნავს, რომ მეორე ხარისხის კანფეტები წონით 1,5-ჯერ მეტია, ვიდრე პირველი ხარისხის კანფეტები. თუ შევურევთ 2 ფუნტ პირველი ხარისხის კან-ფეტებს, რომელიც 1 ფუნტი 3 დოლარი ღირს და 3 ფუნტ მეორე ხარისხის კანფეტებს, რომელიც 1 ფუნტი 2 დოლარი ღირს, მივიღებთ 5 ფუნტ კანფეტს, რომლის ღირებულებაა $2 \cdot 3 + 3 \cdot 2 = 12$ (დოლარი). ამიტომ 1 ფუნტი კანფეტის გასაყიდი ფასი იქნება $12 : 5 = 2{,}4$ (დოლარი). მარტივი საჩვენებელია, რომ 2,4 არის 3 და 2-ის საშუალი ჰარმონიული. მართლაც:

$$\frac{2}{\frac{1}{2} + \frac{1}{3}} = \frac{2}{\frac{5}{6}} = \frac{12}{5} = 2{,}4.$$

მივიღეთ, რომ გასაყიდი კანფეტების ფასი პირველი და მეორე ხარისხის კანფეტების ფასების ჰარმონიული საშუალოს ტოლია.

ამოცანა 6. გამყიდველს აქვს ორი ხარისხის ჩაი: ცეილონის ჩაი ფუნტი 10 დოლარად და ინდური ჩაი, ფუნტი 6 დოლარად. გამყიდველმა მოგების გაზრდის მიზნით, გადაწყვიტა ამ ორი ხარისხის ჩაის შერევა და ფუნტის 10 დოლარად გაყიდვა. როგორი თანაფარდობით უნდა შეურიოს გამყიდველმა ერთმანეთს ეს ორი ხარისხის ჩაი, რომ ზედმეტად მიიღოს ყოველ ფუნტზე 3 დოლარის მოგება?

თუ გამყიდველი შერევის გარეშე გაყიდის ინდურ ჩაის ცეილონური ჩაის ფასად, მაშინ ის ყოველ ფუნტ ჩაიზე მოიგებდა 4 დოლარს. ეს ნიშნავს, რომ გამყიდველს ყოველ ფუნტ შერეულ ჩაიზე 3 დოლარის მოგება ექნება იმ შემთხვევაში, თუ ერთი ფუნტის შერეულ ჩაიში იქნება

ინდური ჩაის $\frac{3}{4}$. ანუ დაცული იქნება პროპორცია $1:3$. ანუ, 4 ფუნტ შერეულ ჩაიში იქნება 1 ფუ-ნტი ცეილონის ჩაი და 3 ფუნტი ინდური ჩაი.

ამოცანა 7. სკოლის გაზეთში დაიბეჭდა, რომ მეშვიდე კლასის მოსწავლეთა აკადემიური მო-სწრება მეორე სემესტრში გაიზარდა 2,9%-დან 3,1%-მდე შუალედში. განსაზღვრეთ კლასის მო-სწავლეთა მინიმალური რაოდენობა.

ვთქვათ, მეშვიდე კლასის მოსწავლეთა რაოდენობაა n, ხოლო m-მეშვიდე კლასის იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც აკადემიური მოსწრება გაზარდეს. მაშინ იმ მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც აკადემიური მოსწრება აიმაღლეს, ტოლია $\frac{m}{n}\cdot 100$. ამოცანის პირობის ძალით: $2{,}9 \le \frac{m}{n}\cdot 100 \le 3{,}1$. (1). **ცხადია, რომ** $m \ne 0$ (ანუ $m \ge 1$) და $n \ge \frac{1000}{31}\cdot m$. მაგრამ $\frac{1000}{31}\cdot m \ge \frac{1000}{31} > 32$. მაშინ, $n \ge 33$. ამრიგად, მეშვიდე კლასში, რომელზეც სკოლის გაზეთშია საუბარი, მოსწავლეების რაოდენობა 33-ზე ნაკლები არ არის. დარჩა გავარკვიოთ კლასში მოსწავლეთა რა უმცირესი რაოდენობა შეიძლება იყოს. ადვილი შესამჩნევია, რომ თუ კლასში იქნება 33 მოსწავლე და ერთ-ერთი მოსწავლე აიმაღლებს აკადემიურ მოსწრებას, ანუ, თუ $n = 33$ და $m = 1$, მაშინ ეს წყვილი აკმაყოფილებს (1) უტოლობას. ეს ნიშნავს, რომ იმ კლასში, რომელზეც სკოლის გაზეთშია საუბარი, მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობაა 33 მოსწავლე.

როგორც წესი, სხვადასხვა დონის მათემატიკის ოლიმპიადებზე, სკოლის გამოსაშვებ მათემატიკის გამოცდაზე, უმაღლეს სასწავლებლებში მათემატიკაში მისაღებ გამოც-დებზე ხშირად შეთავაზებულია ისეთი ამოცანები, რომლის პირობა მოცემულია ტექსტის სახით, ფორმულების და ხშირად უცნობი ცვლადების აღნიშვნების გარეშეც კი. ასეთი ამოცანების ამოსახსნელად ტექსტის პირობების საფუძველზე მსოსწავლეთა უმრავლესობა ირჩევს ალგებრულ მეთოდს, ადგენენ განტოლებას/უტოლობას ან განტოლებათა სისტემას/ უტოლობათა სისტემას/შერეულ სისტემას და შემდეგ ახდენენ მათ ამოხსნას. ჩვენ სტატიაში შევეცადეთ გვერდი აგვევლო ამ მიდგომის მიმართ და ამოცანები ამოვხსენით არითმეტიკული მეთოდით. ამ მიდგომას ჩვენ ვახორციელებთ არა მარტო ისეთი ტექსტური ამოცანების მიმართ, რომლების კონცენტრაციასა და მინარევებზეა, არამედ ზოგადად ტექსტური ამოცანების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა ეს შესძლებელია აუცილებელია გამოყენებული იქნეს არითმეტიკული მეთოდი. მიგაჩნია, რომ არითმეტიკული მეთოდით ტექსტური ამოცანების ამოხსნა ხელს უწყობს მოსწავლეთა ზეპირი ანგარიშის უნარების ჩამოყალიბებას, ლოგიკური და აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას და აყალიბებს მათში კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების უნარს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ბერძულიშვილი, ირმა ჩხიკვაძე, განმავითარებელი და საძიებო ტექსტური ალგებრული ამოცანების ამოხსნის სწავლება საშუალო სკოლაში. I ნაწილი. აკაკი წერეთ-ლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2022 წელი.
2. გურამ ჩაჩანიძე, ირმა ჩხიკვაძე, ტექსტურ ამოცანებზე მუშაობის მეთოდური რეკომენდა-ციები. ინტელექტი. №1. 2003 წ.
3. ირმა ჩხიკვაძე-განმავითარებელი სწავლების სისტემაში დაწყებითი კლასები-სათვის ტექსტური ამოცანების შედგენისა და გამოყენების დიდაქტიკური ასპექტები. გამომც. „თეკა & კომპანია», ქუთაისი, 2009. 123 გვ.

Irma Chkhikvadze,
Akaki Tsereteli State University,
Assistant Professor

Developmental and Exploratory Word Problems on Concentrations and Mixtures

Summary

There are two types of word problems on concentration and impurities: mixtures of different concentrations of a certain mass are mixed. The mass and concentration of this substance in a new mixture must be determined, and a solution of the substance in a certain concentration is added, for example, pure water (with zero concentration of this substance). It must be determined what the concentration of the substance has become. When solving problems related to impurities and concentration, the concentration and mass of the substance should be determined.

With the methodical approach that we developed, when solving the word problems on concentration and impurities, it is appropriate to determine:

Which substance affects the concentration of the solution (main substance).

How the weight of the main substance changes when other substances are added to the solution.

The change in the state of the main substance and making appropriate conclusions based on the available data.

The article discusses various word problems on concentration and impurities and relevant conclusions have been drawn.

Key words: text problem, concentration, impurities, substance, percentage.

ნანა ონიანი-საღინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გიორგი ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ზოგიერთი მეთოდიკური შენიშვნა რიცხვთა საერთო ჯერადებსა და გამყოფებზე და მათი ამოხსნის სწავლება

რეზიუმე; *რიცხვთა უმცირესი საერთო ჯერადის და უდიდესი საერთო გამყოფის პოვნის ალგორითმის შესწავლით მათემატიკის სასკოლო კურსში ხორციელდება წილადებზე მოქმედებების შესწავლა და ამის შემდეგ რიცხვთა ჯერადებზე და გამყოფებზე აღარ შე-ისწავლება არც თეორიული საკითხები და აღარ ხდება არც ამოცანების ამოხსნა. მათემატიკური ამოცანები რიცხვთა საერთო ჯერადებსა და გამყოფებზე საკმაოდ ვრცელია და მრავალ განხრას მოიცავს. ჩვენ სტატიაში შემოვიფარგლეთ ისეთი სასკოლო, საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების განხილვით, რომლებშიც დასადგენია ორი რიცხვის უდიდეს საერთო გამყოფს და უმცირეს საერთო ჯერადს შორის სხვადასხვა სახის დამოკიდებულებები, რომელთა ამოხსნის გზების ძიებას დავურთეთ მეთოდური რეკომენდაციები. პედაგოგიური ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ ასეთი შინაარსის სასკოლო, საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნა დიდ როლს ასრულებს მოსწავლეების ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში და ხელს უწყობს მათემატიკის სისტემატიური კურსის წარმატებით ათვისებას.*
საკვანძო სიტყვები: *ნატურალური რიცხვი, ჯერადი, გამყოფი, წილადი, შეკვეცა.*

ორი ან მეტი რიცხვის უმცირესი საერთო გამყოფის და უდიდესი საერთო ჯერადის პოვნის ალგორითმის შესწავლას ითვალისწინებს სასკოლო მათემატიკის კურსი. რომელიც წარმოადგენს წილადებზე მოქმედებების ბაზისს დაწყებით საფეხურზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ნატურალური რიცხვების საერთო ჯერადების და გამყოფების შესწავლა სასკოლო კურსში წარმოადგენს ბაზისს სხვა საკითხების შესასწავლად. თუ დავეყრდნობით გამოთქმულ მოსაზრებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დონის ცოდნას ნამდვილად აძლევს დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასკოლო კურსი მოსწავლეებს. შემდგომში მიღებული საკმაოდ მწირი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაფართოება და გაღრმავება ამ მიმართულებებით აღარ ხდება სწავლების არც დაწყებით და არც მომდევნო საფეხურებზე, ყურადღების მიღმა რჩება ისეთი შინაარსის ამოცანების განხილვა, რომელთა ამოხსნა მჭიდროდ არის დაკავშირებულია ნატურალური რიცხვების უმცირეს საერთო ჯერადის და უდიდესი საერთო გამყოფის ისეთ თვისებებთან, რომლებიც ამდიდრებენ და აღრმავებენ მოსწავლეთა მათემატიკური ცოდნის დონეს და ქმნიან წანამღვრებს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ამ თემატიკის საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. მათემატიკური ამოცანები რიცხვთა საერთო ჯერადებსა და გამყოფებზე საკმაოდ ვრცელია და მრავალ განხრას მოიცავს: დამოკიდებულებას ორ რიცხვს, მათ უდიდეს საერთო გამყოფს და უმცირეს საერთო ჯერადს შორის, ანალოგიურ დამოკიდებულებას სამ რიცხვს შორის, რამდენიმე რიცხვის უმცირესი საერთო ჯერადის პოვნას, ევკლიდეს ალგორითმს, რიცხვთა გაყოფადობის ნიშნების გამოყენებას, თეორემას ნაშთიანი გაყოფის შესახებ, რიცხვის გამყოფთა რაოდენობის დადგენას, წილადების, წილადის შემცველი რიცხვითი და ასოითი გამოსახულებების შეკვეცას, წილადის მიერ მთელი მნიშვნელობების მიღებას და სხვ. ასეთი შინაარსის სასკოლო, საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნა დიდ როლს ასრულებს მოსწავლეების ლოგიკური აზროვნების განვითარებაში და ხელს უწყობს მათემატიკის სისტემატიური კურსის წარმატებით ათვისებას.

მასწავლებელმა უნდა მოახდინოს რიცხვების უმცირეს საერთო ჯერადთან და გამყოფთან დაკავშირებული დაწყებით საფეხურზე შესწავლილი მასალის გამეორება და ახალი საკითხების სწავლება, 7-ზე, 11-ზე და 13-ზე გაყოფადობის ნიშნების გაცნობა მკაცრი მათემატიკური დამტკიცებების გარეშე, ორი/სამი რიცხვის უდიდეს საერთო გამყოფსა და უმცირეს საერთო ჯერადებს შორის კავშირები, ორუცნობიან წრფივი განტოლებების ნატურალურ რიცხვთა სი-

მრავლეში ამოხნადობის კრიტერიუმები და სხვ. შემდეგ მიზანშეწონილია თემატიკის შემცველი ამოცანების ჩართვა სასკოლო მეცადინეობაზე.

დაწყებით საფეხურზე და შემდგომშიც ტექსტური ამოცანების ჩართვა ნატურალურ რიცხვთა გამყოფებსა და ჯერადებზე მათემატიკის სასწავლო პროცესში უნდა დაეფუძნოს განზოგადების პრინციპს, რომელშიც ვგულისხმობთ შემდეგს: მოსწავლეებმა იციან რომ, შეუძლებელია იმ წილადის შეკვეცა, რომლის მრიცხველში და მნიშვნელში მოთავსებული რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი 1-ის ტოლია, ან სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით ამ წილადის მნიშვნელში და მრიცხველში ჩაწერილი რიცხვები ურთიერთმარტივია, ანუ ამ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი 1-ის ტოლია, მაგრამ მათ წარმოდგენა არა აქვთ, რომ მრავალწევრებსაც შეიძლება ქონდეს მსგავსი თვისება, კერძოდ: არსებობს ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრული ისეთი $p(n)$ და $q(n)$ მრავალწევრები, მრავალწევრების ფარდობა $\frac{p(n)}{q(n)}$ უკვეცია n-ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისთვის.

ამოცანა 1. დაამტკიცეთ, რომ წილადი $\frac{27n+4}{18n+3}$ უკვეცია *n*-ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისთვის.

მოსწავლეებმა იციან, რომ ასეთი სახის ამოცანების ამოხსნა მჭიდრო კავშირშია ორუცნობიან წრფივი განტოლებების ნატურალურ რიცხვებში ამოხსნასთან. კერძოდ, თუ მოცემული წილადი იკვეცება, მაშინ წილადის მნიშვნელს და მრიცხველს ექნება საერთო ნატურალური მამრავლი. რადგან $3(18n+3)-2(27n+4)=1$, გამოვიტანთ დასკვნას, რომ 1-იც უნდა გაიყოს ამ მამრავლზე, რაც შეუძლებელია გარდა იმ შემთხვევისა, როცა წილადის მნიშვნელსა და მრიცხველში განთავსებული გამოსახულებების უდიდესი საერთო გამყოფი 1-ის ტოლია. ე.ი. რიცხვები $27n+4$ და $18n+3$ ურთიერთმარტივია n-ის ნებისმიერი ნატურალური მნიშვნელობისათვის.

ამოცანა 2. იპოვეთ $9m+7n$ და $3m+2n$ გამოსახულებების უდიდესი საერთო გამყოფი, თუ m და n რიცხვები ურთიერთმარტივია?

ადვილი შესამჩნევია, რომ $9m+7n$ და $3m+2n$ გამოსახულებების ნებისმიერი საერთო გამყოფი არის აგრეთვე

$$(9m+7n)-3(3m+2n)=n \text{ და } 7(3m+2n)-2(9m+7n)=3m$$

გამოსახულებების გამყოფიც. რადგან m და n რიცხვები ურთიერთმარტივია, ამიტომ n და $3m$ რიცხვების გამყოფები უნდა იყოს რიცხვი 3-ის გამყოფი, ანუ ის არ იქნება 3-ზე მეტი. ეს შესაძლებელია, როცა $m=1$ და $n=3$.

უსგ$(9m+7n, 3m+2n)$=უსჯ$(9, 9)$=3.

ამოცანა 3. დაამტკიცეთ, რომ წილადები უკვეცია ნებისმიერი n ნატურალური რიცხვისათვის: ა) $\frac{2n+13}{n+7}$; ბ) $\frac{2n^2-1}{n+1}$; გ) $\frac{n^2-n+1}{n^2+1}$.

ადვილი საჩვენებელია, რომ ა) $2(n+7)-(2n+13)=1$. ეს ნიშნავს, რომ

უსგ$(2n+13; n+7)=1$.

ბ) $2n^2-1-2(n+1)(n-1)=1$. ეს ნიშნავს, რომ უსგ$(2n^2-1; n+1)=1$.

გ) $n^2+1-(n^2-n+1)=n$. ეს ნიშნავს, რომ უსგ$(n^2+1; n^2-n+1)=1$.

ამოცანა 4. რომელ ნატურალურ რიცხვებზე შეიძლება შევკვეცოთ წილადი $\frac{3m-n}{5n+2m}$, თუ ცნობილია, რომ წილადი კვეცადია და m და n რიცხვები ურთიერთმარტივია.

თუ $3m-n$ და $5n+2m$ იყოფა d-ზე, მაშინ

$17m=5(3m-n)+5n+2m$ და $17n=3(5n+2m)-2(3m-n)$

რიცხვებიც იყოფა d-ზე. მაგრამ უსგ$(17m, 17n)=17$. ე.ი. $d=17$. მაგალითად, ეს შესაძ-ლებელია, როცა $m=1, n=3$ (ან $m=6, n=1$).

ამოცანა 5. *n*-ის რომელი მთელი მნიშვნელობებისთვის იკვეცება წილადები:

ა) $\frac{n^2+2n+4}{n^2+n+3}$, ბ) $\frac{n^3-n^2-3n}{n^2-n+3}$.

ა) რადგან $(n^2+2n+4, n^2+n+3)=(n+1, 3)$, ამიტომ წილადი შეიკვეცება მაშინ, როცა $(n+1, 3)=3.$ ანუ, როცა $n=3k+1.$

ბ) რადგან $(n^3-n^2-3n, n^2-n+3)=(n^2-n+3, 6n)$, ამიტომ წილადი შეიძლება შეიკვეცოს ან 2-ზე, ან 3-ზე, ან n რიცხვის რომელიმე გამყოფზე. პირველი შემთხვევა შეუძლებელია, რადგან n^2-n+3 გამოსახულება სულ კენტ მნიშვნელობებს ღებულობს. მეორე შემთხვე-ვაში n უნდა იყოს ან $3k$ -ს ან $3k+1$-ის ტოლი. მესამე შემთხვევაში $(n^2-n+3, n)=(n, 3)$, ამიტომ n ისევ $3k$-ს ტოლი უნდა იყოს. ე.ი. წილადი შეიკვეცება მაშინ, როცა $n=3k$ და $n=3k+1.$

ამოცანა 6. რა უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს m და n რიცხვების უდიდესმა საერთო გამყოფმა, თუ $m\cdot n=600.$

ამ ამოცანის ამოხსნის დაწყებამდე მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა გაამახ-ვილოს იმაზე, რომ m და n რიცხვების ნამრავლი იყოფა ამავე რიცხვების უდიდესი საერთო გა-მყოფის კვადრატზე. ამის შემდეგ ამოცანის ამოხსნის პროცესი მარტივდება. 600-ის გამყოფებს შორის უდიდესია 10, რომლის კვადრატზეც იყოფა 600. ე.ი.საძიებელი რიცხვია 10.

ამოცანა 7. $n_1, n_2, \ldots, n_{49}$ ნატურალური რიცხვები ისეთია, რომ $n_1+n_2+\ldots+n_{49}=540.$ რა უდი-დესი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს ამ ნატურალური რიცხვების უდიდესმა საერთო გა-მყოფმა?

ცხადია, რომ მოცემული რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი არ აღემატება ამ რიცხვებს შორის უმცირესს. ამიტომ

$$\text{უსგ}(n_1, n_2, \cdots, n_{49}) \le \frac{549}{11}=11\frac{1}{49}.$$

რადგან მოცემული რიცხვები უდიდესი საერთო გამყოფი ნატურალური რიცხვია, ამიტომ უნდა განვიხილოთ შემთხვევები, როცა ამ რიცხვების უსგ არ აღემატება 11-ს.

ვთქვათ, ამ რიცხვების უსგ 11-ის ტოლია. მაშინ ამ რიცხვების ჯამი არ აღემატება $11\cdot 49$ = 539 = 540 - 1. მივიღეთ, რომ ეს არის რიცხვების ერთადერთი მიმდევრობა, რომელსაც შეიძლება დაეკმაყოფილებინა ამოცანის პირობა, ეს არის 11-ის ტოლი 48 რიცხვი და ერთი 12-ის ტოლი რიცხვი. მაგრამ 12 არ არის 11-ის ჯერადი. ეს შემთხვევა არ გამოდგება.

ვთქვათ, ამ რიცხვების უსგ 10-ის ტოლია. მაშინ ამ რიცხვების ჯამი არ აღემატება $10\cdot 49$ = 490 = 540 - 50. ადვილი შესამჩნევია, რომ რიცხვების მიმდევრობა, რომელშიც 10-ის ტოლია 48 რიცხვი და ერთი რიცხვია 50, რომლებიც აკმაყოფილებენ ამოცანის პირობებს. მივიღეთ, რომ ამ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი 10-ის ტოლია.

ამოცანა 8. 10 ნატურალური რიცხვის ჯამია 1001. რა უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება მიი-ღოს ამ რიცხვების უდიდესმა საერთო გამყოფმა?

თავდაპირველად შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ 10 ნატურალური რიცხვი საძიებელი უდი-დესი საერთო გამყოფი 100-ს არ აღემატება და ამავე დროს ის არის 1001-ის გამყოფი. თუ დავ-შლით 1001-ს მარტივ თანამამავლთა ნამრავლებად, მივიღებთ, რომ ის წარმოდგება სამი ერ-თმანეთის მომდევნო მარტივი რიცხვების ნამრავლით $1001=7\cdot 11\cdot 13$. 1001-ის 100-ზე ნაკლები გამყოფებია, 7, 11, 13, 77 და 91. ცხადია,

$$1001=7\cdot 11\cdot 13=11\cdot 91=9\cdot 91+2\cdot 91=9\cdot 91+182.$$

ე.ი. თუ ავიღებთ 91-ის ტოლ ცხრა რიცხვს და მეათე რიცხვი იქნება 182, მაშინ მათი ჯამი იქნება 1001, ხოლო მათი უდიდესი საერთო გამყოფი იქნება 91, რომელიც აკმაყოფილებს ამოცანის პირობებს.

ამოცანა 9. იპოვეთ m და n ნატურალური რიცხვების ყველა წყვილი, რომელთათვისაც სრულდება ტოლობა:

$$\text{უსჯ}(m,n) - \text{უსგ}(m,n) = \frac{m\cdot n}{5}.$$

ვისარგებლოთ იმით, რომ n და n ნატურალური რიცხვების $\text{უსჯ}(m,n)$ იყოფა ამავე რიცხვე-ბის $\text{უსგ}(m,n)$-ზე და $\text{უსჯ}(m,n)\cdot\text{უსგ}(m,n)$ = $m\cdot n$. ვთქვათ, $\text{უსგ}(m,n)=k$, მაშინ $\text{უსჯ}(m,n)=kp$, სადაც $k, p\in N$. ჩავსვათ მოცემულობაში. გვექნება:

$5(kp-k)=pk^2$,
ანუ,
$5(p-1)=pk.$

ადვილი საჩვენებელია, რომ ამ განტოლებას ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში აქვს ერთადერთი ამონახსნი, როცა $k=4$ და $p=5.$ რაც ნიშნავს, რომ:

უსჯ(m,n) = 20, უსგ(m,n) = 4, $m\cdot n=80$.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე რიცხვებიდან არცერთი არ არის 4-ზე ნაკლები და ერთ-ერთი 5-ის ჯერადია. საიდანაც დავასკვნით, რომ საძიებელი რიცხვე-ბია 4 და 20.

ამოცანა 10. დაფაზე დაწერილია ისეთი ორნიშნა შედგენილი რიცხვები, რომ მათ შორის ნებისმიერი ორი რიცხვი ურთიერთმარტივია. ყველაზე ბევრი, რამდენი ასეთი რიცხვის დაწერაა შესაძლებელი?

შეფასება. ვინაიდან დაფაზე დაწერილი ნებისმიერი ორი რიცხვი ურთიერთმარ-ტივია, ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მათ შორის არაუმეტეს ერთი რიცხვი იყოფა 2, 3, 5 და 7 მარტივი რიცხვებიდან არაუმეტეს ერთზე. თუ დაფაზე ხუთი ან მეტი რიცხვია დაწერილი, მაშინ ამ რიცხვებიდან ერთის მარტივ თანამამრავლებად დაშლა უნდა შეიცავდეს მარტივ რიცხვს, რომელიც 11-ზე ნაკლები არ არის და ამავე დროს შედგენილია. ეს ნიშნავს, რომ ასეთი რიცხვი არ შეიძლება იყოს 11-ის ჯერადი შედგენილი ორნიშნა რიცხვიდან 22, 33, 44, 55, 66, 77, 88, 99 რომელიმე, რადგან 22, 44, 66 და 88 იყოფა 2-ზე, 33 და 99 იყოფა 3-ზე, 55 იყოფა 5-ზე, 77 იყოფა 7-ზე. ასეთი შედგენილი უმცირესი რიცხვია 121, რომელიც სამნიშნაა და ამოცანის პირობას არ აკმაყოფილებს. ამიტომ, დაფაზე დაწერილია არაუმეტეს ოთხი რიცხვი. მაგალითად, ასეთი ოთხეულებია: 25, 26, 33, 49, ან 25, 39, 46, 49, ან 25, 49, 51, 88 და სხვ. მკითხველს თვითონაც შეუძლია შეადგინოს ასეთი ოთხეულები.

ამოცანა 11. პოვეთ ისეთი m და n ნატურალური რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი, თუ ცნობილია, რომ m რიცხვის 6-ით გაზრდით ამ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი იზრდება 9-ჯერ.

ვთქვათ, უსგ$(m,n)=d$, მაშინ $m=xd, n=yd$,, სადაც x და y ნატურალური რიცხვებია. ამოცანის პირობის თანახმად, $xd+6$ იყოფა $9d$ -ზე. ანუ, $xd+6=9zd.$ საიდანაც, $d(9z-x)=6$

რაც ნიშნავს, რომ d რიცხვი 6-ის გამყოფია. გარდა ამისა, რიცხვები $m+6$ და n იყოფა 9-ზე. ამიტომ m არის 3-ის ჯერადი. შესაბამისად, d რიცხვიც 3-ის ჯერადია. ამიტომ, საკმარისია შევამოწმოთ $d=3$ და $d=6.$

ვაჩვენოთ, რომ ორივე შემთხვევა გამოდგება:

უსგ$(21,27)=3,$ უსგ$(27,27)=27,$ ან უსგ$(21,54)=3,$ უსგ$(27,54)=27,$

უსგ$(48,54)=6,$ უსგ$(54,54)=54,$ ან უსგ$(48,270)=6,$ უსგ$(54,270)=54.$

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძულიშვილი გიორგი-საძიებო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლე-ბის მეთოდები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცმლობა. ქუთაისი. 2024 წელი. 592 გვ.
2. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი. საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა. ქუთაისი. 2016 წელი. 680 გვ.
3. ბერძულიშვილი გიორგი, ბრეგაძე გიორგი, მარგველაშვილი გენადი-საოლიმ-პიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. აკაკი წერეთლის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2019 წელი. 536 გვ.
4. ბერძულიშვილი გიორგი, დოგრაშვილი თამარი, ბრეგაძე გიორგი, გოგიბერიძე ირინე. საძიებო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში (I-VI კლა-სები). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2023 წელი. 384 გვ.
5. ჯინჯიხაძე ჯემალ. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნო-ლოგია. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2011 წელი. 853 გვ.

Nana Oniani-Saginadze,
Akaki Tsereteli State University, Associate Professor,
Giorgi Berdzulishvili,
Akaki Tsereteli State University, Professor.

Methodological Remarks on Common Multiples and Divisors of Numbers and Their Teaching Methods

summary

By studying the algorithm for finding the least common multiple of numbers and the greatest common divisor, in the school mathematics course, the study of operations on fractions is carried out, and after that neither theoretical issues nor problems are solved on multiples and divisors of numbers. It has been methodically proven that problems, the solution of which is related to the least common multiple and the greatest common divisor of natural numbers, enrich and deepen the level of students' mathematical knowledge, form logical thinking and create opportunities for students to be able to solve exploratory and Olympiad mathematical problems of this topic. Mathematical problems on common multiples and divisors of numbers are quite extensive and include many sections. In the article, we limited ourselves to the discussion of school, exploratory and Olympiad problems in which various relationships between the greatest common divisor and the least common multiple of two numbers are determined, and we attached methodical recommendations to the search for ways to solve them. Pedagogical experiment proved that the solution of school, exploratory and Olympiad problems of such content plays a big role in the formation of logical thinking of students and contributes to taking successfully the systematic course of mathematics.
Key words: natural number, multiple, divisor, fraction, truncation.

განათლების ფსიქოლოგია

ლია ქურხული
ფსიქოლოგიის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი

ოჯახში ბავშვის რიგითობა და არათანაბარი აღზრდით გამოწვეული პრობლემები

რეზიუმე: *ოჯახის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია მასში დამკვიდრებული ურთიერთობების სწორად წარმართვა. მშობლების და შვილების ურთიერთობა ყველაზე ძლიერი, იმანენტური კავშირია, რომელიც ყველა დანარჩენი ურთიერთობებისგან განსხვავებულია.*
ოჯახის წევრების - უფროსების და შვილების თანაცხოვრების პირობებში ყალიბდება და ვითარდება ინდივიდუალური ოჯახური მოდელი. ყოველივე დამოკიდებულია მათ პიროვნულ მახასიათებლებზე, ოჯახის სტრუქტურასა კომუნიკაციის ფორმაზე.
ზოგადად, თითოეული ბავშვი, ინდივიდი უნიკალურია თავისი ფიზიკური და ფსიქო-ემოციური გამოვლინებებით, სოციალიზაციისა და უნარ-ჩვევების მიხედვით. თუმცა ამ კალეიდოსკოპურ მრავალფეროვნებაში მაინც ძალუმად შეინიშნება ის ზოგადი კანონზომიერებები, რომლებითაც ხასიათდებიან რიგითობის მიხედვით ოჯახში გაჩენილი პირველი და მომდევნო შვილები (შუათანა, მესამე, მეოთხე, ნაბოლარა, ტყუპები და ა.შ. ბავშვები), ოჯახში ბავშვების რაოდენობრივი ცვლილება, როგორ წესი, იწვევს არა მარტო მშობელთა მათდამი მოპყრობის, ქცევის კორექციას, განსხვავებული სტერეოტიპის ფორმირებას, არამედ თავად ბავშვთა ქცევის მოდელის ფორმირებას, რომელიც მათ დიდწილად უნარჩუნდებათ მოზრდილობის ასაკშიც. შესაბამისად, მშობლებს მართებთ აღზრდის ზოგადი მეთოდებისა და პრინციპების გამოყენებასთან ერთად მაქსიმალურად გაითვალისწინონ ოჯახში თითოეული ბავშვის რიგითობასთან დაკავშირებული სპეციფიკური თვისებები და უზრუნველყონ მათი ყოველდღიური გამოყენება შესაბამისი რიგითობის ბავშვებთან, ამ უკანასკნელთა ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.
საკვანძო სიტყვები: *რიგითობა, პირველი შვილი, შუათანა, ნაბოლარა, დედისერთა, ტყუპები.*

შესავალი

ავსტრიელი ექიმის, ფსიქოლოგის და ფსიქოთერაპევტის, ალფრედ ადლერის (1870-1937) თეორიის მიხედვით, ბავშვის დაბადების რიგითობა გავლენას ახდენს მის მომავალ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახში ბავშვის სწორ აღზრდას და აღნიშნავდა, რომ ერთ ოჯახში დაბადებული ბავშვების ფსიქო-სოციალური, პიროვნული განვითარება დიდწილად სწორედ მათი დაბადების რიგითობაზეა დამოკიდებული.

ადლერი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა შვილებთან მიმართებაში დედის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. მისი აზრით, მშობლების მიერ ბავშვებთან არათანაბარი აღმზრდელობითი სტილის გამოყენება მათში ბადებს გაუცნობიერებელ წყენას, რომლისგანაც შესაძლოა ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ გათავისუფლდნენ. ზრდასრულ პერიოდში მშობლების მიმართ გამოხატული გულგრილი, გაუცხოებული დამოკიდებულება სწორედ ბავშვობიდან გამოყოლილი ფარული წყენის ანარეკლი შეიძლება იყოს.

ადლერის აზრით, ოჯახი, საზოგადოება, და ადამიანის ცხოვრების სხვა სფეროები ასევე აყალიბებს მათ ჰარმონიულ პიროვნებად. [1]

ადლერის თეორიამ ბიძგი მისცა სხვა მეცნიერებს, კერძოდ, ბავშვის ფსიქოლოგს და ფსიქიატრს ალან ფრომს (წიგნი „ანბანი მშობლებისთვის“) და რ. დრეიკურსს უფრო ღრმად შეესწავლათ დაბადების რიგითობის გავლენა პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ სწორი აღზრდით მშობელს ყოველთვის შეუძლია, შეუქმნას შვილს ისეთი გარემო, სადაც მის ჯანსაღ, ჰარმონიულ პიროვნულ განვითარებას საფრთხე არ დაემუქრება.

1. **Adler, Alfred.** *Understanding Human Nature*. Hazelden, 1998.

აღზრდის სტილი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, ავტორიტარი მშობლები, ავტორიტეტულისგან განსხვავებით, ბავშვებთან დამოკიდებულებაში ხშირად ხელმძღვანელობენ მორჩილების მორალით, სწრაფად ახშობენ მათი მხრიდან გამოხატულ წყენას, პროტესტს და მოუწოდებენ ბრძანებებისადმი დაქვემდებარებასა და უსიტყვო მორჩილებას. ამ სტილით მართულ ოჯახში იზრდება დაბალი თვითშეფასებისა და ბევრი სხვა უარყოფითი, არასასურველი თვისებების მქონე ბავშვი. ასეთი მოსწავლე თანატოლების მხრიდან ხშირადაა ბულინგისა და დამცირების მსხვერპლი.

ვისკონსინის მედისონის უნივერსიტეტის მიერ 14-21 წლის ახალგაზრდებთან ჩატარებული კვლევის მიხედვით, პირველი შვილი უფრო წარმატებულია, ვიდრე მისი უმცროსი და-ძმა. ასევე, მათი მტკიცებულებით, უფროსები განსაკუთრებით გამოირჩევიან ინტელექტუალური შესაძლებლობებით. მათ უკეთ გამოსდით თითქმის ყველაფერი, ვიდრე უმცროსებს. აღნიშნული მონაცემები მიიღეს მშობლებთან ინტერვიუებით, ასევე სხვადასხვა ცვლადების კორელაციური ანალიზით. შეისწავლეს ადრეული ბავშვობის ჯანმრთელობის ისტორიები, სკოლაში ჩატარებული ტესტების შედეგები, ოჯახური მდგომარეობა, დასაქმება, შემოსავლები, განათლების ხარისხი, გარემო პირობები და სხვა. [2]

ოჯახში პირველი შვილი, მეორე შვილის დაბადებამდე, უნიკალურ პოზიციაშია. მანამდე ის ერთადერთ უსაყვარლეს შვილად, „ხელმწიფე/დედოფლად“ ითვლება. მეორე ბავშვის დაბადება მისთვის ტახტიდან ჩამოგდებას ნიშნავს. ამით ის კარგავს თავის განსაკუთრებულ, უნიკალურ პოზიციას, უღვივდება შურის და ეჭვიანობის ემოციები და მუდმივ მცდელობაშია დაიბრუნოს მშობლების ყურადღება, მზრუნველობა და სიყვარული.

უფროსი შვილი შეიძლება იყოს ავტორიტარიც და ავტორიტეტიც. იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის გრძნობით, მიზანდასახულობით, მუდმივად მიილტვის მიღწევებისკენ. იგი დროდადრო მშობლების ფუნქციებს და ვალდებულებებსაც ითავსებს, ზრუნავს უმცროს და-ძმაზე, განსაკუთრებით ოჯახური პრობლემების შემთხვევაში. კერძოდ, გაყრის, მშობლების საზღვარგარეთ წასვლის, ავადმყოფობის და რიგი სხვა მიზეზების გამო.

ოჯახში მისი უნიკალური პოზიციის გამო, უფროსი ბავშვი მიჩვეულია მშობლების ყურადღების ცენტრში ყოფნას. მან დროის გარკვეულ პერიოდში უფრო მეტი დრო დაყო მშობლებთან, ვიდრე სხვა და-ძმებმა. ოჯახის წევრებს მის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინები უყალიბდებათ, კერძოდ, ის უნდა იყოს წარმატებული, მიაღწიოს კარიერულ მწვერვალებს. აქედან გამომდინარე, მას მუდმივად აქვს შიშის განცდა, რომ ვერ შეძლებს უფროსების მოლოდინების გამართლებას. ხშირად დაკისრებული პასუხისმგებლობების გამო დანაშაულის გრძნობას განიცდის და ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში. იგი ასევე გამოირჩევა ლიდერობის თვისებებით. ვერ ახერხებს მოდუნებას და ცხოვრებით სიამოვნების მიღებას. მისი მთავარი სტრატეგიაა: „მე ვიმსახურებ სიყვარულს, პატივისცემას, შექებას, აღიარებას“:.

მიუხედავად ყოველივესი, მან შესაძლოა მიიღოს სტრესი, რომელიც უმცროსი და ან ძმის დაბადებამ და „ტახტიდან ჩამოგდების“ შეგრძნებამ შესძინა. ეს მოვლენა ასტიმულირებს ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორიცაა ეჭვიანობა და მეტოქეობა. ის სხვადასხვა ფორმით (ღია და ლატენტური პროტესტი, საბოტაჟი უფროსებისაგან წამოსული დავალებების შესრულებაზე, უფროსების მოლოდინებზე, საპირისპირო ქცევა და ა.შ.) რეაგირებს იმაზე, რაც ეკრძალებოდა და დაუშვებელი იყო უფროსი შვილისთვის, დასაშვებია უმცროსისთვის. ხშირ შემთხვევაში პირველი შვილის მიმართ მშობლები უკიდურესად ყურადღებიანები და ჰიპერმეურვეები არიან. ისინი მათგან განსაზღვრული წესების მკაცრად დაცვას მოითხოვენ, რამაც შესაძლოა ბავშვი გახადოს პერფექციონისტი, ზედმეტად ემოციური და ნევროზული.

რაც უფრო მცირე ასაკობრივი სხვაობაა დედმამიშვილებს შორის, მით უფრო მძაფრი კონკურენციაა მათ შორის მშობლების ყურადღების, სიყვარულის და აღიარების მოსაპოვებლად. ხშირად უმცროსი ბავშვის დაბადების შემდეგ, უფროსთან შეინიშნება გარკვეული რეგრესი. - ის ითხოვს საწოვარას, როგორც უმცროსი, ქოთანზე დაჯდომას, თავისუფლად გადაადგილების მიუხედავად, ხელში აყვანას, გამართულად მეტყველების დავიწყებას და ენის მოჩლექით საუბარს. ყოველივე არის მშობლების ყურადღების დასაბრუნებელი თავდაცვითი რეაქცია.

2. **Jones, Eleanor K., and Sarah L. Evans.** *The Family Dynamics Report: Birth Order and Parenting Styles in Modern Families*. Family Research Institute, 2022.

დროთა განმავლობაში უფროსი ბავშვი უმცროსი და-ძმის დაბადების შემდეგ იღებს ლიდერის „თანამდებობას“, რაც მას მცირე ასაკიდანვე პრაქტიკულად მოქმედების უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ის მეურვეობას უწევს თავის და-ძმებს, ეთამაშება, ამეცადინებს, დაყავს სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში, უზრუნველყოფს მათ კვებას და ა.შ.

მშობლებს პირველი შვილის დაბადებისთანავე დიდი მოლოდინები აქვთ მის მიმართ. იმის გამო, რომ ის მშობლების ერთადერთი შვილია, მას არ ყავს უფროსი ძმა ან და, რომელიც დაეხმარება ნებისმიერი სირთულის დაძლევაში, ის უფრო მონდომებით და პასუხისმგებლობით ცდილობს, მარტომ გაართვას თავი მიმდინარე დაბრკოლებებს.

ამასთან, პირველი შვილი ზედმეტი ამბიციურობით გამოირჩევა. ის უფროა მიდრეკილია აკადემიური და კარიერული წარმატებისკენ, იმის გამო, რომ მშობლებისგან მან მიიღო უფლება - ყურადღება გამოიჩინოს და იზრუნოს და-ძმაზე.

როდესაც ბავშვს ზედმეტად მზრუნველი მშობლის განუყოფელი ყურადღება ექცევა, მან შეიძლება ჩათვალოს, რომ მისი ნებისმიერი მოსაზრება და არგუმენტი ყოველთვის მნიშვნელოვანია და მოწიფულ ასაკში არ მოერიდოს და საჯაროდ გააჟღეროს თუნდაც ლოგიკას მოკლებული იდეები.

პირველი ბავშვის აღზრდაში დაშვებულმა შეცდომებმა მოწიფულ ასაკში შეიძლება გავლენა იქონიოს, პროფესიის არჩევაზე, პირადი ოჯახის შექმნასა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე. კონტექსტიდან გამომდინარე, მისი თვისებები შეიძლება ჩაითვალოს როგორც პოზიტიურად, ასევე ნეგატიურად.

შუათანა ბავშვი პრივილეგირებულია, ვიდრე ახალდაბადებული ძმა ან და მას ტახტიდან არ ჩამოაგდებს. სამწუხაროდ, ის ხშირად კარგად აცნობიერებს, რომ არ იქცევს მშობლების იმდენ ყურადღებას, როგორც მისი უფროსი ან უმცროსი დედმამიშვილები. იგი ხვდება, რომ მისი მოთხოვნილებები და სურვილები ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია.

მეორე შვილს, ჩვეულებრივ, მშობლები განსხვავებულად ექცევიან. ამის შედეგი ისაა, რომ, შუათანა შვილი ან გაუბედავი, გულჩათხრობილი და გულჩვილია, ან – აგრესიული და მეტოქეობის ჟინით შეპყრობილი. ეს იმიტომ ხდება, რომ იგი ორ ძმას ან ორ დას შორის აღმოჩნდა. პირველ შემთხვევაში, იგი ჩვეულებრივ ემორჩილება მათ მოთხოვნებს, თუ დაჟინებულ თხოვნას, იმავდროულად იმედი აქვს, რომ კეთილი მამა ან ალერსიანი დედა, მალე მოვა მის დასახმარებლად. მეორე შემთხვევაში, შუათანა შვილი არც ისე დამთმობია, იგი მუდამ თავდაცვით პოზიციას იკავებს და შეტევაზე გადასვლა და გამარჯვების მიღწევა სწყურია, რის წყალობითაც საკუთარ ძალებში დარწმუნებას ახერხებს.

მესამე შვილის გაჩენის შემდეგ მშობლები გრძნობენ, რომ დაიღალნენ ბავშვებზე ზრუნვით, მაგრამ აუცილებელ ზრუნვას არ აკლებენ ახალდაბადებულს; ეს გასაგებია – ჩვილი ხომ უმწეოა, შეუძლებელია მასზე არ იზრუნონ. მშობლების გამოცდილების გათვალისწინებით ამის გაკეთება უკვე სირთულეს არ წარმოადგენს. დიდწილად სწორედ ამის გამო მეორე შვილისთვის მათ თითქმის დრო არ რჩებათ.

ბავშვების ზრდასთან ერთად პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. პირველი შვილი დამოუკიდებელია და სულ უფრო ნაკლებ პრობლემებს უქმნის მშობლებს, მესამე შვილი სულ უფრო მომხიბვლელი და საყვარელი შვილი ხდება, ხოლო შუათანას თუ არ აღმოაჩნდა რაიმე განსაკუთრებული ტალანტი, მისი ღირსებები ძნელად შესამჩნევი ხდება მშობლებისთვის, რაც ძალიან ცუდია, რადგან მას ისეთივე დამოკიდებულება უჩნდება საკუთარი თავის მიმართ, როგორსაც მშობლები იჩენენ მის მიმართ. თუ მას არ აღმოაჩნდა ისეთი მიღწევები და ტალანტი, როგორიც უფროსს, მაშინ ის კარგავს საკუთარი თავის რწმენას და მალევე ხდება გულჩათხრობილი. როდესაც უფროსი შვილი წინდახედული, მშვიდი და ცოტათი გულჩათხრობილია, მოსალოდნელია, რომ შუათანა გახდეს აგრესიული და მასში მეტოქეობის ჟინმა იფეთქოს. ამ ფაქტორების გვერდით, არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლების განწყობა. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები უფროსი შვილის მიმართ უფრო კეთილგანწყობილები არიან, შუათანა შვილი უნებურად მისი მიმბაძველი ხდება, რაც ამ ასაკში ბავშვებს ხშირად თავხედობასა და აგრესიულობაში ეთვლებათ. ხოლო თუ მშობლები განსაკუთრებული ზრუნვით და ყურადღებით ეპყრობიან უმცროს შვილს, ამან შესაძლოა შუათანა შვილში გააღვიძოს მეტოქეობის სურვილი. აღნიშნულ შემთხვევაში, უფროსების მხრიდან ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვი-

ლით ის ეცდება, რომ ყველას ჩამოსცილდეს. ნათელია, რომ ამ ფაქტორების სხვადასხვაგვარ შეხამებას, შემდგომში პრობლემის სხვადასხვაგვარი გართულების გამოწვევა შეუძლია.

დავეხმაროთ შუათანა შვილს, დაიკავოს სწორი პოზიცია – ნიშნავს, გავამხნევოთ იგი და ვასწავლოთ, მოიქცეს ისე, რომ არავინ გაანაწყენოს და არც საკუთარი თავი დაჩაგროს. მშობლებს დიდი მოქნილობა სჭირდებათ, რომ თითოეულ ბავშვს ინდივიდუალურად მოეპყრას. რაც უფრო მეტი ძალისხმევით ეცდება მშობელი შვილებისთვის ამის დემონსტრირებას, მით უფრო მეტად დარწმუნდებიან შვილები მშობლის უპირობო სიყვარულში.

შუათანა ბავშვი ოჯახში რთულ მდგომარეობაშია, რადგან ის ფიქრობს, რომ არ არის სათანადოდ დაფასებული. მაგალითად, ერთერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მშობლები არ უწევენ მოგვიანებით დაბადებულ ბავშვებს ისეთსავე შემეცნებით მხარდაჭერას, როგორც მათ სთავაზობდნენ პირმშოს. შუათანა შვილი ხშირად თავს მიტოვებულად გრძნობს და ფიქრობს: „მე არ ვარ ყველაზე უფროსი, მე არ ვარ ყველაზე პატარა, ვინ ვარ მე?“ ამ სახით გამოხატული იერარქიული შეფასება შუათანა ბავშვს აიძულებს თავისი უპირატესობა გამოხატოს თანატოლებთან, რადგან მშობლების ყურადღება, როგორც წესი, ეძღვნება ოჯახის საყვარელ პირმშოს ან ნაბოლარას.

შუათანა ბავშვი ცნობილია გარემოსთან ადაპტირების, დიპლომატიური და კომპრომისის პოვნის უნარით. ის ხშირად იღებს მშვიდობისმყოფელ როლს ოჯახში. უმცროსი ბავშვი ხშირად ავლენს კომუნიკაბელურ თვისებებს. ის უფრო კრეატიული, ნაკლებად მეამბოხე და ყურადღებისადმი ძლიერი სურვილით შეპყრობილია.

შუათანა შვილს უწევს მშობლების ყურადღების მიქცევისთვის და ოჯახურ სისტემაში თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლა. თავად ა. ადლერი, რომელიც არასრულფასოვნების კომპლექსის თეორიის ავტორიცაა, შუათანა შვილი იყო. იგი თავის ნაშრომებში წერდა, რომ შუათანა შვილი იმყოფება ორმაგი ზეწოლის ქვეშ; მას თან სდევს მუდმივი სურვილი, რომ დაჯაბნოს უფროსი და აგრეთვე განიცდის შიშს, რომ მას შესაძლოა აჯობოს უმცროსმა.

შუათანა შვილთან ხშირად იჩენს თავს იდენტობის სირთულეები, ამის გადასაფარად ის ცდილობს დაეუფლოს რაღაც განსხვავებულ, არაორდინალურ პროფესიას, რაც მას გამოარჩევს სხვებისგან. მაგალითად, სწავლობს სხვადასხვა ენას ან თავს გამოიჩენს სპორტის რომელიმე სახეობაში.

შუათანა შვილს ხშირად აქვს თვითშეფასების პრობლემა, რადგან გამუდმებით უფროსისა და უმცროსის ჩრდილქვეშ გრძნობს თავს. ხშირად მშობლები – გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც – უფროს შვილს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ და დიდ იმედებს ამყარებენ მასზე, ნაბოლარას პატარა ბავშვად აღიქვამენ და ცდილობენ, ყველა სურვილი აუსრულონ, ხოლო შუათანა თითქოს ყოველგვარ განსაკუთრებულებას მოკლებულია.

მართალია, შუათანა შვილები ადვილად ეჩვევიან დამოუკიდებლობას, მაგრამ ზოგჯერ უჭირთ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება, რადგან მიიჩნევენ, რომ არცთუ ისე საინტერესონი არიან.

შუათანა ცდილობს მეტოქეობა გაუწიოს უფროს და უმცროს და-ძმებს, რათა მშობლების ყურადღება დაიმსახუროს, დაამტკიცოს, რომ ისიც განსაკუთრებულია. მუდმივად დაუკმაყოფილებლობის განცდა ეუფლება და ცდილობს ყველას დაუმტკიცოს, რომ არც ერთი არაფრითაა მასზე მეტი.

შუათანა შვილს იშვიათად აქვთ განცდა, რომ მშობლების ფავორიტია. მაშინ როდესაც უფროსმა იცის, რომ პირველი შვილია, პირველი სიხარული და, შესაბამისად, განსაკუთრებულად უყვართ, ნაბოლარამ კი იცის, რომ ნაბოლარაა, რომ ყველა ყოველთვის ბავშვად აღიქვამს და, შესაბამისად, ყოველთვის ექნება უპირატესობა და-ძმებთან შედარებით.

თუ შუათანას ბავშვობაში ხშირად უწევდა და-ძმის გაშველება, მომავალში, სამსახურშიც და მეგობრების წრეშიც შესაძლოა იგივე როლი მოირგოს, ასევე საკუთარი თავის გამუდმებით სხვებთან შედარების ჩვევა ჩამოუყალიბდეს, რადგან ბავშვობაში და-ძმას ედრებოდა და ცდილობდა, თავისი განსაკუთრებულობა დაემტკიცებინა, მაშინ როდესაც სხვებს ამის მტკიცება არ სჭირდებოდათ. საუკეთესო მეგობრის სტატუსზე შეიძლება არ ჰქონდეს პრეტენზია, ან ვერასოდეს დაიჯეროს, რომ საკმარისად საინტერესოა პარტნიორისთვის.

მეორე ბავშვის სინდრომის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია შედარება, რომელიც მშობლების

მხრიდან ბუნებრივად ხდება. პირველი დაბადებული ბავშვი ხშირად ემსახურება როგორც ეტალონს, რომლის მიხედვითაც ფასდება მეორე ბავშვის მიღწევები და ქცევები. სისტემატიურმა შედარებამ შეიძლება მუდმივი კონკურენციის განცდა ჩამოუყალიბოს შუათანას, ან გავლენა მოახდინოს თვითშეფასებაზე და დააბრკოლოს მისი მომავალი განვითარება.

ყველაზე სანდო თეორიის თანახმად, შუათანა შვილებს მშობლებთან უფრო დისტანციური დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე მათ და-ძმებს. 2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შუათანა შვილებს უფროსებსა და უმცროსებზე მეტად გაუჭირდათ მშობლებთან სქესობრივ განათლებაზე საუბარი.

1998 წელს ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ შუათანა შვილები იშვიათად არიან და-ძმებს შორის დედასთან ყველაზე ახლოს. ამავე კვლევის შედეგად გაირკვა, რომ უსიამოვნებების შემთხვევაში დახმარებისთვის მშობლებს ყველაზე იშვიათად შუათანა შვილები მიმართავენ – ისინი, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებლად ან მეგობრების დახმარებით ცდილობენ პრობლემების მოგვარებას.

2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის ფარგლებშიც 320 სტუდენტი გამოკითხეს გაირკვა, რომ მათ შორის, ვინც უახლოეს მომავალში ოჯახის შექმნას არ აპირებდა, პროცენტულად ყველაზე მეტი შუათანა იყო.[3]

როდესაც ოჯახში მესამე შვილი შემოდის, მშობლებს უკვე აქვთ შვილების აღზრდის მრავალწლიანი გამოცდილება, ისინი უფრო უხალისო და მოდუნებულები არიან მისდამი მიმართებაში. მესამე შვილი ხშირ შემთხვევაში უფრო მშვიდი და ადვილად გასაზრდელი ბავშვია. ყველაზე უმცროსი (თუნდაც ორიდან) როგორც წესი, ლაღი და კარგ განწყობაზე მყოფია.

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, იმის გამო, რომ მშობლები, ნაკლებად აკონტროლებენ უმცროსს, ვიდრე მათ უფროს და-ძმას, უმცროსები გამოიმუშავებენ ყურადღების მიპყრობის საკუთარ ხერხებს და ამდენად კარგი მანიპულატორები არიან. თუმცა ზოგჯერ უმცროსი შვილი ყვირილით, შემაწუხებელი ნეგატიურ ქცევებით შეიძლება მთელი ოჯახის მასზე ორიენტირებულობას ითხოვდეს.

დაკავებულ მშობლებს ცოტა დრო აქვთ იმისთვის, რომ ასწავლონ უმცროსს ფეხსაცმელების შეკვრა ან თავად ჩაცმა. ხშირად ყველასთვის მომხიბვლელი და საყვარელი პატარა ადამიანი უნარების ნაკლებობას განიცდის და ხდება ძალიან დამოკიდებული. იმ ოჯახებში, სადაც რამდენიმე ბავშვი იზრდება, მშობლები უმცროს შვილს გამორჩეულად ეპყრობიან. ალერსსა და სინაზეს მხოლოდ სიტყვით არ გამოხატავენ. ახლობლები გულწრფელად თვლიან მას პატარად და დიდი ხნის განმავლობაში ისე ეპყრობიან, როგორც უსუსურს, მაშინაც კი, როცა ის ამ ასაკიდან გამოდის. მსგავსი ინფანტილიზმის ნიშნები ხშირია ზრდასრულ ასაკშიც.

უმცროსი ბავშვის წინაშე ხშირად სხვა სახის ფსიქოლოგიური სიძნელეებიც დგება, როდესაც მასსა და უფროს და-ძმას შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ამ დროს ის არა ორი (მშობლების), არამედ 4 ან 5 „ავტორიტეტის" წინაშე დგება, რაც არა მხოლოდ ახანგრძლივებს მის ბავშვობას, არამედ მტრობისა და სასოწარკვეთილების გრძნობასაც აღვივებს მასში.

კიდევ ერთი გამოწვევა, რომელსაც სამიდან უმცროსი განიცდის, არის ის, რომ მას ჰყავს ორი უფროსი და-ძმა, რომლებსაც შეუძლიათ იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე მას შეუძლია ან მისი სისტემატიური დამოძღვრის უფლება აქვთ მშობლების მხრიდან მინიჭებული, შედეგად, მან შეიძლება ინერვიულოს, რომ ის რაღაცით განსხვავებულია და ჩამოუყალიბდეს არასრულფასოვნების კომპლექსი. იგი ცდილობს თავის და-ძმებს გაუთანაბრდეს და აუჯანყდეს ოჯახს - თმა ლურჯად, მწვანედ, იასამნისფრად შეიღებოს, რათა დაამტკიცოს თავისი უნიკალური იდენტობა. ისინი არ არიან დისციპლინით და სტანდარტების დაცვით გამორჩეულები. უმცროსი – მუდმივად მზადაა სხვების მხრიდან მზრუნველობა მიიღოს. ხშირად აქვთ დისციპლინასთან დაკავშირებული სირთულეები, უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. უფროსები მათ მიმართ არ ამჟღავნებენ განსაკუთრებულ მოლოდინებს მიღწევებთან დაკავშირებით. არც ოჯახურ საქმიანობაში ჩართვას სთხოვენ. არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ ის დარჩეს გათამამებულ ბავშვად.

3. **American Psychological Association (APA).** "Understanding Birth Order and Family Dynamics." *APA.org*, 2020.

დედისერთა

დედისერთა – შვილი არის ერთდროულად უფროსიც და უმცროსიც ოჯახში. დედისერთებს გააჩნიათ უფროსი შვილის ბევრი თავისებურება და ამასთანავე ინარჩუნებენ უმცროსი შვილის თვისებებს ზრდასრულობაშიც. ერთადერთი შვილები, დიდწილად სხვა შვილებთან შედარებით, ემსგავსებიან მისივე სქესის მშობელს. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ მშობლები და, როგორც წესი, ისინი წარმატებულები ხდებიან. ხშირად ზედმეტად მიჯაჭვულები არიან მშობლებზე და რთულად ეგუებიან სეპარაციას. ისინი თითქოს ნაადრევად დაბერებული ბავშვები არიან. კომფორტულად გრძნობენ თავს მარტოობაში. ეგოცენტრულობა მათი გამორჩეული თავისებურებაა. მათთვის უცხოა კონკურენტობა. საკუთარი გადმოსახედიდან, ისინი უნიკალურები და უალტერნატივოები არიან. უჭირთ ჯგუფში მუშაობა, ვერ წარმოუდგენიათ, რომ შესაძლებელია საქმის განაწილება და დახმარების თხოვნა. დედისერთა ბავშვებს უყვართ მარტო ყოფნა.

არსებობს გარკვეული მსგავსება პირველ შვილსა და დედისერთას შორის. ყველა პირველი დაბადებული ბავშვი ერთ დროს ერთადერთი შვილი იყო. მოულოდნელად, ამ ბავშვის ცხოვრებაში კიდევ ერთი და-ძმა შემოვიდა და მან უნდა მოძებნოს სხვა გზა, რათა თავისი მეობა არ დაკარგოს ოჯახში. დედისერთა ამგვარი ძიებისა და ძალისხმევისაგან თავისუფალია.

დედისერთები შეიძლება ჩამოყალიბდნენ პიროვნების ორ ძირითად ტიპად, მორჩილებად, ძლიერი ნებისყოფის მქონედ, ან აგრესიულ ბავშვებად.

მეოთხე შვილი

მეოთხე შვილებს ხშირად უვითარდებათ ადამიანებთან კარგი ურთიერთობის უნარი. ეს, იმის შედეგია, რომ ისინი იზრდებიან სხვადასხვა ტიპის და ხასიათის და-ძმებთან. მეოთხე შვილები ასევე შეიძლება იყვნენ შესანიშნავი მოაზროვნეები და შეუძლიათ მართონ რთული სიტუაციები. ისინი ასევე შეიძლება გახდნენ ანალიტიკოსები, შრომისმოყვარეები და შეიძლება იყვნენ დაძაბული ან პასიურები.

სხვადასხვა კვლევების მონაცემებით, მრავალშვილიან ოჯახებში, ანუ ისეთ ოჯახებში, სადაც სამზე მეტი და-ძმაა, ბავშვებს იშვიათად აქვთ რიგითობის პრობლემა, ან რომელიმე შვილის სინდრომი. განსაკუთრებით კი შუათანა შვილს. ეს იმის დამსახურებაა, რომ ბავშვი მარტო არ არის ამ მდგომარეობაში, არ არის ერთადერთი „მეორე" ოჯახში. ასეთ ოჯახებში ბავშვები ხშირად ინაწილებენ როლებს და თითოეულ მათგანს თავისი როლი განსაკუთრებულად მიაჩნია, სჯერა, რომ ოჯახის ფუნქციონირებაში თავისი უნიკალური წვლილი შეაქვს.

ტყუპები...

ტყუპები – მათთვის უფროს/უმცროსის პარამეტრები განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა რიგითობით დაიბადნენ ოჯახში. მაგ, ტყუპები, რომლებსაც ჰყავთ უფროსი და/ძმა, ისინი ფუნქციონირებენ როგორც უმცროსები. როცა მშობელმა იცის, რომ ერთერთი მათგანი გაჩნდა პირველი და მათ არ ჰყავთ უფროსი და/ძმა ისინი იფუნქციონირებენ როგორც უფროსი და უმცროსი შვილი. როგორც წესი, ტყუპები თავიანთ და-ძმებთან შედარებით, ან სხვა პოზიციის ბავშვებთან შედარებით ტესტირებისას ავლენენ ყველაზე დაბალ ინტელექტის მაჩვენებლებს. რაც განპირობებულია თანატოლების, ან სხვა უფროსი ბავშვების მიმართ ნაკლები ინტერესით. მოზრდილ ასაკში მათ აქვთ ერთმანეთისგან სეპარაციის და იდენტობის სირთულეები. განსაკუთრებით მაშინ თუ ისინი ერთი სქესისანი არიან.

დასკვნა

მრავალრიცხოვანი კვლევებითა და ექსპერიმენტებით ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი დაბადების რიგითობის როლი პიროვნების ფსიქო-სოციალური უნარების ფორმირებასა და ქცევის სტილის ფორმირებაში. აღნიშნული ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება მშობელთა მიერ ჯანსაღი და ჰუმანურ პრინციპებზე ორიენტირებული მომავალი თაობის ფორმირებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბევრი ინდივიდუალური და ჯგუფური კონფლიქტი არა თუ ბავშვებსა და მოზარდებში, არამედ მოზრდილ ადამიანებში თავიდან იქნებოდა აცილებული ან გაცილებით სუსტი და ადვილად დაძლევადი იქნებოდა, მათი ბავშვობის ასაკში რიგითობის სპეციფიკის გათვალისწინებით მშობლების აღმზრდელობით დოქტრინაში სწორი აქცენტები რომ ყოფილიყო გაკეთებული.

მშობლის მიერ დაუგეგმავი და არათანმიმდევრული აღზრდის მეთოდები შვილებს შორის მომავალში იწვევს მუდმივ კონფლიქტს, ქმნის სტრესულ კლიმატურ გარემოს როგორც მშობლის, ასევე შვილებისთვის.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ბავშვთა რიგითობის ფაქტორი არათუ მათი სოციალიზაციის, ემპათიის განვითარებაში, არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის მხრივაც. კერძოდ, ისეთი ფსიქიკური დარღვევების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა, დეპრესია, შიზოფრენია, აუტიზმი და ანორექსია. კვლევებმა აჩვენეს, რომ დაბადების რიგითობა და შუათანა შვილის სინდრომი საკმაოდ საყურადღებო ფაქტორებია.

ყველაზე ეფექტური არის ოჯახური თერაპია: თერაპიის ეს ფორმა სასარგებლოა, როდესაც მთელი ოჯახი მზადაა მასში მონაწილეობისთვის. ეს ხელს უწყობს მათი ოჯახური ურთიერთობის გაუმჯობესებას.

კოგნიტური ქცევითი თერაპია (CBT): კარგი საშუალებაა ისწავლოს ბავშვმა აზრების გაუმჯობესება და მათი ქცევაში გადატანა.

ემოციური განმუხტვის თერაპია. (EFT): ეს მოდალობა ფოკუსირებულია ,დაეხმაროს ბავშვს თავისი გრძნობების ეფექტური საშუალებებით გამოხატვაში.

სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ მშობელი არ იყოს მიკერძოებული, მან თავის შვილებს თანაბრად უნდა გაუნაწილოს სითბო, სიყვარული და ყურადღება. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უპირობოდ უყვარდეთ თითოეული მათგანი; თუმცა რეალურად, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ამას ვერ ახერხებენ და ვერ აცნობიერებენ თუ რატომ და რა ნიშნით ასხვავებენ შვილებს, რა პრობლემები შეექმნებათ მომავალში მათ მიმართ გამოხატული არათანაბარი დამოკიდებულების გამო. სამწუხაროდ, თავად სამეცნიერო წრეებშიც არაა მიღწეული კონსენსუსი დაბადების რიგითობის გავლენაზე ბავშვის ფსიქიკურ თუ პიროვნულ განვითარებაზე; ასევე, როგორ გამოვლინდება ის ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ასეთ პირობებში აღნიშნული პრობლემების სიღრმისეული კანონზომიერების დასამყარებლად წარმოებულ კვლევებს საფუძვლად უნდა დაედოს ის გარემოება, რომ ფსიქოლოგებში მაინც არსებობს ერთიანი და ერთნაირი დამოკიდებულება იმაზე, რომ სწორედ მშობლებსა და მათ მიერ შექმნილ გარემოზეა დიდწილად დამოკიდებული ბავშვთა პიროვნებად და სოციალურად აქტიურ სუბიექტად ჩამოყალიბების პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადლერი 2014: ადლერი ალფრედ. ბავშვთა აღზრდა, გამომცემლობა „გეო“თბილისი, 2014.
2. **Adler, Alfred.** Understanding Human Nature. Hazelden, 1998.
3. **Bryant, Jessica M.** “Unequal Parenting: The Influence of Birth Order on Family Interaction Patterns and Emotional Development.” University of California, 2020.
4. **Helmreich, Carolyn, and Deborah L. Phelps.** *The Firstborn Advantage: How Birth Order Influences Personality*. Routledge, 2016.
5. **Jones, Eleanor K., and Sarah L. Evans.** *The Family Dynamics Report: Birth Order and Parenting Styles in Modern Families*. Family Research Institute, 2022.
6. **Leman, Kevin.** *The Birth Order Book: Why You Are the Way You Are (Revised Edition)*. Revell, 2017.
7. **Miller, Robin S., and Tanya A. Watson.** “The Role of Parenting in Shaping Birth Order Effects.” In *Parenting and Child Development: Theories and Practices*, edited by Stephanie L. Jones, 255-274. Wiley-Blackwell, 2021.
8. **Miller, Stephanie, and Barbara White.** *The Oxford Handbook of Parenting and Child Development*. Oxford University Press, 2020.
9. **Psychology Today.** “The Impact of Birth Order on Family Relationships.” *Psychology Today*, 2018. www.psychologytoday.com/articles/author/birth-order
10. **American Psychological Association (APA).** “Understanding Birth Order and Family Dynamics.” *APA.org*, 2020. www.apa.org/monitor/2020/03/birth-order

Lia Kurkhuli,
Doctor of Psychology,
Georgian National University (SEU),
Professor

Problems caused by child order in the family and unequal upbringing

Summary

For a family to function properly, it is important to manage the relationships within it in a way that supports harmonious communication. The relationship between parents and children is the most powerful and inherent connection, distinguishing it from all other relationships within the family.
In the context of the coexistence of family members - parents and children - an individual family model is formed and developed. This process depends on their personal characteristics, family structure, and communication patterns.
In general, each child, as an individual, is unique in terms of physical and psycho-emotional traits, socialization, and skills. However, despite this kaleidoscopic diversity, there are still significant common patterns that characterize the first and subsequent children in a family (middle children, third children, fourth children, youngest, twins, etc.). Changes in the number of children in the family often lead not only to alterations in how parents treat and interact with them but also to the formation of new behavior patterns and stereotypes. These patterns can influence the children's behavior, which often persists into adulthood.
Therefore, in addition to applying general parenting methods and principles, parents should take into account the specific characteristics of each child based on their order of birth. This consideration should guide their approach to daily interactions with each child, taking into account the child's age and gender.
Keywords: Birth order, firstborn, middle child, youngest, only child, twins.

განათლების და პედაგოგიკის ისტორია

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თეკლა გამგებელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიური ფაკულტეტის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი

ეროვნული საკითხის ცნობიერებისთვის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში

რეზიუმე: *იაკობის აზრით საქართველოს კულტურულ - ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ საკითხს. იგი ხმამაღლა ილაშქრებდა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც მოწყვეტილი იყო ეროვნულ ნიადაგს და წინასწარმეტყველებდა ეროვნულ განსხვავებულობათა მოსპობას. იგი გმობდა კოსმოპოლიტიზმს და ყველა იმათ, ვინც „ინტერნაციონალიზმის დროშას ამოფარებული საკუთარი ერის, ენის, ისტორიისა და კულტურის უპატივცემულობას ამჟღავნებდა“. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მოსპობას და ებრძოდა ძალდატანებით გარუსების პოლიტიკას.*
საკვანძო სიტყვები: *ეროვნული საკითხი, პატრიოტიზმი, ეროვნული სკოლა, დედა ენა, სიღრმისეული სწავლება.*

იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იანი წლების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის გავლენით. ეს მოძრაობა მოითხოვდა ბატონყმობის გაუქმებას, გლეხობის განთავისუფლებას მიწით და მისი დამოუკიდებელი, თავისუფალი შრომის უზრუნველყოფას, ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის მაღალი ტექნიკური საფუძვლების შექმნას; პოლიტიკური ცხოვრების დარგში — მეფის რეჟიმის დამხობას და თვითმმართველობის ორგანოების შემოღებას; კულტურის დარგში — სახალხო განათლების, ბეჭდვითი სიტყვის, ხელოვნებისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებასა და ხალხის ინტერესებთან დაკავშირებას“ **(თავზიშვილი 1952:28).**

„იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება ქართული კულტურის წიაღში საზღვარგარეთის პროგრესული პედაგოგიური მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითად გადამუშავების შედეგად აღმოცენდა; მისთვის მთავარი პედაგოგიური პრინციპი იყო ხალხურობის პრინციპი, რაშიც გულისხმობდა ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნულ - კულტურული აღორძინებასა და მშობლიურ ენაზე სწავლებას, ამასთან რუსული ენის შესწავლის აუცილებლობასაც. იაკობმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანმიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება“ **(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 1978).**

„1866 წლიდან იაკობი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ცნობილი ბელეტრისტი გიორგი წერეთელი. 60-იანი წლების მეორე ნახევარში იაკობი დაუკავშირდა იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონს, სადაც იკრიბებოდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გეგე მაღალაშვილი, რუსი პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი მეუღლით, შემდეგ ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, ანა მუსხელიშვილისა და სხვ. აქ ხშირად იმართებოდა საუბრები მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ლიტერატურული თემების ირგვლივ. იაკობის სიტყვით, ეს „დარბაისლური საუბარი ხშირად ხოლმე კამათად სხვადასხვა საკითხის შესახებ, გადაიქცეოდა. იკითხებოდა რეფერატები, რჩეული სტატიები და წიგნები, იმართებოდა დებატები“ **(გოგებაშვილი 1990ა: 513).** (იაკობის თაოსნობით, იოსებ მამაცაშვილის სალონი (წრე) ისე მომაგრდა, რომ მალე გაიჩინა სალარო და შეუდგა სოფლად სკოლების გამართვას და მცირე საგამომცემლო მუშაობას. მაგრამ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ის იყო, როგორც იაკობი წერს, რომ „სწორედ ამ წრეში და-

იბადა და აღიზარდა აზრი წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა“, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურული განვითარების ისტორიაში“ **(თავზიშვილი 1952:10).**

„ნახევარი საუკუნის განმავლობაში იზრდებოდა ჩვენი ყმაწვილკაცობა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და მოთხრობებზე, მრავალმა თაობამ ისწავლა მით მშობლიური ენა და განავითარა თავისი აზროვნება. მისმა წიგნებმა ბევრი გააკეთეს ქართული ეროვნული კულტურის დასაცავად XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ქართული ენის ფესვების გადასარჩენად, მისი მოთხრისა და გადაგვარებისაგან. მარტო „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ კმარა იაკობის სამარადისო - ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში“ **(თავზიშვილი 1952:12).**

იაკობ გოგებაშვილი სავსებით ნათლად გრძნობდა, რომ „საუკეთესო წყობილების“ გარეშე მიუღწეველი იყო „ახალი საქართველოს“ იდეის განხორციელება და მეცნიერული ცოდნის მასობრივი გავრცელება. საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის დიდი უბანი, რომელსაც იაკობი უშუალოდ ხელმძღვალობდა, იყო სახალხო განათლება. ამ მეტად რთულ საბრძოლო ფრონტს მეთაურობდა იაკობ გოგებაშვილი, როგორც თავის სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე პატრიოტი. ის წერდა: „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან“. „იაკობ გოგებაშვილი, როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მსხვილი პოლიტიკური ფიგურაა. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების ყოველ საგანს ის ყოველთვის მახვილი პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილავდა. თითოეულ მოვლენას მისი მოსალოდნელი პრაქტიკული შედეგის მიხედვით აფასებდა. მისთვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფოებრივი მიდგომა ყოველი საკითხისადმი, კერძოდ პედაგოგიკური საკითხისადმი. ერთ-ერთ თავის ნაშრომში ი. გოგებაშვილი წერდა: „ყოველივე ის რაც ჭეშმარიტად პედაგოგიკურია, არ შეიძლება არ იყოს ჭეშმარიტად პოლიტიკური“ **(თავზიშვილი 1952:34).**

„სამშობლოს მგზნებარე სიყვარული და პატრიოტული აღზრდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკისა და მხატვრული შემოქმედების მთავარი მოტივია. ის, როგორც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ილია ჭავჭავაძესთან ერთად მოითხოვდა ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც შეძლებდა საქართველოს განთავისუფლებას მეფისა და კაპიტალის მონობისაგან, რომელიც მისცემდა ქართველ ერს დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალებას და „ააღორძინებდა მას, თავისებური ეროვნული გზით“, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და კულტურულად. კითხვაზე ვისა ჰქვია პატრიოტი? გოგებაშვილი უპასუხებს: „მას ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია. ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურობით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ **(თავზიშვილი 1952:70).**

ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნულის პრინციპის გარეშე. თვით კერძო ადამიანი მხოლოდ მაშინ იმოსება შესაბამი, ძალ-ღონით როდესაც იგი აღიზრდება, ისე, როგორც ითხოვს მისი თავისებური აგებულობა - ფიზიკური და ფსიქიური მით უმეტეს ეს უნდა ითქვას მთელს ერზე. ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთს მაგალითსა, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის. ეროვნულ კულტურისათვის, და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს. ჩვენდა სავალალოდ, ქართველობას ძლიერ ნაკლებად ესმის ეროვნულის პრინციპის მნიშვნელობა და ხშირად ღალატობს მას და ამითი იმზადებს შავბნელს მომავალსა **(გოგებაშვილი 1955ა:327).**

მამულის სიყვარული იაკობის მართებული მტკიცებით, არ არის ბუნებით მონაცემი, თანდაყოლილი თვისება. ბუნება „საზოგადოებრივს გრძნობას ვერ დაანათლებს ადამიანს. პატრიოტობა საზოგადოებამ და ცალკე პირებმა უნდა დანერგონ, აღზარდონ და დააყენონ ჯეროვან სიმაღლეზე“. ეს გრძნობა, ამგვარად, ადრეული ასაკიდანვე უნდა იზრდებოდეს ადამიანის გულში.

ბავშვობიდანვე უნდა ეჩვეოდეს ადამიანი სამშობლოს მიწა-წყლისა და მოსახლეობის, თავისი კულტურის, ენის, ლიტერატურის, ისტორიის და ყოველი ეროვნული საუნჯის სიყვარულს. „თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე — წერს იაკობ გოგებაშვილი, — იგი... თვალისჩინივით უნდა იცავდეს ეროვნულს გონებას, გულსა და სულსა... იცავდეს, ავითარებდეს. და აღორძინებდეს თავის ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულს ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულს კულტურასა და იღწოდეს ყველა თავისი ეროვნულის უფლების აღდგენისა და გაფართოებისათვის, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა“. „განსაკუთრებული სიმკაცრით იბრძოდა იაკობ გოგებაშვილი პატარა და კულტურულად ჩამორჩენილი ერების ჩაგერა-შეურაცხყოფის წინააღმდეგ. ის ებრძოდა მათი ენებისა და ეროვნულ ღირსებათა დაცინვა-შევიწროებას დიდმპყრობელური ნაციონალისტებისა და შოვინისტების მიერ. ყველაზე უფრო მკაფიოდ ამ ბრძოლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ერისა და ქართული ენის უფლებათა დაცვის საქმეში“ **(თავზიშვილი 1952:72).**

ეროვნებას, იაკობის აზრით, აქვს სამი ძირითადი ბურჯი: „ტერიტორია, ეკონომიური მდგომარეობა და მშობლიური ენა“. ტერიტორია — ძირითადი პირობაა ერის მთლიანობისა და სიმჭიდროვისათვის. „მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელიც სცხოვრობს მარტო მხვნელ-მთესველობით“. ამის გამო პირველ სასიცოცხლო საკითხად ქართველი ხალხის არსებობისათვის ი. გოგებაშვილს მიაჩნდა „ტერიტორიის შერჩენა“, ის მტკიცედ ებრძოდა მეფის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო კოლონიზატორებითა და სხვა უცხო ელემენტებით. საქართველოს საუკეთესო კუთხეების დასახლებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროებისაკენ. აქედან გამომდინარე იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისა და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის ბრძოლას აღიარებდა ხალხურობისა და პატრიოტული აღზრდის ერთ- ერთ ძირითად ნიშნად “ **(თავზიშვილი 1952:82).**

იაკობ გოგებაშვილი დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუს ხელისუფალთაგან არავის მოსვლია აზრად „დააქუცმაცოს თათრები და სომხები, დაშალოს ისინი წვრილ ნაჭრებად. ამ ველურ მიზანს, მხოლოდ ქართველების მიმართ ისახავენ“ **(გოგებაშვილი, II, 1990:222).** როგორც პროფესორი ა. ნიკოლეიშვილი წერს - „იაკობის აღშფოთებას ყოველივე ამის გამო კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების მიერ გატარებულ ამგვარ რეპრესიულ ღონისძიებათა მსხვერპლად ქართული ენაც იყო ქცეული. ასე რომ, დიდი პედაგოგის თქმით, თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით მისი დროის ქართველობა „ყველაზე დაჩაგრული, ყველაზე შეურაცხყოფილი ეროვნება იყო რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნულ უმცირესობათაგან“ **(ნიკოლეიშვილი 2014:530).**

მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაში პროფ. გ. გოგოლაშვილის აზრით, „იაკობი ქმნის ტერმინს “დედა-ენა“ სიტყვების - დედა - აზრი, დედა - ბოძი, დედა-ქალაქი და სხვათა ანალოგიით (იაკობამდე ეს სიტყვა არ არსებობდა, მითუმეტეს ტერმინი!). დედაენა იაკობისათვის არის „ქართული სალიტერატურო ენა“, „მთავარი ენა“, „საღმრთო ენა“, „საერო ენა“, „ძირითადი ქართული ენა“ **(გოგოლაშვილი 2012:12).** დედა ენა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი გათვალისწინებულია ანბანის შესწავლისა და მცირე მოცულობის მოთხრობების შესასწავლად. მეორე ნაწილი კი შეიცავს სწავლების ორი წლის კურსს, რომელშიც მოცემულია მოთხრობები სასაუბროები ზნეობაზე, სასწავლო ნივთებზე, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებზე, ბუნების მოვლენებზე. მოსწავლეები ეცნობიან მათვის საინტერესო ცნობებს საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან. „ამიტომ არ არის „დედა ენაში“ არაფერი, რაც მოსწავლეთა გონივრულ აღზრდას, მის ღირსეულ კაცად, „კაი ყმად“ გადაქცევას არ ემსახურებოდეს. არ არის არც ერთი სტრიქონი, დაწყებული სულის დამამშვიდებელი, ნაზი, სათნო, არაჩვეულებრივად იოლი „აი ია“- დან სულ ბოლო „სასაუბრომდე“, რომელიც პატარა მოსწავლის შინაგანი სულიერი სამყაროს, მისი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით არ გამოირჩეოდეს. „დედა ენა „ ბავშვის ფსიქოლოგიაში თავისებურ სახელმძღვანელოსაც წარმოადგენს“ **(განათლების მატიანე 2015:105).**

„მშობლიური, ანუ დედა-ენა, იაკობ გოგებაშვილის მრავალგზისი და მგზნებარე მტკიცებით ითვლება ეროვნების უმთავრეს ნიშნად. „დედა-ენა — ეს ძირითადი ეროვნული ძალა, მთა-

ვარი ბურჯი ეროვნებისა“ — წერდა იგი ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ ნაშრომში. ავტორი ფიქრობს, რომ დედა-ენა უფრო ღრმად და სრულად გამოხატავს ხალხის ეროვნულ სულს და ამიტომ არის იგი ხალხურობის მთავარი ბურჯი. დედა-ენას — წერს ი. გოგებაშვილი, „აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზე, მის ფსიქიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ... ამასთან დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა”. ასეთია დედა-ენის მნიშვნელობა ყოველი ხალხისათვის, მაგრამ ამით არ ამოსწურავს იაკობ გოგებაშვილი მის როლს. საერთოდ. ის მრავალ საშუალებას მიმართავს თავის მკითხველის დასარწმუნებლად იმაში, რომ დედა-ენა არა მარტო მთავარი ბურჯია ეროვნებისა, არამედ ის არის ერთად-ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია შეინახოს ხალხის ეროვნული სახე მაშინაც კი, როდესაც ხალხი კარგავს თავის ტერიტორიასა და ნორმალურ ეკონომიურ ცხოვრებას; დედა-ენის გარეშე კი ხალხს. არ შეუძლია შეინარჩუნოს ეროვნული არსებობა, თუნდაც რომ ეს ორი ბურჯი მტკიცედ ჰქონდეს შენარჩუნებული. ამ აზრის ფაქტიური დასაბუთებისათვის ი. გოგებაშვილი გვაწვდის რამოდენიმე ცნობას სხვადასხვა ერთა ისტორიიდან, ხოლო თეორიული დასაბუთებისათვის მიმართავს კ. დ. უშინსკის და მოაქვს დიდი ამონაწერი მისი სტატიიდან „ Русское слово“. “ ამ ამონაწერში იაკობს აქცენტირებული აქვს უშინსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ დედა-ენა „არის ცხოველი, მჭიდრო კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყველას, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა, თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ეს არის თვით ეს სიცოცხლე... წაართვით ხალხს ყოველისფერი — და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს, მაგრამ თუ ენა წაართვით, – ის თავის დღეში ვეღარ შექმნის მას, ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვეღარ. მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც”. იაკობ გოგებაშვილი სავსებით ეთანხმება რა ამ ციტატის აზრს, ასაბუთებს მის სიმართლეს მე-19 საუკუნის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, დედა-ენის როლის მაგალითებით **(თავზიშვილი 1952:84).**

„ძირითად პირობად სკოლის წარმატებისა იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია მთელი მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის აგება მტკიცე პედაგოგიკურ საფუძვლებზე. ის მოითხოვდა: „შკოლამ არ გადაუხვიოს ჭეშმარიტ პედაგოგიკურ გზიდან და მტკიცედ აღასრულოს შკოლის ნამდვილი მოვალეობა“. სკოლის ჭეშმარიტ პედაგოგიკურ გზად იაკობი აღიარებდა სკოლის მიერ თავისი დანიშნულების კარგად ცოდნას და სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ზუსტად შეფარდებას ამ დანიშნულებისადმი, სასწავლო პროცესის აგებას პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ საფუძველზე, გაკვეთილის მეცნიერულ გეგმიანობას, მუდმივ ზრუნვას მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მონაწილეობას მოსახლეობის პრაქტიკულ, სამეურნეო მუშაობაში“. „ენის სიმდიდრე კრებადი ხასიათის ცნებაა. იგი პირველყოვლისა შეიცავს ლექსიკური მასალის, სიტყვათა მარაგის სიუხვეს, ცნებათა გამოხატვის მრავალგვარ ენობრივ ფორმას. ენის ლექსიკურ მარაგს, იაკობის აზრით, უმთავრესად ჰქმნის ხალხი, და მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია შეიტანოს თავისი მშობლიური ენის ლექსიკაში სათანადო წვლილი, რომელმაც კარგად იცის ხალხის ენა. ასეთ მწერლებად პირველ რიგში იაკობს მიაჩნია ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვ.“ **(თავზიშვილი 1952:175).**

იაკობ გოგებაშვილმა სწავლების პროცესში შემოიტანა მშობლიურ ენაზე სწავლების დიდაქტიკური პრინციპი. რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკა უარყოფდა ქართულ ენას, ისტორიას და კულტურას. იაკობმაც, სწორედ მთელი თავისი მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობა წარმართა ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისაკენ. ამ პათოსით არის გაჟღენთილი ყელა მისი ნაშრომი. ამიტომ იგი სწავლების აუცილებელ პირობად მოითხოვს მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლებას, რადგან მიაჩნდა, რომ დედაენის გარეშე აღზრდილი შვილი წყვეტს კავშირს მშობლებსა და სამშობლოს შორის **(პედაგოგიკის ისტორია 2004:305).**

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება გამსჭვალულია ხალხურობის პრინციპით. ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, მის მომავალზე ზრუნვა განსაზღვრავდა იაკობისათვის აღ-

ზრდა - განათლების მიზნებს, ამოცანებს, მეთოდებს და შინაარსს. ხალხი, იაკობის აზრით, „თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა“, რომელსაც აქვს თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული თვისებები. ამ პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას მიუძღვნა იაკობ გოგებაშვილმა თავისი ნაშრომი „ბურჯი ეროვნებისა“ (პედაგოგიკის ისტორია 2004:294). ხალხურობის პრინციპიდან გამომდინარე იაკობ გოგებაშვილი ეროვნების ბურჯად და საძირკვლად მშობლიურ ენას, ისტორიას, მწერლობას, ხალხურ შემოქმედებას, ტრადიციების პატივისცემას აღიარებს. საკითხს განიხილავს, როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენას და წერს: „ერის გადაგვარება და გაქრობა მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს: იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვის, რომელსაც ამით აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიო ზღვასა“ **(გოგებაშვილი 1990:45).**

როგორც პროფ. გიორგი გოგოლაშვილი წერს „ილიასეულ სამებას იაკობი მეოთხე ფენომენს დაუმატებს - ეროვნულ სკოლას; ამგვარად, იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას ოთხი ბურჯი აქვს, ოთხი „ეროვნული (ნაციონალური) ძალა ამოძრავებს : „ მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება“ **(გოგოლაშვილი 2012: 5-28).**

„იაკობ გოგებაშვილი გულმოდგინედ იცავდა ინტერნაციონალიზმის იდეას. ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა „დამყარდება სოლიდარობა ძმური თანხმობა ერთაშორის“. ერების ძმური თანხმობისა და სოლიდარობის პრინციპს ემსახურებოდა იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედებაც. ეს პრინციპი, პირველ ყოვლისა, გატარებული აქვს მას თავის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?“. ზურაბ ქართველაძემ კარგად იცის ლეკთა ნაიბმა წაართვა მას ქალიშვილი ქეთო და ვერავითარი ხვეწნითა და მუქარით ვერ დაითანხმა იგი, ბავშვი მამისათვის დაებრუნებინა. მაგრამ ზურაბმა ისიც იცის, რომ ნაიბს უსაზღვროდ უყვარს მისი შვილი, მზე მასზე ამოსდის და საუკეთესოდაც ზრდის. ქართველაძე ბავშვს იბრუნებს ნაიბის სურვილის წინააღმდეგ, მაგრამ მას არ ავიწყდება ნაიბისა და მისი მეუღლის დიდი ამაგი ქეთოსადმი და, მიუხედავად ეროვნული სხვაობისა, მეგობრულ კავშირს ამყარებს მათთან. „ზურაბი და ნაიბი დამეგობრდნენ, მაგდანამაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი. ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დადეს“. ქეთოც ინტერნაციონალური სულისკვეთებით არის აღზრდილი. „მას თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც, საქართველოც და დაღისტანიც“ **(თავზიშვილი 1952:233).**

იაკობ გოგებაშვილი სარკეა სახალხო განათლების მდგომარეობისა, მასში მკაფიოდ არის ასახული ჩვენი ხალხის შეუნელებელი ბრძოლა მეფის ობსკურანტულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბრძოლა აღზრდის მეცნიერული სისტემისათვის, ახალი სკოლისა და ღირსეული მასწავლებლისათვის შეუნელებელი ენერგიით იბრძოდა იაკობი დედაენის უფლების აღდგენისა და მისი სიწმინდისათვის. ბრძოლა ქართული ენისათვის მას მიაჩნდა ბრძოლად ქართველი ერის არსებობისათვის და ყოველთვის პოლიტიკური სიმახვილით აწარმოებდა მას. დედა-ენაზე სწავლების აუცილებლობის მტკიცება და მისი პრაქტიკული განხორციელება წარმოადგენდა ჩვენი სახელოვანი პედაგოგისა და მწერლის უმთავრეს ამოცანას. გოგებაშვილი დიდი ჰუმანისტია, ადამიანის პატივისცემა, პიროვნების ღირსებათა დაცვა და მისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება იაკობის მეტად ლამაზი, კეთილშობილი თვისებაა. მაგრამ უფრო ძლიერია მისი სიყვარული ბავშვის პიროვნებისადმი, მისი გატაცება პატარა მოქალაქეთა ცხოვრებით. მოზარდი თაობა წარმოადგენს იაკობის საარსებო პირობას, მისი საზოგადოებრივი დანიშნულების მთავარ მიზანს. „განუზომლად უყვარდა იაკობს თავისი ხალხი, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული ღვიოდა მის გულში, როგორც მუდამ მღელვარე, ცხოველმყოფელი ძალა. მისი პატრიოტობა სამშობლოს ერთგულებისა და მისთვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითია“ **(თავზიშვილი 1952:246).**

გოგებაშვილმა ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს ხალხს გამოეჩინა გმირული სიმტკიცე და შეუპოვრობა თავისი კულტურის აღდგენისა და განვითარებისათვის ბრძოლაში და მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაეწერა თავის საოცარ ისტორიაში. იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძის სტილის მოღვაწეა. „ის იყო ისეთივე შეუდრეკელი მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის, ისეთივე შეურიგებელი მტერთან და ორგულთან, როგორც ილია, ისეთივე პირდაპირი და მოურიდებელი, ისეთივე დინჯი, მართალი და პატიო-

სანი, როგორც ილია, ისევე სასტიკად სძულდა იგი მეფის ბიუროკრატიას, და ისე მხურვალედ უყვარდა. იგი ხალხს, როგორც ილია...“ **(თავზიშვილი 1952:247).** „თუ ერს სურს იარსებოს ქვეყანაზე, იცოცხლოს და ბედს ეწიოს, იგი ჭირივით უნდა ერიდოს გადაგვარებას, თვალის ჩინივით უნდა იცავდეს იმ ეროვნულს გონებას, გულსა და სულსა, და თვით სხეულსაც, რომელიც მისთვის მიუნიჭებია ღმერთსა და ბუნებასა. იცავდეს, ავითარებდეს და აღორძინებდეს თავის ქვეყნის ენასა, ეროვნულს განათლებასა, ეროვნულს ლიტერატურასა, თეატრსა, ეროვნულს კულტურასა და იღწვოდეს ყველა თავისი ეროვნულის უფლების აღდგენისა და გაფართოებისათვის, რათა საპატიო ადგილი მოიპოვოს ერთა შორის და გახდეს თავისებური და მნიშვნელოვანი ნაწილი კაცობრიობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერი, რომელიც უღალატებს თავის ეროვნებასა, ხელს აიღებს ღვთისაგან მინიჭებულს თავისებურებაზე, იგი აუცილებლივ პირს იქმს უფსკრულისაკენ, შეუყენებლივ დაბლა დაეშვება, გაღატაკდება სულითა და ხორცითაც, გაუფერულდება, მოაკლდება ყოველს თავის ნიჭს, სხვის ნიჭსაც ვერ ეღირსება, ყველასაგან აბუჩად აგდებული შეიქმნება, სამარცხვინო სახელს დაიმსახურებს, გამოირიცხება კაცობრიობის კრებულიდან და ბოლოს გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი“ **(გოგებაშვილი 1955ა:516).**

იაკობის აზრით საქართველოს კულტურულ - ეკონომიკური და პოლიტიკური წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ საკითხს. იგი ხმამაღლა ილაშქრებდა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც მოწყვეტილი იყო ეროვნულ ნიადაგს და წინასწარმეტყველებდა ეროვნულ განსხვავებულობათა მოსპობას. იგი გმობდა კოსმოპოლიტიზმს და ყველა იმათ, ვინც „ინტერნაციონალიზმის დროშას ამოფარებული საკუთარი ერის, ენის, ისტორიისა და კულტურის უპატივცემულობას ამჟღავნებდა“ **(პედაგოგიკის ისტორია 2004:296)**. ის ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მოსპობას და ებრძოდა ძალადატანებით გარუსების პოლიტიკას.

იაკობ გოგებაშვილის შეხედულებით ახალი ისტორიული ეპოქა მოითხოვდა სამშობლოსა და ხალხის ერთგული, ჰუმანური და დემოკრატიული მრწამსით შეიარაღებულ, შრომისმოყვარე ადამიანთა თაობის აღზრდას. აქედან გამომდინარე მან წამოაყენა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის მიზანი. ის უნდა იყოს პატრიოტი, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველ დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხინითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ **(გოგებაშვილი 1990ა:182-183).**

იაკობ გოგებაშვილმა, „ერთი მხრივ, თავისი სახელმძღვანელოებით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკით, თუ პირადი ცხოვრების მაგალითით უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველობას შეუნარჩუნა თავისი მიწა - წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაეგდო იგი“ **(გოგოლაშვილი 2014: 5-28)..**. მოგეხსენებათ, იმ დროინდელ ორკლასიან სამრევლო სკოლებში „დედაენა“ და ბუნების კარი“ ისე იყო შედგენილი, რომ ოთხკლასდამთავრებულმა ყმაწვილმა უკეთ იცოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, ვიდრე დღევანდელმა საშუალო განათლების მქონემ .... ‘დედაენის“ პირველი ნაწილიდან მეორე ნაწილზე, „დედაენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლის გასაადვილებლად შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოები („კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“), საგანგებოდ შეთხზული ისტორიული, თუ სხვა მოთხრობები, ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, ქართველში ქართულ სულს აღვიძებდა, აწრთობდა; ქართველს ქართველად ზრდიდა“ **(გოგოლაშვილი 2014:5-28).**

იაკობ გოგებაშვილი როგორც მეცნიერი და პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე „ თავად განასახიერებდა „ახალი ტიპის ქართველს“ **(ბიბილეიშვილი 2011:428)**, რომლის აღზრდას მოახმარა მთელი თავისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი უდიდესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან „ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა იმ ოთხი ეროვნული ბურჯისა (მამული, ენა, სარწმუნოება და ეროვნული სახალხო სკოლა) და პირადი მაგალითი უჩვენა მათ უანგარო თავდადებული მსახურებისა“ **(გოგოლაშვილი 2012: 5-28).** როგორც დიდი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი წერს: „მთელ საქართველოში იაკობ

გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავის შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილს „დედა - ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“ (გოგოლაშვილი 2012: 5-28). მიგვაჩნია, რომ აკაკის სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს ფასი და აქვე უდა დავუმატოთ ვასილ ბარნოვის ნათქვამი: „იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს“ (გოგოლაშვილი 2012: 5-28). ან როგორ არ უნდა დავეთანხმოთ მწერალსა და კრიტიკოს როსტომ ჩხეიძეს „იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ყაიდა თვალნათლივი და საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ შეიძლება ერთმა პიროვნებამ ორთაბრძოლაში გამოიწვიოს იმპერია და ეს უთანასწორო შერკინება სასწაულებრივი გამარჯვებით დაასრულოს“ **(ჩხეიძე 2007).**

მშობლიური ენის შესწავლის გვერდით დიდი პედაგოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ევროპული ენების შესწავლას, რაც ქართველებს შესაძლებლობას მისცემდა, რაც შეიძლება ღრმად და ზედმიწევნით დასწაფებოდნენ ევროპულ მეცნიერებას. მაგრამ რუსული და ევროპული ენების შესწავლა გოგებაშვილის აზრით არ უნდა მომხდარიყო ქართული ენის უფლებათა შელახვის ხარჯზე.

საქართველოსთვის ევროპასთან ურთიერთობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლის აღიარება ი. გოგებაშვილის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მრწამსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია **(ნიკოლეიშვილი 2014: 540).** იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ახალი საქართველოს განვითარება უპირველ ყოვლისა „ წინ, ევროპისაკენ უნდა ყოფილიყო მიქცეული და არა უკან, აზიისაკენ. დასავლეთიდგან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“ **(გოგებაშვილი 1989:237).**

იაკობ გოგებაშვილს საინტერესო შეხედულებები აქვს გამოთქმული აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში. მათი განხილვა ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია მართებულად და ის შესაძლებელია ჩვენი შემდგომი კვლევის ცალკე საგნად იქცეს.

XIX საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში იყო ერთ-ერთი უმძიმესი ხანა. მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს ქართულ ენას. ივანე ჯავახიშვილის თქმით „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“ **(გოგოლაშვილი 2012:5-28)** რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მართლაცდა დიდი საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას. იაკობის „დედაენამ“ კი საქართველოს ყველა კუთხეში აღანთო ეროვნული გრძნობა და მარადიულ ჩირაღდნად აქცია იგი. პროფ. ვალერიან რამიშვილის აზრით, „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უწიგნურობას, კუთხურობას და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული და ამერ - იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა; მწიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ **(გოგოლაშვილი 2012: 5-28).**

როგორ უყურებს დღეს ამ საკითხს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმატორები? მათ მოსაზრებით უცხო ენის შესწავლა ბავშვმა პირველი კლასიდანვე უნდა დაიწყოს. არადა სულ სხვაგვარად ფიქრობენ ჭეშმარიტი მეცნიერები. პროფ. გ. გოგოლაშვილს ცნობილი ფსიქოლოგის აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის მოსაზრება მოჰყავს ამ საკითხთან დაკავშირებით. „პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშობლიური ენის სიღრმისეულ შესწავლას. უცხო ენის სწავლების დაწყება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვმა კარგად იცის წერა-კითხვა, თვლა-ანგარიში და აზროვნება მშობლიურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხო ენის შესწავლა მავნე ზემოქმედებას მოახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და შეაფერხებს მის გონებრივ განვითარებას. თუ ინგლისური ენა მშობლიური ენის კონკურენტად აქციეს ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და მათი აზროვნების მთლიანობაზე“ **(გოგოლაშვილი 2012:5-12).** ამრიგად იაკობის ქადაგება ამ თვალსაზრისით დღესაც მისაღებია და აღნიშნულ პრობლემას თანამედროვე განათლების რეფორმატორი მამები ფრთხილად უნდა მოეკიდონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილეიშვილი 2011: ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორია და ისტორია, ბათუმი, 2011.
2. განათლების მატიანე 2015: განათლების მატიანე, რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, თბილისი, 2015.
3. გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი,. თხზულებათა ტ., 2 . თბილისი, 1990.
4. გოგებაშვილი 1990ა: გოგებაშვილი ი,. თხზულებათა ტ., 3 . თბილისი, 1990.
5. გოგებაშვილი 1955: გოგებაშვილი ი. , თხზულებათა ტ., 1, თბილისი, 1955.
6. გოგებაშვილი 1955ა: გოგებაშვილი ი. , თხზულებათა ტ., 4, თბილისი, 1955.
7. გოგებაშვილი 1989: გოგებაშვილი ი., თხზულებათა ტ., 1 . თბილისი, 1989.
8. გოგოლაშვილი 2012: გოგოლაშვილი გ., ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, წერილი I, სამეცნიერო - საზოგადოებრივი ჟურნალი, „სამი საუნჯე“ , 2012, №2, www.nplg.gov.ge
9. გოგოლაშვილი 2012ა: გოგოლაშვილი გ., ღვაწლი და წუთისოფელი იაკობ გოგებაშვილისა, წერილი II, სამეცნიერო - საზოგადოებრივი ჟურნალი, „სამი საუნჯე“ , 2012, №4 (6), www.sinergia.ge
10. თავზიშვილი 1952: თავზიშვილი გ., იაკობ გოგებაშვილი, მონოგრაფია, თბილისი, 1952.
11. ნიკოლეიშვილი 2014: ნიკოლეიშვილი ა., ქართველ მწერალთა ეროვნულ - პოლიტიკური მრწამსი, ტომი პირველი, ქუთაისი, 2014.
12. პედაგოგიკის ისტორია 2004: პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, თბილისი, 2004.
13. ჩხეიძე 2007: ჩხეიძე რ., ბურჯი ეროვნებისა, თბილისი, 2007.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.,3, თბილისი, 1978.

Imeri Basiladze,
Akaki Tsereteli State University,
Professor,
Tekla Gamgebeli,
Akaki Tsereteli State University,
Sophomore year Student at the Pedagogical Faculty

For the Awareness of the National Issue in the Pedagogical Thinking of Iakob Gogebashvili

Summary

According to Iakob Gogebashvili, the national question was of decisive importance for the cultural, economic, and political success of Georgia. He actively campaigned against those who were separated from the national roots and prophesied the elimination of national differences. He condemned cosmopolitanism and all those people who "disrespected their nation, language, history, and culture under the flag of internationalism". He could not reconcile with the destruction of Georgia's independence and self-governance and fought the policy of forceful Russification.
Keywords: national issue, patriotism, national school, mother tongue, thorough learning.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

იან ამოს კომენსკი სოკრატეს ფილოსოფიისა და პედაგოგიკის შესახებ

რეზიუმე: ***იან ამოს კომენსკის აზრით, თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში სოკრატემ სრულყოფამდე მიიყვანა ჭეშმარიტების პოვნის ხერხი - დიალოგი მოსწავლეებთან. მისი აზრით, მოსწავლეს მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, გაერკვეს სიკეთისა და ბოროტების არსში, დარწმუნდეს სიკეთის სარგებლიანობასა და ბოროტების მანკიერებაში, რათა სათანადოდ მოამზადოს იგი ბოროტებასთან საბრძოლველად. სოკრატემ აღზრდა თავისი ფილოსოფიური და პედაგოგიური ხედვის მთავარ ობიექტად აქცია.***
საკვანძო სიტყვები: ***ჭეშმარიტება, აღზრდა, დიალოგი, მაიევტიკა, სულიერი ბებია ქალი, მასწავლებელი.***

იან ამოს კომენსკი სოკრატეს მიიჩნევს ერთ-ერთ უდიდეს პედაგოგად, რომელმაც აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. სოკრატემ აღზრდა თავისი ფილოსოფიური და პედაგოგიური ხედვის მთავარ ობიექტად აქცია.

სოკრატეს ფილოსოფიას კომენსკი პლატონის დიალოგით და „სოკრატეს აპოლოგია“ და ქსენოფონტე ათინელის „სოკრატული თხზულებებით“ იცნობს. მისთვის სოკრატეს ფილოსოფია უპირველეს ყოვლისა ზნეობის ფილოსოფიაა **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:269)**. იგი აღიარებს, იმ ჭეშმარიტებას, რომ სოკრატე ზნეობის მასწავლებელია. „ძველები აქებდნენ სოკრატეს იმისათვის, - წერს კომენსკი, - რომ ზერელე და ბუნდოვანი ჭვრეტიდან ფილოსოფია ზნეობის სიმაღლეზე აიყვანაო“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:269).**

დიდ დიდაქტიკაში, როდესაც დიდი პედაგოგი საუბრობს რიტორიკული კლასისა და რიტორიკის მნიშვნელობის შესახებ, კომენსკი იმოწმებს სოკრატეს და წერს - „სოკრატეს სიტყვების თანახმად დაილაპარაკე რათა დაგინახო“, ჩვენ გვსურს ახალი ბერძნული მჭევრმეტყველება ვასწავლოთ იმას, ვის გონებასაც აქამდე სიბრძნის შესაძენად ვწვრთნიდით“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:335).** კომენსკი ცალკე გამოყოფს რიტორიკის კლასს. მას მიაჩნია, რომ მჭევრმეტყველების წესების შესწავლა საკმარისი არ არის, არც რომელიმე გამოჩენილი ორატორისათვის მიბაძვაში ვარჯიშობა, - ეს მხოლოდ ბუნებრივი გზაა მარტივიდან რთულზე გადასასვლელად. კომენსკი მიიჩნევს, რომ ვარჯიში უნდა ხდებოდეს არა ერთ, არამედ, განსხვავებულ მასალაზე, რათა „მოსწავლე იკვლევდეს ჭეშმარიტების ყოველ დარგს და საგანთა მრავალფეროვნებას, ადამიანური სათნოების ბაღსა და ღვთაებრივი სიბრძნის სამოთხეს, და შეძლოს მშვენივრად გამოხატოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კიდევაც დაიცვას ყველაფერი ის, რაც, მისი აზრით, კარგი და ჭეშმარიტია, ესე იგი სასარგებლო, სასიამოვნო და პატიოსანია“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:335-336).** ზემოთთქმულიდან გამომდინარე კომენსკის მიაჩნია, რომ პრაქტიკულმა ვარჯიშმა რიტორიკულ ხელოვნებაში შედეგად უნდა მოგვცეს ცოდნის გაღრმავება, გაფართოება, იმის უნარის გამომუშავება, რომ ადამიანმა შეძლოს კვლევა „ჭეშმარიტების ყოველი დარგისა“, მშვენივრად გამოხატვა“ და „აუცილებლობის შემთხვევაში“ დაცვა ყოველივე იმისა, რაც „მისი აზრით, კარგი და ჭეშმარიტია“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:336).**

იან ამოს კომენსკი მიიჩნევს, რომ სოკრატეს სწორად ესმის აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. იგი უწონებს სოკრატეს გადაწყვეტილებას, რომ მან თავი აარიდა სახელმწიფო სამსახურს და იზიარებს სოკრატეს მოსაზრებას, რომ „სახელმწიფოსათვის მეტი სარგებლობა მოაქვს იმას, ვინც ასწავლის და ზრდის ისეთ ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფოს მართვის უნარი აქვთ, ვიდრე იმას, ვინც თვითონ მართავს სახელმწიფოს“**(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.I., 1949:361).** კომენსკი იზიარებს რა სოკრატეს ამ მოსაზრებას, როდესაც „პანსოფიური სკოლის“ შესახებ საუბრობს ის ასკვნის: „მხოლოდ მაშინ შეიძლება ყველაფერი კარგ მდგომარეობაში დავიცვათ, თუ ნამდვილად გამოჩენილი ადამიანები მტკიცედ აიღებენ თავის ხელში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.II., 1949:267).**

კომენსკის მოსაზრებით აუცილებელია „ყველა ნიჭის სრულქმნილად განვითარება. ამიტომ უნდა ვასწავლოთ უნიჭოებს, რომ მათ რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რაიმე ხელოსნობით მაინც; უნდა ვასწავლოთ ნიჭიერებს, რათა გონების ჭარბი მოქნილობით სიბოროტეში არ გადავიდნენ და არ დაიღუპონ თავისი ცდომილებით. კარგი ბუნების ადამიანებს განათლება ესაჭიროებათ იმისათვის, რომ დავიცვათ ისინი გახრწნილებისაგან; განათლება საჭიროა გახრწნილთათვისაც, რომ გამოვასწოროთ მათი ბუნებრივი ნაკლოვანებანი: ასე მოუვიდა სოკრატეს, რომლის გარყვნილი და მიწიერი მიდრეკილებანი გამოსწორებული იქნა აღზრდის წყალობით“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.II., 1949:49).**

ორმოცი წლის ასაკში სოკრატემ ჭეშმარიტების მასწავლებლის მოწოდება იგრძნო. წამოაყენა მოძღვრება აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და ზნეობრივი ნორმების გამძლე ხასიათის შესახებ. სოკრატეს აზრით ადამიანი საზომია ყოველგვარი ნივთისა, რაც განაპირობებს, რომ მან უნდა შეიცნოს თავის თავი და მოახდინოს ზნეობრივი სრულყოფა. მან სიკეთე აღიარა, როგორც სანდო ცოდნა. უზნეო საქციელი, რომელსაც ადამიანი ჩადის არის უცოდინარობის შედეგი.

ქსენოფონტის მოგონებებში აღწერილია, როგორ ესაუბრებოდა სოკრატე ახალგაზრდებს, როგორ აყენებდა მათ სწორ გზაზე, როგორ ათავისუფლებდა იმ მანკიერ თვისებათაგან, რომლის შეძენა მათ უკვე მოესწროთ. დიალოგი ვაჟიშვილ ლამპროკლესთან გვამცნობს, რა ოსტატურად მიიყვანა სოკრატემ დედაზე განაწყენებული ვაჟი იმ აზრამდე, რომ მშობლის უპატივცმულობა უსამართლობა და უმადურობაა, რომ შვილი ვალშია საკუთარი მშობლის წინაშე, რომ მან უნდა დააფასოს მშობლის ამაგი **(ჭყონია 2013:30-36).**

კომენსკი სვამს კითხვას რით შეძლო ყოველივე ეს სოკრატემ? იქვე პასუხობს, არამარტო თავისი დიდი აზროვნების ტალანტით, არამედ სხვაზე ზემოქმედების, სხვის არსებაში ჩამარხული აზრების გაღვიძების, ამოქმედების, შიგნიდან გარეთ გამოყვანის უნარით, ისევე, როგორც ბებია ქალი ხელს უწყობს ბავშვის გამოსვლას დედის საშოდან“ **(კომენსკი რჩეული ნაწერები, ტ.II., 1949:103).** ამ მიზანს სოკრატე აღწევდა დიალოგის ოსტატური გამოყენების გზით.

სოკრატე ცდილობდა სწავლა-განათლებისათვის ცხოვრებისეული შინაარსი მიეცა, მოემზადებინა ახალგაზრდობა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი სამსახურისათვის, რისთვისაც საჭირო იყო ინდივიდუალური ინტერესებისა და უნარების განვითარება. როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით დიდია სოკრატეს „დამსახურება სწავლების ხერხებისა და საშუალებების ძიების საქმეში. მან ლექციური მეთოდის ნაცვლად შემოიტანა საუბრის მეთოდი. ეს მეთოდი პედაგოგიკაში შევიდა “ევრისტიკული” ანუ სოკრატესეული მეთოდის სახელწოდებით“ **(ბასილაძე 2004:30-31).**

სოკრატი არ იძლეოდა მის მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეულ დებულებებს მზა სახით. ის სწავლებას აწარმოებდა კითხვა–პასუხის საშუალებით განაწყობდა რა მსმენელებს თვითონ ეპოვათ საკითხის სწორი გადაწყვეტა მასწავლებლის დახმარებით. ის მხოლოდ ეხმარებოდა მათ. თუ დასმულ კითხვას მოსდევდა არა სწორი პასუხი, სოკრატე არ უსწორებდა მაშინვე, არ მიუთითებდა დაშვებულ შეცდომაზე, არამედ სვამდა არასწორ პასუხებიდან გამომდინარე დამატებითი კითხვებს, მოსაუბრის პასუხი დაჰყავდა აბსურდამდე, ან აიძულებდა მას ეღიარებია თავისი უცოდინარობა. შემდეგ მოსაუბრენი არკვევდნენ იმ მიზეზებს, როლებმაც მიღებული - არასწორი პასუხი გამოიწვიეს, ეს მიზეზი ითვლებოდა და გამოკვლევა გრძელდებოდა უკვე სწორი (სოკრატის თვალსაზრისით) გზით. ეს ე. წ. სოკრატის მეთოდი, ავითარებდა რა მსმენელთა თვითმოქმედებას, აიძულებდა მათ საერთო ძალღონით ეძებნათ ყველზე უფრო სწორი პასუხი. „ სოკრატი თავის მეთოდს ორ ნაწილად ყოფდა **(მედინსკი 1941:35):**

ირონია – საერთო გამოკლევის უარყოფითი ნაწილი, შეცდომაში დარწმუნება;

მაიევტიკა – დადებით ნაწილი, ჭეშმარიტების ძიება“.

ირონიის მეთოდით აგებულ საუბრებში სოკრატი ხშირად იწყებდა მოსაუბრისათვის კარგად ცნობილ კონკრეტული ნივთებიდან და მოვლენებიდან, რომელთაგანაც შემდეგ გადადიოდა დასკვნებზე, არისტოტელე კი მას ინდუქციის მამას უწოდებდა.

სოკრატის ამ მეთოდიდან განვითარდა შემდეგ ,,მისახვედრი კითხვების მეთოდი”, ანუ ,,ევრისტიკული მეთოდი”, რომლის დროსაც მოწაფე უპასუხებს რა მასწავლებლის მიერ თანმიმდევრობით დასმულ კითხვების რიგს, სადაც მოწაფის წარმოდგენათა მარაგი გამოყენებულია,

მასწავლებლის მიერ თანდათანობით მიიყვანება ის მოსალოდნელ პასუხამდე. მასწავლებელს იმისთვის კი არ მოჰყავს მაგალითები, რომ დაიმახსოვროს, არამედ შეადაროს ერთმანეთს, იპოვოს საერთო. მოწაფე თვითონ აკეთებს დასკვნას.

სოკრატე იყო უდიდესი პედაგოგი, აღმზრდელი, რომლის ყოველი სიტყვა, პირადი მაგალითი, ცხოვრების წესი დიდ გავლენას ახდენდა ადამიანებზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე. ის მსმენელებში სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. თავის მსმენელებს სოკრატე მოსწავლეებად კი არა, პარტნიორებად, მეგობრებად თვლიდა და მათ ასეც მოიხსენიებდა. სიტყვა „მეგობარი“ ისე დამკვიდრდა მოსწავლეებთან კავშირში, რომ სოკრატეს შემდეგ ლიცეუმებსა და აკადემიებში ჩარიცხული მოსწავლე “ჩარიცხულ მეგობრად” იწოდებოდა **(ჭყონია 2013:30-36).**

იან ამოს კომენსკის აზრით სოკრატემ სულიერი ბებია ქალობა გაუწია ანტიკურ ფილოსოფიასა და პედაგოგიკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იან ამოს კომენსკის იდეალია მასწავლებელი, რომელიც სოკრატეს მსგავსად თავიანთი მოწაფეების სულიერი ბებია ქალები იქნებიან. **მაიევტიკას** სოკრატე „ბებიაქალის ხელოვნებას“ უწოდებდა. მისთვის ეს იყო წინააღმდეგობების გადალახვის ხელოვნება, იმისათვის, რომ ვიპოვოთ ჭეშმარიტება. ახასიათებდა რა თავის მეთოდს, სოკრატე ლაპარაკობდა, რომ ის, მსგავსად ბებია ქალისა, მხოლოდ ეხმარება ჭეშმარიტების დაბადებას. ,,ჩემი სამეანო ხელოვნება განსხვავდება იმით, რომ ის ეხმარება მშობიარობის დროს მამაკაცებს და არა ქალებს და რომ ის ზრუნავს სულებზე, რომელნიც ბადებენ, და არა სხეულზე... მოწაფეებს არასოდეს არაფერი არ უსწავლიათ ჩემგან, არამედ ისინი თვითონ თავისთავშივე აღმოაჩენენ მავალ მშვენიერებას და შემდეგ მტკიცედ ინახავენ მას” **(მედინსკი 1941:35).** ისინი ბავშვებს კი არა, ცოდნას ბადებდნენ.

სოკრატეს აზრით მასწავლებელი ცივილიზაციის ლიდერია. „ის აუცილებლად სიმართლეს უნდა ქადაგებდეს, მაშინაც კი, როცა მისი თანამედროვენი მას ეწინააღმდეგებიან. მასწავლებლის ფუნქცია, სოკრატეს აზრით, არის ადამიანის გამოღვიძება, მათი იდეების წარმართვა უკეთესისაკენ, რათა მათ შეძლონ შეცვალონ სამყარო მორალისა და გონების შერწყმის მეშვეობით“ **(წერეთელი 2013:146).**

ამრიგად, იან ამოს კომენსკის აზრით, თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში სოკრატემ სრულყოფამდე მიიყვანა ჭეშმარიტების პოვნის ხერხი - დიალოგი მოსწავლეებთან. მისი აზრით, მოსწავლეს მასწავლებელი უნდა დაეხმაროს, გაერკვეს სიკეთისა და ბოროტების არსში, დარწმუნდეს სიკეთის სარგებლიანობასა და ბოროტების მანკიერებაში, რათა სათანადოდ მოამზადოს იგი ბოროტებასთან საბრძოლველად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე 2004: ბასილაძე, ი., კოხრეიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004.
2. კომენსკი 1949: კომენსკი, ი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, თბილისი, 1949.
3. კომენსკი 1949: კომენსკი, ი. რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 2, თბილისი, 1949.
4. მედინსკი 1940: მედინსკი კ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1940.
5. წერეთელი 2013: წერეთელი ვ., განათლება ანტიკურ საბერძნეთსა და რომში (ანტიკური ლიტერატურული წყაროების მიხედვით) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის (კლასიკური ფილოლოგია) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა, ქუთაისი, 2013.
6. ჭყონია 2013: ჭყონია ნ., მრავალმხრივი განათლების შინაარსის თანამედროვე პრობლემები, დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013.

Imeri Basiladze,
Akaki Tsereteli State University,
Professor

Jan Amos Comenius on Socratic Philosophy and Pedagogy

Summary

According to Jan Amos Comensky, in his pedagogical work, Socrates perfected the method of finding the truth - dialogue with students. In his opinion, the teacher should help the students to understand the essence of good and evil, to be convinced of the usefulness of good and the viciousness of evil, in order to properly prepare them to fight against evil. Socrates made education the main object of his philosophical and pedagogical vision.
Keywords: truth, upbringing, dialogue, mayeutics, spiritual guide, teacher.

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მარტინ ლუთერის შეხედულებები საყოველთაო დაწყებითი განათლების შესახებ

რეზიუმე: *მარტინ ლუთერის პედაგოგიური შეხედულებებს ადამიანის თავისუფლების გაგების მისივე თეორია უდევს საფუძვლად, რაც თანამედროვე პირობებშიც არ კარგავს აქტუალობას. ლუთერმა პედაგოგიკის ისეთი საკვანძო საკითხები აქცია კვლევისა და მოღვაწეობის საგნად, როგორიცა: საყოველთაო სასკოლო განათლება, აღზრდისა და განათლების თეორია.*
ლუთერმა, როგორც სასკოლო განათლების რეფორმატორმა გზა გაუხსნა დაწყებით განათლებას ყველა ბავშვისთვის, მათი წოდებრივი წარმომავლობისა და სქესის მიუხედავად და სკოლებში ლათინური ენის ნაცვლად დაამკვიდრა მშობლიურ ენაზე სწავლება. მან სწორად დაინახა განათლებისა და აღზრდის ერთიანობის საჭიროება, ხოლო სწავლებაში თავისუფლებას და თვალსაჩინოებას დაუჭირა მხარი.
საკვანძო სიტყვები: *კათოლიციზმი, რეფორმაცია, მშობლიური ენა, აღზრდა, განათლება, სწავლება, დაწყებითი სკოლა.*

გერმანელმა ბერმა, მღვდელმა, პროფესორმა, თეოლოგმა და ეკლესიის რეფორმატორმა[4] მარტინ ლუთერმა ერთ-ერთი გამოკითხვის მიხედვით ყველა დროის დიდ გერმანელებს შორის მეორე ადგილი დაიკავა, რასაც სერიოზული მიზეზები აქვს; მისმა სწავლებამ საფუძველი ჩაუყარა რეფორმაციას და ღრმა კვალი დააჩნია ლუთერანული და პროტესტანტული ტრადიციების დოქტრინებსა და კულტურას, ისევე, როგორც საერთო დასავლური ცივილიზაციის განვითარების კურსს. ამასთან ერთად, ლუთერი არის განათლებისა და მუსიკის რეფორმატორი, მათ შორის, პროტესტანტული გალობისა. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება საერთო გერმანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში, რაც ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნით დაიწყო. ლუთერის ნააზრევმა არა მარტო რეფორმაციის დიდი ტალღა გამოიწვია, არამედ მისმა დამოკიდებულებამ შრომისადმი და რელიგიისადმი დიდი ბიძგი მისცა კაპიტალიზმის ჩასახვას დასავლურ სამყაროში და დიდად განსაზღვრა ახალი დროის სულისკვეთებაც.

იმის მიუხედავად, რომ მარტინ ლუთერის მეცნიერული ნააზრევი მასშტაბური და მრავალმხვრივია, ამჯერად ჩვენი ამოცანა მხოლოდ მისი პედაგოგიკური მოძღვრებიდან ძირითადი შეხედულებების წარმოჩენაა.

სასკოლო განათლებაზე ზრუნვა მ. ლუთერისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი ყოფილა. იგი სამართლიანად აკრიტიკებდა შუა საუკუნეების სასკოლო სისტემას, რომელიც კათოლიკური ეკლესიის გამგებლობაში იყო და ემსახურებოდა პრივილეგირებული ფენებიდან გამოსულ ბავშვებს. მან მკაცრად გაილაშქრა რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, „ეშმაკეულის“ ბუდედ და კორუფციის ჭაობად იყო ქცეული; ლუთერს ყოვლად მიუღებლად მიაჩნდა იმხანად არსებული კათოლიკური სკოლები, რომლებიც თავგზას ურევდნენ ბავშვებს მათთვის გაუგებარი ლათინური ენით, რასაც რომის პაპის მიმართ ბრმა მორჩილების ჩანერგვაც ემატებოდა.

---

4. რეფორმაციის მოძრაობის დაწყების უშუალო საბაბი გახდა ინდულგენციებით ვაჭრობა. გარკვეული თანხის საფასურად ნებისმიერს შეეძლო ეკლესიისაგან მიეღო ინდულგენცია ანუ „ცოდვების მიტევების“ სიგელი. 1515 წელს პაპმა ლეო X-მ, წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობისათვის დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით, გამოსცა ბულა ინდულგენციებით ვაჭრობის შესახებ.

1517 წლის 31 ოქტომბერს მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარზე მიაჭედა 95 თეზისი. ეს იყო კათოლიკური ეკლესიის და რომის პაპის კრიტიკის შემცველი 95 პუნქტი. ლუთერი ეკლესიას აკრიტიკებდა ინდულგენციების, განსაწმენდელის შესახებ მოძღვრების, ღვთისმშობლის და წმინდანების თაყვანისცემის, საეკლესიო საიდუმლოებების, ცელიბატის, სამონაზვნო პრაქტიკის, პაპის პრიმატის, სიმონიის და სხვა წეს-ჩვეულებების და დოქტრინების გამო. ლუთერი მოითხოვდა საეკლესიო ცხოვრების სათავეებთან დაბრუნებას.

ეს ბრძოლა გერმანელ პროტესტანტ მთავრებსა და იმპერატორ კარლ V-ს შორის საბოლოოდ 1555 წელს დადებული აუგსბურგის რელიგიური ზავით დასრულდა, რომლის თანახმადაც ზავი სარწმუნოებრივ თავისუფლებას ანიჭებდა მხოლოდ კათოლიკე და ლუთერან მთავრებს, მათი ქვეშევრდომები მოვალენი იყვნენ ეღიარებინათ თავიანთი მთავრის რელიგია ან სხვაგან გადასახლებულიყვნენ. აუგსბურგის რელიგიურმა ზავმა პროტესტანტიზმი კათოლიკობასთან ერთად ოფიციალურ რელიგიად აღიარა.

სკოლებში გაბატონებული იყო მოსწავლეთა უმკაცრესი დასჯა, კერძოდ გაწკეპლვა. სკოლის მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებს ლათინური ესწავლათ. სკოლებში ლათინურის მექანიკური ზუთხვის პრაქტიკა იყო დანერგილი. თუ მოსწავლეს არ შეეძლო სიტყვების დაზეპირება, მას წკეპლით უმოწყალოდ სცემდნენ. წკეპლასთან ერთად მოქმედებდა დასმენების სისტემაც. მასწავლებელი სპეციალურად არჩევდა მოსწავლეებს ჯაშუშობისთვის, რომელიც თვალს ადევნებდა თანაკლასელებს, რომ მათ შემთხვევით გერმანულად არ ესაუბრათ. ბავშვების უმეტესობა ისე იყო შეჩვეული ფიზიკურ დასჯას, რომ პროტესტსაც აღარ გამოთქვამდნენ.

ლუთერის მიერ განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსწორების მცდელობას ადატურებს 1524 წელს მისი კორესპონდენცია სპალატინისადმი, სადაც წერს: „გიგზავნი სკოლის გეგმას, რათა წარუდგინო კურფიურსტს; მართალია, დიდ წარმატებას არ მოველი, მაგრამ ღვთის სახელით მაინც უნდა შევეცადოთ“ **(1. 25).**

ხოლო, 1538 წელს ლუთერმა თავის ნაშრომში „წესები ზედამხედველებისთვის“, მწყობრად ჩამოაყალიბა სკოლის მოწყობის შესახებ საკუთარი შეხედულებები. ამის თაობაზე პროფესორი გ. კუტალია წერს: „...1524 წელს გაგზავნილ „სკოლის გეგმას“ უკვალოდ არ ჩაუვლია, ეს გეგმა საფუძვლად დაედო ლუთერის მეგობრისა და თანამოაზრის ფილიპე მელანხტონის 1528 წელს „სავიზიტო წიგნაკში“ გადმოცემულ სასკოლო გეგმას, რომელიც მოუწონებია კურფიურსტს. ამას არც მალავდა ის კამერარიუსისადმი წერილში, რომელიც „სავიზიტო წიგნაკთან“ დაკავშირებით გაუგზავნია, სადაც პირდაპირ ამბობს: „შენ ხედავ, მე სხვა არაფერი დამიწერია, გარდა იმისა, რასაც ყველგან გადმოსცემს ლუთერი“. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი გ.კუტალია მართებულად ასკვნის, რომ მელანხტონისეული სასკოლო გეგმის ლუთერისეულთან შედარებაც გვარწმუნებს, რომ მელანხტონი, თითქმის იმასვე იმეორებს, რასაც ლუთერი გადმოსცემდა, ამდენად, აღნიშნავს ავტორი, რომ ლუთერს მელანხტონზე ბევრად ადრე შეუდგენია სასწავლო გეგმა“. **(1. 26).**

ლუთერი პოლიტიკურ სფეროს გამართულ მუშაობაში განათლებას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს და მიუთითებს, რომ „...ხელისუფალნი, და არა მხოლოდ სასულიერო პირები, უნდა იყვნენ განათლებულნი. არ აქვს მნიშვნელობა ისინი არიან „თავადი, ბატონი, რატმანი“ თუ სხვა ავტორიტეტები. მხოლოდ ნასწავლ მთავრობას შეუძლია იყოს გონივრული მთავრობა.“ (2)

მარტინ ლუთერი მხარს უჭერდა არა მხოლოდ სასულიერო სკოლების გახსნას, არამედ იგი მოუწოდებდა სახელმწიფო ორგანოებს, რომ ყველგან, სოფლებსა და ქალაქებში გაეხსნათ სამკლასიანი დაწყებითი სკოლები. ამისთვის მათ უკან არაფერზე არ უნდა დაეხიათ: ლუთერი აყენებდა დაწყებითი სკოლების საყოველთაობის და მათდამი სახელმწიფოებრივი ზრუნვის იდეას. ამასთან ლუთერი სვამდა საკითხს სკოლების კლასებას დაყოფის შესახებ“.

ლუთერმა მოითხოვა ბიჭებისა და გოგონების თანაბარი განათლება. იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმხანად გაბატონებულ მოსაზრებას სქესთა შორის „არათანაბარუნარიანობის“ შესახებ. თანასწორუფლებიანობა განათლებაში, რასაც ლუთერი მოითხოვდა, არა მხოლოდ ორივე სქესს ეხება, არამედ კლასობრივ ბარიერებსაც სცილდება. სასკოლო განათლებით ყველამ უნდა ისარგებლოს, მათ შორის ობლებმა და ღარიბმა ბავშვებმაც, რომელთა განათლებაზეც ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. **(2)**

ლუთერი იწონებდა ბერძნული ზოგადი განათლების სისტემას, მისი უნივერსალურობის გამო. ეს განათლება არ ამზადებდა რაიმე სპეციფიკური პროფესიისთვის, არამედ ადამიანებს იგი „ყველაფრის უნარიანად“ აქცევდა. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ საქმიანობას აირჩევენ, არ შეიძლება იყოს მიღებული მათი მშობლების მიერ, რადგან ლუთერისთვის განათლება არ ნიშნავს მხოლოდ გარკვეული კლასის შესატყვისი პროფესიის დაუფლებას, (რაც დიდწილად ბავშვის დაბადებიდან იყო განსაზღვრული), არამედ განათლება უკავშირდება სწავლის უნარს, რომლის მიზანიც ინდივიდის განვითარებასთან ერთად ყალიბდება და ვერ იქნება წინასწარ ცნობილი წინაპრების მიერ, ასეთია ლუთერის პროგრესული აზრი პროფესიის დაუფლებაზე. **(2)**

ამასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლუთერის შეხედულება იმის თაობაზე, რომ იგი მოითხოვდა მოსწავლეთა განაწილებას კლასებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმხანად ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ჯგუფური სწავლება და კვლავაც მასობრივი ხასიათი ჰქონდა ინდივიდუალურ სწავლებას. ამ პროგრესული იდეით ლუთერი ი.ა. კომენიუსის წინამორბედადაც გვევლინება, რომელმაც ერთი საუკუნის შემდეგ, სწავლების ორგანიზაციის მთავარ ფორმად გაკვეთილი აღიარა, რაც ჯგუფურ სწავლებას დაეფუძნა.

ზოგადპედაგოგიკურ შეხედულებებთან ერთად ლუთერი დიდაქტიკურ იდეებსაც ავითარებდა. მისი მართებული აზრით, შესასწავლი მასალა ასაკის მატებასთან ერთად უნდა გართულებულიყო. ეს ზუსტად ის არის, რასაც ი.ა. კომენიუსი სწავლებაში მისაწვდომობისა და დასაძლევობის და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინების ანუ სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს უწოდებს. დიდაქტიკური თვალსაზრისით ლუთერი ეწინააღმდეგებოდა დაწყებით სკოლაში ერთდროულად რამდენიმე ენის სწავლებას. იმხანად გაბატონებული ლათინური ენის ალტერნატივად ლუთერმა გერმანულ ენაზე სწავლებას დაუჭირა მხარი.

1522 წელს გამოქვეყნდა „ახალი აღთქმის“ ლუთერისეული თარგმანი. ამიერიდან გერმანელებს ლუთერის დამსახურებით შეეძლოთ ღვთის სიტყვის მშობლიურ ენაზე გაცნობა. აქედან გამომდინარე, გერმანული ენის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მარტინ ლუთერს ჩამოყალიბებული ჰქონდა დაწყებითი სკოლის ძირითად ამოცანა, რაც ეკლესიისა და საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანების აღზრდისათვის საფუძვლის ჩაყრაში მდგომარეობდა. ამაში კი წამყვან როლს რელიგიურ აღზრდას აკისრებდა.

დაწყებითი სკოლების მასობრივად დაარსებისთვის ლუთერის აზრით, ის არგუმენტიც საკმარისია, რომ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება მოითხოვს განათლებულ და შეგნებულ ადამიანებს. ამისთვის საჭიროა ბიჭებისა და გოგონებისთვის განათლების მიცემა, რათა შემდგომში კაცებმა შეძლონ ქვეყნის მართვა, ხოლო ქალებმა სახლ-კარის გაძღოლა. ამასთან ერთად, ოჯახის მამამ ან სახელმწიფოს მმართველმა უნდა იცოდეს, რომ სხვაგან არ ეძებოს ნივთი, რომლის დამზადებაც თავადვე შეუძლია.

ლუთერი საყურადღებო მოსაზრებებს ავითარებდა გულმოწყალებაზე, რაც ბევრისთვის მიუღებელიც იყო. ლუთერის აზრით, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დავეხმაროთ ადამიანებს, რადგან სისტემატური დახმარება გზას უხსნის სიზარმაცეს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა არისტოტელეს და ციცერონსაც[5]. ამ პრობლემის - საყოველთაო სიღარიბის დაძლევა ლუთერს კარგად გამართული სკოლების მეშვეობით მიაჩნდა შესაძლებლად.

იმის მიუხედავად, რომ ლუთერი სასულიერო პირი იყო, ის მხოლოდ ეკლესიის პრიზმიდან არ უყურებდა სკოლის ამოცანებს. მან კარგად გააცნობიერა სამოქალაქო ამოცანები და ნათლად დაინახა სწავლების ცხოვრებასთან კავშირის საჭიროება და სკოლის ამოცანად დასახა, როგორც ეკლესიისთვის, ისე პრაქტიკული საქმიანობისთვის: „ზნეობრივად სრულყოფილი და დახელოვნებული ადამიანების - მქადაგებლების, მღვდლების, მმართველების, იურისტების, მწერლების, ექიმების, სკოლის მასწავლებლების და ა.შ. მომზადება“ **(4, 103)**.

ლუთერმა წამოაყენა საყოველთაო დაწყებითი განათლების იდეა. სკოლებში უნდა ესწავლა ყველას, მდიდარსა და ღარიბს, დიდგვაროვანსა და მდაბიოს, ბიჭებსა და გოგოებს. ლუთერი განსაკუთრებით წუხდა ქალების გაუნათლებლობაზე. ამ მხრივ გერმანიაში უფრო მძიმე მდგომარეობა ყოფილა XVI საუკუნეში, ვიდრე წარმართებთან, ბერძნებთან და რომაელებთან ოდესმე. ისინი ქალთა აღზრდას, - წერდა ლუთერი, ისევე სერიოზულად ეკიდებოდნენ, როგორც ვაჟებისას. ლუთერს ქალთა უპირველეს ამოცანად ოჯახის მოვლა და შვილების კარგად აღზრდა მიაჩნია, სწორედ ამიტომაც მოითხოვდა მათ სათანადოდ განათლებას. ამასთან ერთად, იგი არ გამორიცხავდა მათგან საზოგადოებისთვის სხვა სარგებლის მოტანას, კერძოდ კარგ მასწავლებლობასაც **(4, 50).**

მარტინ ლუთერი კარგად აცნობიერებდა იმას, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა რომ-

5. ა. ასათიანი, ბიზნესის ეთიკა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი:, 2012, გვ. 196.

თან დაპირისპირების პირობებში გერმანიის მოსახლეობა. მისი აზრით, ეშმაკი (იგულისხმება რომის პაპი) გაუნათლებელ ადამიანებს ადვილად იმორჩილებს. ამიტომ ყველა მშობელმა სკოლაში უნდა მიაბაროს საკუთარი შვილი. თუკი ამას ნებით არ გააკეთებდნენ სახელმწიფოს იძულებითი წესებიც უნდა შემოეღო. ლუთერი მხოლოდ დაწყებით განათლებას მიიჩნევდა სავალდებულოდ, შემდეგ კი ყველა ბავშვი ნიჭისა და ინტერესების შესაბამისად თავის გზას აირჩევდა.

ლუთერი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა ნიჭიერი ბავშვების მიმართ. მისი აზრით, უცილებელი იყო ასეთ ბავშვებზე მეტი ეზრუნათ, ჩაეტარებინათ დამატებითი მეცადინეობები და ა.შ. თუ ღარიბთა შორის აღმონდებოდნენ ნიჭიერი ბავშვები, მათზე სახელმწიფოსთან ერთად მდიდრებსაც უნდა ეზრუნათ, რადგან სწორედ ასეთი ბავშვები მოუტანდნენ სარგებელს საზოგადოებას და სახელმწიფოს.

ლუთერმა კარგად იცის მასწავლებლის ბავშვებთან ურთიერთობის მნიშვნელობა, ამიტომ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, როგორც ფიზიკურ დაასჯას, ისე მომეტებულ დატუქსვასაც, და მას ძველი ყოფის გადმონაშთად მიიჩნევდა. მან კარგად იცოდა, რომ ბავშვთა აღზრდა - „სხვათა შვილების კეთილსინდისიერი აღზრდა“ მაღალ ზნეობას და მძიმე შრომას მოითხოვდა, სწორედ ამიტომაც მიაჩნდა მასწავლებლობა „უმაღლეს სათნოებად“ **(3, 227).**

ლუთერი იხსენებს ძველ დროს, როცა მასწავლებლის პროფესია არ იყო დაფასებული, უფრო მეტიც, იგი სამარცხვინოდაც ითვლებოდა, რადგან უვიცი და მტანჯველი მასწავლებელი არ შეიძლება უყვარდეს არც ბავშვს და არც მის მშობელს. ამასთან ერთად, ლუთერი მისი თანამედროვე მასწავლებელთა უმძიმეს მატერიალურ სიდუხჭირესაც არ უვლის გვერდს და საერო ხელისუფალთ მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის მოუწოდებს.

ლუთერი იმასაც აღიარებდა, რომ მასწავლებლობა ერთ-ერთი დაუცველი პროფესია იყო გერმანიაში. თუმცა მას არ აკმაყოფილებდა მასწავლებელთა კვალიფიკაციაც, რაც საბოლოოდ სკოლის მუშაობაზე აისახებოდა.

ლუთერისთვის მიუღებელი იყო საშინაო აღზრდის იმჟამინდელი წესები, იმის მიუხედავად, თუ სად იზრდებოდა ბავშვი - მდიდარ თუ ღარიბ ოჯახში. ის ამის რამდენიმე მიზეზსაც ასახელებს:

ა) მშობლებმა ყოველთვის არ იციან თავიანთი მოვალეობების შესახებ; მათთვის ბავშვების ამქვეყნად მოვლინებით სრულდება მათი მოვალეობა.

ბ) თავად მშობლები მოუმზადებლები და ხშირად უცოდინრები არიან შვილების აღზრდისთვის.

გ) საჭირო ცოდნაც რომ ჰქონდეთ, ყოველდღიური ცხოვრების საზრუნავი მათ არ უტოვებს დროს შვილების აღზრდა-გაანათლებაზე ზრუნვისთვის. ბევრი ოჯახი კერძო აღმზრდელსაც ვერ ქირაობს. რომ აღარაფერი ვთქვათ ობლებზე, რომლებსაც ასევე სჭირდებათ აღზრდა **(3).**

ბავშვთა აღზრდა-განვითარებაში მასწავლებლის ანუ „საზოგადოებრივი აღმზრდელების“ როლის შესახებ მარტინ ლუთერი წერდა: „ვერანაირი ფული ვერ აანაზღაურებს იმ შრომას, წერდა იგი, რასაც მასწავლებელი მიმართავს ბავშვთა აღზრდა-განათლებაში, რასაც არ უარყოფს თვით წარმართი არისტოტელეც“ **(3,227).**

ლუთერი დაინტერესდა დაწყებით სკოლებში სწავლების შინაარსითაც. ის უკმაყოფილოა მხოლოდ ბიბლიისა და კატეხიზმოს სწავლებით და მხარს უჭერს ფართო სპექტრის საგნების სწავლებას, მათ შორის კლასიკოსი მწერლებისაც. ოღონდ სწავლების შინაარსი და შესასწავლი მასალა თანდათან უნდა გართულებულიყო. კერძოდ, პირველი კლასი ეხება მხოლოდ საბაზისო განათლებას, რომელიც ყველას ეკუთვნის და მოიცავს კითხვას, წერასა და ცოტა ლათინურს, მაგრამ ასევე მუსიკას. მეორე კლასი ეხება ანტიკური და რენესანსის ხანის პოეტებს, მაგალითად, ერასმუსს,[6] მაგრამ ასევე შერჩეულ ეპიზოდებს ბიბლიიდან, ასევე მრწამსს და კა-

6. დეზიდერიუსი ერაზმუს როტერდამელი (ნამდვილი სახელი და გვარი გერჰარდ გერჰარდსი (Gerhard Gerhards); როგორც ერასმუს როტერდამელი ან ერაზმ როტერდამელი) (დ. 28 ოქტომბერი, 1466/1469, როტერდამი — გ. 12 ივლისი, 1536, ბაზელი) — რენესანსის პერიოდის ნიდერლანდელი ჰუმანისტი კათოლიკე ქრისტიანი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ფილოლოგი, მთარგმნელი და მწერალი. ერაზმუს როტერდამელმა უარყო შუა საუკუნეების სწავლა–აღზრდის სისტემა. გამოსცა „ახალი აღთქმა“ ბერძნულ ენაზე, რომელიც საფუძვლად დაედო ლუთერის ბიბლიის თარგმნას.

ტეხიზმოს. აქცენტი კეთდება გრამატიკის დაუფლებაზეც. და ბოლოს, მესამე კლასი ეხება კვლავ ანტიკურ ავტორებს, როგორებიც არიან ვერგილიუსი, ოვიდიუსი და ციცერონი. სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა დიალექტიკასა და რიტორიკას **(2).**

სწავლების შინაარსიდან ლუთერი გამოყოფს ხელობის, ენების შესწავლისა და მშობლიური ენის როლს: „მშობლებს არ შეუძლიათ დაუტოვონ თავიანთ შვილებს იმაზე მეტი განძი, ვიდრე ხელობისა და ენების ცოდნაა. კაცს სახლა-კარი შეიძლება დაეწვას, ცოდნა კი მუდამ თან ექნება, როცა ერთმანეთს დაშორებულნი არიან, ადამიანებს შეუძლიათ მიმოწერა და ერთმანეთთან გასაუბრება, გულის გადაშლა“ **(1, 68).**

ლუთერი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ენის შესწავლის მეთოდებსაც. ვინც ენას ეუფლება, მისი აზრით, ჯერ კარგად უნდა გაიაზროს ის საგანი, რომელსაც სიტყვა გამოხატავს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზეპირ მეტყველებას, რაც ენის დაუფლებაში განსაკუთრებით ეხმარება მოწაფეს: „...თითოეული ადვილად და სწრაფად ეუფლება გერმანულს ან სხვა ენას ზეპირი მეტყველებით სახლში, ბაზარში ან ქადაგების დროს, ვიდრე წიგნებით. წიგნიერი სიტყვა მკვდარია, ზეპირი მეტყველება კი - ცოცხალი“**(1, 68).** ამასთან ერთად, იგი არ აკნინებს „წიგნებისა და გრამატიკის“ მნიშვნელობას ენის შესწავლის პროცესში, მაგრამ პრაქტიკის უპირატესობას ერთმნიშვნელოვნად აღიარებს: „თვით ის ენებიც, რომელთაც აქვთ ყველაზე ზუსტი წესები, როგორებიცაა ბერძნული და ლათინური, უფრო სწრაფად შეისწავლება პრაქტიკის გზით, ვიდრე თეორიით“, - წერდა ლუთერი **(1, 69).**

სწავლებაში ლუთერი საგანგებო ყურადღებას უთმობდა პაექრობას და დისპუტს. მისი აზრით, „პაექრობა ემსახურება იმას, რომ ახალგაზრდა გავარჯიშდეს, უფრო ბეჯითად ჩაუფიქრდეს კამათის საგანს“. მაგრამ პაექრობას რომ მყისიერი შედეგი არ მოაქვს, ესეც კარგად იცის მან. ამისთვის გარკვეული ეტაპებია გასავლელი: „კიბეზე საფეხურებით ადიან, არავინ გამხდარა ერთბასად დოქტორი. ხე ისე არ გაიზრდება, თუ ჯერ ნერგი არ იქნა, ამისთვის კი დროა საჭირო - დროს მოჰყავს მოსავალი“, - დასძენს ლუთერი (5**, 354**).

ლუთერს სასარგებლოდ მიაჩნდა მათემატიკური საგნების შესწავლა, ხოლო ასტრონომიისა და კოპერნიკის შეხედულების მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, რაც მისი, როგორც თეოლოგის პოზიციის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია.

ლუთერმა არა მარტო განათლებისა და აღზრდის კავშირი აღიარა, არამედ კარგად დაინახა ისიც, რომ წარმატებული აღზრდა მხოლოდ განათლებასთან ერთად არის შესაძლებელი. ამ საქმეში წამყვან როლს მუსიკას და „რაიდულ სიქველეებს“ (ცხენოსნობა, ცურვა, შუბოსნობა, ფარიკაობა, ნადირობა, ჭადრაკის და შაშის თამაში, ლექსების თხზვა სიმღერით) აკისრებს.

აღზრდის თვალსაზრისით ლუთერი მუსიკას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა: „მუსიკა ადამიანებს ხდის უფრო შემწყნარებელს, უწყინარს, ზნეკეთილს და გონიერს. განდევნის ცუდ განზრახვას, პატივმოყვარეობას და სხვა მანკიერებებს“, - ლუთერის აზრით, მუსიკა ერთ-ერთი უმშვენიერესი და სასწაულებრივი ღვთიური ჯილდოა, რომელიც ახლოს დგას საღვთო წერილთან და შეუძლია ადამიანების ზნეობრივი აღზრდა, რადგან „ის წარმოშობს ფაქიზ, მომხიბლველ ადამიანებს. აქედან გამომდინარე, ლუთერი ასკვნის, რომ მუსიკას უნდა ეზიაროს ახალგაზრდობა, იგი ფართოდ უნდა დაინერგოს სკოლებში. თვით მასწავლებლებსაც უნდა შეეძლოთ სიმღერა“ (5. **354-357**). მე რომ ბავშვები მყავდნენ, - წერდა ლუთერი, მაშინ ისინი ისწავლიდნენ არა მარტო ენებსა და ისტორიას, არამედ სიმღერასაც, მუსიკასაც, მათემატიკურ დისციპლინებსაც“ (4,**299).**

ლუთერის ყურადღება მუსიკისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ იგი ხელისუფლებას მოუწოდებდა შესაბამისი ზრუნვა გამოეჩინათ სკოლებში მუსიკის შესწავლისათვის. შეერჩიათ ამ საქმის მცოდნე პედაგოგები. განსაკუთრებით კატეგორიული იყო ლუთერი იმათ მიმართ, ვინც ღვთისმსახურებას გადაწყვეტდა. რადგან მას დაუშვებლად მიაჩნდა სასულიერო სამსახურში ისეთი ადამიანი, ვინც არ ფლობდა მუსიკას და სიმღერას.

ლუთერმა, როგორც გამოჩენილმა თეოლოგმა, თავისი რეფორმატორული შეხედულებებით, ძველი დროის ქრისტიანი თეოლოგებისგან განსხვავებით, რომლებიც თეატრალურ ხელოვნებას მოზარდებისათვის საზიანოდ თვლიდნენ, დადებითი ფუნქცია დააკისრა. განსაკუთ-

რებით პოზიტიურად იყო განწყობილი ლუთერი რომაული კომედიების მიმართ. მისი აზრით, კომედიებს შეუძლია გამოაშკაოს ყველა ნაკლი, რაც საზოგადოებას და თითოეულ ადამიანს აქვს და ამით ხელი შეუწყოს ზნეობრივი თაობის აღზრდას.

ცხოვრების ავკარგიანობის შესაცნობად ლუთერს წიგნების კითხვა აუცილებლად მიაჩნია, რაც ამავე დროს ზნეობრივი აღზრდის ქმედითი საშუალებაა. თუმცა, ყველა წიგნი რომ არ არის სარგებლობის მომტანი ესეც კარგად იცოდა გამოჩენილმა თეოლოგმა და რეფორმატორმა. ამიტომ დიდ, მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვებისთვის წიგნების შერჩევას. რომაულ კომედიებთან ერთად ლუთერს ძალიან მოსწონდა იგავ-არაკები, განსაკუთრებით ეზოპეს შემოქმედება, რომელიც მომავალი თაობისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა. სწორედ მისი გავლენით დაუწერია მარტინ ლუთერს „ეზოპური იგავები“ **(6).**

ბავშვებისათვის საკითხავი წიგნების შერჩევის კვალდაკვალ ლუთერი წიგნსაცავების და ბიბლიოთეკების მოწყობაზეც მიუთითებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. მოსახლეობის განათლებისთვის საზოგადებამ და ხელისუფლებამ არ უნდა დაიშუროს არც ძალა და არც მატერიალური საშუალები, რათა ყველა ქალაქში შეიქმნას ბიბლიოთეკები. ყველა მსურველს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, საჭირო წიგნი მიეღო ასეთ დაწესებულებში. წიგნების გამრავლება მას რთულად აღარ მიაჩნდა ი. გუტენბერგის მიერ წიგნის საბეჭდი მოწყობილობის გამოგონების შემდგეგ. საჭირო წიგნებად, პირველ რიგში მას მიაჩნდა ძველი აღთქმა და სახარება ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ და გერმანულ ენებზე. ბიბლიოთეკები განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში **(4,58-59).**

მომავალი თაობის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში ლუთერი აუცილებლად მიიჩნევდა შრომისმოყვარეობის აღზრდას. მის მიერ დაარსებული სამკლასიანი სკოლებში მოსწავლეებისთვის შრომითი ჩვევების დაულების მიზნით, ის რეკომენდაციას იძლევა ბიჭები ორი საათით ადრე პერიოდულად გაუშვან ოჯახებში, რათა მშობლებთან ერთად სახელობო საქმეებში გაწაფულიყვნენ, ასევე უნდა მოქცეულიყვნენ გოგონების მიმართაც, რომ ისინი დახმარებოდნენ დედებს საოჯახო საქმებში. ლუთერი კიცხავდა იმ მშობლებს, რომლებიც თავიანთ შვილებს არიდებდნენ შრომას და ფუფუნებაში ამყოფებდნენ. ასეთი დამოკიდებულება, მისი სამართლიანი შეფასებით, საზიანო იქნებოდა, როგორც ბავშვთა ზნეობრივი ჩამოყალიბებისთვის, ის მათი ცხოვრებისათვის მომზადებისათვის **(4,52).**

მარტინ ლუთერმა თავადვე შეაფასა ის ნაამაგარი, რაც მას მიუძღვის გერმანელი ხალხის წინაშე: „ძალიან მინდოდა ჩემი რჩევით, - წერდა ლუთერი, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი გერმანიას. შეიძლება ზოგიერთებმა ამის გამო ამითვალწუნონ და ჩემი პატიოსანი რჩევა არად ჩააგდონ. დაე, თავად თქვან უკეთ, ამის წინააღმდეგი მე არ ვიქნები. ეჭვიც არ მეპარება, რომ სხვები ამას ჩემზე უკეთესად შეასრულებენ; მაგრამ რადგანაც ისინი დუმან, ვღაღადებ მე, და ისე ვამბობ, როგორც შემიძლია, ყოველ შემთხვევაში დუმილს ლაპარაკი ჯობია“ **(4,54).**

შემდეგ ლუთერი თავისი მოღვაწეობის იდეალს უფრო აკონკრეტებს: „მე ვეძებდი სიკეთეს და ბედნიერებას არა ჩემთვის, არამედ გერმანიისთვის“ **(4,54).** სწორედ ამ იდეალებს ემსახურა მარტინ ლუთერი თავისი შეგნებული ცხოვრებითა და მუხლჩაუხრელი შრომით, რითაც სათავე დაუდო ახალ ეპოქას, რაც რეფორმაციის სახელით არის ცნობილი ქრისტიანულ სამყაროში. ხოლო მისი პროგრესული პედაგოგიკური იდეები გაითვალისწინეს და განავითარეს მომდევნო პერიოდის ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნებ ი. ა. კომენიუსი, ი.ჰ. ჰერბარტი. ა. დისტერვეგი, ი.ჰ. პესტალოცი და სხვ.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მარტინ ლუთერმა როგორც რელიგიურმა რეფორმატორმა საფუძველი ჩაუყარა გერმანულ ეროვნულ განათლებას, შემოიღო საყოველთაო დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე, კლასობრივი წარმომავლობის მიუხედავად, მოითხოვა ბიჭებისა და გოგონებისთვის თანაბარი განათლების უფლება, მხარი დაუჭირა ჯგუფურ სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ ლუთერისთვის წმინდა წერილის ცოდნა არის განათლების საფუძველი და მიზანიც, ხოლო ჰუმანისტური მეთოდები ემსახურება ამ მიზნის მიღწევას. მან პროგრესული დიდაქტიკური შეხედულებები განავითარა სწავლების შინარსთან და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. კერძოდ, სახარებასთან ერთად მხარი დაუჭირა საერო საგნების

სწავლებას. სკოლის ამოცანა ფართო პროფილით წარმოადგინა და მას ყოფა-ცხოვრებისთვის ახალგაზრდობის მომზადებაც დააკისრა. თუმცა, სახარების გარეშე განათლება მაინც წარმოუდგენლად მიაჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუტალია 1982: კუტალია გ., მარტინ ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებები, თბილისი.
2. Anno Domini , Martin Luther und die Pädagogik -Versuch einer Re-konstruktion,Berlin, 2000. Henning Schluß www.henning.schluss.de.v
3. Martin Luther, Ein Sermon oder Predigt, dass man Kinder zur Schule halten solle (1530) https://germanhistory-intersections.org/de/wissen-und-bildung/ghis:document-131
4. M. Luther, An die Ratsherrn aller Städte deutsches Lands, dass sie christliche Schulen aufrichten und halten sollen. 1524, გვ. 50] https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/9783110847239-015/html?srsltid=AfmBOopqoru2KyMYnTCqrVcWSSuclkXPNkDzAoOMlsKivvCq_tkGk3OE
5. Martin Luthers Tischreden (Tischreden Doctor Martin Luthers) sind Nachschriften und Notizen, die von Gästen des deutschen Reformators Martin Luther (1483 ... https://www.luther2017.de/martin-luther/geschichte-geschichten/die-latrine-als-ort-reformatorischer-erkenntnis/index.html.
6. История немецкой литературы 1975: История немецкой литературы. Москва, “Высщая школа”, Авторы: Н. А. Гуляев, И. П. Шибанов, В. С. Буняев, ... http://19v-euro-lit.niv.ru › istoriya-nemeckoj-literatury

Avtandil Asatiani
Professor, Georgia Tech University

Martin Luther’s views on universal primary education

summary

Martin Luther’s pedagogical views are based on his own theory of understanding human freedom, which does not lose its relevance even in modern conditions. Luther made such key issues of pedagogy as the theory of upbringing, the theory of education and universal school education the subject of his research and work.

Luther, as a reformer of school education, opened the way to primary education for all children, regardless of their rank and gender, and established teaching in their native language instead of Latin in schools. He correctly saw the need for the unity of education and upbringing, supported freedom and clarity in teaching.

Keywords: Catholicism, Reformation, native language, upbringing, education, teaching, primary school.

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
მაია ახვლედიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თეკლა გამგებელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პედაგოგიური ფაკულტეტის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი

ეროვნული ცნობიერების საკითხისათვის სილოვან ხუნდაძის პედაგოგიკურ ნააზრევში

რეზიუმე: *სილოვან ხუნდაძის შემოქმედებაში დასმული ბევრი საკითხი უაღესად მნიშვნელოვანია იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მის ყოველ სიტყვაში ნათლად ჩანს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით აღტკინება, ქართული ენის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაძლიერება, ქართველთა შორის ეროვნული ცნობიერების გაღვივება.*
საკვანძო სიტყვები: *ეროვნული იდენტობა, პედაგოგიური რჩევა, ქართული ენა, სამშობლო, სახალხო მასწავლებელი.*

ქართული, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მრავალი მოღვაწეების მხრებზე გადაიარა. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე გახლავთ სილოვან ხუნდაძე. ქუთაისის გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელისა და განმანათლებლის როლში, იგი არა მხოლოდ წარმატებით ებრძოდა რუსეთის იმპერიის იმ დროისათვის გამძაფრებულ რუსიფიკაციას, არამედ ქართული სალიტერატურო ენის სტანდარტების მნიშვნელოვან დამდგენადაც გვევლინება.

XX საუკუნის დასაწყისში „პედაგოგიური რჩევის“ მდივანი და გიმნაზიის ინსპექტორი - სილოვან ხუნდაძე აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა იაკობ გოგებაშვილთან ქვეყანაში არსებული მძიმე ეროვნული ვითარების შესახებ. სილოვანის გულისტკივილი გადაგვარების პირას მყოფი ქართული ენის თაობაზე კარგადაა გადმოცემული იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილ მის წერილებში. ის იაკობს ახსიათებს, ისეთ პიროვნებად, რომელსაც გულწრფელად შესტკივა გული ჩვენი ეროვნული საქმეებისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის **(ბრეგაძე, 1955: 340). წერილში სილოვან ხუნდაძე მიიჩნევს, რომ „**ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი ხალხის ეროვნების დასაცავათ უპირველესი საშუალება ენის დაცვაა, და, მაშასადამე, ამ წმინდა საგნისათვის არ უნდა დავზოგოთ არავითარი ღონისძიება... ჩვენ კი რასა ვშვრებით? თვით ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი, თვით ჩვენი ლიტერატორნი მუდამ უცხო ენას აჭიკჭიკებენ, თითქო თავს იწონებენ უცხო ენითო, და ამ სახით აქეზებენ და ათამაშებენ უმცროს თანამოძმეებს, თავის მსმენელებს, ბრბოს, რომ ისინიც მათებურათ მოიქცნენ **(ბრეგაძე, 1955:340). ამ პრობლემის გადასაჭრელად სილოვან ხუნდაძეს მიაჩნია, რომ სათავადაზნაურო** სკოლებში ჯეროვან დონეზე უნდა დავაყენოთ ქართული ენის სწავლების საქმე. ამ თვალსაზრისით ის იაკობ გოგებაშვილს სთავაზობს გამოსავალს პრობლემის გადასაჭრელად „ამისთვის (განსაკუთრებით პირველ კლასიდან დაწყებული) და არც შეგვიძლია, რომ სხვა საგნები ქართული ენის საშუალებით ვასწავლოთ... ამას შემდეგ რა უნდა მოვსთხოვოთ მთავრობის სასწავლებლებს, სადაც კვირაში თითო გაკვეთილია და ისიც მეექვსე?! რასაკვირველია, გვმართებს ზრუნვა იმისთვის, რომ შკოლებშიც გავაუმჯობესოთ ქართული ენის სწავლება, გავაფართოოთ მისი უფლება, მაგრამ კიდევ მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რომ თვით ჩვენმა ოჯახებმა, თვით მშობლებმა, თვით საზოგადოებამ შეიგნოს თავისი სამშობლო ენის დაცვის საჭიროება **(ბრეგაძე, 1955:340)**; როგორც წერილიდან ჩანს ქართული ენის სწავლება მარტო სკოლაში კი არ უნდა გაუმჯობესდეს, არამედ თვით ოჯახშიდაც უნდა მიექცეს ყურადღება ქართულ ენაზე სწავლებას. როგორც ჩანს სილოვანს პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაუდგამს ამ კუთხით: „ამ მიზნით მოველაპარაკე რამდენიმე გავლენიან ქართველ ოჯახს, და ამ მოკლე ხანში გვინდა შევკრიბოთ ქუთათური ქართველი ოჯა-

ხების წარმომადგენელნი, განსაკუთრებით გადაგვარების გზაზე დამდგარი ოჯახებისა და ავუხსნათ მათ ეს საგანი; გვინდა დავაარსოთ წრე, რომელმაც უნდა იკისროს საშინაო ქართული ბიბლიოთეკის დაარსება, მუქთათ რიგიანი ქართული წიგნების კითხვის სურვილი აღვუძრათ პაწია ქართველებს; მასთან უნდა ვიზრუნოთ, რომ გავავრცელოთ შეძლებულ ოჯახებში ქართული ენის მასწავლებელთა დაქირავება **(ბრეგაძე, 1955:340)**.

წერილში სილოვან ხუნდაძე აკრიტიკებს ქართულ ოჯახებს, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან მშობლიური ენის დაცვას, რომელთა თხოვნებით სავსეა სასწავლებლების კანცელარია, გთხოვთ ჩემს შვილს ქართულს ნუ ასწავლითო! აი რას უნდა წამლობა; ჯერ თვით ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, და მერე სხვებიც პატივისცემით მოგვეპყრობიან **(ბრეგაძე, 1955:340)**.

სილოვან ხუნდაძე იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილ წერილში აკრიტიკებს თვით სათავადაზნაურო ბანკის წევრებს კირილე ლორთქიფანიძეს და დავით წულუკიძეს, იმ თვალსაზრისით, რომ მის რეპლიკაზე „რომ ბანკის წევრთა კრებაზე მაინც ვილაპარაკოთ ქართულათ“ მათ უპასუხნიათ: რას ჩაგვაცივდი, სულ ერთია, ჩემს აზრს რა ენაზედაც გამოვსთქვამო!“ **(ბრეგაძე, 1955:340)**. ასეთი დამაფი ქრებელი მაგალითის მოყვანის შემდეგ სილოვან ხუნდაძე კვლავ უბრუნდება საკითხს ქართველთა ოჯახებში ქართული ენის სწავლების შესახებ და ფიქრობს, რომ დაარსოს საყმაწვილო წიგნების მთარგმნელთა წრე, რომ გამრავლდეს ქართული წიგნები.

იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ მეორე წერილში მთავრობის შეკითხვაზე საქართველოს, რომელ კუთხეში რა ენაზე უნდა მიმდინარეობდეს სხვადასხვა საგნების სწავლება ის იზიარებს იაკობ გოგებაშვილის შეხედულებას, რომ, „ როგორც ოდიშში, ისე სვანეთში ყველასათვის საერთო ქართული ენა უნდა იქნეს, რუსულ ენაზე გადასასვლელი საშვამდგომლო ენა, რადგან ერთნაირათ ყველასთვის გასაგები იქნება და ამასთან საეკლესიო ენა ქართული ენაა“**(ბრეგაძე, 1955:342).** შემდეგ საუბრობს ქართული ენის ფორმებსა და გრამატიკულ კანონებზე. არ ეთანხმება იაკონ გოგებაშვილის მოსაზრებას, რომ „იმერული კილო ეტანება ორაზროვნებას, ამერული კი გაურბის მასო“. მე მგონია, არც კილო არ ეტანება ორაზროვნებას, ორაზროვნება ორივე კილოში მოიპოვება მეტნაკლებობით (მაგალითად, ამერეთში ამბობენ საქმე დაუწყვია, საქმის დაწყობა მინდაო და სხვ. მე აქ მოველი, შენ სოფელში მიხველიო და სხვა.) ამ სახით ორაზროვანი ფორმები ბლომათ მოიპოვება ორივე კილოში, და, მაშასადამე, ამერულ-იმერულობით კი არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, არამედ იმით, თუ რომელი ფორმაა უფრო მუსიკალურთან. მე ჩემს წიგნში ბევრი იმერული ფორმა მაქვს უარყოფილი და ბევრი ამერული, და ყველას შესახებ შეძლებისდაგვარათ მოყვანილი მაქვს საფუძვლები. ვერც იმაში გეთანხმებით, თითქო კილოებზე სჯა-ბაასი ეროვნულ განხეთქილებას ჩამოაგდებსო“ **(ბრეგაძე, 1955:342)**. სილოვან ხუნდაძე მიიჩნევს, რომ აუცილებლად საჭიროა ერთგვარი: ერთიანი ლიტერატურული ფორმების შემოღება და ერთნაირი კილოს დაფუძნება.

სილოვან ხუნდაძე იაკობ გოგებაშვილისადმი მიწერილ შემდეგ წერილში ემხრობა იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებას „ რომ აუცილებელია ჩვენი თვითცნობიერების, ჩვენი ენის, ჩვენი ეროვნული გრძნობის გაღვივება ჩვენს მიძინებულ მოძმეებში“**(ბრეგაძე, 1955:346). სილოვანს მიაჩნია, რომ ჩვენი დანაშაული, იმაში მდგომარეობს, რომ „**სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმე უკუღმართათ არის მიმართული. მაგრამ უმთავრესი დანაშაული იმისა, რომ ჩვენს დედა ენას, ჩვენს ცხოვრებაში ღირსეული ადგილი არ უჭირავს. ისევ ჩვენ მიგვიძღვის ბრალი. აბა ვინ გვიშლის ერთმანეთ შორის მაინც ქართულათ ვილაპარაკოთ, ვინ გვიშლის ოჯახში მაინც ვაკითხოთ ჩვენს შვილებს ქართული წიგნები და მით ენა გავუწაფოთ და გონება ნორმალურათ განვუვითაროთ?! ახლანდელი დედები და მამები ოჯახში შვილებს სულ რუსულათ უჭიკჭიკებენ და უალერსებენ, საზოგადოებაში განუწყვეტლათ რუსულათ ლაპარაკობენ და ამისთანა პირობებში სკოლა, კარგათაც რომ იყოს იქ ჩვენი ენის სწავლება დაყენებული, ვერაფერს გვიშველის. არც ის უშველის ამ საქმეს, რომ მარტო წიგნისა და გაზეთის საშუალებით შევაგონოთ ჩვენს საზოგადოებას ეს მისი ნაკლულევანება: ჩემი აზრით ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ცოცხალი მოქმედება, პირისპირ ქადაგება. დავადექი იმ აზრის განხორციელებას, რომელიც თქვენს წიგნში ვრცლათ არის განმარტებული და რომლის შესახებაც მეცა მაქვს მოკლე წერილი დაბეჭდილი ჩემს წიგნში („ცხოვრების სურათები“, 1902წ.)“ **(ბრეგაძე, 1955:346)**.

როგორც წერილიდან ჩანს სილოვან ხუნდაძე აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ ქართულ ოჯახებში დაებრუნებინა ქართული ენაზე საუბარი, დაებრუნებინა ქართული წიგნი. ამისათვის ის ძალას და ენერგიას არ ზოგავდა კარ და კარ დადიოდა და ცდილობდა ეროვნული ცნობიერების გაღვივებას. ის იაკობს წერს: „აგერ ორი თვეა დავდივარ ოჯახებში და მშობლებს ვემუდარები, საოჯახო ბიბლიოთეკა შეადგინონ და შვილებს რიგიანი ქართული წიგნები აკითხონ, ჯერჯერობით ჩვენს გამოცემულ საყმაწვილო წიგნებს (ამას წინათაც მოგწერეთ, რომ საყმაწვილო წიგნები ვბეჭდოთ და გავავრცელოთ შკოლებსა და ოჯახებში) ვავრცელებთ ოჯახებში და ამასთან ვავალებთ, რომ მომავალში სხვა საყმაწვილო წიგნებიც შეიძინონ და ამ სახით ბიბლიოთეკა შეადგინონ; მალე კრება გვექნება და უნდა ავარჩიოთ იმ წიგნებში, რაც დღემდი დაბეჭდილა, იმისთანები, რომელიც გამოსადეგია საყმაწვილო ბიბლიოთეკისათვის, შემდეგ ამ წიგნების კატალოგს დავბეჭდავთ და ოჯახებში დავარიგებთ, რომ მშობლებს შეეძლოთ ბიბლიოთეკის შესადგენათ მით ხელმძღვანელობა. ჯერჯერობით უარი არავის უთქვამს, პირიქით, ბევრი სიხარულით მიეგება ამ საქმეს და აღგვითქვეს თხოვნის შესრულება. მე მგონია, ამგვარი წრის დაარსება და ასე კარისკარ სიარული განსაკუთრებით მაქ, თფილისშიაც საჭიროა. დარწმუნებული ვარ, ამგვარი ცოცხალი მოქმედება და ქადაგება ნაყოფს მოიტანს. ჩვენი ეროვნული გრძნობის გასაღვივებლათ შეიძლება სცენაც მოვიშველიოთ და რიგიან მკითხველებს ვაკითხოთ ხოლმე იმისთანა ნაწარმოები, რომელიც დედაენისა და ეროვნების სიყვარულსა და მნიშვნელობას შეეხება **(ბრეგაძე, 1955:346).**

სილოვან ხუნდაძის ინიციატივით ითარგმნა ქუთაისში ბევრი უცხოელი საბავშვო მწერალი. გაძლიერდა საბავშვო წიგნისადმი სიყვარული, რასაც ხელი შეუწყო იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის მიერ დაარსებულმა „საყმაწვილო წიგნების“ გამომცემლობის წრემ. როგორც მკვლევარი მ. ახვლედიანი წერს „წრე თარგმნიდა წიგნებს, რაც ხელს უწყობდა ოჯახში, ქართული წიგნის მარაგს და ქართულად კითხვის უზრუნველყოფას“**(ახვლედიანი, 2009:213).**

სილოვან ხუნდაძის ეროვნული მისწრაფებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას იჩენდნენ რუსეთის თვითმყრობელობის მოხელე ჩინოვნიკები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ასეთი ფაქტი. 1914 წელს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში გამოცდებზე დასასწრებად გამოგზავნილი იქნა კორიცკი. მან გიმნაზიაში გამოსაშვები გამოცდების ჩაშლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მოსწავლეთა დიდი ნაწილი კორიცკიმ ჩაჭრა, რამაც მოსწავლეთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. სილოვან ხუნდაძემ კორიცკის ასეთი სიტყვებით მიმართა: „ ხეპრე თავი მეტისმეტად მაღლა აგიწევიათ, ახალგაზრდობა ჩვენი უპირველესი საზრუნავი და საფიქრალია, მათ მსხვერპლად ვერასგზით ვერ შემოგწირავთ. ასეთ ატესტატებს არ ვსაჭიროებთ, საიდანაც მობრძანებულხართ, იქ შეგიძლიათ მიბრძამდეთ“ **(ბაკურაძე, 2024: 11)**. ამ შემთხვევის გამო ს. ხუნდაძე გააგდეს სკოლიდან.

ჟურნალ-გაზეთებში შუქდებოდა ქართული ენის ნებისმიერი მტკივნეული საკითხი. როგორც ყველა დროში, XX - ს-ის დასაწყისში პრესა მეცნიერთა პაექრობის ერთ-ერთ უპირველეს ასპარეზს წარმოადგენდა. პაექრობა ეხებოდა სალიტერატურო ენის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სტილის, ლექსიკოლოგია- ლექსიკოგრაფიის საკითხებს. ჟურნალ-გაზეთების გადაქცევა ენათმეცნიერების აზრის გამომხატველად, გამოიწვია იმან, რომ იმდროინდელი ქართველი საზოგადოება კარგად გრძნობდა პრესის დანიშნულებას. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ სილოვან სუნდაძე წერს: „მხოლოდ ორი ორგანო დაგვრჩენია ენის დამცველათ და გამწმენდელათ: ჟურნალ-გაზეთები და თეატრი“ **(ღლონტი, 2003: 17).**

ს. ხუნდაძე თავისი პირადი მაგალითით მოსწავლე - ახალგაზრდობას ეროვნულ სულისკვეთებას უნერგავდა. ის მოსწავლეებს დიმიტრი თავდადებულის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძის, ქეთევან წამებულისა და სხვათა სახელოვანი ცხოვრების შესახებ ესაუბრებოდა და სამშობლოსადმი თავდადების გრძნობას უნერგავდა.

ენობრივ საკითხში ქართლელი და იმერელი მწერლები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ენობრივი ნორმებით დაპირისპირებული სივრცის ერთ მხარეს იკვეთება ს. ხუნდაძის ფიგურა, მეორე მხარეს წარმოადგენენ: გრ. ყიფშიძე, ს. გორგაძე, ვინმე „იმერელი“... მოჩანან აგრეთვე ენის ბედით დაინტერესებული სხვა პირებიც. განსაკუთრებით მწვავე გამოდგა პაექრობა, ერთი მხრივ, ს. ხუნდაძესა და გრ. ყიფშიძეს შორის, მეორე მხრივ (მოგვიანებით), ს. სუნდაძესა და აკ.

შანიძეს შორის. პირველი – ეს იყო აშკარა ოპოზიცია, აშკარა ბრძოლა დასავლეთ საქართველოსა (კერძოდ, იმერეთის) და აღმოსავლეთ საქართველოს (კერძოდ, ქართლის) ენობრივ ფორმათა უპირატესობის გამო, რაც თავისი რეზონანსით ქართული ლინგვისტიკის ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პაექრობად (**ბაკურაძე, 2024)**.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია გრ. ყიფშიძის რეცენზია ს. ხუნდაძის წიგნაკ „ქართული მართლწერაზე“, „პასუხად ბ-ნ სილოვან სუნდაძეს“, ს. ხუნდაძის „ქართული თუ ქართლური“, „იმერლის“ „განა ჰავ ხორცმეტია?“ და სხვ. როგორც ირკვევა, გრ. ყიფშიძის პოზიცია ჯერ კიდევ სილოვანის „სალიტერატურო ქართულს“ გამოუკვეთავს, „მაგრამ მე ხმა არ ამომიღია” **(ღლონტი, 2003: 10).** უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულება ს. ხუნდაძის მიმართ საყოველთაოდ უარყოფითი არ იყო. „ივერიაში“ კ. შვილი წერს: „ბ-ნმა ხუნდაძემ თავისი შრომით ძალიან დიდი ღვაწლი დასდო ქართულის გრამატიკის შემუშავებას. დღეს მის წიგნში შეგროვილს დაკვირვებას შემდეგში ზედ დაემატება სხვების დაკვირვებაც და ამნაირად მომზადდება მასალა გრამატიკისათვის“ **(კ.შვილი, ქართული ენა. გაზ. „ივერია“, 1902, № 161).**

ი. აბულაძე „კეთილსინდისიერ შრომას” უწოდებს ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულს” და დასძენს, რომ, სპეციალური გამოკვლევების უქონლობის გამო, „სწორედ გაჭირვების ტალკვესიაო” (გას. „მოგზაური“, 1902). საყურადღებოა ქალის გვარის გამოხატვასთან დაკავშირებული თ. სახოკიას წერილი, ს. ხუნდაძის მხარდასაჭერი **(თ. სახოკია, ბ-ნ სილოვან ხუნდაძის წერილის გამო. „ცნობის ფურცელი“, 1902, №2020).**

ჟურნალ „განათლებაში“ აღნიშნულია, რომ „ქართული გრამატიკის სწავლებაში მასწავლებლები უნდა ხელმძღვანელობდნენ ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკითო“ (1910). დაბოლოს, მიუხედავად ხუნდაძისეული ზოგიერთი დებულების (კეთილხმოვანება, ენობრივი ფორმების გამარტივება) გაუზიარებლობისა, მის დადებითად შემფასებელთა რიგში მოვიხსენებთ პეტრე ჭარაიას. განსაკუთრებით მის გამოხმაურებას ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართულის“ გამო **(გაზეთი „ივერია“, 1904, №172).** ამდენად სილოვან ხუნდაძის კვლევის ობიექტის ხასიათი, როგორც გიორგი ახვლედიანი წერს - „იმ დარგის რაობიდანაა, რომელშიც ის მუშაობდა“ **(ახვლედიანი 2009:210).** ეს დარგი ქართული გრამატიკა და სალიტერატურო ქართული ნორმები იყო.

ქართული ენის სიწმინდის დაცვასთან ერთად სილოვან ხუნდაძე საუბრობს ქართველი მწერლების წერის სტილზე, ქართული ენის მუსიკალურობაზე, ქართული სიტყვის ძალაზე, ქართული სიტყვის მადლზე, რომ ამ ენაზე შექმნილია უამრავი მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოები და კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში შეიქმნება ქართული ნაწარმოები.

სილოვან ხუნდაძის დიდი დამსახურება იმაშია, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის სწავლება შედარებით უფრო მაღალ დონეზე იდგა ვიდრე სხვა სასწავლებლებში. აი, რას წერს გიმნაზიაში დამკვიდრებული სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით სილოვან ხუნდაძის ყოფილი მოსწავლე აკაკი ვასაძე: „ ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებლები მარტო სასწავლო პროგრამას როდი სჯერდებოდნენ, კვლევითი მუშაობის ჩვევებსაც გვინერგავდნენ ისტორიისა და ქართული ენის შესწავლისას“ **(ახვლედიანი, 2009: 212).**

იმ მოწინავე ადამიანთა შორის, რომლებსაც სახალხო განათლების ასპარეზზე უხდებოდათ მუშაობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, სილოვან ხუნდაძეს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. მან ჭეშმარიტად ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს, პირველყოვლისა სწორედ ამით არის გაპირობებული მისი ეს საპატიო ადგილი ჩვენი სახალხო განათლების განვითარების ისტორიაში. სილოვანმა პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ წლებიდანვე დაიმსახურა პატივისცემა მოსწავლეთა და პედაგოგთა შორის.

1920 წელს „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრთა, კერძოდ სილოვან თომას ძე ხუნდაძის თაოსნობით, გინმაზიაში შეიქმნა წიგნადი ფონდი, რომლითაც სარგებლობდნენ, როგორც გიმნაზიის მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე ქალაქის ინტელიგენციაც. იმ დროისათვის გიმნაზიაში არსებობდა 2 ბიბლიოთეკა - ერთი პედაგებისთვის, მეორე - მოსწავლეებისთვის. ჭარმაგობის წლებში სილოვანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, მას თავიანთ ნუგეშად და საიმედო კაცად თვლიდნენ სახალხო მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობელთა ფართო საზოგადოება. ამაში, ცხადია, დიდი როლი

მიუძღვის იმას, რომ სილოვანს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, ღრმად განსწავლული ფილოლოგი და საერთოდ დიდად ერუდირებული პიროვნება იყო. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. რაც მთავარია, მისთვის სამშობლო სალოცავი ხატი იყო, დედაენისა და თავისი ხალხის სიყვარული, მისი უკეთესი მომავლისადმი რწმენა მას შინაგანად განსაკუთრებული ძალით ჰქონდა მომადლებული და თავის მამულს კალმით და საქმით სიკვდილამდე გულმხურვალედ ემსახურებოდა **(ურუშაძე, 2014).**

ამრიგად, სილოვან ხუნდაძე აქტიურად იბრძოდა ერის სასიცოცხლო ინტერესების გადასარჩენად. ამ ინტერესებიდან გამომდინარე სილოვანი ავტორიტეტების წინაშეც არ იხევდა უკან და არც მათ კრიტიკასა და მხილებას ერიდებოდა.

ის თავის წერილებითა და სახელმძღვანელო წიგნებით ცდილობდა გაეღვივებინა ქართველებში ეროვნული ცნობიერება, გაეღვიძებინა მათში ეროვნული თვითშეგნება. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ჩაესახა სამშობლოს სიყვარული.

ამდენად, სილოვან ხუნდაძე იყო მგზნებარე ქართველი მამულიშვილი, ქართული ეროვნული სკოლის მოამაგე, საზოგადო მოღვაწე, რომელიც იბრძოდა საქართველოში ქართული ენის სწავლების დაფუძნებისათვის და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი 2009; ახვლედიანი მ., ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია (XIX –XX საუკუნეთა მიჯნაზე), ქუთაისი, 2009.
2. ბაკურაძე 2024: ბაკურაძე ნ., სილოვან ხუნდაძე, როგორც მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ხელნაწერის უფლებით, ქუთაისი, 2024.
3. ბრეგაძე 1955: ბრეგაძე დ., ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები; XIII, 1955.
4. გაზეთი „ივერია“, 1904, №172.
5. კ. შვილი 1902: კ.შვილი, ქართული ენა, გაზ. „ივერია“, 1902, № 161.
6. სახოკია 1902: სახოკია თ., ბ-ნ სილოვან ხუნდაძის წერილის გამო., გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902, №2020.
7. ურუშაძე 2014: ურუშაძე ლ., სილოვან ხუნდაძე უდიდესი პედაგოგი და მამულიშვილი 2014.
8. ღლონტი 2003: ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში (სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები), სადისერტაციო ნაშრომი, წარმოდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სულხან - საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2003.
9. ხუნდაძე 1976: ხუნდაძე ტრ. ქართული გიმნაზიის ისტორიიდან, თბილისი, 1976.

Imeri Basiladze,
Akaki Tsereteli State University,
Professor,
Maia Akhvlediani,
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor,
Tekla Gamgebeli,
Akaki Tsereteli State University,
Sophomore year student at the Pedagogical Faculty

For the Issue of National Consciousness in Silovan Khundadze's Pedagogical Thought

Summary

Many issues raised in the works of Silovan Khundadze are extremely important for the public life of that time. In every word of his, it is clear that he was moved by the national liberation struggle, the strengthening of the meaning and purpose of the Georgian language, and the awakening of national consciousness among Georgians.
Keywords: national identity, pedagogical advice, Georgian language, homeland, public teacher.

თამარ დოგრაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მეგრული და სვანური ანბანების შექმნა

რეზიუმე: *ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა მიმართული იყო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის გარუსებისაკენ. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში ცარიზმმა შექმნა სვანური და მეგრული დამწერლობები. ის სვან და მეგრელ მოსახლეობას განსხვავებულ არაქართველ ეთნოსებად აცხადებდა. შეადგინეს რუსული შრიფტით შედგენილი სვანური ,,ლუშნუ ანბანი" ანბანი, რომელიც მოგონილი ასოებით რუსული ალფავიტის საფუძველზე შეადგინა პ.უსლარმა. ანბანი სვანებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.*
თითქმის ერთდროულად შედგა ალ.გრენის ,,მეგრული ანბანი" და თადა აშორდიას ,,დედა ნინა" (მეგრული ანბანი). გრენის და აშორდიას ანბანები რუსული ასოებისაგან შედგებოდა, მაგრამ აშორდიას ანბანში რამდენიმე ქართული ასო ერია. ორი მეგრული ანბანის შექმნამ ჩამოაგდო წინააღმდეგობა გრენსა და აშორდიას შორის. სამეგრელოში არსებულ სამინისტროს სკოლებში სწავლება მეგრულ ენაზე შემოიღეს. სკოლის მასწავლებლები, ინტელიგენცია, სასულიერო მოღვაწეებ*ი, მთლიანად ქართველი საზოგადოება წინააღმდეგობას უწევდა და აპროტესტებდა სვანურ და მეგრულ ანბანთა შექმნას და მათ სკოლაში გამოყენებას. ასაბუთებდნენ ამ ანბანებით სწავლების ანტიპედაგოგიურ ხასიათს, რამაც შედეგი გამოიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყველა სკოლაში სწავლების ენად ქართული დარჩა.*
საკვანძო სიტყვები*: სვანური ანბანი, მეგრული ანბანი, სამრევლო სკოლა, საეკლესიო სკოლა, სახელმძღვანელო.*

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა მიმართული იყო იმისკენ, რომ გაერუსებინათ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა. ამ პოლიტიკამ სახალხო განათლების დარგში უკიდურესად მწვავე სახე მიიღო მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, რასაც დიდი „ღვაწილი" დასდო კ.იანოვსკიმ, რომელიც ამ პერიდში დაინიშნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად. კ.იანოვსკიმ მთელი კავკასიის მასშტაბით სახალხო სკოლებში შეიტანა 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც ძალზედ ზღუდავდა ეროვნულ სახალხო სკოლას. ახალი გეგმით რუსული ენის სწავლება დაწყებით სასწავლებლებში იწყებოდა პირველ განყოფილებაში, ხოლო მშობლიური ენა მხოლოდ სწავლების პირველ წელს ისწავლებოდა, სწავლება პირველ განყოფილებაზე მიმდინარეობდა რუსულ და ნაწილობრივ ქართულ ენებზე, ხოლო მეორე-მესამე განყოფილებებზე–მთლიანად რუსულ ენაზე. მშობლიური ენის შესწავლას პირველ განყოფილებაზე ეთმობოდა მხოლოდ ოთხი საათი და ისიც ბოლო გაკვეთილები. სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებში მასწავლებელს ევალებოდა სწავლების ენად ქართულის ნაცვლად გამოეყენებინა მეგრული და სვანური ენები. მშობლიური ენის შესწავლისათვის სასწავლო გეგმით გამოყოფილი ოთხი საათი, უნდა მოხმარებოდა მეგრული და სვანური ენების შესწავლას. სვან და მეგრელ მოსახლეობას მთავროობა ოფიციალურად აცხადებდა განსხვავებულ ეთნოსებად და განიზრახა მათთვის საკუთარი ანბანის შექმნა. ისინი მეგრელებსა და სვანებს არ თვლიდნენ ქართველებად. ასეთ აზრს ავითარებდნენ ისტორიკოსები სტოიანოვი, ტუპცოვი და სხვ. [2, გვ. 19], ხოლო სვანურ და მეგრულ ენებს არაქართულ ენებად მიიჩნევდნენ. ასეთი მტკიცების საფუძველზე ცარიზმი ცდილობდა სვანეთიდან და სამეგრელოდან განედევნა ქართული ენა.

1864 წელს თბილისში გამოვიდა რუსული შრიფტით შედგენილი სვანური ანბანი, რომლის ტირაჟი 1200 ეგზემპლარი იყო. სვანური ანბანი შეადგინეს ბარონ უსლარის მეცნიერული კონსულტაციით. ანბანს სვანურად ,,ლუშნუ ანბანი" ეწოდებოდა, ის სვანებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ბესარიონ ნიჟარაძე ამის შესახებ ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე წერდა: ,,დღეს ხელუხლებლად დგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-დასხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მომეტებულად ,,ლუშნუ ანბანით", რომელიც შესდგა განსვენებულის პ.უსლარის მოგონილის

ასოებით“ [1, გვ. 101]. სვანური დამწერლობა შეადგინეს რუსული ალფავიტის საფუძველზე, რომელიც ვერ გამოსახავდა სვანური ენისათვის დამახასიათებელ 13 ბგერას. მათი შესაბამისი ქართული დამწერლობითი ნიშნები, გასაგები მოსაზრებით, არ გამოუყენებიათ. ,,ლუშნუ ანბანის“ გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ქაიხოსრო გელოვანის წერილში, რომელიც რედაქციის პოზიციასაც გამოხატავდა, ხაზგასმულია, რომ: ,,სვანები ჩვენი მოძმე ქართველი ხალხია, მაშასადამე მათთვისაც ქართული ენის, ქართული წერა-კითხვის შესწავლა და ცოდნა ასეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც თითოეული ქართველისათვის“. არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია გვაუწყებს სვანეთის მოსახლეობის გუ-ლისტკივილს, რომელიც საერო და სამრევლო სასწავლებლებიდან ქართული ენის გამოდევნით იყო გამოწვეული. რუსულ ენაზე სწავლება მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა მოსწავლეებს მიეღოთ სათანადო განათლება. მშობლიური ენის დაცვას საკუთარი ღირსების საქმედ თვლიდა-ყოველი სვანი თავისს დედა-ენად აღიარებს ქართულს. ამ საკითხებს და ეროვნული პოზიციის გამოხატვას დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული პრესა. გამოთქმული იყო მოსაზრებები: სვანეთში ელემენტარული სასოფლო სკოლების, ეკლესია-მონასტრებთან ელემენტარული სასწავლებლები გახსნა, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე წარიმართებოდა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სვანურ ანბანის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს სვანეთის მოსახლეობამ, ანბანის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართველმა საზო-გადოებამ, ცარიზმი მაინც არ ფიქრობდა უკან დახევას და დასახული მიზნის მისაღწევად საქმეში ჩართო სამღვდელოება. საეგზარქოსო ინტენსიურად შეუდგა სასულიერო ლიტერატურის სვანურად თარგმნას. მაგრამ, სასურველი შედეგი არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია-,,სვანებმა ღვთისმოსავი ,,განმანათლებლები“ თავისი წიგნებიანად დაიფრინეს და მათაც სამეგრელოში გადაინაცვლეს“ [3, გვ. 31]. პედაგოგიურ მოსაზრებებზე დაყრდნობით რუსიფიკატორები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის მცხოვრებთათვის რუსულის ადგილობრივი ენების დახმარებით დაუფლების მიზანშეწონილობა, ხოლო ქართული მათთვის ზედმეტ და საქმის გამართულებელ საფეხურად გამოეცხადებინათ. ამ მიზნით, მეგრულ-აფხაზურ და სვანურ ენებზე 1888-1889 წლებში შეიქმნა სამრევლო სკოლებისათვის დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენდნენ ლოცვათა კრებულებს [6, გვ. 77].

განსაკუთრებული სიმძაფრით ქართული ენის დევნა სამეგრელოში გამოვლინდა. იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თითქოს: ,,მეგრელმა ბავშვებმა არ იცოდნენ ქართული ენა და მეგრულ ენას უნდა გაეწია მათთვის რუსული ენის სწავლებაში დამხმარე როლი“ [2, გვ. 139].

სვანეთში განცდილი მარცხის შემდეგ ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მეგრული დამწერლობის შექმნა-პოპულარიზაციას. ოთხმოციან წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მოხელეები გამოდიოდნენ მეგრული ანბანის შემოღების და სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების მოთხოვნით. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ფ.ლევიტსკის მიჩნდა, რომ სწავლის საქმე ცუდად იყო დაყენებული სამეგრელოში. მეგრელები მათთვის უცხო ქართულ ენაზე სწავლობდნენ და არა მეგრულზე. ეს ოფიციალურად დაადასტურა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ, რომელიც პეტერბურგიდან სპეციალურად მოწვეულ ენათმეცნიერ ალ.გრენს სწერდა: ,,სასწავლო უწყების მიზანია ... მეგრელ ახალგაზრდობას მივცეთ შესაძლებლობა სამეგრელოს სკოლებში განათლება მიიღოს მეგრულ ენაზე“ [4, ფ. 32.].

ალ.გრენის პეტერბურგიდან მოწვევას წინ უძღოდა იანოვსკის მიმოწერა განათლების მინისტრთან. 1886 წლის მოხსენებით ბარათში წერია: ,,აქაურ ხალხებს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან განათლებისაკენ მისწრაფებით... ეკუთვნიან მეგრელები, რომლებიც ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე, მეგრული ენა განსხვავდება ქართული ენისაგან ... მე აუცილებლად ვთვლი ამ ენისათვის შედგენილ იქნეს საკუთარი ანბანი ... მეგრული ანბანი ჩემი ღრმა რწმენით რუსულ ალფაბეტზე უნდა იქნეს დაფუძნებული იმ საჭირო ცვლილებებით, რომელიც გამოწვეული იქნება რუსულ გამოთქმაში არარსებული რამდენიმე ბგერით“ [5, ფ. 12.]. პასუხად საქართველოში ჩამოვიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომელი ალ.გრენი. მან იცოდა ქართველური ენები და ხელი მოკიდა ქართული ენის საზიანო საქმეს, ერთი თვის განმავლობაში შეადგინა ,,მეგრული ანბანი“. მაგრამ მას მეტოქე გაუჩნდა ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის თადა აშორდიას სახით, რომელმაც თა-

ვის მხრივ შეადგინა ,,დედა ნინა“ (მეგრული ანბანი). გრენის ანბანი რუსული ასოებისაგან შედგებოდა, მაგრამ ცხრამეტ ასოს ხაზზევითა და ხაზქვევითა ნიშნები ჰქონდა. აშორდიას ანბანიც რუსული ასოებისაგან შედგებოდა, მაგრამ რამდენიმე ქართული ასო ერია, გარდა ამისა, მხოლოდ ორ ასოს ჰქონდა ხაზქვევითა ნიშანი. მეგრული ენისათვის ორი ანბანის ერთდროულად შექმნამ ანბანების ავტორებს შორის მტრობა ჩამოაგდო. ორივე ცდილობდა თავისი ანბანი გავრცელებულიყო და უარეყო მეორე. განათლების მოხელეები ცდილობდნენ აშორდია და გრენი შეერიგებინათ და ორივეს საერთო ანბანი შეექმნა. მაგრამ აშორდია პოზიციას არ თმობდა. მათ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. უპირატესობა გრენის ანბანს მიეცა და პეტერბურგში მისი დაკვეთით სასწრაფოდ ჩამოასხეს იგი. ამ ანბანით მუშაობის პრაქტიკულ დაწყებას ხელს უშლიდა მეგრული სახელმძღვანლოების, საკითხავი ტექსტების და ლიტერატურის უქონლობა. სკოლის მასწავლებლებს ევალებოდათ რუსული ასოებით სახელდახელოდ შეედგინათ მეგრული ტექსტები და გამოეყენებინათ ისინი. მაგრამ ბევრ სკოლაში ესეც ვერ ხერხდებოდა იმის გამო, რომ სამეგრელოს სკოლებში მომუშავე ბევრი მასწავლებელი ვერ ფლობდა მეგრულს. ქართული ენის სრული განდევნა სამეგრელოს სკოლებიდან ვერ მოხერხდა საღვთო სჯულის სწავლების გამო. მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა მეგრულ ენაზე ლოცვების გადათარგმნის ცდა. მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ლოცვები ითარგმნა მეგრულ ენაზე, მაგრამ სამეგრელოს სამღვდელოებამ და საზოგადოებამ არ მიიღო იგი. ამ მიზნით გამოყოფილმა კომისიამ, რომელსაც თავადი ნიკო დადიანი თავმჯდომარეობდა, უარყო ლოცვები და ლოცვის ქართულ ენაზე წარმართვა მოითხოვა. საღვთო სჯულის სწავლების ენად კვლავ ქართული ენა დარჩა. იანოვსკი და ლევიტსკი ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართულ ენას სამეგრელოს სკოლებში და აძალებდნენ არა მეგრელ მასწავლებლებს შეესწავლათ მეგრული და ოფიციალური ლიტერატურის შექმნამდე ბავშვებისათვის შეედგინათ მეგრული ტექსტები. დაიწყო მეგრელი მასწავლებლების გადაყვანა სამეგრელოს სკოლებში იმ მასწავლებლების ადგილზე, რომლებიც მეგრული ენის უცოდინრობის გამო იგზავნებოდნენ გურიაში, იმერეთში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. 1885 წელს ლევიტსკი სამეგრელოს სკოლებს უგზავნის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1885 წ. 11 იანვრის ცირკულარს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1881 წლის 13 იანვრის გეგმის თანახმად, სწავლება უნდა იწყებოდეს მშობლიურ ენაზე (მეგრელთათვის–მეგრულზე), მაშინ, როდესაც სამეგრელოს სკოლებში სწავლა იწყება ქართულ ენაზე, რომელიც ბავშვებისათვის სრულიად გაუგებარია, აგრეთვე რუსული ენა ისწავლება ქართულის და არა მეგრულის მეშვეობით. მეგრელი ბავშვები ერთდროულად ორ ახალ ენას სწავლობენ (ქართულსა და რუსულს), რის გამოც ვერც ერთს რიგიანად ვერ ითვისებენო. ცირკულარის დასასრულს ლევიტსკი მკაცრად მოითხოვს ,,რუსული ენის სწავლება აუცილებლად უნდა იწყებოდეს მეგრული ენის სწავლების შემდეგ თანახმად 1881 წლის გეგმისა და ისწავლებოდეს მეგრული ენის მეშვეობით“. მეგრული ანბანის შედგენამდე მეგრული სიტყვები რუსული ასოებით უნდა ესწავლებინათ. ,,ხოლო არითმეტიკის სწავლება ამ პერიოდში უნდა სწარმოებდეს მშობლიურ (მეგრულ) ენაზე“ [7, გვ. 100.] ფ.ლევიტსკის ამ მოთხოვნას პროტესტით შეხვდნენ ძველი სენაკის ქართული სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, სოფლის მოსახლეობა. სკოლის ინსპექტორმა ს.ყიფიანმა გაუგზავნა საპასუხო წერილი, სადაც ასაბუთებდა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას. 1887 წელს ლევიტსკი უგზავნის ს.ყიფიანს ა.გრენის შედგენილ მეგრულ ანბანს და ავალებს გაეცნოს მას. ეს წერილი განიხილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, რომ სკოლაში მიიღონ მხოლოდ ის მეგრელი ყმაწვილები, რომელთაც ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა იციან და აგრეთვე ისინიც, რომელთაც ქართული ენა არ იციან, თუ მათი დედ-მამა თანახმა იქმნება, რომ მათ სკოლაში ქართულ ენაზე ისწავლონო.

სამეგრელოში არსებულ სამინისტროს სკოლებში სწავლება მეგრულ ენაზე შემოიღეს. მეგრულ ენაზე სწავლებას კმაყოფილებით ხვდებოდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურები. ქუთაისიდან სასურველი ცნობები მოდიოდა. 1887 წლის მარტში ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ნ.პერევოზნიკოვმა შეამოწმა ზუგდიდის მაზრის სკოლები და მოხსენებით ბარათში მაღალი შეფასება მისცა ქართული ენის განდევნის შემდგომ პერიოდში სკოლების მუშაობას. სამეგრელოს მასწავლებლობა და მთლიანად ქართული ინტელიგენცია აღაშფოთა განათლების რუსიფიკატორ მოხელეთა ამ ნაბიჯმა. სამეგრელოში ხუთიოდე კაცი ძლივს გამო-

ძებნა, რომელნიც აშორდია-გრენის ანბანს მხარს უჭერდნენ. დამხმარეთა ჩამოშორება გრენმა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხრიკებით ახსნა. გრენი ჩიოდა იმის გამო, რომ მას ხელს არ უწყობენ ადგილობრივი მცხოვრებნი და შეურაცხყოფენ კიდეც. სამეგრელოს ბევრ სკოლაში ქართული ენა ფარულად ისწავლებოდა. სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის მიუხედავად, თანახმად ხალხის სიყვარულისა, ყველა ვარგისი მასწავლებელი განაგრძობდა ქართულის სწავლებას, მხოლოდ არა აშკარად. [7, გვ. 113.].“

სკოლის მასწავლებლებს და სამეგრელოს ინტელიგენციას ამ ბრძოლაში მხარს ქართველი საზოგადოება უჭერდა. განსაკუთრებით აქტიურობდა იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ლუარსაბ ლოლუა და სხვები. ქართველი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგობა დაუძლეველი აღმოჩნდა, კავკასიის სასწავლო ოლქისა და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციამ უკან დაიხია. ფ.ლევიტსკი მოხსენებით ბარათში კ.იანოვსკის წერდა: „სამეგრელოს თავადაზნაურობამ, რომელიც ინახავს ამ სკოლას, თავისი წარმომადგენლების პირით განაცხადა, რომ ის ქართულ ენას თვლის თავის მშობლიურ ენად და შუამდგომლობაც აღძრეს სამასწავლებლო უწყების წინაშე, რომ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში სწავლება წინანდებურად ქართულ ენაზე მიმდინარეობდესო, მე შესაძლებლად და დასაშვებად ვთვლი, რომ ქართული ენა დატოვებულ იქნას ამ სკოლაში სწავლების ენად“ [8, გვ. 76.].

ქართველი ინტელიგენციის თავდადებამ თავისი გაიტანა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყველა სკოლაში სწავლების ენად ქართული დარჩა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1989.
2. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია XIX - XX სს., წიგნი II, (1861-1921წწ.), თბ, 1959 წ.
3. ნებოძირელი ი. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. თბილისი, 1902.
4. სსცა, ფ. 422, საქმე №1745.
5. სსცა, ფ. 422, საქმე №1746.
6. ჩარკვიანი ა., სვანეთი (XIX ს მეორე ნახევარი და XX ს დასაწყისი), თბილისი, 1967 წ.
7. ხუნდაძე ტრ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ, 1939.
8. ხუნდაძე ტრ., ი. მიქაძე, ძველი სენაკის სკოლა, ჟ. ,,სკოლა და ცხოვრება“, 1965, №2.

Tamar Dograshvili,
Akaki Tsereteli State University,
Associate Professor

The Educational Policy of Tsarism in Georgia in the Second Half of the 19th Century and the Creation of the Megrelian and Svan Alphabets

Summary

The educational policy of Tsarist Russia aimed at the Russification of the indigenous peoples of the Caucasus, reaching its most acute form in the field of public education during the early 1880s. This anti-national policy was particularly intensified in western Georgia, where efforts were made to divide the Georgian population, incite internal conflict, and dismantle their shared national culture. To achieve this, Tsarism devised a rather original strategy: the creation of separate Svan and Megrelian scripts. It officially declared the Svan and Megrelian populations as distinct, non-Georgian ethnic groups and sought to create unique alphabets for them.

The Svan alphabet was created using the Russian script and was referred to in the Svan language as the "Lushnu alphabet." Compiled by P. Uslar, it was based on the Russian alphabet, supplemented with invented characters. However, this alphabet failed to represent 13 unique sounds of the Svan language, as it did not include the Georgian script characters corresponding to these sounds. Consequently, the "Lushnu alphabet" proved unsuitable and unacceptable to the Svan population.

Simultaneously, two Megrelian alphabets were created: Al. Gren's "Maghrilian alphabet" and Tada Ashordia's "Mother Nina" (Megrelian alphabet). Gren's alphabet consisted of Russian letters, with 19 letters marked by overline or underline diacritical signs. Ashordia's alphabet also utilized Russian letters, incorporating several Georgian letters, with only two letters marked by an underline sign. The creation of these two Megrelian alphabets eventually ended the rivalry between Gren and Ashordia. In ministry schools across Samegrelo, instruction in the Megrelian language was introduced.

Teachers, intellectuals, religious figures, and Georgian society as a whole strongly opposed the creation and use of the Svan and Megrelian alphabets in schools. They criticized the initiative as anti-pedagogical and protested against its implementation. Their resistance achieved the desired outcome: Georgian remained the primary language of instruction in all schools under the Society for the Spreading of Literacy among Georgians.

Key words: Svan alphabet, Maghrian alphabet, parish school, church school, textbook.

გელა ცაავა
ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტეფორე (ფორა) ჯიოევი (ჯიოშვილი): ოსი განმანათლებელი, სულიერო და საზოგადო მოღვაწე

რეზიუმე: *ფასდაუდებელია ქრისტეფორე ჯიოევის როლი ოსი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაციაში. ქრისტოფერ ჯიოევი ასევე არის ცხინვალის რეგიონის საგამომცემლო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი თბილისში და მისი პირველი თავმჯდომარე, რასაც ერთგულად ემსახურებოდა ცხინვალში დაბრუნების შემდეგაც. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი იყო სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ცხინვალის პედაგოგიური სასწავლებლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პედაგოგიური სასწავლებლის პირველი დირექტორი. სიცოცხლის ბოლო დღეებამდე, ძალ-ღონის დაუზოგავად იღწვოდა ოსი ხალხის კულტურისა განათლების სფეროს განვითარებისთვის.*
საკვანძო სიტყვები: *საქართველო, გამოწვევები, საზოგადოება, პოტენციალი, მეცნიერება.*

ქრისტეფორე (ფორა) ზურაბის ძე ჯიოევი დაიბადა 1873 წელს სოფელ ჯავაში, დეკანოზ ზურაბ მირმანოს ძე ჯიოევისა და ქეთევან ბეგლარის ასულ კოკოევას მრავალშვილიან ოჯახში. ქრისტეფორე ჯიოევი XIX საუკუნის ბოლოს - მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსი სოციალური და კულტურული მოღვაწეა.

1884 წელს ქრისტეფორემ დაამთავრა ჯავის დაწყებითი სკოლა, ხოლო 1894 წელს წარჩინებით თბილისის სასულიერო სემინარია, 1897 წელს იგი ასევე წარჩინებით ამთავრებს კიევის სასულიერო აკადემიას, რომლის დასრულების შემდეგ გაგზავნეს ქალაქ ერევნის ვაჟთა გიმნაზიაში. მოგვიანებით, 1899 წელს ჯიოევი გადავიდა ქალაქ თბილისში და დაიწყო მუშაობა ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

ქრისტეფორე ჯიოევი ეწეოდა სასულიერო, საგანმანათლებლო და საგამომცემლო მოღვაწეობას. ჯავაში გახსნა სკოლა-პანსიონი. თბილისის გიმნაზიაში იყო მასწავლებელი და სიონის ტაძარში მღვდელი[7].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც 1913 წელს ნიკოლოზ II ტფილისს ეწვია, სწორედ ქრისტეფორე ჯიოევს ჰქონდა პატივი, შეხვედროდა მონარქს საქართველოს მთავარ ტაძარში. საკათედრო ტაძარში მისული ნიკოლოზ II პირველად ემთხვია ფორას ხელზე[8]. ფასდაუდებელია ფორა ჯიოევის როლი ოსი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაში. კერძოდ, იგი იყო კოსტა ხეთაგუროვის ლექსების კრებულის „Ирон Фандыр“-ის („ოსური ლირის“) რეცენზენტი და მიუხედავად დიდი პოეტის მტრების ძლიერი წინააღმდეგობისა, ყოველმხრივ წვლილი შეიტანა მის გამოცემაში[9].

ქრისტეფორე ჯიოევი ასევე არის ცხინვალის რეგიონის საგამომცემლო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მოღვაწე ქალაქ თბილისში, ამასთანავე, მისი პირველი თავმჯდომარე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მისი ხელშეწყობით ქალაქ თბილისში დაარსდა ოსური გაზეთი „ახალი ცხოვრება“ („Ног Цард“) და ოსური ჟურნალი „თავთავი“ („Фсир“), ხოლო 1912 წელს ქალაქ პეტერბურგში „მზის სხივი“ („Хуры Тин“). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქრისტეფორე ჯიოევმა მონაწილეობა მიიღო ე. წ. სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი ისტორიის მუზეუმის შექმნაში, ქალაქ ცხინვალში დააარსა პედაგოგიური სკოლა და იყო მისი პირველი დირექტორი.

---

7. გაჩეჩილაძე პ., ჩოფლიანი კ. ,,საერთო ფასეულობები ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად''. გვ. 45, თბილისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/20255.pdf

8. Бигулаево И. Пора Джиоев: патриот, священник, рецензент, общественный деятель (к 150-летию со дня рождения). ხელმისაწვდომია: https://respublikarso.org/date/4692-pora-dzhioev-patriot-svyaschennik-recenzent-obschestvennyy-deyatel-k-150-letiyu-so-dnya-rozhdeniya.html

9. ARHIPOVA V. ,,ХРИСТОФОР (ПОРА) ДЖИОЕВ''. 13 Января, 2020. ხელმისაწვდომია: http://dzhioevy.ru/2020/01/13/hristofor-pora-dzhioev/

,,სამხრეთ ოსეთში'' გადასვლის შემდეგ ქრისტეფორე ჯიოევი დაუღალავად აგრძელებს მუშაობას კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში. იგი, ქალაქ ცხინვალში აარსებს პედაგოგიურ სასწავლებელს და ხდება მისი პირველი დირექტორი, ხოლო აქ რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მოგვიანებით ჯიოევი უშუალო მონაწილეობას იღებს ,,სამხრეთ ოსეთის'' ადგილობრივი ისტორიის მუზეუმის შექმნაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავებს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალაქ თბილისში საკმაოდ ბევრი ოსი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ ქარხნების, რკინიგზის სახელოსნოების, ლოკომოტივების საწყობების მუშები და ინტელიგენციის წარმომადგენლები: მასწავლებლები, ექიმები, იურისტები, აგრონომები, ინჟინრები და სამხედრო პერსონალი. აქაური ოსების კულტურული ცხოვრება თავიდან ნაკლებად აინტერესებდათ. ქალაქში არ არსებობდა ოსური სკოლები, ოსურ ენაზე არ გამოდიოდა ბეჭდური პუბლიკაცია, არ არსებობდა თეატრი და ღირსეული დრამატული კლუბი.

ოსებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ფორმა იყო გასეირნება და პიკნიკი, რომელიც ემთხვეოდა რელიგიურ დღესასწაულებს. ამ შეხვედრებზე სერიოზული განხილვის საგანი იყო როგორც ყოველდღიურობის, სოციალური სფეროს, ასევე თანამემამულეების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის პრობლემები. თუმცა, ეს შეხვედრები, რომლებიც დროდადრო იმართებოდა ცალკეული ენთუზიასტების ინიციატივით, არ იყო სავალდებულო.

ცხადი იყო, რომ ცენტრი, რომლის გარშემოც ქალაქ თბილისის ოსური დიასპორა მოიყრიდა თავს, შეიძლება ყოფილიყო მშობლიურ ენაზე გამოცემული ბეჭდური ორგანო. ამის დადგენის მიზნით, 1906 წლის 7 მაისს, ავჭალის მხარეში ოსთა კრებაზე აირჩიეს კომისია ოსური საგამომცემლო საზოგადოების წესდების შესამუშავებლად და მალე დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინა ტფილისის გუბერნიის მთავრობას.

თუმცა, პროვინციის ხელისუფლებამ კომპანიის შექმნის უფლება მისცა მხოლოდ 1906 წლის სექტემბრის ბოლოს. მხოლოდ 1907 წლის 25 მაისს, ე. ი. საგამომცემლო საზოგადოების შექმნის გადაწყვეტილებიდან ერთი წლის შემდეგ არჩევნები ჩატარდა.

სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ: ბიძინა კოჩიევი, ალექსანდრე თიბილოვი, პეტრე თედეევი, ივანე აბაევი, თადეოზ ცხოვრებოვი, გრიგორი თომაევი, კამბოლატ იესიევი, ნიკოლაი ჯიოევი (ქრისტეფორე ჯიოევის ძმა), მიხაკა ხეთაგუროვი და დიმიტრი კოზაევი.

ოსთა საგამომცემლო საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ქრისტოფერე ჯიოევი, რომელიც იმ დროისთვის რამდენიმე წელი ცხოვრობდა ქალაქ თბილისში, მსახურობდა საღვთო სჯულის მასწავლებლად პირველ ვაჟთა გიმნაზიაში და იყო ოსური ლიტერატურისა და ცენზორი. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედა საგამომცემლო საზოგადოების საქმიანობაზე და ოსური ეროვნული ლიტერატურის პოზიციაზე.

ოსურ გამომცემლობას, წესდების თანახმად, უფლება ჰქონდა ოსურ ენაზე გაეხსნა სკოლები, წაეკითხა ლექციები, გამოეცა გაზეთი და ლიტერატურა. აღნიშნული საზოგადოების დახმარებით შეიქმნა საღამოს სკოლები მოზრდილთათვის, კითხულობდნენ ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე.

ქრისტეფორე ჯიოევის ცენზურული საქმიანობის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ იგი ცენზორზე მეტი იყო. ადამიანი, რომელმაც რეალურად გამოაქვეყნა მრავალი პუბლიკაცია, მან მიმართა ყველანაირ ხრიკს, რათა გაესწორებინა აშკარად პოლიტიკურად არალოიალური მასალების უხეში კიდეები.

ქრისტეფორე ჯიოევმა ეს გააკეთა მიზანმიმართულად, ნათლად გააცნობიერა, რომ ერი, მისი მუდმივად განვითარებადი კულტურის, განათლებული ადამიანების ფენის ჩამოყალიბების გარეშე - პროგრესული შეხედულებების მატარებელი, განწირულია სახის დაკარგვისთვის, სულიერი გადაშენებისთვის.

ჯიოევმა თავისი წვლილი ამ პროცესში ,,სამხრეთ ოსეთში'' დაბრუნების შემდეგაც შეიტანა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში იყო ,,სამხრეთ ოსეთის'' ადგილობრივი ისტორიის მუზეუმის, ასევე ცხინვალის პედაგოგიური სკოლის დამფუძნებელთა შორის, სადაც იგი იყო პირველი დირექტორი. საგულისხმოა, რომ ბოლო დღეებამდე მუშაობდა განმანათლებლობის სფეროში, არ იშეურებდა თავის ენერგიას, უნარს და ნიჭს ოსი ხალხის კულტურის განვითარებისთვის.

ქრისტეფორე ჯიოევი ქალაქ თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს, სადაც მანამდე მამამისი იყო დაკრძალული. ეს სასაფლაო საოჯახო სასაფლაოს ჰგავს, აქ ასევე დაკრძალულია ქრისტეფორეს ცოლი, შვილები და უახლოესი ნათესავები.

რა თქმა უნდა, ფორა ჯიოევის ხსოვნის გაცოცხლების სურვილი კარგი ინიციატივაა, რადგან გასული საუკუნის დასაწყისის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ოსი ხალხის ისტორიაში[10].

2024 წლის იანვრის ბოლოს, ე. წ. ოსურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ქრისტოფერე ჯიოევის ბიუსტი დაიდგმება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ცხინვალში.

ჯიოევების, გიოევებისა და ძიოევების ოჯახის ფონდის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული ინიციატივით ე. წ. მერიას მიმართეს. მათ ითხოვეს, გამოეყოთ მიწის ნაკვეთი მწერილის ბიუსტის დასამონტაჟებლად.

აქვე აღინიშნა, რომ ბიუსტის დამზადების ყველა ხარჯს ჯიოევების ოჯახის წარმომადგენლები გაიღებენ. შედეგად, ძეგლისთვის ადგილი შეირჩა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოპირდაპირე პატარა მოედანზე.

ე. წ. ცხინვალის ადმინისტრაციასთან არსებული ქუჩების, სკვერების, ბაღების სახელის გადარქმევისა და ძეგლების დამონტაჟების კომისიის წევრების მიერ ამ ადგილის სასარგებლოდ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ის, რომ საზოგადოებრივ სკვერში უკვე არსებობს ცნობილი ოსი განმანათლებლის, იოანე იალღუზიძის (გაბარათი) ბიუსტი, რომელიც ქრისტეფორე ჯიოევის მსგავსად ეწეოდა რელიგიურ და საგანმანათლებლო საქმიანობას“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე პ., ჩოფლიანი კ. ,,საერთო ფასეულობები ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად''. თბილისი, 2022. ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/20255.pdf
2. Бигулаево И. Пора Джиоев: патриот, священник, рецензент, общественный деятель (к 150-летию со дня рождения). ხელმისაწვდომია: https://respublikarso.org/date/4692-pora-dzhioev-patriot-svyaschennik-recenzent-obschestvennyy-deyatel-k-150-letiyu-so-dnya-rozhdeniya.html
3. Кочиев А. ,,О Пора Джиоеве, увековечивании его памяти и Аллее национальной славы юга Осетии''. 4-03-2024. ხელმისაწვდომია: https://respublikarso.org/analytics/5273-o-pora-dzhioeve-uvekovechivanii-ego-pamyati-i-allee-nacionalnoy-slavy-yuga-osetii.html
4. ARHIPOVA V. ,,ХРИСТОФОР (ПОРА) ДЖИОЕВ''. 13 Января, 2020. ხელმისაწვდომია: http://dzhioevy.ru/2020/01/13/hristofor-pora-dzhioev/

10. Кочиев А. ,,О Пора Джиоеве, увековечивании его памяти и Аллее национальной славы юга Осетии''. 4-03-2024. ხელმისაწვდომია: https://respublikarso.org/analytics/5273-o-pora-dzhioeve-uvekovechivanii-ego-pamyati-i-allee-nacionalnoy-slavy-yuga-osetii.html

Gela Tsaava,
Sokhumi State University,
Associate Professor

Christofer (Phora) Djioev (Djioshvili): Ossetian Educator, Spiritual and Public Worker

Abstract

The role of Christopher Djioev in publishing the works of Ossetian writers is invaluable. Christopher Djioev is also one of the founders and active worker of Tskhinvali region publishing society in Tbilisi, as well as its first chairman. Djioev contributed to this process even after returning to South Ossetia. During the years of the Soviet government, he was among the founders of the ,,South Ossetian'' local history museum, as well as the Tskhinvali Pedagogical School, where he was the first director. Until his last days, he worked in the field of education, not mixing his energy, skill and talent for the development of the culture of the Ossetian people.
Keywords: Georgia, Challenges, Society, Potential, Science.

რელიგიური პედაგოგიკა

ავთანდილ ასათიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქრისტიანული პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები ახალ აღთქმაში

რეზიუმე: *ნაშრომში გაანალიზებულია რელიგიური (ქრისტიანული) პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები, რომელიც იესო ქრისტეს ცხრა ნეტარებაზეა აღმოცენებული. ახალი აღთქმის ცხრა ნეტარება ახალი ეტაპია ქრისტიანულ პედაგოგიკაში. მისი შესწავლა - შეცნობა პირველივე საუკუნიდან მიწიერი ცხოვრების მიზანი და უმაღლესი სასოება გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. სწორედ მან დაამკვიდრა ახალი ზნეობრივი ნორმები, რომელიც განუზომელ სამსახურს უწევს კაცობრიობას 20 საუკუნის განმავლობაში.*
თუ ძველი აღთქმის პედაგოგიკა სამყაროს ღვთიურ ჰარმონიას და კანონის (მოსეს რჯულის) უზენაესობას ეფუძვნება, ახალი აღთქმის პედაგოგიკა რწმენაზეა აღმოცენებული და აქედან გამომდინარე, იგი რწმენისა და სიყვარულის პედაგოგიკაა.
საკვანძო სიტყვები: *ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა, რწმენა, ცხრა ნეტარება, აღზრდა, ზნეობა, ჰარმონია.*

პედაგოგიკის ზნეობრივი პრინციპები საზოგადოებრივი ფორმაციების და სხვა ეპოქალური ცვალებადობის კვალდაკვალ იცვლებოდა. ყოველი ეპოქა ზნეობრივი ნორმების ახალ გაგებას გვთავაზობდა. ამის შესაბამისად ყალიბდებოდა მორალური კატეგორიები. საერო პედაგოგიკაში „მორალი ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ტოლფასი ღირებულებაა, მორალი კეთილი ნებაა, სწორედ კეთილი ნება, სიკეთისაკენ მიმართული ქმედება და ქცევა. მორალი ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის მოწესრიგების ფორმაა ყოველთვის სიკეთისა და სიყვარულისთვის მიმართული.“ **(2.74).** ხოლო რელიგიური თვალსაზრისით, მთავარია ადამიანის უმაღლეს მორალურ ქმედებად ჩაითვალოს ღმერთის სიყვარული და უფლისმიერი ზნეობრივი ნორმების განუხრელი აღსრულება, რომელიც იძულებით, გარედან კი არ არის თავსმოხვეული, არამედ ადამიანის შინაგანი სამყაროს ნაწილია, უფლისმიერი სიყვარულით აღმოცენებული.

ქრისტიანობა სულის შინაგანი სტრუქტურის სამ ძირითად ელემენტზე მიუთითებს, ესენია: რწმენა, სიყვარული და იმედი.

ზნეობას ღვთისმეტყველები მხოლოდ რელიგიის წიაღში მოიაზრებენ. სულიერება ღვთიური ფენომენია და მის გარეშე არ არსებობს. XIX საუკუნეში მკვლევარი ფ. გემმინგერი წერდა: „გამოაცალკევეთ ზნეობა რელიგიისაგან, ანდა რელიგია ზნეობისაგან და ამით გათიშავთ იმას, რაც ყოველთვის იყო და არის მჭიდრო და შინაგან ერთიანობაში, და რომ ერთი მეორის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ზნეობა რელიგიის გარეშე იგივეა, რაც ხე უფესვებოდ, რაც მას ძალასა და სიცოცხლეს ანიჭებს. რელიგია ზნეობის გარეშე ხდება მხოლოდ უშინაარსო და მკვდარ ფორმად“ **(3.301).** ამდენად, რელიგია და ზნეობა უნდა არსებობდნენ ერთად, მხოლოდ ერთიანობაში მიაღწევენ თავისი ჭეშმარიტი მიზნის განხორციელებას.

ახალი აღთქმის პედაგოგიკა და აქედან გამომდინარე ზნეობრივი პრინციპები ეყრდნობა დოგმატებს, რომელიც მარტო რწმენას როდი ემსახურება, ის ადამიანებს მოუწოდებს, რომ სწორედ რწმენაზე დააფუძვნონ საკუთარი ცხოვრება, ქცევა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა **(4.114-115).**

სწორედ იესო ქრისტემ წამოაყენა ახალი ზნეობრივი პრინციპები: „შეიყვარეთ თქვენი მტრები“, ნაცვლად „გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი“; ან კიდევ _ „თვინიერნი დაიმკვიდრებენ ქვეყანას“ (მაშინ როცა აგრესიულ და სასტიკ ადამიანებს ეპყრათ ძალაუფლება).

იესოს ბევრი კიცხავდა იმის გამო, რომ მას ცოდვილებთან და საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან ჰქონდა ურთიერთობა, ამას მაცხოვარი ასე პასუხობდა: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ... მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი“ **(მათ. 9:12-13).**

იესო ქრისტე ახალი მოძღვრებით კი არ ეწინააღმდეგება ძველი აღთქმის ზნეობრივ პრი-

ნციპებს, პირიქით, უფრო აღრმავებს მათ და ახალ სიმაღლეზე აჰყავს ღვთის მსგავსად შექმნილი ადამიანი. მაცხოვარი ყოველთვის არ იმეორებს მოსეს რჯულში მოცემულ მცნებებს, უფრო მეტიც, განსხვავებულ შეხედულებებსაც გამოთქვამს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მათ შორის რაიმე წინააღმდეგობას: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწრმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი “ **(მათ. 5:17).** ისიც უნდა ითქვას, რომ იესო ქრისტემ ძველი აღთქმიდან გააუქმა მოსეს რჯულის მთელი რიგი გარეგნული ნიშნები, როგორიცაა: წინადაცვეთის წესი. სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, ძველი რიტუალებისადმი გადამეტებული ყურადღება, სამართლის ნორმები და სხვა. მათ ნაცვლად მორწმუნეთათვის დააწესა საიდუმლოებანი, რასაც აღასრულებს ეკლესია **(4. 116).** მაგალითად, იესომ გააუქმა შაბათის უქმე იმ სახით, როგორც იგი ძველ აღთქმაში იყო: „შაბათი ადამიანისათვის არის შექმნილი და არა ადამიანი შაბათისათვის **(მარკ. 2:27)** - ასწავლიდა იესო. ამით მან ადამიანი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და ყოველი მიწიერი მას დაუქვემდაბარა.

იესო დაწვრილებით განმარტავს იმ სიახლეებს, რომელსაც ქრისტიანული ზნეობრივი პრინციპები ეფუძვნება. მართალია, ისინი განსხვავდებიან მოსეს კანონებისაგან, მაგრამ კი არ უარყოფენ მას, არამედ ავითარებენ. ამის შესახებ თავად მაცხოვარი ასე გადმოგვცემს: „თქვენ გსმენიათ, ეთქვათ ძველებს: არა კლა! ვინც მოკლავს სასჯელის თანამდები იქნება, მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება **(მათ. 5:21-22).** ე.ი. თუ მოსეს მცნება კრძალავს ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინებას, ქრისტეს მიხედვით, უნდა დაისაჯოს არა მხოლოდ მკვლელი, არამედ ვინც უმიზეზოდ განურისხდება სხვას. შემდეგი მცნება მრუშობის აკრძალვაა: „გსმენიათ, რომ თქმულა: არ იმრუშო. მე კი გეუბნებით, რომ ყველა, ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან იმრუშა მასთან თავის გულში“ **(მათ. 5:27-28).** ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამ მუხლს ასე განმარტავს: „ვინც დიდხანს ცქერით ავხორცობას აღიგზნებს და ნდომით აღსავსე მზერას მაინც არ აშორებს, მან უკვე ჩაიდინა თავის გულში ცოდვა მრუშობისა. და თუ საქმითაც არ იმრუშა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეეძლო, თორემ რომ შეძლებოდა, მყისვე ჩაიდენდა ბოროტებას. ისე კი იცოდე, რომ, თუ სურვილი გაგიჩნდება, მაგრამ მისი საქმის აღსრულებისას წინააღმდეგობას შეხვდები, ცხადია, რომ მადლი გმფარველობს. ასევე ქალებიც, თუ მხოლოდ იმიტომ ირთვებიან, რომ თავი მოაწონონ - სცოდავენ, თუნდაც მომწონებელი არავინ გამოჩნდეს, რადგან მათ მოამზადეს სასმელი, რომელიც არავინ შესვა“ **(5.45).**

ძველი აღთქმის თანახმად, აუცილებელია ფიცის აღსრულება, ხოლო იესო ქრისტე დაფიცებას ეწინააღმდეგება **(მათ. 5:33-37).** ასევე შორს მიდის იესო სამაგიეროს გადახდასთან დაკავშირებით და არათუ კრძალავს მას, არამედ ჯერ არგაგონილ კაცთმოყვარეობას გვიქადაგებს: „ვინც ერთ მილზე წაყოლა გაიძულოს, ორზე გაჰყევი. ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ მას, ვისაც შენგან სესხება სურს“ **(მათ. 5:41-42).**

თუკი მოსეს რჯული მოყვასის სიყვარულს და მტრის სიძულვილს აკანონებდა, იესო მტრის სიყვარულისკენ მოგვიწოდებს **(მათ 5:44-48).** გაჭირვებაში ჩავარდნილის დახმარება ქრისტიანის ცხოვრების წესი უნდა იყოს, რომელსაც ისე უნდა ვაკეთებდეთ, რომ ზედმეტი ყურადღება არავინ მოგვაქციოს **(მათ. 6:1-4).** ქრისტიანისთვის ღმერთთან მიმართება ლოცვაში გამოიხატება, ამიტომ ლოცვა უნდა იყოს გულწრფელი და მორიდებული, მიუღებელია მოჩვენებითი ლოცვა მარტო იმისათვის, ხალხს თავი მოაჩვენო **(მათ. 6:5-8).** განსაკუთრებულია ასევე „მამაო ჩვენოს“ წარმოთქმის წესები, რომელიც მიტევებისა და ცოდვათა მონანიებისთვის არის გამიზნული, რადგან ღმერთი მიუტევებს გულწრფელ მონანიებას ყოველ ცოდვილს. ამიტომ ადამიანს მართალ გზაზე სიარულის და სიკეთის ქმნის შანსი მუდამ ექნება თუ ღვთის მოშიში და მოყვარული იქნება **(მათ. 69-15).** ახალი მოძღვრება პიროვნულ პასუხისმგებლობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. თითოეული ადამიანი საკუთარი თავის მიმართ უნდა იყოს მომთხოვნი და ამის შემდეგ შეეძლება სხვის მიმართ ასეთივე დამოკიდებულება. მაცხოვარი გვასწავლის სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებას, რომ მხოლოდ მამა ღმერთს შეუძლია სხვისი განკითხვა, ამიტომ ადამიანებმა ერთმანეთი არ უნდა განიკითხონ, რამეთუ სხვათაგან არ იყვნენ შემდგომში განკითხულნი **(მათ. 7:1).** მაცხოვარი მოუწოდებს ყველას თვითგანწმენდისა და პიროვნული პასუხისმგებლობისაკენ: „რად უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ? ანდა, როგორ ეტყვი შენს ძმას: მიმიშვი, ამოგიღო თვალიდან ბეწვიო,

და აჰა, შენს თვალში კი დირეა! თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან“ **(მათ. 7: 3-5).** აქედან გამომდინარე, იესოსთვის მიუღებელია ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ უკეთურებას ყურადღებას არ აქცევს და სხვის თვალში ბეწვს უყურებს. მაცხოვარი ასევე გარკვეულ წესებს გვიწესებს ჭამა-სმაზე და ჩაცმა-დახურვაზე, ყოველდღიურ მიწიერ საზრუნავზე, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ისეთ ადამიანებზე ამახვილებს, ვისაც ცხოვრების მიზნად სიმდიდრის დაგროვება გადაუწყვეტია: „შვილებო, რა ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა მათთვის, ვინც სიმდიდრეზეა მინდობილი! უფრო იოლია აქლემის გაძვრომა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღვთის სასუფეველში'' **(მარკ. 10:24-25).**

ქრისტიანობა ახალისებს ადამიანის გარჯას. ამავე დროს იგი გმობს მცონარობას და სიზარმაცეს. იესო ქრისტე სამაგალითოდ მიიჩნევდა ინიციატივიან და შრომისმოყვარე ადამიანებს, სწორედ ამას გვასწავლის მათეს სახარებიდან იგავი ტალანტზე, რომელშიც მოთხრობილია ინიციატივიან, შორსმჭვრეტელ ადმიანებზე და უუნარო და ზარმაც მონაზე. პირველებმა ფულს კუდევ ფული მოაგებინეს, ხოლო ზარმაცმა მონამ მიწაში დაფლა ფული, ნაცვლად იმისა, რომ ევაჭრა და მისგან სარგებელი ეშოვნა, ამიტომ მაცხოვრის შეგონება ამასთან დაკავშირებით ცალსახაა: „.... მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“ **(მათ. 25:29).** თუმცა იესოსთვის ასევე სავალდებულოა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის ხელის გაწვდენა. ახალი აღთქმაში რამდენჯერმე არის მითითება იმის თაობაზე, რომ იესო ცხოვრებაში თავად შეხვედრია უსულგულო, გულქვა ადამიანებს, რომლებიც გაჭირვებულს არად აგდებდნენ, ხოლო გამორჩეულ ადამიანებს, ვისაც მათი დახმარება არც ჭირდებოდათ, თავს ევლებოდნენ. მათ შორის იყო მაცხოვარი, მისი გულის მოგება მდიდართა და წარჩინებულთა მთავარ მიზანს შეადგენდა, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ, რომ ასეთ უსამართლობას კაცობრიობის მოძღვარი და უდიდესი მასწავლებელი არ დაუშვებდა, ამიტომ შეუვალი და კატეგორიული იყო იესო ასეთი ადამიანების მიმართ: „....ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ უმცირესთაგანს, არც მე გამიკეთეთ“ **(მათ. 25:45).** შემოქმედი, ახლის მაძიებელი ადამიანი ყოველთვის მიიღებს უფლის მფარველობას: „ითხოვდეთ და მოგეცემათ; ეძებდეთ და იპოვით; დააკაკუნეთ და გაგეღებათ. ვინაიდან ყოველი, ვინც ეძებს - პოულობს და ვინც აკაკუნებს – კარი გაეღება“ **(მათ. 7:7-8).** მართალია, ყველა ადამიანს ძალიან ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ სხვისი კეთილდღეობისათვის ყველამ უნდა მოიცალოს, იგი უპირველესი საზრუნავია თითოეული ქრისტიანისათვის, ამიტომ, როგორც მაცხოვარი გვასწავლის: „ყველაფერში, როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექეცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველნი“ **(მათ. 7:12).**

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ, რომ არც ერთ ჩვენთაგანს არ შეუძლია ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრების თანახმად ცხოვრება, სანამ ღვთის სულს არ მივიღებთ: „რადგან იმიტომ კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი, არამედ გადარჩენილიყო მის მიერ **(იოან. 3:17).** ან კიდევ: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არა სნეულებს ჭირდებათ; მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსაწოდებლად მოვედი“ **(მარკ. 2:17).** აქედან მთავარი მიზანი, რომლის გამოც იესო მოევლინა ქვეყნიერებას, ისევ და ისევ უმაღლესი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია. უცოდველი ძე ღვთისა ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად მოავლინა თავად ღმერთმა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება. მაგრამ ეს არაა მაცხოვრის მოვლინების ერთადერთი მიზანი, სწორედ იესომ უნდა ახაროს კაცობრიობას ცათა სასუფევლის შესახებ (რომელიც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმაც იცოდნენ), რომ საჭიროა ამისათვის მუდმივი მზადება, რათა მონანიების გზით ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში დავიმკვიდროთ ადგილი, რაც მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებისათვის აუცილებელი პირობაა. ხოლო ამ გზაზე სვლისათვის ადამიანის ყველა მოქმედება თუ უმოქმედობაც რწმენიდან, ანუ ქრისტიანული ზნეობიდან უნდა გამომდინარეობდეს. სწორედ აქ ჰპოვებს ქრისტიანული ზნეობა მის პრაქტიკულ დანიშნულებას. მხოლოდ ის დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს, ვინც უფლისმიერ გზაზე ერთგულად ემსახურება ქრისტეს მიერ გაცხადებულ ზნეობრივ პრინციპებს. ადამიანი ყოველთვის მზად უნდა იყოს მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებისათვის, რადგან, როდის დადგება იგი, არავინ უწყის, როგორც ქრისტე ამბობს, იგი მოულოდნელად დადგება, როგორც ძველი აღთქმის, ნოეს დროს მოხდა წარღვნა, ამიტომ, ამისთვის ყველა მზად

უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებისათვის დიდი სამზადისია საჭირო, ხოლო სამზადისი შეეხება ყველა ადამიანს, დიდსა და პატარას. უფლისმიერი პრინციპებით ცხოვრება დიდ რწმენას მოითხოვს, მაგრამ მარტო რწმენითაც ყველაფერი ვერ მიიღწევა, რწმენასთან მისასვლელი გზა ცოდნაზე გადის. ამიტომაცაა ახალი აღთქმაში მოძღვრებაზე, სწავლაზე და ცოდნის დაუფლებაზე მთავარი აქცენტი გადატანილი.

ცოდნის დაუფლება და აღზრდა განყენებული კატეგორია კი არ არის, არამედ იგი პრაქტიკულ მიშვნელობას იძენს ახალ აღთქმაში და მთელ სამოციქულო პედაგოგიკაში. სწორედ ამის თაობაზე მიუთითებს მოციქული: „ო, ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები!“ **(რომ. 11:33).** საღვთო სიბრძნით სამყაროს ყოფიერება ერთი მიზნისკენ მიემართება, ეს არის სრულყოფა და გარდაქმნა ყოველივესი. ამიტომაც არის მიმართული ქრისტეს მთელი მიწიერი ცხოვრება მუდმივი მოძღვრება-სწავლებისაკენ. როგორც ცნობილია, ქრისტემ იქადაგა 3 წელი. მან მაშინ დაიწყო ქადაგება, როცა უკვე 30 წლის იყო. მისი სამოძღვრო-პედაგოგიური მოღვაწეობა ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა. პირველი წარუმატებელი ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში შედგა **(ლუკ. 4:14-30),** რასაც მისი ქალაქიდან განდევნა მოჰყვა. ამის შემდეგ ქრისტემ შეცვალა მასებზე ზემოქმედების ფორმები. იგი წყვეტს ინდივიდუალურ მოღვაწეობას და სწავლების ჯგუფურ ფორმაზე გადადის. ამ მიზნით შემოიკრიბა 12 მოწაფე: სიმონი (პეტრე), ანდრია, იაკობი (უფროსი), იოანე, იაკობი (მცირე), იუდა, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, სიმონი (კანანელი), იუდა (ისკარიოტელი). ქრისტეს სწავლების ახალმა ფორმამ გაამართლა, მათი მოძღვრება ყოველდღიურად უფრო მეტ მხარდამჭერს იძენდა. სავარაუდოა, რომ იესო და მისი 12 მოწაფე ვეღარ აუდიოდა ახალი მოძღვრების შესწავლაზე მზარდ მოთხოვნილებას და ამიტომაც შეარჩია იესო ქრისტემ კიდევ 70 მოწაფე **(ლუკ. 10:1),** რომლებიც დაგზავნა სხვადასხვა კუთხეებში ქრისტიანული მოძღვრების სასწავლებლად.

ისმის კითხვა, რადგან ღმერთი ყოვლისშემძლეა და მისი ნების განმახორციელებელი მიწაზე იესო იყო, ისინი ხომ უარყოფითად ეკიდებიან ბოროტებას, მაშ რატომ არ შეაჩერებენ ბოროტ გზაზე შემდგარ ადამიანებს, რატომ არ აიძულებენ მათ მხოლოდ სიკეთის ქმნას და ბოლოს, რატომ არ სჯიან ბოროტების ჩამდენთ ?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. როგორც ქრისტიანული მოძღვრება გვასწავლის, ღმერთს მართლაც შეუძლია შეაჩეროს ბოროტება, უფრო მეტიც, მას შეუძლია სიკეთის საკეთებლად აიძულოს ადამიანები, ხოლო ვინც არ დაემორჩილება - დასაჯოს კიდეც, მაგრამ მაშინ ხომ ადამიანები რობოტებად გადაიქცეოდნენ. ღმერთი მოგვიწოდებს გვიყვარდეს იგი მთელი არსებით, მაგრამ არ გვაიძულებს ამას, რადგან იძულებითი სიყვარული, სიყვარული არ არის, იგი ნებაყოფილობითი აქტია, ამიტომ ღმერთს არ სურს არჩევანის უფლება წაართვას მას, ვინც თვითვე შექმნა. მაგრამ მიწიერ სამყაროში ცხოვრებისათვის იესო აწესებს ზნეობრივ პრინციპებს, რომელთა შეცნობა-შესწავლა **(ლუკ. 1:4)** აუცილებელია. სწორედ ამისთვის მოგვიწოდებს მაცხოვარი: „თუ მე გიყვარვართ, ჩემი მცნებანი დაიცავით“ **(იოან. 14:15)**. ამ მცნებებში უფლისა და მოყვასის სიყვარულთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თვით მაცხოვრის სიყვარულს, იესოს სურს, ადამიანებს ის უყვარდეთ ყველაზე მეტად **(მათ. 10:37).** ასეთი სიყვარული კი ამაღლებულია და ჩვეულებრივ მოკვდავთ სასუფევეში მოხვერის შანსი უჩნდებათ: „ყველას, ვინც მე მაღიარებს ადამიანთა წინაშე, იმას მეც ვაღიარებ ჩემი ზეციერი მამის წინაშე“ **(მათ. 10: 32-33).** იესო ქრისტე ზნეობის კრიტერიუმად მის მიმართ ერთგულებას აცხადებს, რომელიც გამოიხატება რწმენისათვის დევნაში და ლანძღვაში, რადგან წინასწარმეტყველებსაც ასე დევნიდნენ **(მათ. 5:11-12).**

იესო კარგად არჩევს ერთმანეთისგან მორწმუნეს და ურწმუნოს, აქედან გამომდინარე _ მოწაფეს და მიმდევარს: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე“ **(იოან. 10:14).** აქედან შეიძლება ითქვას, რომ განაჩენის გამოტანისას, მაცხოვართან პირადი ურთიერთობის ანუ ჭეშმარიტი რწმენის საკითხი დაისმება. თუმცა იმასაც შეგვახსენებს მაცხოვარი, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში უკანასკნელ სამსჯავროზე მსაჯული თავად იქნება, „რადგან მამა არავის განიკითხავს, არამედ მთელი განკითხვა ძეს გადასცა, რათა ყველამ სცეს პატივი ძეს, როგორც მამას სცემენ პატივს.... და (მამამ) სამართლის გაჩენაშიც ხელმწიფება მისცა მას, რადგან კაცის ძეა იგი“ **(იოან. 5: 22-23, 27).**

იესო აცხადებს, რომ მას ყოველნაირი ცოდვების მიტევების უფლება აქვს (მაგ. დაუძლურებულის გაჯანსაღების ისტორია, ლუკ. 5: 17-20). იესომ კარგად იცოდა, რომ მისი სიკვდილი დაედებოდა საფუძვლად ღმერთის მიერ ცოდვილთა მიტევებას **(მათ. 26: 27-28).** მანვე განაცხადა, რომ ჯვარცმის და ამაღლების შემდეგ მამის გვერდით დაიჭერდა ადგილს **(იოან. 14:2-3).** მაცხოვარი ყველასგან პირუთვნელობას მოითხოვს, მისთვის მიუღებელია პირფერობა. ამასთან დაკავშირებით გვაფრთხილებს: „ვინც მე მეუბნება: „უფალო, უფალო!" ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში.... მე განვუცხადებ მათ: „მე არასოდეს არ გიცნობდით თქვენ, გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო" **(მათ.7:21-23).** აქედან შეიძლება ითქვას, რომ განაჩენის გამოტანისას, მაცხოვართან პირადი ურთიერთობის ანუ ჭეშმარიტი რწმენის საკითხი დაისმება.

ქრისტეს ბოროტების ჩამდენთა სიკვდილით დასჯაც შეუძლია, მაგრამ ასეთი ქმედებით კაცობრიობა განადგურდებოდა. ბიბლია გვიხსნის, რომ „უფალი..... სულგრძელია თქვენდამი და არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ მოვიდეს მოსანანიებლად **(2 პეტ. 3:9).** „ჩვენ მაცხოვარ ღმერთს..... ნებავს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტ შემეცნებას" **(1 ტიმ. 2:4).** იესო წუთისოფლის განკითხვისათვის კი არ მოსულა, არამედ ადამიანთა ხსნისათვის **(იოან. 3:17),** მას ბოროტების განადგურება არც უცდია, მძიმედ განიცდის მაცხოვარი იმ გარემოებას, რომ ადამიანები გულქვანი გახდნენ, რადგან უყურებენ და ვერ ხედავენ, ესმით, მაგრამ ვერ უყურებენ, ამიტომ აირჩია მათი გამოფხიზლებისათვის იესომ იგავის სტილი, რასაც მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. კაცობრიობის უპირველესმა მოძღვარმა და მასწავლებელმა ყველაზე ადრე იგრძნო ხალხის უმძიმესი სულიერი მდგომარეობა, როგორც მათეს სახარება გადმოგვცემს: „ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს გული, ყურით მძიმედ ესმით და დახუჭეს თვალები, რომ თვალით არ დაინახონ და ყურით არ მოისმინონ, გულით არ გაიგონ და მოიქცნენ, რათა განვკურნო ისინი" **(მათ. 13:15).** მიზანი ცხადია, მაცხოვარს ადამიანთა ზნეობრივი განკურნება აქვს მიზნად დასახული და მის პედაგოგიურ არსენალში უშუალო შეგონებების გვერდით იგავთმეტყველება საპატიო ადგილს იჭერს.

ახალი აღთქმის დიდაქტიკა აღიარებს მისაწვდომობის და დასაძლევობის პრინციპს, ისე როგორც ახლობლიდან შორეულზე გადასვლის აუცილებლობას სწავლებაში, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და როგორც აღინიშნა, პრაქტიკაში შემოაქვს ძველი აღთქმისთვის კარგად ნაცნობი იგავური სწავლება. ასეთი მიდგომით ფაქტიურად, ახალი აღთქმის პედაგოგიკამ დაამკვიდრა სწავლების დიალოგური ანუ სუბრის მეთოდი. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ხშირად მაცხოვრის იგავებს მათი განმარტებებიც მოსდევს: „მრავალი ასეთი იგავით ეუბნებოდა იგი სიტყვას, რამდენის მოსმენაც შეეძლოთ. იგავის გარეშე არ ესაუბრებოდა მათ, თავის მოწაფეებს კი ცალკე განუმარტავდა ყველაფერს" **(მარკ. 4:33-34).** რაც იმასაც გვაფიქრებინებს, რომ მახარებლებლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს პედაგოგიკის და კერძოდ, მისი ერთ-ერთი დარგის, დიდაქტიკის განვითარებაში, მხედველობაში გვაქვს სწორედ მათ მიერ პედაგოგიური დანიშნულებით შედგენილი მაცხოვრის ცხოვრება, რომელშიც იგავთა განმარტებებისას ახსნითი კითხვის ელემენტებსაც ვხვდებით (იხ. იგავთა განმარტებები სახარების ტექსტებში).

იგავთმეტყველება ქრისტიანული ზნეობის ჩამოყალიბების ქმედით საშუალებად განიხილება ახალ აღთქმაში. სწორედ იგავები ასრულებენ ახალი აღთქმის პედაგოგიკაში თვალსაჩინოების და ცხოვრებასთან კავშირის როლს, უფრო მეტიც, ისინი ქრისტიანული პედაგოგისთვის სწავლების პრინციპის ფუნქციასაც წარმატებით ასრულებენ, რაც თანამედროვე დიდაქტიკში მნიშვნელოვან პრინციპად ითვლება. ამასთან დაკავშირებით, როგორც მღვდელი გიორგი ხიტირი ამბობს: „ადამიანს, რომელიც ღმერთმა თავის ხატებად შექმნა, რამდენიმე უნიკალური ნიჭი მიეცა, რომელთა შორის უდიდესი - თავისუფალი ნებაა. ღმერთის მხრიდან ამ ნიჭის პატივისცემა იგავებით სწავლების მეთოდში ჩანს. ეს იგავები სიტყვახატულა მოთხრობებია, რომლებიც სულიერი ჭეშმარიტების გადმოსაცემად ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ სურათებს იყენებს. მეტად არსებითია თითოეული მსმენელის რეაქცია ამა თუ იმ მონათხრობზე. იგავები მსმენელს დააფიქრებს და გზავნილში დაფლულ საიდუმლოს გაანდობს" **(6.75).**

ახალი აღთქმის პედაგოგიკა გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს იმათთვის, ვისაც ცათა სასუფეველში დამკვიდრება სწადია ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ერთგვარი სამოქმედო გეგმა ან სასწავლო გეგმა, რომელიც ყოველმა მორწმუნე ქრისტიანმა უნდა შეითვისოს. კონკრე-

ტულად ამ გეგმაში შედის ძველი აღთქმის, ანუ მოსეს რჯულის ზნეობრივი პრინციპები, რომელიც აუცილებელ საფეხურს წარმოადგებს ახალი აღთქმის შესწავლისათვის. ხოლო შემდეგ უმთავრესია ქრისტეს მცნებების შესრულება, რაც საბოლოოდ ნიადაგს ამზადებს ცათა სასუფევლის შეცნობაზე. სწორედ ამ მიზნით მაცხოვარმა ჩამოაყალიბა ცხრა ნეტარება, რომელთა შესწავლა და გათავისება ცათა სასუფეველში მოხვედრაზე ფიქრის საფუძველია.

ღმერთი ადამიანებს მცნებებს ჯერ კიდევ ძველაღთქმისეული დროებიდან აძლევდა, რათა ისინი ირგვლივ გაბატონებული ბოროტებისა და ნეგატივისგან დაეცვა.

მცნებები - ეს ერთგვარი გაფრთხილებებია, რომელიც ცოდვის საშიშროებაზე მეტყველებენ და მისგან შორს დგომას გვირჩევენ. ახალ სულიერ სიმაღლეზე რომ აეყვანა და კაცთათვის ჭეშმარიტი სიყვარული ესწავლებინა, იესო ქრისტემ ახალ აღთქმაში ძველი აღთქმის 10 მცნებას 9 ნეტარება (მცნება) დაუმატა. ეს მცნებები არავითარ შემთხვევაში არ ცვლიან იმას, რაც უფალმა მოსეს მეშვეობით კაცობრიობას მისცა, არამედ ადამიანს მხოლოდ შეაგონებენ, თუ რისი გაკეთება მართებს სრულყოფილების მისაღწევად და ღმრთისადმი მისაახლებლად.

მაცხოვარმა ნეტარების მცნებები კაცობრიობას მთაზე წარმოთქმულ ქადაგებებში ამცნო, სადაც დეტალურად განმარტა, თუ როგორ უნდა ააწყოს საკუთარი ცხოვრება ნამდვილმა ქრისტიანმა. ეს მცნებები ავსებენ უფლის 10 მცნებას. ისინი ცოდვის აკრძალვაზე კი არ გველაპარაკებიან, არამედ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა ზნეობრივ სრულყოფილებას, რომელი სათნოებები აახლოვებს მას უფალთან და როგორ შეუძლია ყოველ დაიმკვიდროს ჰარმონია.

ახალი აღთქმის ცხრა ნეტარება ახალი ეტაპია ქრისტიანულ პედაგოგიკაში. მისი შესწავლა - შეცნობა პირველივე საუკუნიდან მიწიერი ცხოვრების მიზანი და უმაღლესი სასოება გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსთვის. სწორედ მან დაამკვიდრა ახალი ზნეობრივი ნორმები, რომელიც განუზომელ სამსახურს უწევს კაცობრიობას 20 საუკუნის განმავლობაში.

ცხრა ნეტარების კომენტირებისას ფსიქოლოგი დ. ციცქიშვილი წერს: „უმთავრესი პირობა ჩვენს ცნობიერებაში ღვთაებრივი სამყაროდან მომდინარე აზრების, იდეების, წარმოდგენების მოსაცემად არის ის, რომ შევეცადოთ, რაც შეიძლება მოვერიდოთ ცოდვას, ვიცხოვროთ ღვთისათვის სათნოდ. სწორ აზროვნებას, ღვთაებრივი ნაპერწკლის გაჩენას ცნობიერებაში დამსახურება უნდა. განა შეიძლება მას გზა არ გადაუკეტოს ცოდვით დაცემებმა, ვნებების გახელებამ. გულის სიწმინდის შენარჩუნება მართლმადიდებლური სწავლებით გულისხმობს არა მხოლოდ საქმით, არამედ ფიქრითაც, რაც შეიძლება ნაკლებ შეცოდებას“ **(7.8).**

რადგან ქრისტიანული მოძღვრება ნათლად ქადაგებდა ახალ ზნეობრივ პრინციპებს, რომელსაც დაეფუძვნა ახალი აღთქმის პედაგოგიკა, ამდენად, ეს პრინციპები ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს პედაგოგიკისათვისაც. თუ ძველი აღთქმის პედაგოგიკა სამყაროს ღვთიურ ჰარმონიას და კანონის (მოსეს რჯულის) უზენაესობას ეფუძვნება, ახალი აღთქმის პედაგოგიკა რწმენაზეა აღმოცენებული და აქედან გამომდინარე, იგი რწმენისა და სიყვარულის პედაგოგიკაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია 1989: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი.
2. ბერიშვილი 1994: პედაგოგიკა, რედ. ჯ. ბერიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. Геммингер 1873: Геммингер Фр. Апологи Христянства, ч. 1, СБ.
4. ასათიანი 2007: ასათიანი ა., ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგოკის ისტორიიდან, ტ. I, გამომცემლობა „პედაგოგიკა“, თბილისი,
5. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი 2003: ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტება, თბილისი.
6. ხიტირი 2005: მღვდელი გიორგი ხიტირი, საგანმანათლებლო პროცესი მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში, საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.
7. ციცქიშვილი 2001: ციცქიშვილი დ. მართლმადიდებლური ფსიქოლოგია, თბილისი.

Avtandil Asatiani,
Georgian Technical University,
Professor

Moral Principles of Christian Pedagogy in the New Testament

Summary

The work analyzes the moral principles of religious (Christian) pedagogy, originating from the nine commandments of Jesus Christ. The nine commandments of the Beatitudes of the New Testament are a new stage of Christian pedagogy. Its study and knowledge became the goal of earthly life and the highest goal of the entire Christian world from the first century. It was he who established new moral standards that served humanity immensely throughout the 20 centuries.

If the pedagogy of the Old Testament is based on the divine harmony of the world and the rule of law (the Law of Moses), then the pedagogy of the New Testament is based on faith and, therefore, is the pedagogy of faith and love. .

Keywords: Old Testament, New Testament, Faith, Nine Commandments of the Beatitudes, Education, Morality, Harmony,

განათლების მენეჯმენტი

კონსტანტინე ხმალაძე
ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
ნათია გოჩაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ინოვაციათა მენეჯმენტის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების შესახებ

რეზიუმე: *ინოვაციათა მენეჯმენტის პროფესიის მქონე კადრების მომზადების აქტუალურობას განსაზღვრავს: ტექნოლოგიური რევოლუციის (ინდუსტრია 4.0) გამოწვევები; შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია და მოთხოვნები; ინოვაციათა მენეჯმენტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები. პროგრამებს აქვთ დისციპლინათაშორისი ხასიათი. მომზადდება ახალი ციფრული ეპოქის მომავალი ლიდერები.*
საკვანძო სიტყვები: *ინოვაციები, მენეჯმენტი, ტექნოლოგიური რევოლუცია, შრომის ბაზარი, მენეჯერი.*

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინოვაციათა მენეჯმენტის პროფესიის მქონე კადრების მომზადების აქტუალურობას განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ტექნოლოგიური რევოლუციის (ინდუსტრია 4.0) გამოწვევები;
- შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია და მოთხოვნები;
- ინოვაციათა მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები.

1. მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე, „ინდუსტრია 4.0“ -ის სახელით წოდებული ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, ეკონომიკის გაციფრულებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე, თვისებრივად იცვლება წარმოებისა და მომსახურების სისტემა, საბაზრო ურთიერთობათა შინაარსი, ფორმები და მექანიზმები.

ღია ინფორმაციული სისტემებისა და გლობალური სამრეწველო ქსელების წარმოშობის შედეგად გარდაიქმნება თანამედროვე ეკონომიკისა და ბიზნესის ყველა სექტორი, ყალიბდება სამრეწველო ავტომატიზაციის ახალი ინდუსტრიული საფეხური, რომლის კომპონენტებია: ნივთების ინტერნეტის ელემენტები, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება და რობოტოტექნიკა, მონაცემთა დიდი მასივები (Big Data) და სხვა.

აღნიშნული კომპონენტების ორგანულად გაერთიანება ერთიანი კონცეფციის სახით იძლევა შესაძლებლობას ახალ დონეზე იქნას აყვანილი წარმოების ეფექტიანობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების, ქსელური კავშირების ჩამოყალიბებისა და ინოვაციური ბიზნეს-მოდელების რეალიზაციის მეშვეობით.

საყურადღებოა, რომ შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია განხორციელდება სამუშაო ადგილების შემცირების მიმართულებით. შემცირება შეეხო და მომავალშიც შეეხება არა მარტო მუშებს, არამედ ოფისის თანამშრომლებსაც წარმოებისა და მომსახურების სფეროებში.

პროგნოზების მიხედვით, მაღალმოთხოვნადი გახდება რიგი პროფესიები, როგორიცაა:

- IT-სპეციალისტები;
- სამეცნიერო- და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი;
- ინოვაციური ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და მარკეტინგის სპეციალობები;
- მათემატიკურ ცოდნასთან დაკავშირებული სფეროების პროფესიები და სხვ.

მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად გართულდება იმ დაბალკვალიფიციურ პირთა შრომითი მოწყობის საკითხები, რომელნიც არ მიეკუთვნებიან ზემოაღნიშნულ პროფესიებს.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე გარდაქმნები, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება პრინციპულად ახალ მოთხოვნებს აყენებს სამეწარმეო სუბიექტების მიმართ. საწარმოთა საქმიანობაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს პროდუქციის (მომსახურების) კომერციალიზაციის საკითხები, უპირველესად, ინოვაციებსა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამეწარმეო საქმიანობა. შედეგად, წარმოიშვა მოთხოვნა იმ სპეციალისტებზე, რომლებსაც უნარი შესწევთ გაერკვნენ საიჟინრო ბიზნესის არსში (მეცნიერებატევად პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში). შეუძლიათ სისტემური ხედვით გაანალიზონ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრები. კომპლექსურად გადაწყვიტონ წარმოებისა და ორგანიზაციათა მართვის საკითხები.

ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის დაუფლება წარმოადგენს თანამედროვე მენეჯერ-პროფესიონალის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას. მისი მიზანი და ამოცანებია სტუდენტებს მისცეს სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რათა: განახორციელონ საქართველოს ეკონომიკის სფეროში ინოვაციური პროცესების მართვა, განაზოგადონ გამოცდილება, შექმნან ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, ჩამოაყალიბონ ინოვაციური ორგანიზაციების შექმნის და მართვის სისტემის მექანიზმები.

შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მოცემული დარგის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების საფუძველზე მომზადდება ახალი ციფრული ეპოქის მომავალი ლიდერები, რომელნიც შეძლებენ ინოვაციური კომპანიების მართვას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. პროგრამებს აქვთ დისციპლინათაშორისი ხასიათი და ორიენტირებული არიან პრაქტიკაზე, რაც საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ინოვაციურ ბიზნესთან დაკავშირებული აქტუალური ამოცანები: იდეების გენერაცია, დამუშავება, შეფასება, ინოვაციური პროექტებისა და ტექნოლოგიების დაცვა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია.

2. საქართველოს შრომის ბაზარი ხასიათდება მოწყვლადობის მაღალი ხარისხით. ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში შედარებით მწვავედ გვესახება დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის ატროფირებული დარგობრივი სტრუქტურის და სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისპროპორციის ფონზე. ამდენად, ჩვენს წინაშე დგას რიგი გამოწვევები შრომის ბაზრის ტრანსფორმაციის, უპირველეს ყოვლისა თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე გაანალიზებულ იქნა დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებული ტენდენციები, მათ შორის ასაკობრივ-გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. შევისწავლეთ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტი და ძირითადი სექტორები. რომლებშიც მაღალი ეკონომიკური აქტიურობაა მოსალოდნელი. ამასთან, მნიშვნელოვანწილად ვეყრდნობით კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge), ასევე შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ანალიტიკურ მასალებს. ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებ მოიცავს აგრეთვე ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების მასალებს, მეწარმე სუბიექტების და საჯარო დაწესებულებების ექსპერტთა შეფასებებს.

მოკლედ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ:

- უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. 2021 წელს უმუშვრობის დონემ შეადგინა 20,6% (316,2 ათასი კაცი);
- შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენცია, რომლის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია მიგრაციის უარყოფითი სალდოს ზრდა;
- დასაქმების მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2021 წელს წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რიცხვი 2%-ით შემცირდა და 1,217.4

ათასი ადამიანი (53% კაცი, 47% ქალი) შეადგინა. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს გაზრდილი მიგრაციის შედეგად მოსახლეობის შემცირებას. საკუთრების ფორმის მიხედვით დასაქმებულთა უმრავლესობა არასახელმწიფო სექტორზე მოდის. 2021 წელს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 75% (916 ათასი კაცი) შეადგინა;

- დასაქმებისა და საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებლების მზარდი ტენდენცია ბიზნეს სექტორში. პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება კერძო სექტორის მიერ მოთხოვნილი ვაკანსიების რაოდენობის ზრდის მიხედვით. მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად მათ მოთხოვნაში ძირითადი კომპონენტია პროფესიული განათლების მქონე ტექნიკური პერსონალი და მენეჯერები.

მაღალია მოთხოვნა დამხმარე სპეციალისტებზე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ბიზნესისა და ადმინისტრირების სფეროებში. მაღალი მოთხოვნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსებზე უკავშირდება კომპიუტერული ქსელის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირებასა და მხარდაჭერას. სამუშაო ეფუძნება თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს და არის მაღალანაზღაურებადი. აღნიშნული ქვეჯგუფიდან დიდია მოთხოვნა სხვადასხვა პროფილის პროგრამისტებზე და მონაცემთა ბაზის დიზაინერებზე.

მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტებიდან მოთხოვნადია ის პროფესიული ჯგუფები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო მშენებლობას, წარმოებაში პროცესის კონტროლს, ელექტრონული მოწყობილობების პროექტირებას, მოვლასა და რემონტს. სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით მაღალია მოთხოვნა: მშენებლობის ზედამხედველებზე, მშენებლობის ტექნიკოსებსა და მხაზველებზე.

პროფესიული ჯგუფების მიხედვით ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა:

- ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები:
  - ფინანსური მენეჯერები;
  - ადამიანური რესურსების მენეჯერები;
  - პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები;
  - გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები;
  - სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა და ადმინსტრაციის მენეჯერები.
- წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები:
  - დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები;
  - ფინანსური და სადაზღვევო მომსახურებების ფილიალის მენეჯერები;
  - სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურების მენეჯერები;
  - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები.
- სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები:
  - რესტორნის მენეჯერები;
  - სასტუმროს მენეჯერები.
- უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები:
  - მმართველი დირექტორები და *უმაღლესი რგოლის მენეჯერები.*

საყურადღებოა **დასაქმებულთა პროფესიული უნარების შეფასება** დამსაქმებლების მიერ. გამოკითხულ საწარმოთა უმრავლესობის აზრით (68 %) დაქირავებულისათვის აუცილებე-

ლია მინიმუმ ერთი წლის გამოცდილება თავისი ფუნქციების შესასრულებლად. ამ მხრივ გამოირჩევა ენერგეტიკის სექტორი (92%), შემდეგ მოდის ICT-ის (84%), განათლების (83%) და ჯანდაცვის სექტორები (82%).

საწარმოთა უდიდესი წილი (79%) მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები უმეტესად შეესაბამება მოთხოვნებს. მცირე ნაწილი (5%) მიიჩნევს, რომ დასაქმებულთა უნარები საჭიროებს განვითარებას. უნარების განვითარების საჭიროება ძირითადად დასახელდა ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების (ძირითადად სასტუმროებისა და რესტორნების) და მშენებლობის სექტორებში.

საწარმოთა ნახევარზე მეტი დასაქმებულთა უნარების ასამაღლებლად არ ატარებს სპეციალურ ღონისძიებებს. დაახლოებით მეხუთედი მიმართავს დამატებითი ტრენინგების და/ან კვალიფიციური კადრებით ჩანაცვლების პრაქტიკას.

პროფესიული უნარების შეფასების მიზნით შეთავაზებულ უნართა ერთობლიობიდან მეწარმეები გამოჰყოფენ თანამშრომელთა არსებითად და/ან გარკვეულად მნიშვნელოვან უნარებს შემდეგ სფეროებში: განათლება (წიგნიერება); ინფორმაცია და კომპიუტერული ცოდნა; ტექნიკური უნარები (მოწყობილობების, ხელსაწყოების, მასალების გამოყენება); კომუნიკაცია და სხვა სოციალურ-ემოციური უნარები; ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება; ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები; განათლების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების დაწესებულებები.

ვაკანსიების მიხედვით საკმაოდ მაღალია მოთხოვნა უმაღლესი განათლების მქონე მენეჯერებზე. მათ უნდა ჰქონდეთ ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სფეროში უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და გამოცდილება, სწავლის და საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრების, ანალიზისა და სინთეზის უნარი. მათ მოეთხოვებათ ორიენტაცია კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებაზე თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინეზა გაგნიძე. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში. ეკონომიკა და ბიზნესი, 2019, N3, გვ. 58 -78
2. Николас Мартин, Светлана Савченко. «Индустрия 4.0»: что будет с рынком труда? 2016.
3. Шваб Клаус, Четвертая промышленная революция / Клаус Шваб // Изд-во: Формат, 2016.
4. ბიზნეს სექტორი საქართველოში: 2020 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. - თბილისი, 2023.
5. უნარებზე საწარმ0თა მოთხოვნის კვლევა - 2022. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
6. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი - 2022-2023 წ.წ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

Konstantin Khmaladze,
Doctor of Economics,
Georgian Technical University,
Professor
Natia Gochashvili,
PhD candidate at Georgian Technical University

Labor Market Requirements and the Employment Prospects of Innovation Management Graduates

Summary

The urgency of training personnel with the profession of innovation management is determined by: the challenges of the technological revolution (Industry 4.0); labor market transformation and requirements; Employment opportunities for graduates of innovation management bachelor's, master's and doctoral programs. The programs have an interdisciplinary character. The future leaders of the new digital age will be trained.
Keywords: innovations, management, technological revolution, labor market, manager.

ეკა მგელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
ინოვაციური საკადრო მენეჯმენტის

სპეციფიკური მახასიათებლები და მათი ასახვა სასწავლო კურიკულუმებში

რეზიუმე: *ინოვაციების ეპოქაში ნებისმიერი კომპანიისა თუ დაწესებულების (ზოგადსაგანმანათლებლო) ინოვაციური გზა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით გამოიყენება ინოვაცია პერსონალის მართვაში. ამ სტატიაში შესაძლებელი იქნება პასუხი გაეცეს კითხვებს: პერსონალის მართვის რა ტექნოლოგიები და მეთოდები გამოიყენება ინოვაციურ ორგანიზაციებში და როგორია მათი თავისებურებები, როგორც მართვის, ასევე თანამშრომლობითი მიმართულებით?*
ავტორის რეკომენდაციის თანახმად, აღნიშნული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების მთავარი ამოცანაა, რაც გულისხმობს ამ უნარებზე ორიენტირებული კურიკულუმების შექმნას.
საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია. პერსონალის მართვა. ინოვაციური ორგანიზაციები, საგანმანათლებლო დაწესებულება, კურიკულუმი.*

პერსონალი არის ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციური ქვესისტემა და წარმოადგენს ყველაზე ღირებულ რესურსს ინოვაციური განვითარებისთვის. თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი უბრალოდ წარმოუდგენელია ინოვაციური საქმიანობის შედეგად მიღებული ინტელექტუალური პროდუქტის გარეშე. ახალი კონკურენტული იდეებისა და სხვადასხვა პრობლემის არასტანდარტული გადაწყვეტილებების მთავარი მატარებელი ორგანიზაციის პერსონალია.

ინოვაციურ საკადრო მენეჯმენტში სპეციფიკური მახასიათებლების კვლევის აქტუალობაც განპირობებულია სწორედ იმით, რომ პერსონალის მართვის სისტემის დინამიურმა განვითარებამ და ინოვაციებზე გაზრდილმა მოთხოვნებმა ახალი ამოცანების წინაშე დააყენა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სტატიაში განხილულია ინოვაციის ძირითადი ცნებები და სპეციფიკური მახასიათებლები პერსონალის მენეჯმენტში, რამაც განაპირობა ეკონომიკის ამ სექტორის ინოვაციური როლის გაძლიერება, რაც ობიექტურად ასოცირდება ინოვაციური ბიზნეს პროცესებისთვის შესაბამისი საკადრო რესურსებით უზრუნველყოფასთან.

გაიცემა პასუხი კითხვებზე: თუ რა მეთოდები გამოიყენება პერსონალის მართვისთვის ინოვაციურ ორგანიზაციებში და რა არის მათი მახასიათებლები?

ინოვაცია ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და თანამედროვე საწარმოების უძლიერეს კონკურენტულ უპირატესობებს, ხოლო ამ ორგანიზაციებში ინოვაციური პოტენციალის არსებობა არის საინოვაციო პროცესის მთავარი პირობა.

უნდა შევთანხმდეთ, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ინოვაციური რესურსია მისი პერსონალი, რომლის ინოვაციური პოტენციალი ეფუძნება თანამშრომლების უნარს განავითარონ და ეფექტურად განახორციელონ როგორც საკუთარი, ისე მესამე მხარის ახალი იდეები და პროექტები.

მიმდინარე კვლევის მიზანია

- „პერსონალის მართვის სისტემის“ კონცეფციის შესწავლა;
- ამ კონცეფციის ელემენტების გათვალისწინება;
- პერსონალის მართვის სისტემის აგების მეთოდების შესწავლა
- ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნესის გზების შესწავლა.

ახალი კონკურენტული იდეებისა და სხვადასხვა პრობლემის არასტანდარტული გადაწყვეტილებების მთავარი მატარებელი ორგანიზაციის პერსონალია.

ორგანიზაციების (როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საწარმოების) პრაქტიკული საქმიანობა აჩვენებს, რომ განხორციელებულ ინოვაციებს ხშირად უარყოფენ ორგანიზაციის თანამშრომლები, შემოქმედებითი შესაძლებლობების გააქტიურებაც არ ხდება და პერსონალი აქტიურად ეწინააღმდეგება ცვლილებებს. შედეგად, ინოვაციური აქტივობა დაბალი ეფექტურობით ხორციელდება, ინოვაციის განხორციელების დრო და მატერიალური ხარჯები გადაჭარბებულია, მოსალოდნელი შედეგი არ მიიღწევა და ინოვაციური საქმიანობის რისკი მრავალჯერ იზრდება.

ამრიგად, ნებისმიერ ორგანიზაციაში თუ წარმოებაში, წარმოიქმნება პრობლემური სიტუაცია, როდესაც ორგანიზაციის პერსონალის მოტივაციური ან/და საკვალიფიკაციო მოუმზადებლობის გამო შეუძლებელია პროცესებისა და წარმოებული პროდუქტის ხარისხიანი ცვლილება. ამის მთავარი მიზეზი არის საკადრო მენეჯმენტის არაინოვაციური მიდგომები.

არსებული სიტუაციიდან გამოსავალი უნდა იყოს ინოვაციური საქმიანობის მართვისადმი მიდგომების შეცვლის აუცილებლობის გაცნობიერება, რომელიც განსხვავდება ფუნქციური მიდგომებისგან მათი არასტაბილურობით, საბოლოო შედეგის მაღალი რისკის ხარისხით და ორგანიზაციის პერსონალის როლის მაღალი მნიშვნელობით. (შემოქმედებითი შესაძლებლობებით, პროფესიული მსოფლმხედველობით, მოტივაციითა და ა.შ.).

ცოდნისა და შემოქმედებითი უნარების დაგროვებისთვის, პერსონალის მხრიდან ინოვაციებისადმი წინააღმდეგობის შესამცირებლად, ისეთ ორგანიზაცია თუ საწარმო, რომელიც ახორციელებს ხშირ ხარისხობრივ ცვლილებებს, აუცილებელია განვითარდეს და განხორციელდეს საქმიანობის მართვის ახალ მიდგომები და ასევე პერსონალის მართვა.

პერსონალის მართვის სისტემა ძალიან მრავალმხრივია. იგი მოიცავს თანამშრომლების ორგანიზაციასთან ურთიერთობის ყველა ასპექტს.

მეცნიერები და სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ინოვაციურ ორგანიზაციაში პერსონალის მენეჯმენტს აქვს მთელი რიგი საკუთარი მახასიათებლები. ეს მოიცავს, მაგალითად:

- ინოვაციური პროცესში ჩართული კადრის მუშაობის ახალ დეტალებსა და სირთულეს;
- თანამშრომელთა პიროვნული მახასიათებლების ფართო სპექტრს;
- ინვესტიციის მაღალ რისკს;
- ინოვაციური პროცესის სუსტ საინფორმაციო მხარდაჭერას;
- შრომის ბაზრის პარამეტრების გაურკვევლობას;
- წარმატების შემთხვევაში - დიდი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

ინოვაციური საქმიანობა თანამშრომლებისგან მოითხოვს აზროვნების განსაკუთრებულ მოქნილობას, აღქმის ეფექტურ სისტემას, კრეატიულობას, თვითრეალიზაციისა და სოციალურ სისტემაში ინტეგრაციის უნიკალურ ფორმას.

ინოვაცია ძირითადად ორიენტირებულია მაღალკვალიფიციურ მუშახელზე, რომლის ცენტრია ინოვატორი-მეცნიერის ან ნოვატორ-მენეჯერის პიროვნება. ინტელექტუალური პიროვნება ხდება საკვანძო ფიგურა ინოვაციურ საქმიანობაში, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალი შინაგანი მოტივაცია და პროფესიონალიზმი. სწორედ ამიტომ, ინოვაციური ორგანიზაციები ქმნიან დაქირავების სისტემებს, რათა მოიზიდონ თანამშრომლები, რომლებიც მიდრეკილნი არიან ინოვაციური საქმიანობისკენ.

კანდიდატების შერჩევის სისტემაში მნიშვნელოვანი განსხვავებაა პერსონალის მართვის ინოვაციურ მიდგომებსა და ტრადიციულ მიდგომებს შორის. ინოვაციურ ორგანიზაციაში მუშაობა დამატებით მოთხოვნებს უყენებს პოტენციურ თანამშრომელს. პერსონალის შერჩევისას თანამშრომლის პოტენციალის შეფასების სტანდარტული მეთოდების გარდა, ორგანიზაცია ასევე მიმართავს ხარისხობრივ შეფასებას, რომელიც მოიცავს ინდივიდის შემოქმედებითი თვისებების, მის ორგანიზაციულობასა და საქმისადმი დამოკიდებულებას.

მკაცრი კონკურენციის პირობებში, ინოვაციური თანამშრომლების შერჩევისას ბევრი უცხოური კომპანია იყენებს ტესტირებას იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა თანამშრომლის უნარები ინოვაციური მენეჯერის მიერ შესრულებული სამუშაოს მოთხოვნებს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აპლიკანტების, პროაქტიულობას და მიზანდასახულობას.

პირადი გამოცდილებიდან მინდა გაგიზიაროთ მაგალითი. ჩემი სამუშაო ადგილის (საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისას) მიღების/გასაუბრების დროს, ჩატარებული ტესტირებით დადგინდა კონკურსანტების ის უნარები და შესაძლებლობები, რომლის გამოყენებაც არსებულ სამსახურს სჭირდებოდა. დაწესებულების ხელმძღვანელობას სჭირდებოდა პიროვნების შეცნობა, რადგან იგი უფრთხილდება თითოეული ადამიანში არსებულ რესურს, რათა გამოიყენოს თითოეული ადამიანის შესაძლებლობები მაქსიმალურად. დამსაქმებელი იყენებს პერსონალის იმ უნარებს და შესაძლებლობას, რაც პერსონალის ამა თუ იმ წარმომადგენელს აქვს. ასეთი მიდგომა იქეთკენ არის მიმართული, რომ გამოვლინდეს ის პოტენციალი, რაც თითოეულ დასაქმებულში არსებობს.

ინოვაციური კომპანიები არა მხოლოდ კრეატიული მუშაკების დაქირავებას ცდილობენ, არამედ თავიანთი ძალისხმევით, მათ შორის პერსონალის განვითარებაზე გამიზნული ინვესტიციით, ავითარებენ თავიანთი თანამშრომლების შემოქმედებით უნარებს. გარდა ამისა, ბევრი ინოვაციური კომპანია მუდმივად გადაადგილებს თანამშრომლებს ყოველ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ, ე.წ. პერსონალის „მუდმივი“ როტაციის გამოყენებით. კვლავ საკუთარი საგანამანათლებლო დაწესებულების მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე ფილიალის არსებობის შემთხვევაში, ხშირია კამპუსებს შორის მენეჯმენტის წევრების ცვლილება. ასეთი ნაბიჯის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც ადამიანები მიდიან ახალ სამუშაო ადგილზე, მათ მოაქვთ ახალი პერსპექტივები, ახალი იდეები. ფართო გასაქანი ეძლევა არსებული ინოვაციის მეორე ახალ სამუშაო ადგილზეც დანერგვას. ერთ ადგილზე გარკვეული პერიოდით მუშაობის შემდეგ, თანამშრომელი ეჩვევა გარემოს და შეიძლება ითქვას ვეღარ ავითარებს სიახლეებს თავის საქმიანობაში. ამიტომ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ინოვაციური მიდგომებით, სასურველია თანამშრომელი გადავიდეს სხვა სამუშაოზე და რათა ის კვლავ ჩაერთოს ახალი პრობლემების გადაჭრაში. ასეთი როტაცია ასევე მოქმედებს თანამშრომლის ინდივიდუალურ განვითარებაზე. სამუშაო ადგილის ცვლილებისას ადამიანი მუდმივად ეჯახება ახალ იდეებს და ახალ სიტუაციებს და არსებულ ცვლილებებს ეფექტურად უწყობს ფეხს. ეს ეხმარება მას, გამოიმუშაოს საკუთარი ხედვა ბიზნეს პრობლემებზე და გახდეს უფრო შემოქმედი ადამიანი. მაგრამ ეს არ ეხება მხოლოდ ინდივიდუალურ განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოქმედებს როტაცია ჯგუფებსა და გუნდებზე.

ინოვაციურ ორგანიზაციებში სამუშაოების უმეტესობა ჯგუფურად მიმდინარეობს. მაგრამ დროთა განმავლობაში გუნდებიც შეიძლება მონოტონური გახდეს, ხოლო მათი მუშაობა რუტინული. ის ჯგუფები, რომლებიც ერთსა და იმავე წევრებს დიდი ხნის განმავლობაში აერთიანებს, იწყებენ მენეჯერისგან გაზიარებული ყველა ახალი იდეის უარყოფას. ისინი თავიდან იცილებენ ნებისმიერი იდეას, რომელიც განსხვავდება ჯგუფში უკვე არსებულისგან და დამკვიდრებულისგან. ინოვაციური ორგანიზაციები, სწორედ, რომ როტაციის გზით ებრძვიან ახალი იდეების უარყოფის ტენდენციას. ამიტომ ასეთი ორგანიზაციები რეგულარულად ანახლებენ ყველა მომუშავე ჯგუფს. მაგალითად, ყოველწლიურად ყველა ჯგუფს ჰყავს მინიმუმ ერთი ახალი თანამშრომელი, ვისაც მოაქვს ახალი პერსპექტივა, ახალი იდეები.

ორგანიზაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმაში, თუ როგორ აფასებენ ისინი თავიანთ თანამშრომლებს. ჩვეულებრივად, ტრადიციულ ორგანიზაციებში, მენეჯერები უყურებენ თანამშრომლებს თუ რას აკეთებენ ისინი და როგორ - კარგად თუ ცუდად. შედეგად, კეთდება მხოლოდ მოკლე დასკვნა: “შესანიშნავი მუშაკი”, “კარგი”, “საშუალო”, “საშუალოზე დაბალი” და ა.შ.

შესანიშნავი თანამშრომლები შეიძლება დაწინაურდნენ და განიხილონ, როგორც ორგანიზაციის მომავალი ლიდერები. კარგ თანამშრომლებს შეუძლიათ ორგანიზაციაში დიდხანს დარჩენა, იმ ადგილზე, სადაც ისინი კარგად ასრულებენ მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ხოლო ის მუშაკები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ საშუალო სტანდარტის მოთხოვნებს, შეიძლება განთავისუფლდნენ, თუ არ გააუმჯობესებენ თავიანთ საქმიანობას.

მაგრამ ყველა ორგანიზაცია ან დაწესებულება არ მიჰყვება ამ ტრადიციულ სისტემას. ზოგიერთი ინოვაციური ორგანიზაცია ავითარებს შეფასების სისტემას, რომელშიც არ კეთდება დასკვნები “კარგის” ან “ცუდის” შესახებ, რადგან ეს არის ერთგვარი დემოტივაციის ფაქტორი

თანამშრომლებისთვის. ამიტომ ისინი სთავაზობენ თანამშრომლებს შეფასების საკუთარ სისტემას, რაც უზრუნველყობს მათ მოტივაციას. ორგანიზაციის მენეჯერი განიხილავს სამ საკითხს თავის თანამშრომლებთან,

- სთხოვს ჩამოთვალონ თავიანთი მიღწევები განვლილი წლის განმავლობაში;
- ეკითხება, რის მიღწევას იმედოვნებენ მომავალ წელს;
- სთხოვს, რომ განიხილონ მოსალოდნელი წინსვლა და სხვა შესაძლებლობები.

ინოვაციური ორგანიზაციის პერსონალის მართვის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია პერსონალის წახალისება. თანამედროვე მიდგომები პერსონალის მოტივაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ინოვაციურ ორგანიზაციებში განსხვავებულია.

უცხოური ორგანიზაციები იყენებენ ტექნოლოგიებს, როგორიცაა:

1. პროფესიული საქმიანობის ჰორიზონტის როგორც ვირტუალური და ასევე ფიზიკური გაფართოება.
2. საგარეო მივლინებები.
3. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი. ინდივიდუალიზაცია სხვადასხვა ფორმით მოდის - ფულადი (მატერიალური) ჯილდოებიდან დაწყებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობით დამთავრებული.
4. თანამშრომელთა დამოუკიდებლობა, რაც გამოიხატება მათთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შესაძლებლობით.
5. კარიერულ-კვალიფიკაციური სტიმული.

როგორც აღინიშნა, ორგანიზაციის წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ორგანიზაციის პერსონალზე. მაგრამ ტრადიციული HR სერვისები არ არის შექმნილი ინოვაციურ ორგანიზაციებში მუშაობისთვის, რომლებსაც აქვთ საკუთარი მახასიათებლები და გამორჩეული თვისებები. ეს გარემოება მოითხოვს პერსონალის მართვის მთელი სისტემის რეორგანიზაციას – შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციურ ორგანიზაციაში პერსონალის მართვა ინოვაციურ მიდგომებს მოითხოვს. ტრადიციულ მენეჯმენტთან შედარებით პერსონალის მართვის მიდგომები ინოვაციურ საქმიანობაში განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებებია როგორც დაგეგმვაში, ასევე სპეციალისტების შერჩევაში.

ინოვაციური ეკონომიკური განვითარება აყენებს მკაცრ მოთხოვნებს პერსონალის ხარისხზე და, მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის გამო, შეიძლება გამოიწვიოს ბევრი თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება. მაგალითად, მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების დანერგვისას, ისეთი კომპანიები, როგორიც არის Procter&Gamble, Johnson&Johnson, IBM ყოველწლიურად ათავისუფლებენ ძალიან ბევრ თანამშრომელს.

ინოვაციურ ორგანიზაციებში პერსონალის ეფექტური მართვის საფუძველი არის:

- მრავალფეროვანი თანამშრომლობა მენეჯერსა და თანამშრომელთა გუნდს შორის;
- თანამშრომლებთან კომუნიკაციის ორგანიზების უნარი მათი ინტერესების, მიდრეკილებებისა და ხასიათის გათვალისწინებით;
- ობიექტური მიდგომა კონფლიქტის მოგვარების დროს;
- არაფორმალური ურთიერთობები გონივრულ ფარგლებში.

და ბოლოს შეიძლება განვიხილოთ ექსპერტების აზრიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ინოვაციურ ორგანიზაციაში პერსონალის მართვას აქვს არაერთი მახასიათებელი, რომელიც მოიცავს:

- ინოვაციური პროცესის მონაწილეთა მუშაობის სიახლესა და სირთულეებს;
- შემოქმედებითი მუშაკების პიროვნული მახასიათებლების ფართო სპექტრს;
- ინვესტიციის მაღალ რისკსა და საბოლოო საოპერაციო შედეგების გაურკვევლობას;
- ინოვაციური პროცესის სუსტ საინფორმაციო მხარდაჭერას;
- შრომის ორგანიზაციის პარამეტრების გაურკვევლობას;

- მეცნიერთა და სპეციალისტთა შორის კადრების მაღალ ბრუნვას;
- წარმატების შემთხვევაში დიდი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას;
- რეალიზაციის უფრო დიდ შესაძლებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე სოციალური და შრომითი ურთიერთობები მოითხოვს თანამშრომლების ტრენინგისა და განვითარების მდგრადი და ეფექტური სისტემების ჩამოყალიბებას, რაც ინიცირებული უნდა იყოს დაწესებულების ტოპ მენეჯერებისა და კომპანიის მფლობელების მიერ, რადგან ციფრული გარდაქმნებისა და წარმოების პროცესის ტექნოლოგიური მიდგომების სწრაფი ცვლილებების პირობებში, დამსაქმებლების მიერ ყველაზე მოთხოვნადი პროფესიული უნარების რეპროდუცირების პრობლემა, სულ უფრო აქტუალური ხდება. ამიტომ, გასათვალისწინებელია ყურადღება მიექცეს

- პროფესიული განვითარებასა და გადამზადებას მომავლისთვის;
- თანამშრომლების პირად საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გამოცდილების გამოყენებას;
- სასწავლო პლატფორმების - შექმნასა და გამოყენებას სწავლის პერსონალიზებისთვის;
- ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების დანერგვას სამუშაო ადგილზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, დაწესებულებებმა დროულად უნდა მოარგონ თანამშრომლების ტრენინგისა და განვითარების სტრატეგიები სწრაფად ცვალებადი სოციალური რეალობის და ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციებს. აღნიშნული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფაზე ორიენტირებული უნდა იყოს საგანმანათლებო დაწესებულებები, რაც გულისხმობს ამ უნარებზე ორიენტირებული კურიკულუმების შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://envoy.com/solutions
2. https://romebusinessschool.com/landing/masters
3. https://www.researchgate.net/publication/382544676_Features_of_the_personnel_motivation_system_in_innovative_organizations

Eka Mgeladze
PhD candidate at the Georgian Technical University

Specific Characteristics of Innovative Personnel Management and Their Reflection in Educational Curricula

Summary

In the era of innovation, the innovative path of any company or institution (general education) directly depends on how successfully innovation is used in personnel management. This article will answer the questions: What echnologies and methods of personnel management are used in innovative organizations and what are their features, both in the management and collaborative directions?
According to the author's recommendation, the formation and improvement of these skills is the main task of higher educational institutions, which implies the creation of curricula focused on these skills.

Keywords: Innovation, Personnel management Innovative organizations, educational institution, curriculum

ჩვენი იუბილარები

ლუბა ბიბილეიშვილი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს–მდივანს, პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ქალბატონმა ლუბამ სოფლის სკოლის მასწავლებლობიდან აკადემიკოს–მდივნობამდე დიდი და საინტერესო გზა განვლო. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1962 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1964 წლიდან ის მუშაობას აგრძელებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1981 წლამდე იყო რუსული ენისა და ლიტერატურის, პედაგოგიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრების ლექტორი, დაუსწრებელი სწავლების განყოფილების უფროსი მეთოდისტი და აბიტურიენტების მოსამზადებელი კურსების დირექტორი.

ქალბატონი ლუბა 1981 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას აგრძელებს თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, სწავლულ მდივნად და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების დირექტორად.

1986 წელს ქალბატონმა ლუბამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პედაგოგიკაში, რომელშიც აისახა მისი მდიდარი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ამავე წელს მუშაობას იწყებს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ საზოგადოებაში პასუხისმგებელ მდივნად.

1989 წლიდან პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი უბრუნდება პედაგოგიურ საქმიანობას. 1989–2008წ.წ. მუშაობდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში დოცენტის, სრული პროფესორის, კათედრის გამგის თანამდებობებზე. 2008–2013 წ.წ. მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული პროფესორის თანამდებობაზე. სადაც კი მუშაობდა ქალბატონი ლუბა, ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებსა და სტუდენტებში.

პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილის მეცნიერული კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პედაგოგიკის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს. ის 50–მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია: „სოციალური პედაგოგიკა“ (თანაავტორი პროფ. მამია ტუღუში, 2002); „ვალეოლოგია“, რომელიც აღინიშნა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრემიით (თანაავტორი პროფ. ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, 2005); „ფუნქციური წერა“ (თანაავტორი პროფ. მედეა როგავა, 2012); „ღვთის ტაძრის სულიერი ბინადარი – ნელი დუმბაძე“ (2019).

პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის 2015 წელს გამოცემული წიგნის „საქართველოს განათლების მატიანე“ თანაავტორი და ქართული ტექსტის რედაქტორი, ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრია. პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო ფორუმების მონაწილე და დისერტაციების შემფასებელი-ექსპერტია.

ქალბატონმა ლუბამ ახლახანს, ქართულ საზოგადოებას შესთავაზა დიდებული მონოგრაფია „გზათა ზედა მოღვაწებით მავალნი“, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, XIX საუკუნის ქართველ განმანათლებელთა „უკანასკნელი მოჰიკანის“ უდიდესი პატრიოტის, ლუარსაბ ბოცვაძისა და მისი ოჯახის ფასდაუდებელ ღვაწლზე შთამომავლობის წინაშე.

ქალბატონო ლუბა! თქვენი მოღვაწეობა არა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური თვალსაზრისითაა ღირებული, არამედ თქვენთან ურთიერთობაც დიდი საჩუქარია გარშემომყოფთათ-

ვის. რადგან თქვენ ბრძანდებით ის პიროვნება, ვინც უშურველად უწილადებს ადამიანებს ყველაზე ძვირფას საუნჯეს - სიყვარულს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს ამავე აკადემიის აკადემიკოს–მდივანს, ზნემაღალ, გამორჩეულ ქალბატონს, პროფესორ ლუბა ბიბილეიშვილს დაბადებიდან 85 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თამაზ კარანაძე 85 წლისაა

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს თამაზ კარანაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

თამაზ კარანაძე დაიბადა 1939 წელს. 1962 წელს დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაციით და მყისიერად შეუდგა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. 1970 წლიდან თამაზ კარანაძე პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობის ასპარეზად ირჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრას, სადაც მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა. ბატონმა თამაზმა ამ კათედრაზე თავდაპირველად ასისტენტად დაიწყო მუშაობა. გაიარა უფროსი მასწავლებლის, დოცენტის და პროფესორის საინტერესო გზა და ამ სახელოვან კათედრასაც ხელმძვანელობდა ათი წლის განმავლობაში.

პროფესორ თამაზ კარანაძის მეცნიერული ინტერესები ფართო და მრავალმხრივია. მაგრამ განსაკუთრებულია მისი დამოკიდებულება იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობასთან. სწორედ ამ თემას ეძღვნება მისი სადისერტაციო ნაშრომი.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობისადმი ბატონი თამაზის ინტერესი მხოლოდ სადისერტაციო გამოკვლევით არ შემოფარგლულა. 1991 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია „იაკობ გოგებაშვილის ჰუმანიზმი“, 1993 წელს - „იაკობ გოგებაშვილი და თანამედროვე სკოლა“, 2000 წელს - „ხალხურობის იდეა - ჰუმანიზმის აღზრდის საფუძველი ი.გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში“.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის კვლევა და დიდი მამულიშვილის პოპულარიზაციას სამეცნიერო სტატიებისა და პუბლიცისტური წერილების მთელი სერია უძღვნა პროფესორმა თამაზ კარანაძემ, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ ფურცლებზე.

თამაზ კარანაძე არის „პედაგოგიკისა“ და „პედაგოგიკის ისტორიის“ სახელმძღვანელოების თანაავტორი. ბატონი თამაზის ხელმძვანელობით მომზადდა ათი საკანდიდატო და ოთხი სადოქტორო დისერტაცია. იგი არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეა, როგორც სამშობლოში, ისე უცხოეთში. მას დღესაც ხშირად იწვევენ სადისერტაციო საბჭოებში და სადოქტორო დისრტაციების შემფასებელ-ექსპერტად.

პროფესორი თამაზ კარანაძე არა მარტო წარმატებული მეცნიერია, არამედ განათლების და მეცნიერების კარგი ორგანიზატორიც. სწორედ ამის დასტურია ის წარმატებები, რასაც მისი ხელმღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრამ მიაღწია. განსაკუთრებულია თამაზ კარანაძის ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს კანათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს-მდივნის და ამავე აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიაში.

განსაკუთრებულია ბატონი თამაზის დამოკიდებულება სტუდენტებისა და კოლეგების მიმართ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ იშვიათ ადამიანთა შორისაა, რომელთა გარეშეც ძალიან ბევრს დაკარგავდა სტუდენტთა მრავალი თაობა, ჩვენი საზოგადოება და ქვეყანაც. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, მის პიროვნებაში აშკარად დომინირებს კაცთმოყვარეობა. იგი უზადო შინაგან კულტურას ასხივებს ყველგან, სტუდენტურ აუდიტორიებში, სამეცნიერო ფორუმებზე თუ ახლობელთა წრეში.

ღირსეული ადამიანები სხვათაგან იმითაც გამოირჩევიან, რომ ღირსეულადვე უმკლავდებიან ცხოვრების ქარიშხალს. არც ბატონი თამაზი დაინდო საწუთრომ, თუმცა აქაც ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი. სააშკაროდ არ აქცია მამაშვილობის ტრაგედია და სხვას არ დაუმძიმა ყოფა.

დიდი პატივია თამაზ კარანაძის ნაცნობობაც კი, ხოლო მასთან მეგობრობა ცხოვრებისეული ჯილდოა. ამიტომაც, უდიდეს მადლიერებას გამოვთქვამთ ბედისწერისა და განგების მიმართ, რომელმაც ამ დიდებულ პიროვნებასთან, ჩვენს საერთო პედაგოგიურ ოჯახში ურთიერთობის საშუალება მოგვცა. მადლობა თქვენ ბატონო თამაზ! თქვენი არსებობით სიკეთის სხივებს რომ უწილადებდით ყველას.

ბატონო თამაზ! საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან 85 წლისთავს, გისურვებთ მხნეობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და პროფესიულ წარმატებებს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ჰამლეტ მელაძე - 85

ბატონი ჰამლეტ მელაძე დაიბადა 1939 წლის 9 თებერვალს თბილისში, საამაყო „კომაროვის სკოლის“ ჩამომყალიბებლის და პირველი დირექტორის, დიდი პედაგოგისა და მასწავლებლის ბატონ ვარლამ მელაძის ოჯახში.

1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1967 წლიდან 1970 წლამდე იყო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის ასპირანტი გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით. 1971 წელს ჰ. მელაძეს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1971–1978 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის დოცენტი, ხოლო 1978-2006 წლებში ამავე კათედრის გამგე.

1992 წელს მოსკოვის მ. კელდიშის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში ბატონმა ჰამლეტმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1993-1999 წლებში პროფესორი ჰამლეტ მელაძე მოღვაწეობდა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. 1999-2006 წლებში იგი იყო თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი, ხოლო 2006-2009 წლებში - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი.

2006-2009 წლებში პროფესორი ჰ. მელაძე ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ინფორმატიკის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია,

შემდეგ კი არჩეულ იქნა ინფორმატიკის განყოფილების გამგედ. 2018 წლიდან ბატონი ჰამლეტი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

2008 წლიდან ბატონი ჰამლეტი არის საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი.

პროფესორ ჰამლეტ მელაძეს გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. მის კალამს ეკუთვნის 12 სახელმძღვანელო.

ბატონი ჰამლეტის შრომა დააფასა სახელმწიფომ, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998 წელი), მიღებული აქვს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია საუკეთესო სახელმძღვანელოსთვის 2002 წელს. 2009 წელს კი უკრაინის მათემატიკოსთა კონგრესზე მას გადაეცა მ.მ.ბოგოლიუბოვის სახელობის სამახსოვრო ოქროს მედალი სამეცნიერო მიღწევებისათვის. აღსანიშნავია, რომ ჰ.მელაძის ინიციატივით 2007 წელს საფუძველი ჩაეყარა პრესტიჟულ საერთაშორისო ოლიმპიადას პროგრამირებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის - აკად. ი. ვეკუას თასს, რომელიც დღემდე ტარდება. და მისი ჟიურის უცვლელი თავმჯდომარე ბატონი ჰამლეტია.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია დაბადების მე-85-ე წლისთავს ულოცავს თაობების აღმზრდელს, პედაგოგს, შესანიშნავ მეგობარს, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ბატონ ჰამლეტ მელაძეს და უსურვებს სიმხნევეს, უშრეტ ენერგიას, დღეგრძელ სიცოცხლეს, პროფესიულ და პირად წარმატებებს, ლამაზ ოჯახთან ერთად.

ზურაბ ჩაჩხიანი - 85

დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ზურაბ ჩაჩხიანს.

პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მეცნიერი, თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწეა. მან საინტერესო ფურცლები ჩაწერა ქართული ფიზიკის მეცნიერების ისტორიაში და გაამდიდრა ახალი, ინოვაციური ცოდნით, დიდი წვლილი შეიტანა თორიუმისა და ურანის ბაზაზე შექმნილი მასალების (აქტინიდების) სტრუქტურული მაგნიტოქიმიის ფუნდამენტურ კვლევებში, ფიზიკის სამყაროს ისეთ უაღრესად რთულ სფეროში, როგორიც არის მაგნიტოქიმია. პროფესორი ზურაბ ჩაჩხიანის მეცნიერულმა კვლევებმა, ამ დარგში შექმნილმა მონოგრაფიებმა და სახელმძღვანელოებმა შეადგინა სწორედ კლასიკური ფონდი.

შთამბეჭდავია პროფ. ზ. ჩაჩხიანის მეცნიერული მიღწევები. დარწმუნებული ვართ მათი საფუძვლიანი შეფასება საგანგებო კვლევა-ძიების საგანი გახდება მომავალში. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთი მათგანის დასახელებით შემოვიფარგლებით. უაღრესად დიდმნიშვნე-ლოვანია ბატონ ზურაბ ჩაჩხიანის მიერ მეტალური ურანის ალოტროპიული ფაზური გარდაქმნის ფენომენოლოგიური თეორიის დამუშავება, ჰალკოგენიდებში კრისტალური ველის სუპერპოლარული მოდელის საზღვრებში ურანის ძირითადი დონეების კლასიფიკაცია, თორიუმისა და ურანის ტერნარული ჰალოგენიდების კლასის ფიზიკურ-ქიმიური მასალათმ-ცოდნეობის საფუძვლების შექმნა და მრავალი სხვა.

პროფ. ზ. ჩაჩხიანისა და მისი თანაავტორების აღნიშნულ მონოგრაფიებს ანალოგი არ გააჩნია და მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, რასაც 1996 წელს მათთვის საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭებაც ადასტურებს.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი მეცნიერებისა და განათლების ორგანიზატორიცაა. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალებში (თბილისში, რუსთავის, ბათუმის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ტყიბულის ფილიალებში) ფიზიკის კათედრის ლაბორატორიების განახლება-რეორგანიზაცია, დაარსდა სასწავლო-ლაბორატორიები ზოგადი ფიზიკის სამსავე ნაწილში.

მაშტაბულ სამეცნიერო მუშაობას პროფ. ზ. ჩაჩხიანი კარგად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან დანერგა და პირველმა წაიკითხა ახალი სასწავლო დისციპლინის 'მაგნიტოქიმიის' ლექციების კურსი და გამოსცა ორტომეული ნაშრომიც. ამას გარდა, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკის აქტუალური საკითხების შესწავლას, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა ბირთვული მასალების სექტორი, სამეცნიერო სკოლა, რომლის უაღრესად დიდი მიღწევები აღიარებულ იქნა 1989 წელს გრენობლში (საფრანგეთი) ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე 'პლუტონიუმ-89'. ეს სკოლა დარგის ლიდერად გამოცხადდა.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

პროფ. ზ. ჩაჩხიანს ეკუთვნის 180-მდე სამეცნიერო ნაშორმი, მათ შორის 16 წიგნი და მონოგრაფია, 13 სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო. მათგან განსაკუთრებულია ორტომიანი სახელმძღვანელო 'მაგნიტოქიმია' (2009). მის მეცნიერულ ავტორიტეტზე ხშირად ლაპარაკობენ საერთაშორისო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე.

პროფ. ზ. ჩაჩხიანი ნაყოფიერ და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. არის სტუ სამეცნიერო ჟურნალის 'განათლების' რედაქტორის მოადგილე, დარგობრივი სამეცნიერო აკადემიებისა და სამეცნიერო პერიოდულ გამოცემათა რედკოლეგიების წევრი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის რედაქცია გულითადად ვულოცავთ აკადემიკოს ზურაბ ჩაჩხიანს დაბადების 85 წლისთავს, ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს, წარმატებულ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

გიორგი ანჩაბაძე – 75



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ცნობილ ქართველ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი ანჩაბაძეს 75 წელი შეუსრულდა.

გიორგი ანჩაბაძე დაიბადა თბილისში 1949 წელს, ცნობილი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ ანჩაბაძის ოჯახში. მისი დედა – თინათინ ხახიშვილი განათლებით ინჟინერ-მშენებელი იყო.

გიორგი ანჩაბაძემ უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო (1966-1971), რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ევლია ჩელების "მოგზაურობის წიგნი", როგორც წყარო კავკასიის მთის ხალხების შესახებ" (1975).

1975-2010 წლებში გიორგი ანჩაბაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც გაიარა გზა უმცროსი მეცნი-

ერ-თანამშრომლიდან მთავარ მეცნიერ-თანამშრომლამდე. 1990 წელს მან აქვე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს სამხედრო ისტორიისა და სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობის პრობლემებზე. ეს საკითხები (განსაკუთრებით სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობა) იმ დროს ნაკლებად იყო შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. გავრცელებული იყო ის აზრიც, რომ საქართველოს სამხედრო წარსულის ამსახველი წერილობითი წყაროები ძალიან მწირია და თითქმის არ შემონახული. გიორგი ანჩაბაძის ნაშრომმა „საქართველოს სამხედრო ისტორიის წყაროთმცოდნეობის პრობლემები (ქართული საისტორიო თხზულებების გამოკვლევა)“, რომელიც მონოგრაფიის სახით გამოიცა (256 გვ.) გააცამტვერა ეს აზრი. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სამხედრო ისტორიის კუთხით იქნა შესწავლილი ქართული მატიანეები და ქრონიკები, ისტორიული პოემები და სხვა წერილობითი ძეგლები. აღმოჩნდა, რომ ისინი შეიცავენ უხვ და უნიკალურ მასალებს ქართული სამხედრო ორგანიზაციის, ომებისა და სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-თეორიული აზროვნების შესახებ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში. ამ წყაროებზე დაყრდნობით მონოგრაფიაში აღდგენილია საქართველოს უმნიშვნელოვანესი ომებისა და ბრძოლების ისტორია წინაანტიკური ხანიდან XVIII ს-ის ბოლომდე. წიგნში მრავლადაა ავტორის მიერ შედგენილი სამხედრო-ისტორიული რუკები და სქემები. ამ ნაშრომით გიორგი ანჩაბაძე ქართული ისტორიოგრაფიის ახალი დარგის – სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობის – ფუძემდებელი გახდა.

მთლიანად გიორგი ანჩაბაძე 200-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია (მათ შორს 25 წიგნის). მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების ისტორიას, ახლო აღმოსავლეთს, სამხედრო ისტორიას, ისტორიოგრაფიას, წყაროთმცოდნეობას, ისტორიულ კარტოგრაფიას და ა. შ. ასევე ფართოა მისი შრომების ქრონოლოგური ჩარჩო: ანტიკური ხანიდან – ჩვენს დრომდე. ეს მიმართულებები მის შრომებში ხშირად ორგანულად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად გიორგი ანჩაბაძე უკვე 40 წელიწადზე მეტია ნაყოფიერ შრომას ეწევა აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 2007 წლიდან დღემდე იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელია, მუშაობდა და მუშაობს ჯერ სრული პროფესორის, ხოლო 2018 წლიდან ემერიტუს-პროფესორის პოზიციაზე.

აქვე აუცილებელია ითქვას მისი აფხაზეთში მოღვაწეობის შესახებ. 2001 წლიდან დღემდე გიორგი ანჩაბაძე ლექციებს კითხულობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სოხუმში), რომლის პირველი რექტორი იყო მისი მამა, ზურაბ ანჩაბაძე. ლექციების თემატიკაა აფხაზეთის, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორია. ამ საკითხებით გიორგი ანჩაბაძე ხშირად გამოდის აგრეთვე საჯარო ლექციებით როგორც სოხუმში, ასევე თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. იგი აგრძელებს საქმეს, რომლის სათავეში იდგნენ მისი დიდი ბებია – მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე), მისი ბაბუა – ვიანორ ანჩაბაძე და ზურაბ ანჩაბაძე.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ბატონ გიორგი ანჩაბაძეს განვლილ 75 წელს და ვუსურვებთ მას ხანგრძლივ მხნეობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მერაბ ბერიძე - 75

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.

მერაბ ბერიძე დაიბადა 1949 წელს დაბა ასპინძაში. დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა. ხოლო 1972 წელს - თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1973 წელს მუშაობა დაიწყო თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში ლაბორანტად, შემდეგ - მეცნიერ-თანამშრომლად და უფროს მეცნიერ-მუშაკად. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე - „ჯავახეთის ტოპონიმია“, ხოლო 2005 წელს სადოქტორო- „მესხური ტოპონიმიის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები“.

პროფესორი მერაბ ბერიძე 1990 წელს დაბრუნდა მესხეთში და სათავეში ჩაუდგა თსუ ახალციხის ფილიალს, ხოლო 2002 წელს საფუძველი ჩაუყარა თსუ ჯავახეთის ფილიალს ახალქალაქში. 2005 წლამდე იყო ამ ფილიალების დირექტორი.

1996 წელს პროფესორი მერაბ ბერიძე, როგორც წარმატებული მეცნიერი და უმაღლესი განათლების ორგანიზატორი არჩეულ იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ბატონი მერაბი 2012 წლიდან იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2014 წლიდან 2018 წლამდე - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი 2015 წლამდე. 2018 წლიდან დღემდე - ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

პროფესორ მ. ბერიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, წიგნები და მონოგრაფიები, მათ შორის: „მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის“, „ტაძრები და სახელები“. „სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ“, „მაჰმადიანი მესხების ფესვები და დღევანდელობა“, „მესხეთის ტოპონიმია I“ , „სიყვარულის უნივერსიტეტი“, „მომავლის უნივერსიტეტი“, „ სამცხე-ჯავახეთის სამზარეულო“ და სხვა.

2009-2016 წლებში ბატონი მერაბის რედაქტორობით გამოდიოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „გულანი“(გამოსულია 20 წიგნი). 2016 წლიდან პროფესორი მერაბ ბერიძე არის ჟურნალ „არავის“ რედაქტორი (გამოვიდა 31 ნომერი) და გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი.

მერაბ ბერიძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა სათანადოდაა დაფასებული. იგი დაჯილდოვებულია: ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის მედლით, „ქართული სულის“ ფესტივალმა უწოდა „დიდი მესხი“ და დააჯილდოვა ოქროს მედლით. 2013 წელს შვეიცარიის ქ.ჟენევაში გადაეცა ევროპის რექტორთა კლუბის დიპლომი, 2015 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით, 2017 წელს გახდა ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, 2019 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად. ამავე წელს მიიღო ქართული კულტურის რაინდის წოდება.

2024 წელს, დაბადებიდან 75 წლისთავზე ბატონ მერაბ ბერიძეს გადაეცა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია; ქართული ენის დაცვა-განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სიგელით, ხოლო ისტორია-ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის გადეცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს მერაბ ბერიძეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თემურ ჯაგოდნიშვილი - 75

დაბადებიდან 75 წელს შეუსრულდა ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს თემურ ჯაგოდნიშვილს.

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებაა. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწის (1973-1977), ასპირანტურის დარგში სწავლული მდივნის (1977-1981), ენისა და ლიტერატურის განყოფილების სწავლული მდივნის (1981-1988) თანამდებობებზე. იგი მრავალი წელია მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. სხვადასხვა წლებში იყო ახლადგახსნილი ქართული ენის კათედრის, ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგე (1992-2006); შეთავსებით ახლადდაარსებული ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ჰუმანიტარული განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის დარგში (1993-1998), ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის ხელმძღვანელი (1999-2003); უნივერსიტეტში სტრუქტურული გარდაქმნების შემდეგ იყო ქართული ენისა და მედიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2004-2006), ქართული ენისა და მედიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006-2011). 2011 წლიდან დღემდე ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი. სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ფოლკლორის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (1988-1990) და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე (1991-1993).

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშობის პარალელურად თ. ჯაგოდნიშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სხვა სფეროებშიც. 1996-2004 წლებში იყო სტუ გაზეთების – „აღმაშენებელი“ და „საუნივერსიტეტო მაცნე“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის კრებულის – „შრომების“ რედაქტორის მოადგილე, სტუ სამეცნიერო ჟურნალის „განათლების“ რედაქტორის მოადგილე (ამჟამად არის ამ ჟურნალის რედაქტორი); სტუ აკადემიური საბჭოს წევრი; არის იუნესკოს ასოცირებული წევრის FIPLV (FIPLV – თანამედროვე ენების ასოციაციათა ფედერაცია) ჟურნალ „Homo Loquens“-ის რედკოლეგიის წევრი, საქართველოს მულტილინგვისტური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი; სამეცნიერო ჟურნალების „სვეტიცხოვლის“ და „პარალელის“ რედკოლეგიების წევრი; სტუ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი (2006-2010); 2008-2022 წწ. იყო საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მიწვეული პროფესორი და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანი.

პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პირველი თაობის (2000 წლიდან) წევრია. იგი წლების განმავლობაში აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო; ბატონი თემური ასევე არჩეულია საქართველოს ლიტერატურისმცოდნეობის ასოციაციის წევრად (2011), ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (2003); ფაზისის აკადემიის წევრად (2024); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2014), ი. გოგებაშვილის მედლით და საპატიო სიგელით (2019), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლით (2024), არის საქართველოს ეროვნული პრემიის (2012) და გიორგი ლეონიძის პრემიის (2023) ლაურეატი.

პროფესორ თ. ჯაგოდნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ლინგვისტიკის, კომუნიკოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ქართული მწერლობის, ლიტერატურისმცოდნეობის, ჟურნალისტიკამცოდნეობის სფეროებს. თ. ჯაგოდნიშვილი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათგან 50 წიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა.

ბატონი თემური აქტიურ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა და ეხმიანება დროის

სვლას და, რაც მთავარია, სულისკვეთებას. ამიტომ მისგან კიდევ ბევრს მოველით. გვჯერა მისი მადლიანი კალამი მრავალ ბურუსით მოცულ პრობლემას ინტელექტუალური საზოგადოების კუთვნილებად აქცევს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს იუბილეს - დაბადების 75 წლისთავს და ვუსურვებთ მხნეობასა და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში.

მამუკა თავხელიძე -70

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მამუკა თავხელიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

მამუკა თავხელიძე დაიბადა თბილისში, 1954 წელს. მას უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს მიღებული. არის პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი. იგი 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფიები - “ევროპული დიდაქტიკა“ და “უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის მართვა-აკრედიტაცია“, რომელშიც აკადემიური ხარისხის მართვის სისტემების თეორიული საფუძველები და მთავარი პრინციპებია გაანალიზებული, განხილულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამოცდილება აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი ნაშრომი, საქართველოში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური ხარისხის მართვის პრობლემებს ეხება. ადრეულ წლებში იგი რუსული სკოლის „ქართული ენის“ ორი სახელმძღვანელოს ავტორი იყო.

პროფესორ მამუკა თავხელიძეს საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი. იგი წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა - იყო სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანაშემწე, საქართველოს განათლების მინისტრის თანაშემწე, სახელმწიფო პედაგოგიურო უნივერსიტეტის დოცენტი, აღმზრდელობითი განყოფილების გამგე, ხოლო 1992 წლიდან - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორია. სწორედ ის იყო ინიციატორი ამ უნივერსიტეტის დაარსებისა და გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში.

პროფესორი მამუკა თავხელიძე უმაღლესი განათლების გამორჩეული პროფესიონალი და ორგანიზატორია. სწორედ ამაზე მიუთითებს იმ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა მოკლე ჩამონათვალი, სადაც მან თავისი მაღალი კომპეტენციითა და ავტორიტეტით აღიარება მოიპოვა: 1994 წელს პროფესორი მამუკა თავხელიძე აირჩიეს საქართველოს საგანმანათლებლო ინსტიტუტების აკრედიტაცია-სერტიფიცირების სახელმწიფო საბჭოს წევრად. ხოლო 2012 წლის მაისში მამუკა თავხელიძე აირჩიეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა კადემიის წევრად და პრეზიდენტად. 2013 წელს მამუკა დასახელდა „წლის რექტორად“. 2018 წლიდან არჩეულია საქართველოს კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად/აკადემიკოსად.

ბატონ მამუკას დამსახურება უმაღლესი განათლების მიმართ აღიარებული ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. 2000 წელს პიერ ფოჩარდის საერთაშორისო აკადემიამ პროფესორი მამუკა თავხელიძე ამ ორგანიზაციის საპატიო აკადემიკოსად აირჩია. ხოლო 2003 წელს ბატონი მამუკა თავხელიძე აირჩიეს ოქსფორდის მრგვალი მაგიდის მრჩეველთა საბჭოს წევრად და ექსპერტად. 2019 წლიდან პროფესორი მამუკა თავხელიძე „ახალი ევროპის უნივერსიტეტების ალიანსის“ ვიცე-პრეზიდენტია.

ბატონი მამუკას ღვაწლი აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით: 1998 წელს განათლების სფეროში შეტანილი წვლილისათვის მამუკა თავხელიძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. ხოლო 2013 წელს ბრწყინვალების ორდენით. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე საუნივერსიტეტო მედლით „ალმა მატერის რჩეული“ და საუნივერსიტეტო ორდენით „განათლებისა და მეცნიერების ამაგდარი“.

ბატონ მამუკას პიროვნებას ამშვენებს ჩინებული ქართული ოჯახი. მას გვერდით უდგად შესანიშნავი მეუღლე, იგი სამი შვილის მამა და ხუთი შვილიშვილის ბაბუაა.

ბატონო მამუკა! თქვენ ძალიან დიდი ამაგი დასდეთ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის სრულყოფა-განვითარებას. მარტო ის რად ღირს, რომ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სახით დააფუძნეთ არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპულ საგანმანთლებლო სივრცეში აღიარებული თანამედროვე სტანდარტების უნივერსიტეტი. გვჯერა ამაზე არ გაჩერდებით, წინ დიდი გამოწვევებია. თქვენ სწორედ იმ ასაკში ბრძანდებით, როცა თქვენი კომპეტენცია და გამოცდილება ფასდაუდებელია ამ სფეროში.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად გილოცავთ ბატონო მამუკა საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ხანძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის აღზდა-განათლების საქმეში.

ავთანდილ ხაზალია - 70

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ცნობილ ქართველ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ავთანდილ ხაზალიას - **70** წელი შეუსრულდა.

პროფესორი ავთანდილ ხაზალია მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგი გახლავთ. იგი 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 5 სახელმძღვანელოსა და 3 ბროშურის ავტორია. მეცნიერის თითოეული ნაშრომი ენციკლოპედიური განათლების, ადამიანური სიბრძნისა და სამშობლოს უზადო ერთგულების გამოხატულებაა. ბატონი ავთანდილი აფხაზეთის მკვიდრია, ღირსეული კოლხი, საქართველოს ერთგული და დიდი პატრიოტი. იგი უდიდეს როლს ასრულებდა იურისპრუდენციის განვითარების საქმეში აფხაზეთში საქმიანობის პერიოდშიც.

პროფესორი ავთანდილ ხაზალია წლების განმავლობაში თავდადებით იბრძვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დასაცავად.

ბატონმა ავთანდილმა უდიდესი ტრაგედია გადაიტანა - გარდაეცვალა ვაჟი, პროფესიით იურისტი - სერგო (სერიოჟკა) ხაზალია. მისი სახით ქვეყანამ დაკარგა გამორჩეული ინტელექტის და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა პროფესიონალი. მიუხედავად თავს დამტყდარი უდიდესი ტრაგედიისა, ბატონმა ავთანდილმა მაინც მოახერხა ცხოვრების ამაოებასა და ჟამთა სიავეზე ამაღლება და ღირსეულად განაგრძნო მამა-შვილობის მძიმე ჯვრის ტარება.

ავთანდილ ხაზალია პროდუქტიული მკვლევარია. იგი აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს სამეცნიერო ფორუმებში, რომელთა თემატიკა მრავალმხრივი და მეცნიერისათვის მნიშვნელოვანია და ძირითადად ეხება ქართულ - აფხაზურ საკითხებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის, გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის, ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვას, ჰოლოკოსტის, გენოციდის დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გამოწვევებს.

ბატონი ავთანდილ ხაზალია იყო ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის წევრი, კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობის კომისიის თავმჯდომარის მო-

ადგილე, აფხაზეთის კონსტიტუციის (ქართული ვარიანტის) საკონსტიტუციო კომისიის წევრი, 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, 2017 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატი. ამჟამად ბატონი ავთანდილი ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრია.

პროფესორი ავთანდილ ხაზალია არჩეულია 8 დარგობრივი აკადემიისა და მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრად. იგი გახლავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს ექსპერტი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, იუსტიციის პოლკოვნიკი, ყოფილი სამხედრო მოსამართლე აფხაზეთის რეგიონში.

ბატონი ავთანდილ ხაზალიას ღვაწლი სათანადოდაა დაფასებული. იგი მრავალი სახელმწიფო, სამეცნიერო და შემოქმედებითი გაერთიანების მიერაა დაჯილდოებული. მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „ღირსების ორდენით“; „მშვიდობის დროშით და მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით“, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელით“, 2010, 2015 წწ. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „საპატიო სიგელით“ და „რაინდის წოდებით“, 2024 წლის 24 სექტემბერს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა და მწერალთა, ხელოვანთა საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემიამ „გულანი“ მიანიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება. ხოლო 2024 წლის 11 ოქტომბერს, იუსტიციის დღესთან დაკავშირებით იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატმა დააჯილდოვა „თემიდას ქანდაკებით'' და საჩუქრით - სახელობითი ''მინიატურული საქართველოს კონსტიტუციით''.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ულოცავს ამავე აკადემიის წევრს, პროფესორ ავთანდილ ხაზალიას დაბადებიდან 70 -ე წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, პროფესიულ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მის სამაგალითო ოჯახთან ერთად.

მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი

რევაზ ბალანჩივაძე

ქართულმა მეცნიერებამ, სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი რევაზ ბალაჩივაძე.

საინტერესო ცხოვრების გზა განვლო რევაზ ბალანჩივაძემ. იგი დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში. უმაღლესი განათლება მიიღო ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში (დღევანდელი ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სტუდენტობის წლებში, რევაზ ბალანჩივაძეს, რომელიც მაიაკოვსკისა და სტალინის სახელობის სტიპენდიანტი იყო, პროფესორთა განსკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია. სწორედ მისივე ლექტორის, აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის რეკომენდაციით მან მუშაობა დაიწყო, ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ სამუშაოდ გადავიდა ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ნაყოფიერი გამოდგა რევაზ ბალაჩივაძის სამეცნიერო საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1970 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიტატო, ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1976 წლიდან რევაზ ბალაჩივაძე სამეცნიერო მუშაობას წარმატებით უთავსებს პარტიულ-პოლიტიკურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. 1982 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მთავარ რედაქტორად და 1986 წლამდე მუშაობდა მაღალ კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე.

1986 წლიდან პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე კვლავ სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა: წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის პრორექტორად. სიცოცხლის ბოლომდე ბატონი რეზო კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების ემერიტუს-პროფესორი იყო.

პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე მრავალი სამეცნიერო ჟურნალის და შრომათა კრებულის დამფუძნებელი და რედაქტორია. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის" მთავარი რედაქტორი და რედკოლეგიის წევრი.

ბატონი რეზოს წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. მისი წიგნები დიდი ხანია სპეციალისტთა ყურადღების ცენტშია მოქცეული და ბევრი მათგანი სტუდენტთა აღზრდა-განათლების სამსახურშია. სწორედ ამაზე მიუთითებს მათი არასრული ჩამონათვალი: „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა", „ადამიანის ფილოსოფიური კონცეფცია ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში", „ადამიანი და ტრადიცია", „ზნეობრივი აღზრდის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე", „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", „უმაღლეს ღირებულებათა სამსახურში", „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა", „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები" და სხვ.

პროფესორ რევაზ ბალანჩივაძის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი აღიარებულია ქართული აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების მიერ. იგი არჩეული იყო მრავალი დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსად.

ქართული განათლების მიმართ ბატონი რეზოს ღვაწლი გამორჩეულად დაფასდა 2000 წელს, როცა მას დამსახურებულად მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის პრემია. მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკაშიც სათანადოდ აღინიშნა და მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნა-

ლისტის საპატიო წოდება. მშობლიურმა წყალტუბოს რაიონმაც პატივი მიაგო ბატონ რეზოს დამსახურებას და იგი წყალყუბოს საპატიო მოქალაქედ აირჩია.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ღირსეული პიროვნების, დამსახურებული მეცნიერის, აკადემიკოს რევაზ ბალანჩივაძის მიერ განვლილი გზა მაგალითი იქნება იმისთვის, თუ როგორ უნდა ემსახურო საყვარელ საქმეს და სამშობლოს.

ნათელა იმედაძე



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ერთი-ერთი დამფუძნებელი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი პროფესორი ნათელა იმედაძე.

პროფესორი ნათელა იმედაძე იმ გამორჩეულ მეცნიერ-მკვლევრებს მიეკუთვნებოდა, ვინც დიდი ამაგი დასდო ქართული განათლების საქმეს, როგორც ნიჭიერმა პედაგოგმა და მეცნიერების ორგანიზატორმა. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფსიქოლოგიის კათედრას თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ილიას უნივერსიტეტში), აღზარდა კვალიფიციურ ფსიქოლოგთა არაერთი თაობა. მისი ხელმძღვანელობთ ათეულობით დოქტორანტმა მოიპოვა საძიებელი სამეცნიერო ხარისხი. ისინი დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ქალბატონი ნათელა იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და არაერთი მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორი. მისი კვლევის სფეროს განეკუთვნება ბავშვთა ფსიქოლოგიის ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა: მეტყველების ფსიქოლოგია (ბილინგვიზმი - ბავშვის მიერ მშობლიური ენისა და მეორე ენის სწავლების ფსიქოლოგიური საკითხები), აგრეთვე პიროვნების ემოციური განვითარება (შფოთვა, სტრესის დაძლევა, სტრატეგიების კვლევა საშუალო და უმაღლესი სკოლის ასაკში).

მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პროფესორ ნ. იმედაძის თანაავტორობით შექმნილმა კოლექტიურმა მონოგრაფიამ - „მეტყველების კროსკულტურული კვლევა", რომელიც გამოიცა აშშ-ში (რედ. დ. სლობინი, ბერკლი, კალიფორნია). ასეთივე რეზონანსი ჰქონდა 2017 წელს გამოცემულ მონოგრაფიას - „ქართველი ბავშვის მეტყველების თავისებურებანი".

საქართველოში პირველად პროფესორმა ნ. იმედაძემ დაამუშვა და წაიკითხა სასწავლო კურსი „სტრესის ფსიქოლოგია", ასევე პირველმა შემოიტანა ცნება „შფოთვა" და შექმნა შფოთვის კვლევის ახალი პროექციული მეთოდიკა.

პროფესორი ნ. იმედაძე იყო მონაწილე საერთშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციებისა, რომელთა გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა: აშშ, რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, თურქეთი, ჩეხეთი, ლიტვა და სხვა; აგრეთვე საქართველოში ჩატარებული ყველა სამეცნიერო კონფერენციისა, რომელთა თემატიკაც უკავშირდებოდა განათლებისა და ფსიქოლოგიის პრობლემებს.

სიცოცხლის ბოლომდე ქალბატონი ნათელა, როგორც თბილისის ილიას უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, კითხულობდა ლექციების კურსს ფსიქოლინგვისტიკაში, ხელმძღვანელობდა სამაგისტრო ნაშრომებს, იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსულტანტი, მონაწილეობდა სხვადასხვა პროგრამის შემუშავებასა და მასწავლებელთა სააატესტაციო გამოცდების სააპელაციო კომისიებში. კოლეგებისა და სტუდენტების აღფრთოვანებას იწვევდა პროფესორ ნათელა იმედაძის შემართება და მარად ახალგაზრდული ენერგია, აზროვნების სიღრმე და შრომისმოყვარეობა.

ქალბატონო ნათელა! საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენს მეცნიერულ ნაშრომებზე არაერთი თაობა აღიზრდება და თვენი პედაგოგიური და მეცნიერული ღვაწლი დაუვიწყარი იქნება თქვენი აღზრდილების გულებში.

იათამზე კოტეტიშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იათამზე კოტეტიშვლი.

ქალბატონმა იათამზე კოტეტიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მომავალ სპეციალობად მან ფსიქოლოგია აირჩია.

ქალბატონმა იათომ სამეცნიერო მოღვაწეობა ჟან პიაჟეს შრომების შესწავლისას აღმოჩენილ, ჯერ კიდევ ექსპერიმენტულად დაუდასტურებელ საკითხთა კვლევით დაიწყო. ბავშვების განსაკუთრებულმა სიყვარულმა განაპირობა მისი არჩევანი ეკვლია მოზარდის კოგნიტური განვითრების თავისებურებები.

ქალბატონმა იათომ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გამოიყენა მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსის გაგებასა და სწავლების მეთოდიკაში. პროფ. იათამზე კოტეტიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს: ბავშვის ფსიქოლოგია, სწავლების ფსიქოლოგია, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგია. სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მისი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც ქალბატონი იათო 1975 წლიდან ხელმძღვანელობდა. 1977-2005 წლებში ის იყო პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე.

1961 წელს გამოვიდა მისი პირველი ნაშრომი „დაწყებითი სწავლების ფსიქოლოგია“, რომელშიც ფსიქოლოგიის ლაბორატორიაში ჩატარებული გამოკვლევებია გადმოცემული. მომდევნო მონოგრაფიაა „პირველი კლასის მოსწავლის აზროვნების თავისებურებები“ (1985). 1987 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ექსპერიმენტული სწავლების გამოცდილება, რომელიც ათწლეულების მანძილზე ხორციელდებოდა დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის საბაზო ექსპერიმენტულ სკოლებში. ხოლო 2001 წელს მომზადდა და გამოიცა „დაწყებითი სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელო“, რომელიც შეტანილი იყო საჯარო სკოლების გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხაში.

პროფ. იათამზე კოტეტიშვილი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ის წლების განმავლობაში იყო განათლების მეცნიერების სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი, მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია. პროფ.იათამზე კოტეტიშვილის მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი აღიარებულია, როგორც ქართული ისე უცხოური სამეცნიერო საზოგადოების მიერ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ “მოამბის“ რედაქცია გულითადად ვუსამძიმრებთ პროფესორ იათამზე კოტეტიშვილი ოჯახს, და იმედს გამოვთქვამთ, რომ ისეთი ღირსეული მეცნიერის და გულისხმიერი პიროვნების დამსახურება, როგორიც პროფესორი იათამზე კოტეტიშვილი იყო მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მისი აღზრდილი ასეულობით სტუდენტის ხსოვნაში.

ლია მენთეშაშვილი

ქართველ პედაგოგთა და მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამავე კადემიის ვიცე-პეზიდენტი პროფესორი ლია მენთეშაშვილი.

ქალბატონმა ლიამ, თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქართული ენისა და ლიტერტურის მასწავლებლად ქ. თბილისის 152-ე სკოლაში, ხოლო შემდეგ მუშაობა განაგრძო 145–ე საშუალო სკოლაში. 1984 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: 'ჰუმანიზმის აღზრდა საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეებში'.

პროფ. ლ. მენთეშაშვილი 1987 წლიდან 2006 წლამდე იყო დოცენტი თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ სრული პროფესორი წმიდა გრ. ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო 2009 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი.

პროფ. ლ. მენთეშაშვილის კვლევის სფერო იყო: აღზრდის თეორია, უმაღლესი სკოლისა და ქართული პედაგოგიკის ისტორიის პრობლემები. ქალბატონი ლია 80–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და საგაზეთო სტატიის ავტორია. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: 'მე–19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები (2013), 'სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პირობებში (2005), საკურსო სამუშაოები პედაგოგიკაში (2000), საკურსო სამუშაოები პედაგოგიკის ისტორიაში (2004), საოჯახო აღზრდა, სკოლა და ოჯახი (ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი 1990–1999. 1999), კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან (მონოგრაფია, 1987), ჰუმანიზმის სულისკვეთებით (მონოგრაფია, 1988).

პროფ. ლ. მენთეშაშვილი საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებდა სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფ. ლ. მენთეშაშვილი ხშირად იყო დისერტაციების ოფიციალური შემფასებელი, მრავალი წიგნის რედაქტორი (8) და რეცენზენტი (14). იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო–სამეცნიერო კონფერენციებში. ქალბატონი ლია იყო საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „მეცნიერება და ცხოვრება" პასუხისმგებელი მდივანი და ჩვენი აკადემიის ჟურნალ „მოამბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბოლო ორი ათწლეულია, რაც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში განვითარებული პროცესების ფონზე, რეფორმატორთა მანტიას ამოფარებულმა ჩინოვნიკებმა, ყოვლად გაუმარ-თლებელი და უფრო მეტიც, მავნე პოზიცია დაიკავეს განათლებაში არსებული მრავალი პრობ-ლემის გადაჭრის თაობაზე, მათ შორის აშკარად ნეგატიური აზრი დაამკვიდრეს პედაგოგიკის მიმართაც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს პედაგოგოკის მეცნიერების არსებობა და საჭიროებაც. საბედნიეროდ, ქართველ მეცნიერთა შორის აღმოჩდნენ მაღალი მეცნიერული ღირებულების მატარებელი პიროვნებები, რომლებიც სიძნელეთა მიუხედავად, ყველაფერს აკეთებენ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. ამ საქმეში გამორჩეული ლიდერი უპირობოდ პროფესორი ლია მენთეშაშვილია.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის" რედაქცია გულითადად ვუსამძიმრებთ ქალბატონ ლიას ოჯახს, მის მეგობრებსა კოლეგებს ღირსეული პიროვნების და მეცნიერის გარდაცვალებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ მისი პედაგოგიკური ნაშრომები კვლაც დიდ სამსახურს გაუწევს მისთვის სათაყვანებელი ქართველი ახალგაზრდების პროფესიულ დაოსტატებას.

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე" არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. რეფერირებულია საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИРАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის" პორტალზე: https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/347445 შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლი-სურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.
- ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA-ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.
- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისგებელია ავტორი;
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 595 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ტელ: 595 44 91 21; 593 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
61, Politkovskaya Str., 0186, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 595) 44 91 21; (+995 593) 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge